




National Academy of Sciences of Georgia  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Arn. Chikobava Institute of Linguistics  
Fund of Caucasus

### **III INTERNATIONAL SYMPOSIUM**

#### **IBERO-CAUCASIAN LANGUAGES: STRUCTURE, HISTORY, FUNCTIONING**

Dedicated to the 100th anniversary  
of Academician **Ketevan Lomtadze**

#### **M a t e r i a l s**



Национальная Академия наук Грузии  
Тбилисский государственный университет  
имени Ив. Джавахишвили  
Институт языкознания имени Арн. Чикобава  
Фонд Кавказа

### **III МЕЖДУНАРОДНЫЙ СИМПОЗИУМ**

#### **Иберийско-кавказские языки: структура, история, функционирование**

Посвящается 100-летию со дня рождения академика  
**Кетеван Ломтатидзе**

#### **М а т е р и а л ы**

Tbilisi 2011 Тбилиси

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
კავკასიის ფონდი

### III საერთაშორისო სიმპოზიუმი

**იბერიულ-კავკასიური ენები:**

**სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება**

ედღვნება აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის  
დაბადების 100 წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი  
2011

**სარედაქციო კოლეგია:** ლ. აზმაიფარაშვილი (სწავლული მდივანი),  
ა. არაბული, ნ. არდოტელი, ც. ბარამიძე, გ. გოგოლაშვილი,  
ლ. ეზუგბაია, მ. თეთრაძე, გ. კვარაცხელია, მ. მანჯგალაძე,  
თ. მარგალიტაძე, ნ. მაჭავარიანი, გ. მელაძე, ლ. სანიკიძე,  
მ. სუხიშვილი, თ. უთურგაიძე, რ. ფარეულიძე, მ. ღლონტი,  
ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), ი. ჩანტლაძე, მ. ჩუხუა,  
რ. ჯანაშია

**Editorial Board:** A. Arabuli, N. Ardoteli, L. Azmaiparashvili  
(Secretary), Ts. Baramidze, I. Chantladze, M. Chukhua, L. Ezungbaia,  
M. Glonti, G. Gogolashvili, R. Janashia, G. Kvaratskhelia,  
N. Machavariani, M. Manjgaladze, T. Margalitzadze, G. Meladze,  
R. Pareulidze, L. Sanikidze, V. Shengelia (Editor-in-chief),  
M. Sukhishvili, M. Tetrade, T. Uturgaidze

**Редакционная коллегия:** Л. Азмайпарашвили (ученый секретарь),  
А. Арабули, Н. Ардотели, Ц. Барамидзе, М. Глонти, Г. Гоголаш-  
вили, Р. Джанашиа, Г. Кварацхелиа, М. Манджгаладзе, Т. Марга-  
литадзе, Н. Мачавариани, Г. Меладзе, Р. Пареулидзе, Л. Саникидзе,  
М. Сухишвили, М. Тетрадзе, Т. Утургаидзе, И. Чантладзе, М. Чухуа,  
В. Шенгелиа (главный редактор), Л. Эзугбаиа

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

რ. ა ბ ა შ ი ა (თბილისი)

**ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესებისათვის  
აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენებში**

იბერიულ-კავკასიურ ენებში ფონემატური სისტემის გართულე-  
ბა და სპონტანური ბგერითი ცვლილებები ძირითადად სიბილანტურ  
ფონემებს უკავშირდება. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სიბილანტური  
სპირანტებისა და აფრიკატების რაოდენობა ამ ენებში მერყეობს  
10-დან (ქართველურ ენებში) 30-მდე (აფხაზურ -ადიღურ ენებში).

ბუნებრივია, ამ ფონემათა შორის შესატყვისობა. შესაბამისად  
რთულ სურათს გვიჩვენებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის  
შესწავლის როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეზე.

აფხაზურ-ადიღურ ენებში სიბილანტურ ფონემათა ჩამოყალიბე-  
ბისა და განაწილების თვალსაზრისით არსებულ რთულ მიმართებე-  
ბებში ფონოტაქტიკური წესების გამოვლენა მნიშვნელოვან მასალას  
გვაწვდის ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრო-  
ნიული ვითარების სარეკონსტრუქციოდ.

ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა აბაზური ენის ტაპანტურ  
დიალექტში სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობების ერთდროუ-  
ლად, ფუნქციურად განუსხვავებელი გამოყენება. ამ დიალექტზე მე-  
ტყველი ერთი ოჯახის ცალკეული წევრის დონეზეც კი გამოიყენება  
ეს ფონემები: თუ ოჯახის ერთი წევრი რომელიმე სიტყვაში წარმო-  
თქვამს სისინა სიბილანტს, მეორე წევრი იმავე სიტყვაში შეიძლება  
წარმოთქვამდეს შიშინა სიბილანტს ფუნქციური სხვაობის გარეშე.

ამ საკითხს საგანგებო ყურადღება მიექცა აკად.ქ.ლომთათიძის  
სამეცნიერო ნაშრომებში. მისი აზრით, სიბილანტურ ფონემათა ასეთი  
აღრევა ძირითადად აბაზური და ადიღური ენების სხვადასხვა ენობ-  
რივ ერთეულზე მეტყველთა ერთმანეთში შერევის შედეგია. ამას-  
თანავე, ქ. ლომთათიძემ დაადგინა, რომ „მარტივ სისინ-შიშინა ბზი-  
ფურ სიბილანტებს ყველა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტში ჩვეუ-

ლებრივ შეესაბამება სისინა სიბილანტები – ძ ც წ ზ ს“ (ქ. ლომთათიძე).

ასევე დადგენილია, რომ ყაბარდოულ ენაში პირველადი შიშინა ქ და შ სპირანტების გადასვლა სათანადო ზ´ და ს´ სისინ-შიშინა სპირანტებში შედარებით ძველი პროცესი უნდა იყოს“ (გ. როგავა).

აფხაზურ-ადიღურ ენათა ფონოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელი ეს წესები შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვა იბერიულ-კავკასიურ, მათ შორის, ქართველურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში ძველი ვითარების სარეკონსტრუქციოდ.

კერძოდ, ქართული ენის სისინა და ზანურ-სვანური შიშინა სიბილანტების ამოსავლად ფუძე-ენაში სისინ-შიშინა სიბილანტების რეკონსტრუქცია (გ. მაჭავარიანი) ამ მხრივაც დაბრკოლებებს ხვდება, მიუხედავად იმისა, რომ სისინ-შიშინა სიბილანტები აფხაზურ-ადიღურ ენებში დღესაც ცოცხალი ფონემებია. ამაზე მეტყველებს ასევე ქართული დიალექტური და დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული ლექსიკის ერთი ნაწილი, სადაც აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის მსგავსად, ფუნქციური სხვაობის გარეშე ერთდროულად დასტურდება სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობები: *ხიწვი/ხიჭვი, წნესა/ჭნესა, ზეპა/ყეპა, ზრობა/ყრობა, რცხალი/რჩხალი, ფრცხილი/ფრჩხილი, ღრძუ/ღრჯუ, ძახველა/ჯახველა, ძმერხლი/ჯმერხლი, ძირკი/ჯირკი და სხვა*. ასეთ ფუძეებში სიბილანტების სისინა და შიშინა სახეობებისათვის ამოსავლად ოდენ ერთი, კერძოდ, სისინა ან შიშინა (და არა – სისინ-შიშინა) სახეობა უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან შესატყვის ზანურ-სვანურ ფუძეებში სწორედ ქართველური ფუძე-ენის სისინა ან შიშინა სიბილანტების ეკვივალენტები დასტურდება.

ვფიქრობთ, რომ ქართველურ ენებსა და დიალექტებში საერთო-ქართველური ფუძე-ენის ოდენ ერთი რიგის – სისინასიბილანტური წინა რიგის – სიბილანტთა შესატყვისად როგორც სისინასიბილანტური, ისე შიშინასიბილანტური რიგის ფონემების არსებობის ერთ-ერთი მიზეზი, აფხაზურ-ადიღურ ენებში დადგენილი ფონეტიკური პროცესების მსგავსად, სწორედ ქართველურ ენა-დიალექტთა, თქმათა

და სხვა ენობრივ ერთეულთა სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე ერთმანეთში მეტ-ნაკლები შერევისა და ურთიერთგავლენის შედეგია.

R. A b a s h i a (Tbilisi)

### **Towards Similar Processes in Abkhaz-Adyghe and Kartvelian Languages**

In the Iberian-Caucasian languages, the complication of phonetic system and spontaneous sound alteration is mainly connected with sibilant phonemes. It is understandable, since the number of sibilant spirants and affricates in these languages varies from 10 (in Kartvelian languages) to 30 (in Abkhaz-Adyghe languages). It is only natural that the issue of correspondences among these phonemes presents a relevantly complex picture with respect to the study of Iberian-Caucasian languages both on the synchronic and diachronic levels.

Identification of phonotactical rules in complicated interrelations existing in Abkhaz-Adyghe languages with respect to the formation and distribution of sibilant phonemes provides ample material for the reconstruction of the diachronic situation in Kartvelian and other Iberian-Caucasian languages with the view to tracing similar rules.

In this respect, simultaneous, functionally identical use of whistling and hushing versions of sibilants in the Tapant dialect of Abaza language provides interesting evidential material. Within the dialect concerned, these phonemes are used even at the level of individual members of a family: if one member of a family utters a whistling sibilant in a particular word, another family member may utter in the same word a hushing sibilant without any functional difference.

This issue received special attention in Acad. Ketevan Lomtadze's scientific works. She studied the subject on the spot and dedicated to it numerous researches along with other issues of Abkhaz-Adyghe comparative linguistics.

In K. Lomtadze's opinion, such mingle of sibilant phonemes is mainly due to the intermixture of speakers of different idioms of Abaza and Adyghe

languages. At the same time, K. Lomtadze established that “simple whistling-hushing sibilants of the Bzyb dialect usually correspond to whistling sibilants **ʒ**, **ç**, **z**, **s** in all other Abkhaz-Abaza dialects” (Lomtadze, 1976, 228).

It is also established that “the transformation of initial hushing spirants **ʒ** and **ʃ** into relevant whistling-hushing spirants in the Kabardian language must be a relatively early process” (Rogava 1973, 309).

These rules characteristic of the phonological system of Abkhaz-Adyghe languages may be used in the phonological system of other Iberian-Caucasian languages including Kartvelian with the view to reconstructing the earlier situation.

ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე , ა. ლ უ დ ე ნ ი (მიუნსტერი)

### **წოდებითი ბრუნვა და ბრძანებითი კილო**

წოდებითი ბრუნვისა და ბრძანებითი კილოს ურთიერთმიმართების საკითხი ბევრჯერ ყოფილა ენათმეცნიერთა მსჯელობის საგანი. რ. იაკობსონი, მაგალითად, გახაზავდა ისეთ მსგავსებებს სახელის წოდებით ბრუნვასა და ზმნის ბრძანებით კილოს შორის, როგორცაა ე.წ. bare stem tendency (შიშველი ძირისაკენ მიდრეკილება) და თვითკმარი სრული გამონათქვამის აგების უნარი. იგი აღნიშნავდა, რომ ორივესათვის საერთოა აპელატიური ფუნქცია, რომელიც რეპრეზენტატიულ ფუნქციას უპირისპირდება. მისი თქმით: „ენათმეცნიერება აღიარებს, რომ წოდებითი ბრუნვა არ დგას სხვა ბრუნვათა რიგში, და რომ მიმართვა წოდებითში გრამატიკული წინადადების გარეთ იმყოფება. ასევეა ნამდვილი ბრძანებითი კილოც სხვა ზმნური კატეგორიების მიმართ, რადგან იგი იმავე ფუნქციით ხასიათდება, როგორც წოდებითი. (სქოლიოში: ჯერ კიდევ აქსაკოვმა აღიარა, რომ „იმპერატივი არის შეძახება და შეესატყვისება ვოკატივს“). მათი ინტონაცია (გამოთქმაც) მსგავსია. პირის ნაცვალსახელი ბრძანებითში თავისი ფუნქციით უფრო მიმართვაა ვიდრე სუბიექტი” (რ. იაკობსონი).



წოდებითი ბრუნვისა და ბრძანებითი კილოს მსგავსებაზე სხვებიც საუბრობენ, მათ შორის, მაგ., ვ. ვინტერი და ქ. ლომთათიძე. ისინი ამტკიცებენ, რომ ბრძანებითი წინადადების ქვემდებარე არის მეორე პირი, რადგან ბრძანებითი კილო შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ვინმეს *მისამართით*, ამდენად ბრძანებითი წინადადების ქვემდებარე მხოლოდ მოსაუბრე ანუ მეორე პირი შეიძლება იყოს.

ქ. ლომთათიძე წერს, რომ “ბრძანებითი კილო არის მხოლოდ მეორე სუბიექტური პირის კატეგორია” და რომ “ამ პრობლემაში მთავარი ის არის, რომ ბრძანებით კილოში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ქრება... მაგ., ქართულში: *წადი!* (შდრ. თხრობითი კილო *წახვედი*. (ქ. ლომთათიძე). კითხვაზე, თუ რატომ დაიკარგა ბრძანებით კილოში მეორე სუბიექტური პირის მარკერი, იგი პასუხობს: “რადგან ბრძანებითი კილო ვარაუდობს მხოლოდ და მხოლოდ მეორე პირს, მოსაუბრეს, რომელიც აქვეა (სამეტყველო სიტუაციაში) წარმოდგენილი, ამიტომ იგი არ საჭიროებს მარკერს” (ქ. ლომთათიძე).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორე პირის ნაცვალსახელი (მხ. თუ მრ. რიცხვში – ეს სულ ერთია) არის ყოველი ბრძანებითი წინადადების ქვემდებარე, ამიტომ არ არის საჭირო ბრძანებითის სტრუქტურაში მეორე პირის ნაცვალსახელის ან მისი მარკერის ღიად წარმოდგენა.

წოდებითი ბრუნვაც მხოლოდ მეორე პირს აღნიშნავს. შ. აფრიდონიძე წერს, რომ წოდებითი ბრუნვა უკავშირდება ბრძანებით კილოს, რომელიც მეორე პირს ვარაუდობს, “მაგრამ სინამდვილეში სახელის წოდებით ბრუნვას ჩაენაცვლება მესამე პირის ნაცვალსახელი” (შ. აფრიდონიძე); ჩვენ ეს აზრი გაუმართლებელი გვეჩვენება, რადგან როდესაც მოსაუბრე რომელიმე სახელს წოდებით ბრუნვაში ხმარობს, ის აქცევს ამ სახელს (სუღერთია, ეს პიროვნებაა, თუ სულიერი ან უსულო საგანი) მიმართვის ობიექტად ანუ მოსაუბრედ (მსმენელად), რომელიც შეიძლება მხოლოდ მეორე პირი იყოს და ამიტომ მას შეიძლება ჩაენაცვლოს მხოლოდ *შენ* ან *თქვენ* ანუ მეორე პირის ნაცვალსახელი. ამდენად ორივე ფორმა

– როგორც წოდებითი ბრუნვა, ასევე ბრძანებითი კილოც – მხოლოდ მეორე პირს მიემართება.

ბოლოდროინდელმა შრომებმა გვიჩვენა, რომ გვაქვს გამონაკლისებიც: ზოგ ენაში მოიძებნება მესამე პირის იმპერატივებიც.

ქართულშიაც გვაქვს მსგავსი შემთხვევები, რომლებსაც ჩვენ მოხსენებაში განვიხილავთ.

L. A b u l a d z e, A. L u d d e n (Muenster)

### **Vocative and Imperative**

The problem of connection of Vocative with Imperative is much discussed in linguistics. Jakobson underlines similarities between Vocative and imperative<sup>1</sup>. He particularizes such similarities as bare stem tendency, a capability to constitute a complete utterance on its own and says that both share appellative function (Auslösungsfunktion), as opposed to representative function (Darstellungsfunktion).

About similarities between Vocative and Imperative speak other linguists too, among them Werner Winter, Ketevan Lomtadze. Their works argue exclusively for a second person imperative subject, while the imperative can be used only in addressing someone, so the subject of an imperative sentence must be 2nd person.

As Ketevan Lomtadze writes, “the imperative mood is a category of the 2nd subjective person only” and “the main point of this problem is that the 2nd subjective personal marker disappears in the imperative mood... e.g. Georgian *c’adi!* “go!” (cf. indicative *c’axvedi* “you have gone”). On the question “What is

---

<sup>1</sup> „Die Sprachwissenschaft hat eingesehen, dass der Vokativ sich nicht auf derselben Ebene befindet, wie die übrigen Kasus, und dass die vokativische Anrede ausserhalb des grammatischen Satzes steht; ebenso ist der echte Imperativ von der übrigen verbalen Kategorien abzusondern, da er durch dieselbe Funktion wie der Vokativ gekennzeichnet ist. (In footnote: „Schon Aksakov hat erkannt: „der Imperativ ist ein Ausruf; er entspricht dem Vokativ“). ... auch ihre Intonation ist ähnlich. Das Personalpronomen beim Imperativ ist seiner Funktion nach eher Anrede als Subjekt“ (Jakobson 1931/1971: 10-11).

the cause of the loss of the 2nd subjective personal marker in the imperative mood?” she answers, that “since the imperative mood implies only the 2nd person, the interlocutor – who is present and visible – needs no general indicator”. In other words, the second personal pronoun (Sing. or Pl.) is the implied subject of any imperative sentence. Hence overt 2nd person pronoun or personal marker need not to be presented within the structure of imperative.

Vocative also marks only the second person. Sh. Apridonidze writes that the Vocative corresponds to imperatives, which presumes 2nd person, “but really the form of Vocative of noun is substituted with pronoun of the 3rd person” (Sh. Apridonidze); it seems to be wrong, while when the speaker uses any noun in Vocative case, then (s)he converts (transforms) this noun (person or animal or inanimate noun is the same) in addressee and the addressee can be only second person, so it can be substituted only with *you* - pronoun of the 2nd person. So both forms – Vocative case as well as Imperative mood – turn themselves to 2nd person.

Recent works show that there are exceptions too; some languages have 3rd person imperatives. It seems that Georgian has too and we will discuss such cases in our talk.

თ. აგაღიანი (ბათუმი)

### **ზოგადლინგვისტური მიმართულება სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემაში (პრობლემები და პერსპექტივები)**

პოლიტიკური პარადიგმის რადიკალური ცვლილებისა და გეოპოლიტიკური კატაკლიზმების ეპოქაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ლინგვისტური კვლევების მიმართულებები და მიდგომები. განსაკუთრებით გააქტიურდა ანთროპოცენტრული ლინგვისტიკის მიმართულებები, თუმცა კვლავინდებურად აქტუალური რჩება ენობრივ სისტემათა და ქვესისტემათა აღწერის პრობლემატიკაც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალი რეალობის წინაშე

დადგა უმაღლესი განათლების სისტემაც, ვინაიდან იგი ერთსაფეხურიანი სისტემიდან სამსაფეხურიანზე გადავიდა. ამ ფონზე სრულიად ნათელი ხდება, რომ დღის წესრიგში დგება *ზოგადლინგვისტური საუნივერსიტეტო მიმართულების სწავლების ორგანიზაციაში* მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანის საკითხი.

საუბარია იმაზე, რომ ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პირობებში *მომავალი ფილოლოგი ზოგადლინგვისტურ პრობლემატიკას ეცნობოდა სწავლების ერთადერთი საფეხურის ფარგლებში. შესაძლებელია თუ არა იმავე მიდგომებით ვისარგებლოთ უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემის პირობებში?*

ცხადია, არა იმიტომ რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზოგადლინგვისტური დისციპლინის „ზოგადი ენათმეცნიერების“ შემადგენელი სამი ნაწილი, რომლებიც ტრადიციულად ერთიანად მოიაზრებოდა და სტუდენტებს მიეწოდებოდა სწავლების ერთადერთი საფეხურის ფარგლებში, დღეს ფაქტობრივად დაიშალა და დღის წესრიგში დაისვა მათი სამ საფეხურზე გადანაწილების პრობლემა.

ამრიგად, პრობლემის არსი არის ის, რომ სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემის პირობებში „ზოგადი ენათმეცნიერების“ საბაკალავრო კურსის პრობლემატიკა აღარ ემთხვევა „ზოგადი ენათმეცნიერების“ როგორც ლინგვისტური დარგის პრობლემატიკას. ის მისი უკვე ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, დანარჩენი ნაწილები კი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზეა ატანილი.

როგორც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დღეს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამათა გარკვეული ნაწილის ჩვენული ანალიზიდან ჩანს, ამ მიმართულებით პრობლემები აშკარად დაგროვდა. აუცილებელი ხდება მათი კომპლექსური, სისტემური გააზრება ისე, რომ არც უმაღლესი განათლების ყველაზე მასობრივი საფეხური – ბაკალავრიატი დაზარალებულ და არც მაგისტრატურის საფეხურზე შეიქმნას დუბლირების პრობლემა.

შესამუშავებელია ზოგადლინგვისტური მიმართულების სწავლების ერთიანი კონცეფციაც, რომელიც სისტემურად, კომპლექსურად იქნება გააზრებული უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე.

რისათვის. მსგავსი კონცეფციის გარეშე „ზოგადი ენათმეცნიერების“ საბაკალავრო კურსის ნებისმიერი სახელმძღვანელო თუ სალექციო კურსი იქნება მხოლოდ მისი ავტორის შეხედულებებისა და თვალსაზრისის მატარებელი და იგი ვერ დააკმაყოფილებს ზოგად მოთხოვნებს (სტანდარტს), რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასევე არ არსებობს.

T. A v a l i a n i (Batumi)

### **General Linguistic Direction within the Three-step System of Higher Education (Problems and Prospects)**

The transfer from the one-step educational system onto the three-step system made the question of making significant amendments in the organization of general linguistic university teaching at the philological specialties pressingly urgent.

We are speaking about the fact that under the conditions of one-step higher education the future philologist only studied general linguistic problems within the limits of one-step teaching. Is it possible to use the same attitudes under the conditions of three-step higher education system?

Of course not! Why? Because the three parts of one of the most important linguistic disciplines –“General Linguistics” which was traditionally regarded as monopartite and was supplied to the students within the framework of one-step education, has at present disintegrated into three component parts and the problem of its possible redistribution onto three educational steps is becoming more and more urgent.

*Thus, the issue is that under the conditions of three-step higher education system, the problems of undergraduate course of “General Linguistics” no longer coincide with those of “General Linguistics” as a branch of linguistic science. It has become one of its components and the remaining parts are transferred to the upper postgraduate and doctoral stages.*

In this respect, there are numerous problems. Complex and systematic

thinking is necessary in order to avoid damaging the interests either of undergraduate or postgraduate studies.

We have worked out a unified concept of general linguistic teaching, which is designed systematically and complexly for all steps of higher education. Without such a concept, any guidebooks or lecture courses of undergraduate studies of “General Linguistics” would only reflect the author’s views and attitudes and would fail to meet general requirements (standards) which, most unfortunately, are not developed as yet.

The author of the present paper expresses his views with respect to the aforesaid.

ლ. ა ვ ი ძ ბ ა (თბილისი)

### **აფხაზური ენის თანამედროვე ვითარება**

კავკასიაში რუსეთის (ცარისტული, საბჭოთა) მიერ განხორციელებული კოლონიალური პოლიტიკა გულისხმობდა როგორც შედარებით მრავალრიცხოვანი (მაგ., ქართველების), ასევე მცირერიცხოვანი ერების (მაგ., აფხაზების) დენაციონალიზაციას.

ამ პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვანი როლი ენობრივ ფაქტორს ენიჭებოდა. რუსეთის მოხელეები და მეცნიერები (პ. უსლარი, ე. ვეიდენბაუმი, ნ. ტრუბეცკოი...) შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში ქართული ენის პოზიცია მყარია და არსებული ენობრივი სიტუაციის შესაცვლელად აუცილებელია საგანგებო ზომების მიღება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარება რადიკალურად რუსული ენის სასარგებლოდ შეიცვალა. საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მას სახელმწიფო ენის ფუნქცია დაეკისრა. საქართველოსთან მიმართებით შექმნილია ანტიკონსტიტუციური ენობრივი ვითარება, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანაში ორი (ქართული და აფხაზური) სახელმწიფო ენაა.

რუსული ენის კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობის ლეგალიზაციას ხელი შეუწყო აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1994 წლის 26 ნოემბერს მიღებულმა კონსტიტუციამ (რომელშიც აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადებულია აფხაზური ენა, რუსული ენა აღიარებულია როგორც სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენა) და 2007 წლის 14 ნოემბერს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვით ამჟამად აფხაზეთში ორი (რუსული და აფხაზური) სახელმწიფო ენაა (ამ ფაქტმა გაათანაბრა რუსული ენის იურიდიული და ფაქტობრივი სტატუსი, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით აფხაზური ენის შესახებ). ადრე სტატუსის არმქონე რუსულმა ქართული ენა აფხაზეთიდან განდევნა.

დღევანდელ ენობრივ სიტუაციაში (იგულისხმება რუსეთის სახელმწიფო ენის სტატუსი) მოსალოდნელია, რომ აფხაზური რუსულს "კონკურენციას" ვერ გაუწევს.

L. A v i d z b a (Tbilisi)

### **Contemporary Status of Abkhaz Language**

Russian (tsarist and Soviet) colonial policy aimed at the denationalization of both comparatively bigger (e.g. Georgians) and smaller nations (such as Abkhazians).

Linguistic factor was one of the main tools of the implementation of abovementioned policy. Russian officials and scientists (P. Uslar, E. Weidenbaum, N. Trubetskoi) concernedly noted that the position of the Georgian language in Abkhazia was strong and that special measures were needed to change existing linguistic situation.

From the second half of the 20<sup>th</sup> century, the situation changed dramatically in favour of the Russian language. Russian became the State Language in the USSR. As for Georgia, the linguistic situation is totally anti-constitutional, as far as, in accordance with the constitution of the Republic of

Georgia, there are two State languages (Georgian and Abkhazian) in the country.

The legalization of the illegitimate status of the Russian language was facilitated by the adoption of the Abkhaz constitution by the Parliament of self-declared Republic of Abkhazia on November 26, 1994. According to this constitution, the Abkhaz language was the State language of the self-declared republic, whereas Russian was said to function as the State language and that of government institutions. In 2007, there was adopted a new law in accordance to which there are currently two State languages (Russian and Abkhaz) in Abkhazia. This fact equalized legal and factual statuses of the Russian language (Unfortunately, the same cannot be said about the Abkhaz language). In fact, Russian, which had previously no official status in Abkhazia, has supplanted the Georgian language.

In current linguistic situation (the status of Russian as State language is meant), it looks rather unlikely that the Abkhaz language can successfully compete with Russian in Abkhazia.

ლ. აზმაიფარაშვილი (თბილისი)

### **სემანტიკური გადაწყვეტების საკითხისათვის ხუნძური ენის დიალექტურ ლექსიკაში**

ენის ცვლა-განვითარების, მისი ისტორიის ღრმად შეცნობისათვის, ფონეტიკური პროცესების კვლევასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სემანტიკური პროცესების შესწავლას, რაც დღეისათვის აქტუალურია როგორც თეორიული ენათმეცნიერების, ისე კომპარატივისტიკის თვალსაზრისით; ბევრი ენისა და დიალექტის ლექსიკური მასალა კი საგანგებო კვლევა-ძიების საგანი ამ მხრივ ჯერ არ გამხდარა.

ხუნძური ენის დიალექტური მასალის ჩვენებით მოხსენებაში განიხილება ისეთი მოვლენა, როგორცაა სემანტიკური გადაწყვეტილების იგულისხმება შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ფუძის შემცველ



სიტყვას ამა თუ იმ დიალექტში შეიძლება სხვაგვარი მნიშვნელობა განუვითარდეს, ზოგჯერ – საგრძნობლად განსხვავებულიც. ამ მოვლენას ხუნძური ენის დიალექტებში თავდაპირველად ყურადღება მიაქცია შ. მიქაილოვმა. ამჟამად მოპოვებულია უფრო მეტი ლექსიკური მასალა ამ ენის მრავალრიცხოვან დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში (ფ. საიდოვა), რაც შესაძლებელს ხდის წარმოჩენდეს აქამდე უცნობი არაერთი საყურადღებო ფაქტი. დიალექტური მასალის დაწვრილებითმა სისტემურმა ანალიზმა ხელი უნდა შეუწყოს იმის გარკვევას, თუ რა დიაპაზონი შეიძლება ჰქონდეს სემანტიკურ ცვლილებას ლექსიკაში როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად; რა და რა სახის მნიშვნელობები შეიძლება მიიღებოდეს ამოსავალი მნიშვნელობის დიფერენციაციის შედეგად; შესაძლებელია თუ არა, რომ სიტყვამ დროთა განმავლობაში და გარკვეულ პირობებში შეიძინოს ამოსავალი მნიშვნელობისაგან მკვეთრად განსხვავებული, ან სულაც საპირისპირო მნიშვნელობა და რა მიზეზებით; რომელი ლექსიკური ჯგუფებისთვისაა უფრო მეტად დამახასიათებელი ამგვარი სემანტიკური გადახრები და სხვა.

ხუნძური ენის დიალექტებში ყურადღებას იქცევს, მაგალითად, სემანტიკურ გადაწევათა შემდეგი ფაქტები:

ლიტ. ხუნძ. **ვიზან** “ოჯახი” – ანწუხურსა და ჭარულში “ბავშვი” (ჭარ. **ხიზან** “ბავშვი”); ლიტ. **ჰადან** “ადამიანი” – სოფ. თივის (კახეთი, ყვარლის რ-ნი) მკვიდრ ანწუხელთა ტოხურ-ჭადაქოლოურ მეტყველებასა და ბაწადურ ნარეგ კილოში **ჰადამ** “ქალი”; ლიტ. **ბიწინჩი** “მამაკაცი” – სოფ. თივის ანწუხელთა თქმაში “ქმარი”; ლიტ. **ბეტერჰანჩი** “ბატონი, პატრონი” – პიდურ დიალექტში, ქვემო ყარახულში, ანწუხური დიალექტის ტომურულ და ბოჰნოდურ კილოკავებში “ქმარი”; ლიტ. **რუჩაბი** “ქალები” (მრავლობითის ფორმა) – ანწუხური დიალექტის ტოხურსა და ჭადაქოლოურ კილოკავებში **რუჩაბა** // **რუტაბა** “ცოლი”; ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში **ნანა** “დედა, მამიდა” – ანწუხურისავე ბოჰნოდურ კილოკავში (ტლანადურ მეტყველებაში) **ნანა უფროსი დისადმი** მიმართვის ფორმაა; მსგავსადვე, ყარახულ დიალექტში **მამა** წარმოადგენს უფროსი დისადმი მიმართვის ფორმას, მაგრამ

ქვემო ყარახულში მისი მნიშვნელობაა “*დეიდა, მამიდა*”; ლიტ. **უნყანო** “*დეიდა, მამიდა*” – უნყრატლის მეტყველებაში **უნყან** “*ბიძა*”...

ლიტ. ხუნდ. **ჩან** “*ნადირი*” – სოფ. თივის ანწუხელთა ტოხურ-ჭადაქოლოურ მეტყველებაში “*ირემი*”; ლიტ. **ტინჯ** “*ნაშიერი*” – ანწუხური დიალექტის ტოხურ კილოკავში **ტენჯ** “*ახლად ნაშობი თიკანი*”, იმავე დიალექტის ანწროს-უნჯადურ კილოკავში **ტენჯ** “*id.*”; ლიტ. **ჰადგანად** “*ცხოველები*” – სოფ. თივის ანწუხელთა თქმაში “*მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ნახირი*”; ლიტ. **ჰანხვარა** “*ზაზუნა*”, “*თრითინა*” – ჰიდურსა და ბათლუხურ დიალექტებში “*ვირთხა*”; ყაჰიბურ ნარევე კილოში **ლალაკან** “*პეკელა*” – სალიტერატურო ხუნძურში (resp. ჩრდილოურ ხუნძურში) **ყონ-ლალაკან** “*ღამურა*”, სოფ. თივის ანწუხელთა მეტყველებაში **თელკან** “*მერცხალი*”; ლიტ. **ჰუტ** “*ჭია*”, “*მწერი*” – ანდალალური დიალექტის რუღჟულსა და ჭოხურ კილოკავებში “*ლოკოკინა*”; ლიტ. **წადალჰამა** “*ლოკოკინა*”, ზედმიწ. “*წვიმის ვირი*” – ყელებურ ნარევე კილოში “*ლოკოკინის ნიჟარა*” (თვითონ ლოკოკინის სახელწოდება ამ კილოში არის **ჰამაჰუტ**, ზედმიწ. “*ვირი ჭია*”); ყარახული დიალექტის მუყრატლის კილოკავში **მადამრო** “*თავკომბალა*” (შდრ. **მად** “*კული*”) – შუღანიბის ნარევე კილოში “*ნეხვის ჭია*”; ლიტ. **აზალი** “*აბრეშუმის ჭიის პარკი*” – ყარახული დიალექტის მუყრატლის კილოკავში “*ბაყაყის წვრილი ნაშიერი*”, “*პატარა თავკომბალა*”; ანდალალური დიალექტის რუღჟულ კილოკავში **ქანარქუ** “*ციცინათელა*” (შდრ. **ქან** “*კვარი*”, **ქან-ღი** “*შუქი, სინათლე*”) – სალიტერატურო ხუნძურში **ქანარქუ** “*ჭია-მაია*”; ლიტ. **ჯანჯრა** “*ობობის ქსელი, აბლაბუდა*” – ანდალალურ და ბათლუხურ დიალექტებში “*ობობა*”; ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში **მუჩაქ** “*კოდო*” – ანდალალური დიალექტის ჰოტოჰ-ხინდასურ კილოკავში “*მამალი ფუტკარი*”...

ლიტ. ხუნდ. **ჰომერ** “*სახე*” – ყელებურ ნარევე კილოში “*ცხვირი*” (შდრ. ქართ. *ცხვირ-პირი* “*სახის*” მნიშვნელობით), ხოლო ანდალალური დიალექტის ქუდალიბის მეტყველებაში “*ცინგლი*”, ამავე დიალექტის რუღჟულ მეტყველებაში **ჰუმერ** “*ცინგლი*”; ლიტ. **მეჰერ** “*ცხვირი*” – ყაჰიბურ ნარევე კილოში “*ფრინველის ბიბილო*”;

ჰიდურ დიალექტში **წუმას** “სახე” – ანწუხურ დიალექტში **წუმუს** “ცხვირი”, სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) **წვენეს** “ღინგი”; ლიტ. **მეგეჟ** “წვერი” – ანდალალური დიალექტის სულრათლურ კილოკავში, ბაწადურ და შულანიბურ ნარეგ კილოებში “ნიკაპი”, ასეგე ყარახული დიალექტის მუყრატლურ კილოკავსა და ქვემოყარახულში **მიგეჟ** “ნიკაპი”; ლიტ. **მუყულუყ** “სახა”, “ყელი” – ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ და პოტოტ-ხინდახურ კილოკავებში “ფრინველის კუჭი”, ანდალალურისაგე კილოკავ-თქმებში **მუყლაყ** // **მუყულუყ** “ჩიყვი”, ასეგე ყელებურ და ბაწადურ ნარეგ კილოებში **მუყლუყ** // **მუყლაყ** “ჩიყვი”, ქვემოყარახულში **მუყულუყ** “ჩიყვი”; ლიტ. **როხთი** “ხის ტანი, ზრო” – ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ კილოკავში “წელი”, ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში **როხთ-ილ** “მენჯი” და ყელებურ ნარეგ კილოში **როხთ-ელ** “მენჯი”; ჩრდ. ხუნდ. **როტუ** “უკანალი”, “თოფის კონდახი”– სოფ. თივის ანწუხელთა ტოხურ-ჭადაქოლოურ თქმაში “vulva”; ლიტ. **რატა** “ცხოველის წინა კიდური” – ანწუხური დიალექტის ტოხურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში “ბეჭი”; ანწუხური დიალექტის კილოკავებში (ტოხური, ჭადაქოლოური, ბოჰნოდური...) **როტობ** “ფრთა” – ანდალალურ, ჰიდურ, ბათლუხურ დიალექტებსა და ყელებურ, ყაჰიბურ ნარეგ კილოებში “მტკაველი”; ლიტ. **რაჭა** “კული” – ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში **ლაჭა** “უხეში ბეწვი”, “ცხენის ძუა”, ხოლო ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში **რაჭ** “თხის ბეწვი”...

ლიტ. ხუნდ. **მიწიირ** “ნაპირი, კიდე” – ყარახული დიალექტის რისიბულ კილოკავში “კენწერო, წვერი”, ხოლო ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში (ჭოხური, სალტური, ხინდახური...) “**მთის მწვერვალი**”; ლიტ. **ჰეწ** “ჯირკი, კუნძი (მოჭრილი ხისგან დარჩენილი)” – ჰიდურსა და ანდალალურ დიალექტებში “**ფულურო**”; ლიტ. **ნუწა** “კარი” – სოფ. თივის ანწუხელთა ტოხურ-ჭადაქოლოურ თქმაში “**ეზო**”; ლიტ. **რაჰუ** “კარები”, ჭარულსა და ანწუხურში **რაჰ-ინ** “ხვრელი”, ბათლუხურ დიალექტსა და ყაჰიბურ ნარეგ კილოში **რაჰ-ელ** “პატარა ხარკმელი დახურულ სათივეში” –

შულანიბურ ნარევე კილოში რაჰ *“ეზო”* (შდრ. ქართ. *ეზო-კარი*); ლიტ. რაჟიხო *“ნივრის სანაყი, როდინი”* (შდრ. რაჟი // რაჟი-ფერ *“ნიორი”*), ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში ნი-ჟიჰურ და ამავე დიალექტის ტოხურ კილოკავში ნიჟიჰუ *“ნივრის სანაყი”* (შდრ. ანწ. ნიჟი-ფერ *“ნიორი”*) – ზემო ყარახულში ნიჟიჰუ *“ქვაში ამოკვეთილი გობი ძაღლებისათვის”*...

ლიტ. ხუნდ. ჭაჰიჰიჰაბ *“მსხვილი”* – სოფ. თივის ანწუხელთა მეტყველებაში ჭეჰეჰეჰაბ *“მაღალი”*, ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში ჭაჰაბ *“მაღალი”*; ლიტ. წაჰიჰილაბ *“რუხი, ნაცრისფერი, ლევა”* – ანწუხური დიალექტის კილოკავებში (ანწროს-უნჰადური, ტოხური, ჭადაქოლოური...) წაჰიჰილაბ // წიჰიჰილაბ *“მწვანე”* (შდრ. ჭად. წაჰიჰილხერ *“მწვანე ბალახი”*); ლიტ. ვაჰიჰილაბ *“ლურჯი”* – ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურსა და ტომურულ კილოკავებში, აგრეთვე ყარახული დიალექტის ტლესერუხის კილოკავში *“მწვანე”*, ჭარულ დიალექტში ქიჰიჰილაბ *“მწვანე”*...

ლიტ. ხუნდ. ბორთ-ანჯ-ი-ზე *“მივარდნა, დაძვრება”* – ჰიდურ დიალექტსა და შულანიბურ ნარევე კილოში ბორთ-ლე *“ყეფა”*, ხოლო ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში ბორთ-აკ-ზი *“თამაში”*; ლიტ. რეჰერ-ი-ზე *“რბენა”* – ანდალალური დიალექტის კუიადურ კილოკავში რეჰერ-დ-ა-ზე *“თამაში”*, ამავე დიალექტის სალტურ კილოკავში რეჰერ-დე *“თამაში”*, ჰიდურ დიალექტში რეჰერ-დ-ა-ლე *“თამაში”*, ანწუხური დიალექტის ტოხურ კილოკავში რეჰერ-აკ-დ-ი-ზი *“თამაში”*; ლიტ. კანწ-ი-ზე *“ხტუნაობა, ხტომა”* – ანდალალური დიალექტის რუღულ კილოკავში კანწე-დე *“თამაში”*, *“გართობა”*; ლიტ. მალ-ი-ზე *“სწავლება”* – ყელეებურ ნარევე კილოში ამ ზმნის ფუძეა წარმოდგენილი სიტყვაში მალ-უ-რ-აჰ *“დანიშნული ქალი, საცოლე”*, ხოლო სალიტერატურო ხუნძურში (resp. ჩრდილოურ ხუნძურში) იმავე მნიშვნელობის სიტყვა შეიცავს აბ-ი-ზე *“თქმა”*) ზმნის ფუძეს:

აბ-უ-რ-აჰ *“დანიშნული ქალი, საცოლე”* (ანალოგიისათვის შდრ. ქართ. *ს-წ-აე-ებ-ა*, ზან. *უ-წ-უ “უთხრა”*)...

მოსხენებაში გაანალიზებულია ხუნძური ენის დიალექტთა

ლექსიკური მასალა, წარმოდგენილია ზოგიერთ სიტყვაში მომხდარ სემანტიკურ გადაწვეათა გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა და ახსნის ცდები.

L. A z m a i p a r a s h v i l i (Tbilisi)

### **Towards the Issue of Semantic Shifts in Avar Dialectal Vocabulary**

In order to thoroughly comprehend changes and development of language, its history, the study of semantic processes is no less important than that of phonetic phenomena. This is very urgent nowadays from the point of view of both theoretical linguistics and comparative studies. Unfortunately, lexical material of many languages and dialects has not so far become the subject of any special study or examination.

By demonstrating dialectal material of the Avar language, the paper examines the phenomenon of semantic shift (or semantic transformation). By semantic shift the paper means the cases when a word containing the same stem may develop various (sometimes very different) meanings in different dialects.

Detailed systematic analysis of dialectal material must enable us to identify the range of both quantitative and qualitative semantic changes in vocabulary, and to establish what types of meanings may evolve as a result of differentiation of the initial meaning. Such analysis should also demonstrate whether, in the course of time, a word may develop a new meaning which would be very different from or even diametrically opposite to its initial meaning and why this may be happening; which semantic groups are more liable to such semantic divergences, and so on.

The paper analyses the lexical data of different dialects of the Avar language and contains attempts to identify and interpret possible causes of semantic shifts, which have occurred in certain words.

ფ. ა ნ თ ა ძ ე – მ ა ლ ა შ ხ ი ა (თბილისი)

## ოსურ ნასესხობათა სემანტიკისათვის ქართულში

მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები ორმხრივი და ურთიერთგამჭობლი ხასიათისაა. ოსური ის ირანული ენაა, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს კავკასიურ, განსაკუთრებით კი, ქართველურ ენათა გავლენა როგორც ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ, ასევე ფონოლოგიურ დონეზე. ამავდროულად თავად ოსურმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია კავკასიურ ენებს, მათ შორის ქართველურს.

ოსური ფაქტორი დიდწილად აისახა ქართველურ ონომასტიკონსა და ზოგად ლექსიკაზე. ნასესხობები ძირითადად ოსურთან კონტაქტირებად ქართულ დიალექტებში (რაჭული, მოხევეური...) დაილექა. ეს კვალი ჩანს მეგრულსა და სვანურშიც. რიგი ოსური ნასესხობებისა ასევე შემოვიდა სალიტერატურო ქართულში. მათი ნაწილი ლექსიკურ არქივს ჩაბარდა, ნაწილი კი, დღემდე ფუნქციონირებს.

ოსურ-ქართული ბგერათშესატყვისობები აკად. მ. ანდრონიკაშვილის მიერაა დადგენილი, სემანტიკური შეთვისების მხრივ კი, სურათი შემდეგნაირია – რიგ შემთხვევებში დასტურდება ეტიმონისა და ნასესხობის სრული შინაარსობლივი იგივეობა. ამ ტენდენციას ემორჩილება ყველა ზედსართავული ნასესხობა, თუ ის ქართულში არ იცვლის მორფოლოგიურ კატეგორიას, მაგალითად: ქართ. “შავ”-ი < ოს. **saw** “შავი” (შდრ. ავესტური **syava** “შავი”); ქართ. “მკაცრ”-ი < ოს. **karz** “მაგარი, მკაცრი, სასტიკი” (შდრ. ავესტ. **karas** “ავი”); ქართ. “კნინ”-ი “მცირე” < ოს. **\*kun-in** (შედარ. ოს. **konæg** “მცირე”, ავესტ. და ძვ. სპარს. **kamna** “მცირე”).

რიგ შემთხვევებში ეტიმონისა და ნასესხობის სრული სემანტიკური დამთხვევა წარმოდგენილია არსებით სახელებშიც, მაგალითად: ქართ. კუთხური “აბრაგი” “ყაჩაღი” < ოს. **abræg**. (შდრ. საშ. სპარს. **āpar** “ძარცვა, ტაცება, ქურდობა”); ქართ. “რანგი” – “თაფლუჭი, თაფლისგან დამზადებული მაგარი სასმელი” < ოს. **rong** “თაფლუჭი, თაფლისგან დამზადებული მაგარი სასმელი”.

ქართულში სემანტიკურად ცვლილი ოსური ნასესხობა არ სცდება ეტიმონის თემატური ჯგუფის ფარგლებს. ამის მიუხედავად, შედარებით იშვიათია გვარობრივ-სახეობრივი (ჰიპერონიმულ-ჰიპონიმური) მიმართება ოსურ ეტიმონსა და ქართულში შემოსულ ნასესხობას შორის. ასე მაგალითად, არ მოიძიება სემანტიკური გაფართოების ვერც ერთი მაგალითი, სემანტიკური შევიწროებაც კანტი-კუნტადაა წარმოდგენილი, იხ. ქართ. „ლაპ“-ი ”ხოხბის, კაკბის, ან როჭოს ბარტყი“ < ოს. **lappin** „მართვე, ბარტყი;“ ქართ. „ქაშაყ“-ი „თევზის სახეობა“ < ოს. **kæsæg** „თევზი“.

ოსური ეტიმონისა და მისი სემანტიკურად ცვლილი ქართული შესატყვისის მიმართება მეტწილად ეკონომურია, მათ შორის არ შეინიშნება იერარქიული დამოკიდებულება, ერთის მნიშვნელობა არ ფარავს მეორისას. ჰიპერსემის შენარჩუნების ფონზე ხდება სემანტიკური გადაწვევა. იხ. ქართ. არქაიზმი „ბრანგე“-ი „დათვი“ < ოს. **færänk** „ჯიქი“ (შდრ. სპარს. **päläng-** „ჯიქი“); ქართ. „არვე“ „თხის ჯოგი“ < ოს. **ærwæz** „ირმის ჯოგი“ (შდრ. ძვ. ირან **\*vraza**, ინდური **vraja** „ჯოგი“).

ყველა თემატურ-სემანტიკური ცვლილება იმპლიკაციითაა განპირობებული. ერთ-ორ შემთხვევაში სემანტიკურად ცვლილი ნასესხობა სცდება ოსური ეტიმონის თემატური ჯგუფის ფარგლებს, რასაც საფუძვლად სიმილაციურ-ასოციაციური მიმართება უდევს, იხ. ქართ. „ამინდ“-ი < ოს. **amond** „ბედი, ბედნიერება“.

დასტურდება მორფოსემანტიკური ცვლილებებიც, კერძოდ, ოსური ზედსართავის გაარსებითება ქართულში, იხ. ქართ. არქ. „არნ“-ი „გარეული ცხვარი“ < ოს. **ærnæg** ”ველური, გაველურებული (ცხოველი, მცენარე)“; ქართ. „ეწერი“ ”უნაყოფო მიწა“ < ოს. **æzar** „უდაბური, უკაცრიელი“. ასეთი მაგალითები დეტერმინატულ (ზედსართავი + არსებითი) სტრუქტურათა ელიფსურ ფორმებს წარმოადგენენ.

ქართულში შემოსული სახელური ოსური ნასესხობები უმეტესად მონოსემიურია, ისინი ნაკლებად არიან პოლისემიზაციისკენ მიდრეკილი.

P. Antadze - Malashkhia (Tbilisi)

### **Towards Semantic Absorption of Ossetian Borrowings in Georgian**

The centuries-old Georgian-Ossetian linguistic relations have been of mutual and interpenetrative nature. Ossetian is an Iranian language where the influence of Caucasian, especially Kartvelian, languages is clearly seen on both lexico-phraseological and phonological levels. At the same time, Ossetian itself has had a profound influence on Caucasian languages, including Georgian.

Ossetian influence is largely felt in Kartvelian *onomasticon* and vocabulary in general. Borrowings are mainly reflected in the Georgian dialects in direct contact with Ossetian (Rachian, Mokhevian, Khevsurian). Ossetian borrowings may be traced in Megrelian and Svan as well. Some Ossetian loanwords have entered the literary Georgian language. Some of them have become the part of lexical history, while others are still in active use.

As it has been established by Acad. M. Andronikashvili, Ossetian borrowings in the Georgian language follow certain patterns of phonetic correspondence which fact is demonstrated by numerous examples cited in the paper.

The author of the paper comes to the conclusion that nominal borrowings from Ossetian, adopted by the Georgian language are mostly monosemantic and are less inclined to polysemanticization.

ა. არაბული, ვ. შენგელია (თბილისი)

### **აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის დგაწლი აფხაზურ-ჩერქეზულ და ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში**

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე (1911-2007) იმ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, ვინც შორს გაუთქვა სახელი ქართულ მეცნიერებას. მრავალი სიახლით გამორჩეული მისი ნაშრომები ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული.



განსაკუთრებულია ქ. ლომთათიძის დამსახურება აფხაზურ-აბაზურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. მისმა პირველმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“, რომელიც 1938 წელს დაიბეჭდა „ენიმკის მოამბეში“, ნათელი გახადა, რომ აფხაზურ ენას გამორჩეული ნიჭისა და ერუდიციის მკვლევარი შეეძინა.

ფუნდამენტურმა მონოგრაფიებმა – „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944) და „შხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის“ (1954) – დიდი და დამსახურებული სამეცნიერო ავტორიტეტი მოუტანა ავტორს, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს; ამ მონოგრაფიებში წარმოდგენილია აფხაზურის ახლომონათესავე აბაზური ენის ორი დიალექტის ფონოლოგიური სისტემისა და მორფოლოგიურ თავისებურებათა დრმა ანალიზი, ამასთან, თითოეული საკითხი განხილულია აფხაზურ ენასთან შედარებით და ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით. მეტად ფასეულია მონოგრაფიებს დართული ვრცელი დიალექტური ტექსტები. ამ რაოდენობითა და ასეთი სიზუსტით ჩაწერილი დიალექტური მასალა მანამდე არავის მოუპოვებია და გამოუქვეყნებია. მკვლევარმა შეძლო დაეფიქსირებინა არა მხოლოდ სხვაობა, რაც აბაზური ენის კილო-კილოკავებსა და თქმებში გვაქვს, არამედ ის რყევებიც, რაც სხვადასხვა თაობის პირთა მეტყველებაში დასტურდება; ამ მასალამ ძვირფასი ისტორიული დოკუმენტაციის მნიშვნელობა შეიძინა.

აღნიშნული მონოგრაფიებითა და იმავე წლებში შექმნილი სხვა ცალკეული გამოკვლევებით ქ. ლომთათიძემ მტკიცე მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ-აბაზურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საქმეს.

შემაჯამებელი ხასიათისაა ქ. ლომთათიძის მონოგრაფია „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1976); ესაა ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც აფხაზურ-აბაზურ სალიტერატურო ენათა და დიალექტთა მონაცემების გათვალისწინებით განხილულია ამ ენათა ფონეტიკის

ყველა ძირითადი საკითხი. ნაშრომი გამოიჩინა როგორც ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიური პრინციპების თანმიმდევრული გამოყენებითა და საანალიზო ენობრივი მასალის სიუხვით, ისე მეტად მნიშვნელოვანი ორიგინალური დასკვნებით. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენის ფონეტიკა ასეთი ღრმა და სრული მეცნიერული ანალიზის საგანი არ ყოფილა.

ქ. ლომთათიძის მონოგრაფიაში „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობები და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში“ (1982) კვლევის საგანი გახდა აფხაზურ-აბაზურ ზმნისწინთა რთული სისტემა; გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდა ის ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა, რაც პრევერბებს ამ ენებში გააჩნია.

ქ. ლომთათიძის მონოგრაფია „აბაზური ენა“ (1984) მოკლე შეჯამებაა იმ კვლევისა, რაც ავტორს წლების განმავლობაში უწარმოებია.

აღნიშნული მონოგრაფიების გარდა, ქ. ლომთათიძეს ეკუთვნის 100-ზე მეტი ცალკეული გამოკვლევა აფხაზურ-აბაზურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე. მეტად მნიშვნელოვანია ქ. ლომთათიძის ძიებანი ჩერქეზულ და უბიხურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ ლექსიკის სფეროში და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა შედარებითი გრამატიკის პრობლემებზე.

ქ. ლომთათიძე წარმატებით იკვლევდა აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა გენეზისური ურთიერთობის საკითხებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა ჯგუფებთან, კერძოდ, ქართველურ ენებთან.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ქ. ლომთათიძეს აფხაზური და აბაზური ენების სპეციალისტთა აღზრდის საქმეში. სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში კითხულობდა იგი აფხაზური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მომზადდა 20-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ და ბევრი მათგანი ამჟამადც მუშაობს აფხაზეთსა თუ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში.

დიდია აკად. ქ. ლომთათიძის წვლილი ქართველურ ენათა

სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში. შეიძლება ითქვას, მისი, როგორც მეცნიერის, ბიოგრაფია ქართული ენის საკითხების შესწავლით დაიწყო; ეს იყო კვლევა ნინოშვილის „პარტახის“ დედნისა და ენობრივი თავისებურებებისა (1935) და დაკვირვება მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა ნაშთებზე გურულსა და აჭარულში (1937-38). მაგრამ შემდგომ, რაკი მეცნიერმა მთელი ძალები გადართო აფხაზურ-ადიღურ ენათა შესწავლაზე, მისი ყურადღება გარკვეული დროით ჩამოსცილდა დასახული საკითხების კვლევას. თუმცა მთის იბერიულ-კავკასიური ენების ბუნების ღრმად წვდომამ მას საშუალება მისცა უფრო ფართოდ დაენახა ის პრობლემები, რომელიც ქართველურ ენათა აგებულებასა და ისტორიასთან არის დაკავშირებული.

მეტად ღირებულია ქ. ლომთათიძის მეცნიერული დაკვირვებანი ისტორიული ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში. იგი სიღრმისეულად სწვდებოდა ურთულეს ფონოლოგიურ პრობლემებს და ცოცხალი ენობრივი მონაცემების ფაქიზი ფონეტიკური ანალიზით აღადგენდა ჩვენი ენების ბგერითი სისტემის ოდინდელ სურათს. ასეთი ღრმამეცნიერული შინაარსის შემცველია მისი სტატიები წინაენისმიერ სპირანტთა თუ ლაბიალიზაციის ისტორიის შესახებ ქართველურ ენებში (1962, 1968); ქ. ლომთათიძემ დაამკვიდრა ზოგი ფონეტიკური წესი ისტორიულ ფონეტიკაში, კერძოდ, წყვილბაგისმიერ ფონემათა მეორეული მიღება უკანაენისმიერთა და ბაგისმიერ ბგერათა შერწყმის გზით (გვ → ბ, კვ → პ...) (1964, 1984); ასევე პოზიციური (კომბინატორული) ფონეტიკური ცვლილების საგულისხმო კანონი დგინდება ქართველური ენების ხშულთა ცვლილებით (გამკვეთრებით თუ დაყრუებით) სონანტთა მეზობლობაში, რაც არაერთი სიტყვის წარმომავლობის სრულად ახლებურად დანახვის შესაძლებლობას იძლევა (ნაშრომი ცალკე გამოვიდა 1986 წელს).

აკად. ქ. ლომთათიძე ერთ-ერთი პირველია, ვინც შესატყვისობათა საკითხი ფაქტობრივ განიხილა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის (1955...).

ასევე ფასეულია ქ. ლომთათიძის ღრმამეცნიერული ძიებანი ქართველურ ენათა მორფოლოგიის სფეროში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ისეთი ცნობილი სტატიები, როგორიცაა „ქ

სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში" (1946) და „თბება“ ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში“ (1952), რომლებიც ქართული ლინგვისტური აზრის კლასიკურ მემკვიდრეობას ეკუთვნის.

ქ. ლომთათიძე მუდმივად შეისწავლიდა ქართველურ ენათა ლექსიკას, ერთი მხრივ, ისტორიულ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით და არაერთი საგულისხმო დაკვირვება დაგვიტოვა ამ სფეროში; მეორე მხრივ, ზრუნავდა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სიმდიდრის გამოვლენასა და აქტივიზაციაზე. იგი იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეაგომეულის მე-7 ტომის რედაქტორი, არაერთი სხვა ლექსიკონის რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი და მას უშუალო წვლილი აქვს შეტანილი მრავალი სიტყვის მნიშვნელობის დადგენა-დაზუსტებაში, ახალ ტერმინოლოგიურ ერთეულთა მოძიებაში და მისთ.

განსაკუთრებულად ზრუნავდა ქ. ლომთათიძე ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე. ამას იგი აკეთებდა როგორც უმაღლესი პასუხისმგებელი პირი ამ სფეროში – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, წლების განმავლობაში ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის ფაქტობრივი ხელმძღვანელი... რაც მთავარია, იგი ამას აკეთებდა როგორც მოქალაქე, ვისაც სრულად აქვს შეგნებული ენობრივი გარემოს მნიშვნელობა ნამდვილი სახელმწიფოებრივი ფუნქციების რეალიზაციის პროცესში.

ქ. ლომთათიძის ნაშრომები მიეკუთვნება იმ სანიმუშო გამოკვლევათა რიგს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ქართული ენათმეცნიერების მაღალ დონეს, ხოლო მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქვეყნის ინტერესებისათვის გამუდმებული ზრუნვის მაგალითად რჩება.

A. Arabuli, V. Shengelia (Tbilisi)

### **Academician Ketevan Lomtadze's contribution to studying the Abkhaz-Circassian and Kartvelian languages**

Academician Ketevan Lomtadze belongs to those researchers who has made Georgian science famous. Her works which are distinguished by lots of novelties are entered in the "Gold reserves" of Kartvelological and Caucasiologic literature.

K. Lomtadze's contribution to studying the Abkhaz-Abaza languages from descriptive and historical-comparative standpoint should be emphasized. Her first fundamental research "**Formation of basic tenses in Abkhaz**", that was published in 1938 in "Bulletin of LHMC" made clear, that Abkhaz language had gained talented and erudite researcher.

Fundamental monographs – "**Tapant dialect of Abkhaz**" (1944) and "**Ashkhar dialect and its role among other Abkhaz-Abaza dialects**" (1954), gained great and honored scientific authority to the young scholar. These monographs represent a deep analysis of a phonological system and morphological peculiarities of two Abaza dialects – a close-kindred language of Abkhaz. Each issue is discussed in comparing with Abkhaz and in consideration of initial condition. Many dialectal texts which are added to monographs are too valuable. Recorded dialectal material of this number and exact has not been obtained and published before by anyone. The scholar could fix not only that difference in sub-dialects and sayings of Abaza, but fluctuations which are attested in the speech of different generation. This material gained a valuable historical documentary significance.

By the mentioned monographs and other works created at those times, K. Lomtadze founded historical-comparative studying of the Abkhaz-Abaza languages.

K. Lomtadze's monograph "**Historical-comparative analysis of the Abkhaz-Abaza languages. I. Phonological system and phonetic processes**" (1976) is of summarizing character. This is a deep research of historical-comparative character in which in consideration of the data of the Abkhaz-Abaza languages and dialects all basic phonetic issues of these languages are

discussed. The work is distinguished by sequential usage of methodological principles of historical-comparative analysis and by abundance of analytical language material as well as noteworthy original conclusions. It can be said, that phonetics of neither other mountainian Iberian-Caucasian language was an object of such deep and complete scientific analysis.

In K. Lomtadze's monograph "**Main types of local preverbs and their forming in Abkhaz and Abaza**" (1982) a research object was a complex system of Abkhaz-Abaza adverbs. That functional-semantic feature, which is characteristic of these preverbs in these languages is demonstrated on the basis of scrupulous analysis.

K. Lomtadze's monograph "**The Abaza language**" (1984) is a short summarizing work of that research, that has been carried out by the author during the years.

Apart from these monograph, K. Lomtadze researched more than 100 other researches on the issues of the Abkhaz-Abaza languages' structure and history. K. Lomtadze's researches on phonetics, morphology and vocabulary of the Circassian and Ubykh languages and the problems of a comparative grammar of the Ahkhaz-Circassian languages are noteworthy.

K. Lomtadze successfully researched the issues of genetic relation of the Abkhaz-Circassian languages with other groups of the Iberian-Caucasian languages, in particular with the Kartvelian languages.

K. Lomtadze made a tremendous contribution to growing up the specialists of the Abkhaz and Abaza languages. During more than 60 years she read an Abkhaz course at the Tbilisi State University. Under K. Lomtadze's supervisor and consultation more than 20 specialists defended doctoral and candidate degree. They successfully worked and are still working in Abkhazia and in the North Caucasus republics.

K. Lomtadze contributed greatly to researching the structure and history of the Kartvelian languages. It can be said, that her biography as a scholar began with studying the issues of Georgian. This was a research on original and language peculiarities of Ninoshvili's "Partakhi" (1935) and observation on traces of 3<sup>rd</sup> personal markers in Gurian and Atcharian (1937-38). But afterwards when the scholar transferred her powers to studying the Abkhaz-Adyghe languages, she did not research outlined issues for a certain time. Though a deep knowledge of the Iberian-Caucasian languages' nature gave her possibility to

see widely that problems which are connected with the Kartvelian languages' structure and history.

K. Lomtadze's scholarly observation in historical phonetics-phonology is valuable. She deeply researched complex phonological problems and through refined phonetic analysis of living language data she reconstructed old picture of sound system of our languages. From this viewpoint her articles on the history of velar spirants and labialization in the Kartvelian languages (1962, 1968) are noteworthy. K. Lomtadze established some phonetic rules in historical phonetics, in particular, secondary formation of bilabial phonemes through fusing of back-lingual and labial sounds (**gv** → **b**, **kv** → **p**...) (1964, 1984). Also a rule of positive (combinative) phonetic changes is established by changing of plosives of the Kartvelian languages (through glottalizing or unvoicing) in neighbor of sonants, that gave possibility to research newly etymology origin of many words (The work was published in 1986).

Acad. K. Lomtadze is one of the very first, who discussed an issue of correspondences among the groups of the Iberian-Caucasian languages (1955...).

K. Lomtadze's deep-scholarly researches in morphologic sphere of the Kartvelian languages are valuable, as well. For instance such well-known articles as "**Towards a -k suffix in Megrelian verbs**" (1946) and "**History of the verbs of *tbeba* type in Georgian**" (1952). They belong to classical legacy of Georgian linguistic thinking.

K. Lomtadze constantly researched the vocabulary of the Kartvelian languages on one hand from historical-etymological standpoint and many noteworthy researches are inherited and, on the other hand she took care for manifesting and activating a vocabulary richness of the Georgian literary language. She was an editor of the 7<sup>th</sup> volume of eight-volume "Georgian Explanatory dictionary", an editor and a member of editorial staff to many other dictionaries. She directly contributed to establishing and specifying many words' meaning, to obtaining new terminological entries, etc.

K. Lomtadze especially took care for defending the purity of Georgian. She did it as a high responsible person in this sphere – a director of the institute of linguistics and a head of scientific board, Academician of National Academy, a head of a constant state commission of Georgian... She did it as a citizen, who

understood completely the importance of a language in realizing process of state function.

K. Lomtadze's works belong to those noteworthy researches, which greatly define a high level of Georgian linguistics. Her pedagogical and public activity is a clear example of constant caring for the interests of a country.

ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი (თბილისი)

### საუღვლებელი ზმნის ფუძის სტრუქტურა ხუნძურ-ანდიურ ენებში

1. ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მყარ სეგმენტს, რომელსაც პარადიგმის ფარგლებში ეყრდნობა ფორმათა მთელი სისტემა და ჩამოშორებული აქვს კლასის (resp. რიცხვის), დროისა და თემის ნიშნები, ფუძე ეწოდება. ამასთანავე, ამგვარი მარტივი ფუძისაგან განსხვავებით, ცალკეული სისტემის (სერიის) ან ქვე-სისტემისათვის გამოიყოფა რთული (resp. ნაწარმოები) ფუძე, რომელიც პერმანენტულად ცვლადი მონაცემია და წარმოების ორგვარი (ა. ხაზოვანი, ბ. ჩანაცვლებითი) პრინციპით ხასიათდება (ბ. ჯორბენაძე).

საკვლევ ენებში ფუძეთქმნადობის პრინციპი ძირითადად სწორხაზოვანია.

2. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში გვხვდება კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ზმნები. უკლასნიშნო ზმნათა ფუძის გამოყოფის საკითხი მარტივია: ზმნურ ფუძეს უშუალოდ დაერთვის თემის, კილოსა და დროის ნიშნები, მაგ.: ხუნძ. *ხის-ი-ზე* „გაცვლა“, *ყოტ-უ-ლა* „ჭრის“...; ანდ. *ჰაყ-ო-რ* „ხედავს“, *ჭუარდ-ი* „დაწერა“ და მისთ.

რაც შეეხება კლასნიშნიან ზმნებს, სპეციალისტები კლასიფიკატორს ფუძის კუთვნილებად თვლიან (ნ. ტრუბეცკოი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ტ. გუდავა...). ჩვენი აზრით, კლასიფიკატორი,



პირის ნიშანთა ანალოგიურად, ფუძის სტრუქტურიდან უნდა გამოირიცხოს, რადგანაც იგი ცვალებად ფლექსიურ ოდენობას წარმოადგენს და გრამატიკული მარკერის სტატუსი აქვს. ფუძის სტრუქტურას ქმნიან ძირი (resp. მარტივი ფუძე) და დეტერმინანტი, როგორც ფუძის საწარმოებელი აფიქსი, მაგ.: ხუნძ. *თ-ურ-* : *თურ-ი-ზე* „ღაპობა“, ახვ. *ღ-იბ-* : *ღ'იბ-ე* „შეშინება“...

3. ხშირად ფუძეს (resp. ძირს) მიაკუთვნებენ თემატურ ხმოვანსაც (ნ. ტრუბეცკოი; ტ. გუდავა...; შდრ. ზ. მალაევა).

ჩვენი თვალსაზრისით, თემატური ხმოვანი მარტივი ფუძის ორგანული ნაწილი ვერ იქნება, რადგანაც მთლიანი პარადიგმის ფარგლებში თვალსაზრისით ცვლილებებს განიცდის. რაც შეეხება რთულ ფუძეს, ცალკეულ დრო-კილოთა წარმოებისას შეიძლება იგი ფუძის ფორმანტადაც მივიჩნიოთ.

4. ცალკე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს მცირერიცხოვან ზმნათა ის წყება, რომელთაც ძირეული მორფემა დაკარგული აქვთ და მის ფუნქციას სათანადო აფიქსები ასრულებენ, მაგ.: ხუნძ. *ინ-ე* (< \**-ინ-ე* < \**ბა-* *-ინ-ე*, შდრ. კარ. *ბო-* *-ა* *-ღ'ა* „id.“) „წასვლა“, „გამგზავრება“, ანდ. *იდ-უ* (<*ღაღ*. *ჯ-ღ-უ* < \**გ-ღ-უ*, შდრ. ახვ. *გ-ურ-ულ'ა* „id.“) „კეთება“ და სხვ.

N. Ardote li (Tbilisi)

### Structure of the Stem of Conjugable Verb in Avar-Andic Languages

A stable segment with lexical meaning of verb, whereupon the whole system of forms is based within the paradigm, and which has no markers of class/number, tense and theme, is called **root**. At the same time, unlike such simple stem, a complex/derived stem is singled out for particular systems/series or sub-systems, constituting a permanently changing datum and characterized by two different principles of formation (a. lineal, b. substitutive) (Jorbenadze 1980, 123-124).

In the languages under research the principle of stem formation is mainly rectilinear.

The paper examines in further detail the structure of verb stem in Avar-Andic-Didoic languages basing on the ample material illustrating different patterns of conjugation in the languages concerned.

შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე (თბილისი)

### ანტონიმთა ტიპოლოგიისათვის

1. ანტონიმები, სინონიმების მსგავსად, ლექსიკური პარადიგმატიკის ერთ-ერთ ძირითად სემანტიკურ ჯგუფს ქმნის.

მეტყველების ნაწილებს შორის ანტონიმთა შექმნაში მონაწილეობას იღებს პრაქტიკულად ყველა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

2. ა) ანტონიმთა უმრავლესობას წარმოადგენს ზედსართავი სახელები (**მაღალი – დაბალი** ტიპისა) და მათგან ნაწარმოები განყენებული სახელები (**სიმაღლე – სიდაბლე**) ან ზმნისართები (**მაღლა – დაბლა...**); ბ) სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით ანტონიმებში ეგულებათ ასაკის, სქესის თუ სხვა ნიშნების მიხედვით დაპირისპირებული საზოგადო სახელებიც (**კაცი – ქალი, გოგო – ბიჭი, და – ძმა... ძუ – ხვადი, ფური – ხარი...**); გ) ანტონიმებს ქმნის ზმნებიც (**ღვიძავს – სძინავს, ადებს – ხურავს**) და მათგან ნაწარმოები სახელზმნები (**გადვიძება – დაძინება, მღვიძარე – მიძინარე...**), ნაცვალსახელები (**ეს – ის, ასე-თი – ისეთი, ვინ(მე) – რა(მე), ყველა – არავინ, ყველაფერი – არაფერი**), ნაკლებ – რიცხვითი სახელებიც, უფრო – ტიპობრივი კონტექსტების მიხედვით (**ერთი – ათასი**); დ) დასასრულ, ანტონიმებს ქმნის ისეთი ნაწილაკებიც, რომლებიც წინადადების ეკვივალენტად გამოიყენება (**კი / ჰო – არა**).

3. ანტონიმები ორი სახისაა: *კონტრარული* და *კონტრადიქტო-*

რული (ბ. ფონხუა). კონტრარული გულისხმობს სრულ დაპირისპირებას ლექსემების დონეზე, რის გამოც მათ “პოლარულიც” შეიძლება ეწოდოს (**კარგი – ცუდი, დიდი – პატარა**), კონტრადიქტორული კი (სხვაგვარად – “რელატიური”) – საერთო ფუძისაგან უარყოფითი აფიქსით ან უარყოფითი ნაწილაკით ნაწარმოებ სიტყვებს (**ლამაზი – უ-ლამაზ-ო, სრული – არა-სრული**).

4. ანტონიმთა კვლევისას დგება მათი უზუალური თუ ოკაზიონალური ხმარების გამიჯვნის საკითხი. მხატვრულ ნაწარმოებში შემთხვევით დაპირისპირებული საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები ლექსიკური პარადიგმატიკის წევრებად არ ჩაითვლება (მაგ., “მგზავრის წერილებში” ავტორისეული დაპირისპირება თერგისა და მყინვარისა, გოეთესი და ბაირონისა მხოლოდ ოკაზიონალური კონტრასტირების ნიმუშებია და ანტონიმებად ვერ მიიჩნევა).

ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში სრულიად რეალური (ფიზიკურად გაზომვადი) დაპირისპირება ენაში უზუალური ხმარების ანტონიმებს არ იძლევა (ამის ცნობილ ნიმუშად ლიტერატურაში დასახელებულია ინფრაწითელისა და ულტრაიისფერის დაპირისპირება).

5. საგანგებო ინტერესს იწვევს ანტონიმების სტრუქტურა. შეინიშნება, რომ ანტონიმები, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი (თუნდაც დამაპირისპირებელი) საკლასიფიკაციო ნიშნით, ერთმანეთს ერთმებთან (მაგ., **მაღალი – დაბალი, მსხვილი – წვრილი, სქელი – თხელი**). და ეს არ არის მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი ენობრივ უნი-ვერსალიებს განეკუთვნება (შდრ. რუს. **толстый – тонкий**, ინგლ. **thick – thin...**).

6. მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს ყველა ენაში უხშირესი სემანტიკის მქონე ანტონიმების სტრუქტურული დაპირისპირება. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება თანხმობისა და უარყოფის აღმნიშვნელ სიტყვებს მათი მარცვალთრადენობის, ხმოვანთა თუ თანხმოვანთა შედგენილობისა და რაგვარობის მიხედვით.

ამ თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ანტონიმების ხმოვანთა წინა და უკანა რიგების, მაღალი და დაბა-

ლი აწეულობის ფაქტორს, ისევე როგორც განსხვავებულ მარცვალთრაოდენობას და ამ ნიშნით დაპირისპირებას. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს **ჰო** და **არა**-ს აღმნიშვნელი სიტყვები ქართულში, ისევე როგორც მათი ეკვივალენტები ქართულსა მონათესავე (ზანური, სვანური), ისე არამონათესავე ენებში (რუსულში, ინგლისურსა და სხვა ინდოევროპულ ენებში).

S h. A p r i d o n i d z e (Tbilisi)

### On the Typology of Antonyms

1. Like synonyms, antonyms form one of the basic semantic groups of lexical paradigms. Nearly all notional parts of speech (nouns, adjectives, verbs, adverbs) can form antonyms with more or less intensity. Most of them are adjectives (**mayali** ‘tall’ / ‘high’ – **dabali** ‘low’) and abstract nouns derived from them (**simayle** ‘height’ – **sidable** ‘lowness’), or adverbs (**mayla** ‘highly’ – **dabla** ‘lowly’), less frequently, nouns (**gogo** ‘girl’ – **bich’i** ‘boy’, **da** ‘sister’ – **dzma** ‘brother’), pronouns (**es** ‘this’ – **is** ‘that’, **vin** ‘who’ – **ra** ‘what’, **qvela** ‘everyone’ – **aravin** ‘no-body’), verbs (**ayebs** ‘opens’ – **khuravs** ‘closes’), and, finally, the particles expressing agreement and negation (**ho** / **k’i** ‘yes’ – **ara** ‘no’).

2. Antonyms are typically divided into two principal groups, known as *contrary*, formed of different stems, also called “polar” (**k’argi** ‘good’ – **tsudi** ‘bad’), **didi** ‘large’ – **p’at’ara** ‘small’), and *contradictory*, containing a pair of words with identical stems, one of which adds the negative particle **ar(a)**, or derivational affix (**u** – **o**) in the same function (**sruli** ‘complete’ – **arasruli** ‘incomplete’).

3. In process of juxtaposition of these two types, the lexical opposition does not coincide with its logical counterpart, nor is coincidence obligatory. One should speak of genuine antonymy only when opposition is regular in a particular language. Occasionally, the author opposes images purposefully, as is the case, e.g. in the “Traveller’s Notes” of Ilia Chavchavadze with the geographical names Tergi (hydronym) and Mqinvari (oronym), or Byron and

Goethe, embodying respectively, seething, stormy life, and indifference and inaccessibility. But such antonymy is individual and it should be assigned to occasionalisms.

4. On the other hand, we have objectively, i.e. physically measurable extreme members of the colour spectrum – *infrared* and *ultraviolet*, in linguistic usage are by no means antonyms in any of the more or less widespread languages.

5. As for the structure of antonyms, a considerable part of adjectival antonyms are characterized by identical vowels, occasionally serving as rhymes, and this is universal for quite different languages, e.g.:

Georgian: **skeli** – **tkheli**, **mskhvili** – **ts'vrili** 'thick' – 'thin', **tbili** – **grili** 'warm' – 'cool', **mayali** – **dabali** 'tall'/'high' – 'low'; cf.: Russian: **толстый** – **тонкий**, and English: **thick** – **thin**.

Georgian antonyms show considerable difference in the number of syllables: **did**i 'large' (2) – **p'at'ara** 'small' (3), **dzveli** 'old'(2) – **akhali** 'new'(3), **rbili** 'soft' (2) – **magari** 'hard' (3), **met'i** 'more' – **nak'lebi** 'less'.

6. A special analysis of the notions of agreement and negation has shown that in the compared languages the structure of words with the meanings of *yes* and *no* differ according to several parameters, the composition of syllables, place of articulation and character of vowels and consonants. And these differences are evident not only in the diverse families of languages, but even in the related Kartvelian languages.

ნ. ბ ე პ ი ე ვ ი (თბილისი)

## ხარისხის ფორმები ქართულსა და ოსურ ენებში

ხარისხის ფორმების მეტობა ან ნაკლებობა ვლინდება ძირეულისა და წარმოქმნილის შედარების დროს. ძირეული მიხნეულია დადებით ხარისხად, მასზე აღმატებული არის უფროობითი, ნაკლები კი – ოდნაობითი. შესაბამისად, უფროობითსა და ოდნაობითს ქართულ ენაში თავიანთი მაწარმოებლები აქვთ: უ – ეს და მთ – თ.

ზედსართავ სახელს ქართულში მოეპოვება მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც საგნის ნიშანს უფრო აღმატებულს გამოხატავს, ვიდრე დადებითი, ეს არის **უფროლობითი (ელატიური)** ფორმა (შესაძლებელია უფროლობით ხარისხს კიდევ დაერთოს მეორე უ (უუძლიერესი, უუმშენიერესი), მაგრამ ქართულში ეს ხელოვნური ფორმაა. ქართულს არა აქვს ასევე თანაბრობითი (ეკვატიური) ფორმები (ა. შანიძე).

განსხვავებულადაა წარმოებული ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები ოსურ ენაში. ოსურ ენაში დადებითის საპირისპიროდ მოიპოვება ორ-ორი ფორმა: **შედარებითი (კომპარატივი)** და **აღმატებითი (სუპერლატივი)**.

ხარისხის საწარმოებლად ოსურ ენაში გამოიყენება შესაბამისი ფორმანტები და დამხმარე სიტყვები: შედარებითი ხარისხი იწარმოება სახელის დადებითი ფორმის ფუძეზე **-дәр** სუფიქსის დართვით.

ქართულ ენაში ოდნობითი ხარისხი დადებითზე უფრო ნაკლებს გამოხატავს (**წითელი – მოწითალო**). ოსურში კი ოდნობითი დადებითზე უფრო აღმატებული ფორმაა (**წითელი – უფრო წითელი**).

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის ფორმა ოსურში მხოლოდ ზედსართავის კუთვნილება არ არის, ანუ შედარებითი ხარისხი არ არის მხოლოდ ზედსართავისათვის დამახასიათებელი. ამ ხარისხს აწარმოებს არსებითი სახელიც (ләр - კაცი; ләрдәр უფრო კაცი).

ზოგადად ინტენსივობის გამოსახატავად ქართულში სახელის ფუძის გაორკეცვა გამოიყენება; ქართულში ზოგადი ინტენსივობაა გამოხატული: წითელ-წითელი, მსხვილ-მსხვილი ცივ-ცივი. ასეთი რამ ოსურშიც აღინიშნება (сырх-сырхытә, сав-савытә), თუმცა ეს არ არის ზოგადი წესი და ყველა ზედსართავზე (რომელიც ქართულში ამ ფორმას იძენს) არ ვრცელდება: ცივ-ცივი, ცხელ-ცხელი, გრძელ-გრძელი, ლამაზ-ლამაზი (უფრო მეტად ფერების აღმნიშვნელი ზედსართავებისათვისაა დამახასიათებელი). რაც შეეხება ამ სუფიქსის (**-дәрдәр**) განმეორებით ხმარებას (**стырдәрдәр, хуыздәрдәр, фылдәрдәр**), ეს ფორმები მხოლოდ სასაუბრო მეტყველებაში გვხვდებოდა და ამჯერად ის არ იხმარება, ჩანს ეს იყო ხელოვნური ფორმა და ამიტომ მას ენა აღარ იყენებს.

N. B e p p i e v a (Tbilisi)

## Degrees of Comparison in Georgian and Ossetian Languages

The relational value of degrees of comparison is revealed by means of comparing the basic and derived forms of adjective. In Georgian, the basic form of adjective is considered to be positive degree; the derived adjectival form expressing the quality superior to that of the basic form is termed as elative degree, while the form expressing the quality inferior to that of the basic adjectival form is called diminished degree. Accordingly, elative and diminished degrees of comparison have in Georgian their respective formative markers *ჟ – ებ* and *ძო – ე*.

Adjective in Georgian has only one form expressing the quality superior to that expressed by positive degree. This form is called **elative** (actually, it is possible to add a second *-ჟ* to an adjective in elative degree [*უუძლიერესი*, *უუძვენიერესი*]), in Georgian however such forms are considered artificial. Georgian also lacks equative forms (A. Shanidze).

Degrees of comparison of adjectives have different derivation In the Ossetian language. Here, positive degree is in opposition with two degrees of comparison, *viz.* **comparative** and **superlative** degrees.

In Ossetian, degrees of comparison are derived by means of relevant formants and auxiliary words: comparative degree is formed by the addition of suffix *-ძəp* to the stem of the positive degree of an adjective

In Georgian, diminished degree of comparison expresses the quality inferior to that of the adjective in positive degree (*წითელი-მოწითალო* ["red" - "reddish"]), whereas in Ossetian comparative degree expresses the quality superior to that of an adjective in the positive degree of comparison ["red" - "more red"].

It should be noted that in Ossetian degrees of comparison are not an exclusively adjectival feature, *i.e.* comparative degree is characteristic of the parts of speech other than adjectives. Noun in Ossetian can also derive this degree of comparison (*лæг* - "man"; *лæгдæр* "more man").

To express intensity in general, the Georgian language uses reduplication of the stem of an adjective: *წითელ-წითელი*, *მსხვილ-მსხვილი ცივ-ცივი*.

Such language universal is present in Ossetian as well (*сырх-сырхытæ, сав-савумæ*). This is not however a general rule and does not extend to all adjectives (which can assume such form in Georgian). Forms like *ცივ-ცივი, ცხელ-ცხელი, გრძელ-გრძელი, ლამაზ-ლამაზი* are more characteristic of adjectives denoting colours. As for the use of redoubled form of the *-ბერბერ* suffix (*სырბბერბერ, хызыдбббб, фылдбббб*), these forms occurred only in colloquial speech and are no longer used at present. It seems to have been an artificial form and the language has ceased to use it.

ა. ბ ე რ თ ლ ა ნ ი (თელავი)

### **ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავებისათვის თანამედროვე ქართულ ენაში (ტიპოლოგიის ფონზე)**

სკრუპულოზურ დაკვირვებებს თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტზე (ხანგრძლივობაზე, ბგერათრაოდნობაზე) და ამ ენის ტიპოლოგიურ შედარებას ქართულ ენასთან მივყავართ გარკვეულ მოსაზრებამდე ქართული ენის ხმოვანთა კვანტიტეტის თაობაზეც.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ ისეთ ქართულ ლექსიკურ წვილებს, როგორცაა, მაგალითად, *აგებს 'ზარალობს' – აგებს 'უერის', ველი 'ველოდები' – ველი 'ვაკე', ტოლი 'თანასწორი' – ტოლი 'შუეაო'*, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ ომოფორმებს, უსათუოდ დავრწმუნდებით იმაში, რომ აქ შემავალ ხმოვნებს შორის მცირედი განსხვავებაც კი არ არის – არც ფონეტიკური, არც, მითუმეტეს, ფონოლოგიური თვალსაზრისით: ამ წყვილებში შემავალი წევრები (ლექსემები) რჩებიან ოდენ ომოფორმებად.

ხოლო, თუკი – მათი სემანტიკის გათვალისწინებით – ერთმანეთს შევადარებთ ისეთ ქართულ ლექსიკურ წყვილებს, როგორცაა, მაგალითად, *აუგია 'ცუდია' – აუგია 'აუშენებია', ერთობა 'ერთიანობა' – ერთობა 'მხიარულობს', ტოლმა (საჭმელი) – ტოლმა 'თანასწორმა; მუეაომ'* და ა. შ., უთუოდ აღმოვაჩინოთ, რომ თითოე-



ულ წყვილში შემაგალი ერთ-ერთი წევრის რომელიღაც ხმოვანი ამჟღავნებს აშკარა სხვაობას როგორც ფონეტიკური, ისე ფონოლოგიური თვალსაზრისითაც, რის გამოც ეს წევრები იძენენ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სემანტიკას, გადაიქცევიან ოპოზიციურ მონაცემებად ერთმანეთის მიმართ. ეს არის მოკლე **ჭ, ქ** და **რ** ხმოვნების ფუნქციონირების შედეგი ამ აბზაცში წარმოდგენილი წყვილების შემადგენელ წევრებში: **აუგია ‘ცუდია’ – უგია ‘აუშენებია’; ერთობა ‘ერთიანობა’ – ერთობა ‘მხიარულობს’; ტოლმა (საჭმელი) – ტოლმა ‘თანასწორმა; მუყაომ’.**

ჩნდება იმის შესაძლებლობაც, რომ ერთმანეთთან ოპოზიციურ მიმართებაში მყოფი ლექსემები მოვაქციოთ ერთ წინადადებაში, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის კვანტიტატიური დაკვირვების შედეგებს: **მამაც მამაც მეომრებს შორის ზის; ელდა მეცა მეცა; ფორმა ფორმა გამოიცვალა.**

ერთნაირი დაწერილობების მქონე ლექსიკურ მოცემულობებს (**მამაც – მამაც, მეცა – მეცა, ფორმა – ფორმა**), რომლებიც ამ წინადადებაებშია თავმოყრილი, მკითხველი თავდაპირველად უთუოდ წარმოთქვამს აბსოლუტურად ერთნაირად, ანუ კითხულობს ისე, როგორც წერია და ხედავს. მაგრამ მას მერე, რაც გააცნობიერებს თითოეულ კონტექსტუალურ სიტუაციას, უბრუნდება რა თითოეული წინადადების საწყისს, თითოეულ მათგანს წარმოთქვამს უკვე მეორისგან განსხვავებულად. საქმე ის არის, რომ ერთნაირი დაწერილობის მქონე ამ სიტყვებში შემაგალი თითოეული ხმოვნის ჩვეულებრივად (**ნახევრადგრძლად**) წარმოთქმა იწვევს ამ სიტყვების აბსურდულ გამეორებას – ტავტოლოგიას, რის გამოც ინგრევა როგორც თვით მათი, ისე წინადადების / წინადადებაების შინაარსი, რასაც მკითხველიც შეამჩნევს, მსმენელიც.

მაგრამ თუკი ამ **თითქოსდა** გამეორებული სიტყვებიდან ერთ-ერთის ერთ-ერთ ხმოვანს წარმოვთქვამთ მოკლედ, თავის კუთვნილ შინაარსს შეიძენენ თვით ამ სიტყვებიდან თითოეულიც და მათი (როგორც წინადადების წევრების) შემცველი წინადადებაებიც ზოგადად, ჯამში კი – თითოეული ხმოვანი: **მამაც მამაც მეომრებს შორის ზის; ელდა მეცა მეცა; ფორმა (ანთრ.) ფორმა გამოიცვალა.**

ქართული ენის მატარებლები ასეც წარმოთქვამენ აქ ამ

სმოვნებს. მაგრამ, ჩანს, არავინ დაინტერესებულა რა მათი კვალი-ფიკაციით, ხმოვანთა ეს თავისებურება დღემდე სამეცნიერო კვლევის მიღმა რჩებოდა.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში შეიმჩნევა ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავება. კერძოდ, დაკვირვებებს მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ ამ ეტაპზე შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვეულებრივი (მარტივი) ა, ე და თ ხმოვნების მოკლე ა, ე და თ კორელატების ფუნქციონირებაზე თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში, რაც, ჩვენი აზრით, ფონეტიკურთან ერთად, ატარებს ფონოლოგიურ (დისტინქტურ, სოციალურ, რელევანტურ) დატვირთვასაც.

მსჯელობისთვის მნიშველოვანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში კვლავაც ვატარებთ რა ცოცხალ მეტყველებაზე შესაბამის დაკვირვებებს, ქართულ ენაში ჩვენ მიერ სადღეისოდ გამოვლენილია 60-ზე მეტი ოპოზიციური წყვილი, ამათგან: მოკლე ა ხმოვნისთვის – 47-მდე, მოკლე ე ხმოვნისთვის – 10-მდე, მოკლე თ ხმოვნისთვის – ჯერჯერობით მხოლოდ 3-მდე.

სიხშირეთა ეს ვექტორი, ა-დან თ-სკენ მიმართული, გვაფიქრებინებს, რომ ქართული ენის ფართო წარმოების ხმოვნები უფრო მეტად ავლენენ მიდრეკილებას კვანტიტატიური დამოუკიდებლობისადმი, ვიდრე ვიწრო წარმოებისანი. აქ უსათუოდ იპყრობს ყურადღებას ის გარემოებაც, რომ, რუსული ენის ხმოვნებისგან განსხვავებით, ქართული (ასევე თუშური) ენის ხმოვნებს ამგვარი ცვლილებებისგან ვერ იცავს მახვილი.

შესაძლოა ხმოვანთა ეს კვანტიტატიური განსხვავებულობა საერთო ნიშანი თუ პრობლემა იყოს სრულიად იბერიულ-კავკასიური ენებისთვის, რაც კიდევ ერთხელ შემოგვაბრუნებს მათი თავდაპირველი ნათესაობის იდეისკენ.

მართალია, ქართველოლოგიაში ხმოვანთა ეს ბუნება სადღეისოდ არც გაცნობიერებულია და არც დადასტურებული (უარყოფილიც კია), მაგრამ მაინც ღირს მუშაობა შემდგომში ამ მიმართულებით.

ექსპერიმენტული შესწავლის შემთხვევაში უფრო ზედმიწევ-

ნოთი და, რაღა თქმა უნდა, უფრო დამაჯერებელი გახდება როგორც ხმოვანთა კვანტიტატიური ნიშნების ურთიერთმიმართება ქართულში, ისე, საერთოდ, აქ შემოთავაზებული მსჯელობა.

A. Bertlani (Telavi)

### **Towards the Quantitative Difference of Vowels in Modern Georgian Language (Against the Backdrop of Typology)**

Scrupulous observations on quantity (length) of vowels in the Tush dialects and typological comparison of the same dialect with the Georgian language have led us to certain conclusions about the quantity of vowels in the Georgian language as well.

If we compare Georgian lexical pairs such as *agebs* 'sustains losses' – *agebs* 'passes/thrusts smth. through smth.', *veli* 'I am waiting for' – *veli* 'valley', *toli* 'equal' – *toli* 'roofing felt', which are at the same time homomorphs, we shall certainly see that between them there is no difference – neither phonetically nor phonologically: the members (lexemes) included in the cited pairs remain mere homomorphs.

But if we compare such Georgian lexical pairs, simultaneously taking into account their semantics, as, *augia* 'is bad' – *augia* 'has built', *ertoba* 'unity' – *ertoba* 'is having fun', *tolma* 'dolma' (stuffed cabbage leaves) – *tolma* 'the equal'; 'roofing felt' (both in ergative case) etc., we shall certainly find out that the vowel of one of the members contained in each pair clearly shows both phonetically and phonologically different features making these members also semantically completely different from and opposite to each other. This is due to the presence of the short vowels *á*, *ē* and *ǒ* in these members: *augia* 'is bad' – *ǎugia* 'has built', *ertoba* 'unity' – *ērtoba* 'is having fun', *tolma* (food) – *tǒlma* 'the equal'; 'roofing felt' (in ergative)'.

Other examples cited in the paper make such phonetic/phonological opposition even more plausible.

This is the way Georgian native speakers pronounce these vowels, but

this phonetic phenomenon, most unfortunately, has not yet become the subject of a serious scientific research.

Thus, we can state that in Georgian there can be observed the quantitative differentiation of vowels, namely, at the present stage we can speak about the functioning of ordinary (simple) vowels *a*, *e* and *o*, and their short correlates – vowels *ǎ*, *ē* და *ǒ*.

მ. ბ უ კ ი ა (თბილისი)

### **კომპოზიტა ერთი რიგისათვის ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“**

ქართველურ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების კვლევისთვის ახალ მასალას იძლევა 2005 წელს გამოსული ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“. ლექსიკონი 2 ტომს შეიცავს და 30 ათასზე მეტი სიტყვა-სტატიისგან შედგება. და მოიცავს ენის სრულიად განსხვავებულ სეგმენტებს, დიალექტურ, სასაუბრო, ხმარებიდან გასულ სიტყვებს, ე. წ. „ტყის ენას“, „ბავშვთა ენას“, აფხაზ მუჰაჯირთა მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“ მრავლად გვხვდება ქართველიზმები, რომლებიც სხვა ლექსიკონებში ან ქართველურ-აფხაზურ ენობრივ ურთიერთობათა კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში არ მოხვედრილა. ამ ლექსიკურ ერთეულებში სოლიდური ადგილი უკავია კომპოზიტებს.

ჩვენ მიერ განხილულ კომპოზიტა შემადგენელი ნაწილები ცალკე ლექსიკურ ერთეულებად სხვა ლექსიკონებშიც გვხვდება, მაგრამ კომპოზიტად პირველად ვ. კასლანძიასთანაა წარმოდგენილი.

კომპოზიტა ერთი ნაწილი მთლიანად ქართველური სიტყვებისგანაა შემდგარი, ან აღმოსავლურენოვანი სამყაროდან აფხაზურში შეთვისებისას შეუადგური რგოლი ქართველურია:

ა-კგცმგ<sup>ა</sup>ლგ<sup>ა</sup>-კ ცხმგ<sup>ა</sup>ლ „კეცზე გამომცხვარი მჭადი“ [კასლანძიას, 2005, 517] – ა-კგც < კეცი (ქართ.), კიცი (მეგრ.), კეც / კგც

(სვან.) „კეცი“; ა-მგ<sup>ნ</sup>ლ „მჭადი“ < დიარა (მეგრ.) „დაპურება“, გმარ / ჯარ (ლაზ.), დიარ / დიარ (სვან.) „პური“

ა-მარგ<sup>ო</sup>ტლტამა „ატმის ჯიში“ [კასლანძია, 2005, 664] – ა-მარგ<sup>ო</sup>ტლ < მარგული (მეგრ.) / მარგული (სვან.) „შავი ქლიაფი“; ა-ტამს < ატამი (ქართ.), ატამა (მეგრ.), ანტამა / ატამბა (ლაზ.), ა-ტამა / ატამ (სვან.) „ატამი“.

ა-ჩგ<sup>ყ</sup>უატალა „ფარისებრი ჯირკვალი“ [კასლანძია, 2005-ა, 523] – ა-ჩგ<sup>ყ</sup> < ჩიყვი (ქართ., მეგრ.), ა-ტატალა / ა-კ<sup>ო</sup>ატალა < ოტო-ლე / ონტოლე (მეგრ.), ონტოლა (გურ.) ღუნტულ / ღუნტლა (სვან.) „ჯირკვალი“.

ა-ჰატერ-აპატუ [კასლანძია, 2005-ა, 389] – ა-ჰატერ < ხათრი (არ.-სპ. ხათირ) ხათრ / ხათრ (სვან.) „პატივისცემა, თავაზი“; ა-პატეტუ < პატივი, პატიი (მეგრ.) პატიუ / პატიუ (სვან.) „პატივი“.

სხვა შემთხვევაში გვაქვს ე. წ. „ჰიბრიდული კომპოზიციები“, სადაც ერთი სიტყვა ქართველურია (ან უცხოენოვანი, მაგრამ აფხაზურში ქართველურიდან შესული), მეორე კი აფხაზური:

ა-გ<sup>არ</sup>გ<sup>ა</sup>ბამზა „ნოემბერი“ [კასლანძია, 2005, 280] – ა-გ<sup>არ</sup>გ<sup>ა</sup>ბა < გერგობა (მეგრ.) „გიორგობა“, ა-მზა (აფხ.) „თვე“; შდრ. გერგობათუთა (მეგრ.) „გიორგობისთვე, ნოემბერი“.

ა-ლაფრნა „ფინია“ [კასლანძია, 2005, 618] – ა-ლა (აფხ.) „ძალი“, ფინია (ქართ.-მეგრ.), ფინიან / ფინიან / ფინიან (სვან.) „პატარა ძალი, – გოშია“.

ა-რხადგ<sup>ე</sup>ლ „დაბლობი“ [კასლანძია, 2005-ა, 136] – ა-რხა (აფხ.) „დაბლობი“, ა-დგ<sup>ე</sup> ჯლ < ადგილი (ქართ.)

ა-შხაკაფკაფ „მთის კაკაბი“ [კასლანძია, 2005-ა, 643] – ა-შხა (აფხ.) „მთა“, ა-კაფკაფ < კაკაბი „ფრინველი ერთგვარი“.

ა-ცგ<sup>ო</sup>ტჰასკ<sup>ე</sup>გ<sup>ნ</sup> „კატაბალახა“ [კასლანძია, 2005-ა, 406] – ა-ცგ<sup>ო</sup>ტ (აფხ.) „კატა“; ა-ჰასკ<sup>ე</sup>გ<sup>ნ</sup> „ბალახი“ < ასკილი (ქართ.)

ა-ძგ<sup>ე</sup>რპელ „წყლის პიმპილი“ [კასლანძია, 2005, 454] – ა-ძგ<sup>ე</sup> (აფხ.) „წყალი“, ა-გ<sup>ე</sup>რპელ < პიმპილი (ქართ.), პიმპილა (სვან.) „წიწკა, პიმპილი“.

ა-ღ<sup>ლ</sup>ხ<sup>ნ</sup>არხ<sup>ნ</sup> / ა-ღ<sup>ლ</sup>ხ<sup>ნ</sup>არხ<sup>ნ</sup> „ფიცრის გასახერხი ხერხი“ [კასლან-  
დია, 2005, 330] – აღ<sup>ლ</sup>გ (აფხ.) „ფიცარი“, ა-ხ<sup>ნ</sup>არხ<sup>ნ</sup> / ა-ხ<sup>ნ</sup>არხ<sup>ნ</sup> < ხერ-  
ხი (ქართ.), ხორხი (მეგრ.)

აფხაზურში ამკარად მეგრულის გავლენით გაჩენილი  
ბ-მშაფ „აღღგომა“ გვხვდება შედგენილ სიტყვაში, რომლის ინ-  
გრედიენტებიც ქართველურიდანაა შესული აფხაზურში, ასევე პიბ-  
რიდულ კომპოზიტში: ამშაფგ კაკაჭ „ბაია“ ზედმ. „აღღგომის ყვა-  
ვილი“ – ბ-მშაფ < თანაფა „აღღგომა“, ბ-კაკაჭ „ყვავილი“ < ყაყა-  
ჩო / კაკაჩა (ქართ.); ამშაფგ მზა „აპრილი“, ზედმ. „აღღგომის თვე“.

M. B u k i a (Tbilisi)

### **On a Series of Composites in Abkhaz-Russian Dictionary by V. Kaslandzia**

Abkhaz-Russian dictionary by V. Kaslandzia published in 2005 provides new material for the study of Kartvelian-Abkhaz linguistic relations. The dictionary consisting of 2 volumes contains more than 30 thousand words-entries. It covers entirely different segments of the Abkhaz language, such as dialectal, colloquial and obsolete words, so-called “forest language”, “child/nursery language”, as well as linguistic forms characteristic of the speech of Abkhaz Muhajirs.

Abkhaz-Russian dictionary by V. Kaslandzia contains numerous Kartvelisms not found elsewhere, *i.e.* in other dictionaries or works related to the study of Kartvelian-Abkhaz linguistic links. Composites account for a substantial portion of these lexical units.

The lexical elements making up the composites reviewed in the present paper are found in other dictionaries as well, but it is the dictionary by V. Kaslandzia, where they are presented as composite forms.

Some composites either entirely consist of Kartvelian words or it is clear that Kartvelian language has been an intermediate language for word adoption from oriental languages.

In other cases we have so called “hybrid composites”, where one word is Kartvelian (or foreign, but adopted by Abkhazian through a Kartvelian language), the second word being Abkhasian.

Some lexical units show clear evidence of Megrelian influence.

All these borrowing and/or word-formation patterns are illustrated by numerous examples cited in the paper.

ე. გაზდელიანი (თბილისი)

### **ღერბეთ „ღმერთი“ სახელის ბრუნვის ფორმებისათვის სვანურში**

სვანურის დიალექტებში ღმერთისათვის **ღერბეთ** ბზ., ლშხ. **ღერმეთ** ბქ., **ღერბეთ** ლნტ., **ღერმეთ/ღერბეთ** უშგ. ვარიანტები დასტურდება.

**ღერბეთ** სიტყვას ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევენ. ამოსავალი, პირველადი ფორმა სვანურისათვის ბალსქვემოური და უშგულური **ღერმეთ** უნდა იყოს.

-მ- თანხმოვანი ყველა დიალექტში -რ-'ს მომდევნო პოზიციაში გადავიდა, ხოლო -მ-'ს -ბ- ში გადასვლა გვიანდელი მოვლენა ჩანს.

**ღერბეთ/ღერმეთ** ფუძე მთელ სვანურში ცალკე ბრუნების დროს და მყარ გამონათქვამებში **ღერთ-** ფუძითაც გვხვდება: **ღერთ-წ იმედ-ჟშ** (ლნტ.) „ღვთის (იმედით) წყალობით“; **ღერთ-ემ ჩომნას** (ლშხ.) ღმერთმა ქნას“.

თ. შარაძენიძე, როცა -ჟ'ნიანი მიცემითის სხვა ბრუნვებში გამოყენებას ეხება, აღნიშნავს, -ჟ'ნიანი მიცემითი ყველაზე ხშირად ბალსქვემოურში იხმარება. ქვემოსვანურს ეს ფორმანტი არ ახასიათებს, მისი ადგილი მთლიანად -ს ფორმანტს უჭირავს“ (თ. შარაძენიძე).

**ღერბეთ** სიტყვის ბრუნება იმით არის გამორჩეული, რომ მას

ქვემოსვანურში, ქართველური ტიპის ბრუნების გვერდით, ორფუძიანი ბრუნებაც ახასიათებს.

ლენტესურ დიალექტს **-ჟ**ნიან მიცემითზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნების პარადიგმა გააჩნია.

მაგ.:

სახ. ღერბეთ

მიც. ღერბათ-**ჟ**-ს

მოთხ. ღერბათ-**ჟ**-დ

მოქმ. ღერბათ-**ჟ**შ

ვით. ღერბათ-**ჟ**-დ

ნათ. ღერბათ-**ჟ**-წშ/ღერბათ-**ჟ**-იშ

**-ემ**ნიან ერგატივზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნება დადასტურდა ჩოღურულსა და ლაშხურ დიალექტში.

ჩოღ.:

სახ. ღერბეთ

მიც. ღერთ-**ემ**-ს

მოთხ. ღერთ-**ემ**-დ

მოქმ. ღერთ-**ემ**-ჟშ

ვით. ღერთ-**ემ**-და

ნათ. ღერთ-**ემ**-იშ

ამ პარადიგმაში **-ბე** მარცვლის რედუქცია ერგატივის **-ემ** მორფემის გავლენით მოხდა, ხოლო ლენტესურში ორფუძიანი ბრუნების დროს **ღებათ** ფუძეში **-ე**ს ნაცვლად **-ა**-ს გამოვლენა (შდრ. **ღერბეთ**) უკანა მიმართულების უმლაუტის შედეგია.

სავარაუდოა, რომ ქვემოსვანურ დიალექტებში **ღერბეთ** სახელის ორფუძიანი ბრუნების შემორჩენა მყარ გამონათქვამებში მისი გამოყენების სიხშირემ განაპირობა.



E. G a z d e l i a n i (Tbilisi)

### **Towards the Case-Forms of *γērbet* “the God” in Svan**

In Svan dialects, the following variants are evidenced to denote “the God”: *γērbet* UB, Lashkh., *γermet* LB., *γerbet* Lent., *γērmet/γērbet* Ushg.

*γērbet* is considered to be borrowed from Georgian. For Svan, a Lower-Bal and Ushgulian *γermet* must be the original, initial form.

In all dialects, consonant **-m-** has moved to the position after **-r-**, and the transformation of **-m-** into **-b-** must be regarded as a later phenomenon.

In the entire Svan language, the stem *γērbet/γermet* occurs both in declension paradigm and in fixed collocations with the stem *γert* as well.

Speaking about the use of the dative with **-w**, T. Sharadzenidze notes that such dative forms are most frequently used in Lower Bal dialect. This formant is not characteristic of Lower Svan, where it is fully replaced by the formant **-s**.

The paradigm of the word *γērbet* is also distinguished by two-stem declension, along with the declension of Kartvelian type, in Lower Svan.

The Lentekhian dialect has a two-stem declension paradigm based on dative with **-w**

*E. g.:*

Nom.	<i>γerbet</i>
Dat.	<i>γerbat-w-s</i>
Act.	<i>γerbat-w-d</i>
Inst.	<i>γerbat-wš</i>
Adv.	<i>γerbat-w-d</i>
Gen.	<i>γerbat-w-äš/γerbat-w-iš</i>

A two-stem declension based on ergative with **-em** has been evidenced in the Cholurian and Lashkhian dialects.

Chol:

Nom.	<i>γērbet</i>
Dat.	<i>γērt-em-s</i>
Act.	<i>γērt-em-d</i>
Instr.	<i>γērt-em-wš</i>

Adv.    γērt-**em**-d

Gen.    γērt-**em**-iṣ

It may be supposed that in lower Svan dialects, the preservation of two-stem declension of the noun **γerbet** in fixed collocations was caused by its frequent use.

გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე (თბილისი)

**სემანტიკურ ცვლილებათა შედეგები უძველეს  
ქართულ წერილობით ძეგლებში  
(მათეს სახარების ხანმეტი ტექსტების მიხედვით)**

როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში ნებისმიერ კონკრეტულ ენაში ლექსიკა იოლად ემორჩილება სემანტიკურ ცვლილებებს, რასაც მრავალი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორი განაპირობებს. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ქართული ენაა.

ლექსიკის სემანტიკური ცვლილებების ისტორიის კვლევა მეტად საყურადღებო მასალას იძლევა არა მარტო ისტორიული სემასიოლოგიის საკითხთა დადგენის მხრივ, არამედ ლექსიკურ ერთეულთა ეტიმოლოგიის გასარკვევადაც.

ჩვენამდე მოღწეული მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ძეგლები საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ქართული სალიტერატურო ენის მდიდარ ლექსიკაში მომხდარ სემანტიკურ ძვრებს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი იმ ენობრივი მასალის ანალიზს, რომელშიც აშკარად იკვეთება, რომ ქართულ ენაში ახ. წ. V საუკუნეში მაინც უკვე ჩანს სიტყვათა დიდ ჯგუფში მანამდე მომხდარი სემანტიკური ცვლილებების რელიეფური კვალი.

ჩვენი კვლევის ობიექტია სახარების ქართული თარგმანის უძველესი ხანმეტი ტექსტი, კერძოდ, მათეს სახარება. მკვლევარმა

ლ. ქაჯაიამ დაადგინა, რომ საანალიზო ტექსტი ახ.წ. IV-V საუკუნეებში არსებული სახარების ქართული თარგმანის 2 რედაქციიდან ერთ-ერთის ნაწილია და მათეს სახარება ცალკე დგას, ხოლო მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები – ცალკე.

ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მისი ლექსიკის დიდი ნაწილი წარმოდგენილია არა თავდაპირველი მნიშვნელობით, არამედ სერიოზული სემანტიკური ცვლილებებით, კერძოდ:

ა. სიტყვათა ერთი ნაწილი გამოყენებულია როგორც ამოსავალი სემანტიკით, ისე მეორეული მნიშვნელობითაც. მაგალითად: **დედა** ტექსტში აღნიშნავს როგორც მდედრობითი სქესის მშობელს (თავდაპირველი მნიშვნელობა), ისე ზოგადად ქალსაც; **მამა** აღნიშნავს როგორც მამრობითი სქესის მშობელს (თავდაპირველი მნიშვნელობა), ისე ზოგადად მამაკაცსაც და წინაპარსაც; **პური** გამოყენებულია როგორც ფქვილისაგან გამომცხვარი საკვები პროდუქტის (თავდაპირველი მნიშვნელობა), ისე პურობის, ნადიმის, ტრაპეზის მეორეული მნიშვნელობით; **დედ** ტექსტში დასტურდება როგორც ამოსავალი (“დედ-ღამის მზიანი ნაწილი”), ისე მეორეული სემანტიკით (“დრო, ხანი, ეპოქა”) და ა.შ.

ბ. ლექსიკის მეორე ჯგუფს ქმნიან ის სიტყვები, რომელთა გამჭვირვალე სტრუქტურა და/ან მოტივაცია ცხადად მიანიშნებს, რომ ამ სიტყვებს თავდაპირველად სხვა სემანტიკა ჰქონდათ, ტექსტში კი ისინი წარმოდგენილია მოგვიანებით შექმნილი მნიშვნელობით. მაგალითად: სიტყვა **სასყიდელი**, მისი მოტივაციიდან გამომდინარე, თავიდან ნიშნავდა იმას, რაც უნდა იყიდონ, ტექსტში კი ამ სიტყვის მნიშვნელობებია: “გასამრჯელო, გაწეული შრომის საფასური” და “ღეთისაგან მომდინარე ჯილდო”; სიტყვა **ცოფი**-ს ამოსავალი მნიშვნელობაა “გადამდეგი დაავადება, რომელიც სიკვდილს იწვევს”, ხანმეტ ტექსტში კი იგი აღნიშნავს “გიჟს, სულელს”; **მოდღვარი** თავიდან აღნიშნავდა მეგზურს, წინამძღოლს, საანალიზო ტექსტი კი წარმოგვიდგენს მის მეორეულ, რელიგიურ სემანტიკას: “მორწმუნე ქრისტიანის დამრიგებელი სასულიერო პირი”; **სიტყვა** ტექსტში გამოყენებულია მეორეული სემანტიკით (“მოდღვრება, თეორია”), თუმცა ამ ლექსიკურ ერთეულს დღემდე აქვს შემორჩენილი ამოსავალი მნიშვნელობა (“წინადადების შე-

მადგენელი ლექსიკური ერთეული”) და ა.შ.

საანალიზო ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკური ცვლილება გამოწვეულია ენაში რომელიმე ცნების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი სიტყვის არარსებობით, ე.ი. სემანტიკური ძვრების ერთ-ერთი მიზეზი ლექსიკაში არსებული “ცარიელი უჯრების” შევსების აუცილებლობა შეიძლება ყოფილიყო. მაგალითად, სახარების ოთხი ხანმეტი წიგნიდან არცერთში არ დასტურდება დედ-მამის განმაზოგადებელი ცნების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი სიტყვა *მშობელი*, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ხანმეტი სახარების შედგენის შემდეგ უნდა წარმოქმნილიყო *შობა* ზმნისაგან...

საყურადღებოა ისიც, რომ ხანმეტ ტექსტებში შეცვლილი სემანტიკით წარმოდგენილ სიტყვათა ერთმა ჯგუფმა მომდევნო საუკუნეებში დაკარგა პირველადი სემანტიკა და ამჟამად მხოლოდ მეორეული და მესამეული მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად: *ადღვომა* თავდაპირველად ნიშნავდა “ადგომას, წამოდგომას”, საქართველოში ქრისტიანობის მასობრივად გავრცელების შემდეგ მას გაუჩნდა ახალი მნიშვნელობები – “ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, გაცოცხლება” და “ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული”. დღეს ეს ფორმა იხმარება მხოლოდ რელიგიური მნიშვნელობებით; *მოდღარი* “მეგზური, წინამძღოლი” > “მორწმუნე ქრისტიანის დამრიგებელი სასულიერო პირი”. ამჟამად გამოიყენება მხოლოდ მეორეული მნიშვნელობით; *საყდარი* “დასაჯდომი, სავარძელი” > “ეკლესია”. დღეს აქვს მხოლოდ მეორეული სემანტიკა; *დაკრძალვა* “რისამე დაცვა, დარაჯობა; შენახვა” > “მორიდება” > “მიცვალებულის მიწაში დაფლვა”. სიტყვას შემორჩა მხოლოდ ბოლო მნიშვნელობა და ა.შ.

G. G v a n t s e l a d z e (Tbilisi)

**Results of Semantic Changes as Evidenced  
in Ancient Georgian Written Sources  
(According to *Khanmeti* Texts of the Gospel of Matthew)**

As we know, in the course of time vocabulary of any particular language tends to easily undergo semantic changes which are caused by various linguistic and extra-linguistic factors. The Georgian language is no exception in this respect.

The study of the history of semantic changes of language vocabulary provides valuable material which can be useful not only for the addressing of the issues related to historical semasiology, but also for the identification of the etymology of lexical units.

Centuries-old Georgian written sources provide unique opportunity to trace profound semantic shifts which have been taking place in the rich vocabulary of the Georgian literary language over the extensive period of its development. With this regard, the most ancient Georgian written sources are of special interest.

The paper analyses the issue of semantic changes basing upon one of such ancient written sources, namely a *Khanmeti* version of the Georgian translation of the Gospel of Matthew.

თ. გვანცელაძე (თბილისი)

**აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის შემოქმედების  
ძირითადი ეტაპები**

აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ (1911-2007 წწ.) განსაკუთრებული წვლილი შეიტანა XX საუკუნის ენათმეცნიერებაში. იგი ნაყოფიერად იკვლევდა ქართულ სამწიგნობრო ენასა და მის ტერიტორიულ ვარიანტებს (გურულს, აჭარულს, მეგრულს, ლაზურს,

სვანური ჯგუფის კილოებს), აფხაზურ-აბაზურ, ადიღურ, ყაბარ-დოულ და უბიხურ ენებს, ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებს. მის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ 213 სამეცნიერო ნაშრომში დასმული და წარმატებით გადაჭრილია უამრავი საკითხი დასახელებულ ენათა გენეტიკური ურთიერთობის, მათი ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკური პროცესების, მორფოლოგიური კატეგორიების, სინტაქსურ ურთიერთობათა და ლექსიკის ისტორიკო-ეტიმოლოგიის შესახებ; იგი იყო სამეცნიერო საქმიანობის ბრწყინვალე ორგანიზატორი, შესანიშნავი ლექტორი და ასპირანტთა თუ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა ხელმძღვანელი.

მეცნიერის ბიოგრაფია და მისი პუბლიკაციები საშუალებას იძლევა, პირობით გამოიყოს ქ. ლომთათიძის სამეცნიერო საქმიანობის სამი ეტაპი. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ეტაპებს.

**პირველ ეტაპად** უნდა დასახელდეს პერიოდი 1929-1937 წლებს შორის. მას **ქართველური დიალექტოლოგიის ეტაპი** შეიძლება ეწოდოს.

ეს მოსამზადებელი ეტაპი და, საზოგადოდ, მკვლევრის სამეცნიერო ბიოგრაფია იწყება 1929 წელს, როცა სრულიად ახალგაზრდა (18 წლის) ქეთევან ლომთათიძე წერს მოხსენებას “ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში”, რომელშიც მაღალ აკადემიურ დონეზე განიხილება საკითხი ქართული ენის ამ ორ დიალექტში ზმნის მესამე ობიექტური პირის ნიშანთა დისტრიბუციისა და ამ ნიშანთა გამოყენების წესის მიმართების შესახებ ხანმეტ ტექსტებში დადასტურებული შესაბამისი პრეფიქსების გამოყენების წესთან.

ქ. ლომთათიძის სამეცნიერო საქმიანობის **მეორე ეტაპი** მოიცავს 1937-1957 წლებს, რომელსაც პირობით **აფხაზურ-აბაზური ეტაპი** შეიძლება ეწოდოს. ამ ეტაპზე მეცნიერი ნაწილობრივ წყვეტს მუშაობას ქართველურ დიალექტოლოგიაში და ძირითადად იკვლევს აფხაზურ და აბაზურ ენებს: აკვირდება ცოცხალ მეტყველებას, იწერს სხვადასხვა შინაარსის ტექსტებს, კრებს დიალექტურ ლექსიკას, აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით იკვლევს აფხაზურ-აბაზური ენების დიალექტურ შედგენილობას, მათ ფონემატურ სტრუქტურასა და ფონეტიკურ პროცე-

სებს, სახელისა და ზმნის გრამატიკულ კატეგორიებს; აფხაზური სამწიგნობრო ენის ნორმირების პრობლემებს... ამავე ეტაპზე ქ. ლომთათიძე დროდადრო უბრუნდება ქართველოლოგიას და წერს რამდენიმე საყურადღებო ნაშრომს, აქტიურად მონაწილეობს ენათმეცნიერების თეორიული საკითხების შესახებ გამართულ ცნობილ დისკუსიაში. ქ. ლომთათიძის სამეცნიერო თვალსაწიერი კიდევ უფრო ფართოვდება და მეცნიერი იწყებს ადიღური და ყაბარდოული ენების მონაცემთა გადრმაგებულ კვლევასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ის ნაშრომები, რომლებშიც მეცნიერი წარმატებით ადგენს ქართულ, აფხაზურ-აბაზურ და ადიღურ-ყაბარდოულ ენათა გენეტიკური ნათესაობის დამადასტურებელ კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა ნაწილს, რითაც შექმნა მყარი მეთოდოლოგიური საფუძვლები ამ მიმართულებით კვლევის განგრძობისათვის.

ქ. ლომთათიძის შემოქმედების **მესამე ეტაპი – განმაზოგადებელი მუშაობის ეტაპი** იწყება 1958 წლიდან და გრძელდება მისი სიცოცხლის ბოლომდე. ამ ეტაპზე მეცნიერი ადრე დაგროვილი ქართველური და აფხაზურ-ადიღური ემპირიული საკვლევი მასალის საფუძველზე იწყებს გადრმაგებულ სისტემურ მუშაობას ქართველური ენობრივი კონტინუუმისა და აფხაზურ-ადიღურ ენათა გენეტიკური ნათესაობის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით. ამ მეტად მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად მეცნიერს უკვე ბევრი რამ უწყობდა ხელს: ღვთისაგან ბოძებულ ნიჭთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენობრივი მასალის ღრმა ცოდნა, ამ მასალის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი კვლევის საფუძვლიანი გამოცდილება, აგრეთვე თეორიული ენათმეცნიერების ღრმა ცოდნა და სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა.

მესამე ეტაპზე მეცნიერის კვლევითი თვალსაწიერი ძალზე გაფართოვდა. წინა ეტაპებზე შერჩეულ საკვლევ მიმართულებებს დაემატა აწ უკვე გამქრალი უბიხური ენის სტრუქტურა და ისტორია, აფხაზურ-აბაზური და ქართველური მორფოლოგიური პარალელები, აფხაზურ-ადიღური ფონეტიკური და მორფოლოგიური პარალელები, ჯგუფსშიდა ბგერათშესატყვისობანი აფხაზურ-ადიღურ

ენებს შორის, ბგერათშესატყვისობანი აფხაზურ-ადიღურ ენებსა და ქართულს შორის, ქართველური და აფხაზურ-აბაზური ლექსიკის სემანტიკური და სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი, ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირების პრობლემები, მწერლის ენის თავისებურებანი და ა.შ.

T. G v a n t s e l a d z e (Tbilisi)

### **Main Stages of Scientific Activity of Academician Ketevan Lomtadze**

Academician Ketevan Lomtadze (1911-2007) made a remarkable contribution to the linguistics of the 20<sup>th</sup> century. She fruitfully researched the Georgian literary language and its territorial versions (Gurian, Adjarian, Megrelian dialects, the Laz language, sub-dialects of the Svan group), Abkhaz-Abaza, Adyghean, Kabardian and Ubykh languages, topical issues of general linguistics.

Over two hundred works published during her lifetime address numerous issues connected to genetic interrelations of above-mentioned languages, their phonological systems, morphological categories, vocabulary, history and etymology, *etc.*

The paper reviews three main stages of the scholar's biography and scientific activity in further detail.



ქ. გ ი გ ა შ ვ ი ლ ი (თელავი)

### **წოვათუშური ენის საფრთხის დონე**

წოვათუშური ენა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის წევრია, ბილინგვურ გარემოში რეალიზდება ქართული ენის დომინანტობის პირობებში. ასეთი ლინგვისტური სივრცე კი აუცილებელი პირობაა ისეთი ენობრივი პროცესის დაწყებისა, როგორცაა ენის გადართვა. სწორედ ამ დროსაა შესაძლებელი, მცირე ეთნიკური ჯგუფის ენა გაბატონებული ჯგუფის ენაზე გადაერთოს.

გადართვის პროცესში ენა ყოველთვის იმყოფება საფრთხის ამა თუ იმ სტადიაში. ლინგვისტთა მიერ შემუშავებულ ჩარჩოს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში 5-ს, ზოგჯერ 6-ს და უფრო მეტ დონესაც მოიცავს, საფუძვლად მოსაუბრეთა ასაკი უდევს: ფიშმანის მიერ მიგნებულ თეზას – თუ მშობლების მიერ ენა აღარ გადაეცემა მომავალ თაობას, ის კვდება – შედარებით ზუსტად შეუძლია განსაზღვროს ენის სიცოცხლისუნარიანობა.

კვლევის მიზანი გადართვის პროცესში მყოფი წოვათუშური ენის საფრთხის დონის განსაზღვრაა. ეს ენობრივი ერთეული ერთადერთი სოფლის – ზემო ალვანის – მოსახლეობის კუთვნილებაა. სოფელი კახეთში, კერძოდ, ახმეტის რაიონში, მდებარეობს. სოფლის მოცულობამ (მისი ტერიტორია სულ 9 ძირითად ქუჩადაა დაყოფილი) საშუალება მოგვცა, კვლევა გვეწარმოებინა არა მასობრივი გამოკითხვის მეთოდით და შემდეგ მიღებული შედეგების განზოგადებით, როგორც ფართოდაა მიღებული სოციოლოგიაში დიდ გეოგრაფიულ სივრცეებში კვლევის დროს, არამედ ჩაგვეტარებინა ფაქტობრივი აღწერა სოციოლინგვისტური მიზნებისთვის, რაც დღემდე წოვათუშ მოსახლეობაში არ განხორციელებულა.

შევისწავლეთ ენის ცოდნის დონე წოვათუშ მოსახლეობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლიდან წასული ხალხის შესახებ დარჩენილ მოსახლეობას

ზუსტი ინფორმაცია არა აქვს მათი ოჯახების წევრთა რაოდენობისა და ენის ცოდნის დონის შესახებ, ბუნებრივია, მონაცემები ვერ იქნება აბსოლუტური სიზუსტის შემცველი – იგი მხოლოდ რეალობასთან მიახლოებულ სურათს წარმოგვიდგენს.

გამოვლინდა, რომ ზემო აღვანის მოსახლეობა წინა წლებთან შედარებით საკმაოდ შემცირებულია. სოფელში ამჟამად დაახლოებით 710 ოჯახი აღიწერა, რომელთა წევრთა რაოდენობაც დაახლოებით 2620 კაცს შეადგენს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დსთ-ს ქვეყნებში, ჩრდილო კავკასიაში, ევროპასა და ამერიკაშია გაბნეული. მიგრირებულნი არიან როგორც ოჯახის ცალკეული წევრები, ისე მთელი ოჯახები.

ენის ცოდნის დონე მოსახლეობაში 5 კრიტერიუმის ფარგლებში მონაცვლეობს.

მათ ენა იციან: 1. ძალიან კარგად; 2. კარგად; 3. საშუალოდ ან: 4. ესმით, ვერ ლაპარაკობენ; 5. არ იციან.

ასაკობრივი ჯგუფები 4 კატეგორიის მიხედვით განვსაზღვრეთ, რომელთაგან თითოეული ერთ თაობას მოიცავს:

1. 60 წელი და ზემოთ (დიდი ბებია-ბაბუების თაობა)
2. 40-დან 60 წლამდე (ბებია-ბაბუების თაობა)
3. 20-დან 40 წლამდე (მშობლების თაობა)
4. 20 წლამდე (ბავშვები და მოზარდები)

ყველაზე დიდი სიხშირით კარგად მცოდნეთა და არმცოდნეთა რაოდენობა დაფიქსირდა. გამოირკვა, რომ წოვართუშური ენა ძალიან კარგად იცის მოსახლეობის 3.6%-მა, კარგად – 38.9%-მა, საშუალო დონეზე – 11%-მა, ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს 15.9 % და არ იცის 30.6%-მა. 20 წლამდე ასაკის თაობაში ენა ძალიან კარგად არავინ იცის, ხოლო კარგად – მთელი მოსახლეობის 0.4%-მა. კარგად მცოდნეთა უმრავლესობა 40 წლის ზემოთაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თაობათაშორისი წყვეტა თუშური ენის შემთხვევაში უკვე

ფაქტია – მშობლები შვილებს აღარ გადასცემენ მშობლიური ენის ცოდნას. საშუალო დონეზე მცოდნეთა დიდი უმრავლესობა – 49.7% – 20-დან 40 წლამდე ასაკისაა. ასეთივე უმრავლესობას – 55.5%-ს – წარმოადგენს ეს თაობა მათ შორის, ვისაც ესმის ენა და საუბარი არ შეუძლია.

შუა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ენა ძირითადად არ იციან შერეული ოჯახის წევრებმა (80 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც წოვათუშმა მამაკაცმა არ იცის ენა). თუ დედა არაწოვაა, იშვიათია, რომ შვილებმა ენა იცოდნენ. თუ შუა ასაკის მშობლებმა კარგად იციან ენა, შვილებმა ძირითადად არ იციან, ან ესმით და ვერ ლაპარაკობენ.

ასე რომ, დღეს წოვათუშურ ენაზე ლაპარაკობს მხოლოდ ბები-ბაბუების თაობა და უფრო ასაკოვანები. მშობლებს შეიძლება ჯერ კიდევ ესმით ენა, მაგრამ შვილებს აღარ ესაუბრებიან მასზე. ეს უკანასკნელნი მას აღარ სწავლობენ, როგორც დედაენას. მოსაუბრეთა ასაკი არის 40-45 წელი და ზემოთ. ცხადია, მცირეა ენის ფუნქციონირების სფეროები. იგი არ გამოიყენება სახელისუფლებო უწყებებში, პოლიტიკურ თუ კომერციულ ცხოვრებაში, ეკონომიკურ ურთიერთობებში, განათლებასა და მასმედიაში. თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ თუშური ენის საფრთხის დონე სერიოზულია.

K. G i g a s h v i l i (Telavi)

### **Danger Level for Tsova-Tush Language**

The Tsova-Tush language belonging to the Nakh group of the Ibero-Caucasian language family is realized in bilingual environment under the conditions of the dominance of the Georgian language. Such linguistic environment inevitably causes the phenomenon known as the language shift. At this precise moment the language of a minor ethnic group may shift to that of the relevant dominant group.

In process of shift, each particular language is exposed to certain level of danger. The age of speakers is the basis for the framework developed by linguists in order to assess danger level for minority languages. Such framework may include 5, sometimes 6 or even more levels.

The paper deals with the results of the research conducted in order to identify the danger level for the Tsova-Tush language which is in process of shifting. The research was conducted in the village of Zemo Alvani, located in the Akhmeta Region of Kakheti, Georgia. The research was based on the inquiry of the local Tsova-Tush speaking population. The results of the inquiry are shown and analyzed in the paper proper.

ლ. გიგლემიანი, მ. საღლიანი,  
ნ. შავრეშიანი (თბილისი)

### **სვანური ფრაზეოლოგიზმები სხვა ქართველურ ენათა ფრაზეოლოგიზმებთან შედარებით**

სვანური ენა, სხვა ქართველური ენების მსგავსად, მდიდარი და მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით გამოირჩევა. აქ ბევრი რამ არის საერთო, მაგრამ სპეციფიკური, და მხოლოდ ცალკეული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიც შეინიშნება.

1. ზოგჯერ გვაქვს **ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფრაზეოლოგიური გამონათქვამების)** როგორც სიტყვიერი შემადგენლობის, ისე სემანტიკური თანხვედრა. ეს თანხვედრა შეიძლება გვქონდეს სამივე ენობრივ ერთეულში, მაგ.:

**ნენემ კაცხუი მან** (ბქ.) „ენის წვერზე მადევს“ (თითქოს მაგონდება, მაგრამ ვერ ვისხენებ), შდრ. მეგრ. დიალ. **ნინას გებძუ** „ენაზე მადევს“

**საფლანჟს ხობგრჯე** (ბქ.) „სამარეს („საფლავ-ს“) უთხრის“ (დალატობს, საფრთხეს უქმნის), შდრ. მეგრ. დიალ. **სამარეს უნთხორუნს** „სამარეს უთხრის“

**კინჩხუი ხახუ ნომა ემჭკორა!** (ლშხ.) „ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი“, შდრ. ქართ. კისერზე ხახვი არ დამაჭრა! და მეგრ. დიალ. **ცუჯიშა ხვარხვი ვეგმოჭკირას** „ყურებზე ხახვი არ დამაჭრას“

**უმკუთეთ ბულოთი ლიყუბე** (ბზ.) „გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა“, შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა („ჩატენვა“) და მეგრ. დიალ. **პიჯი გემჭკალუ** „გამაჩუმა („პირი ამომიჭედა“)“

**გიმუი ჭიშხს დემ იგემ** (ჩოლ.) „მიწას ფეხს არ აკარებს“ „ამაყია“, შდრ. მეგრ. დიალ. **დიხაშა ვე გუბიჯგუ კუჩხი** (ზედმიწ. — მიწაზე არ უდგას ფეხი) „ამაყია“ და ა. შ.

ან ორში მაინც:

ქართ. **გული დაეწვა**, შდრ. მეგრ. დიალ. **გურქ ქელაჭუ** „გული დაეწვა“

ქართ. **ამ ქვეყნისა არ არის** „მომაკვდავია“, შდრ. მეგრ. დიალ. **თე ქიანაშ ვა რე** „მომაკვდავია“

ქართ. **ქვეყანა დააქცია** „გაბრაზდა“, შდრ. მეგრ. დიალ. **ქიანა დოტატარუ** „გაბრაზდა“ (ზედმ. ქვეყანა დააქცია)

სვან. **კროხ დადუშალ ციაგე** (ჩოლ.) „მოუსვენრობს“, შდრ. მეგრ. დიალ. **მასქუალ ქოთომცალო ვეგიაცადინე** (ზედმიწ. — კვერცხმდეები ქათამივით ვერ ჩერდება) „მოუსვენრობს“ და ა. შ.

2. სემანტიკური თანხვედრა შეიძლება იყოს, მაგრამ სიტყვიერ შემადგენლობაში იყოს სხვაობა (ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას ჰქონდეს ადგილი), მაგ.:

**დაგრაშ პილს ლახბეკ** (ბქ.) „სიკვდილის პირას მიიყვანა (ზედმიწ. — სიკვდილის პირ-ს მიაბჯინა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **ოღურუ კარიშა მეცონაფა** (ზედმიწ. — სიკვდილის კარამდე||პირამდე მიყვანა)

**ნესყამეფტაქა ლიზი** (ბქ.) „მონდომება, მიზნის მისაღწევად ძნელი საქმის ვაკეთება (ზედმიწ. — ნემს-გახვრეტილში სვლა)“, შდრ. ქართ. ნემსის ყუნწში გაძრომა, შდრ. მეგრ. დიალ. **ლიშიშ წვანდის გითილენს** „ნემსის ყუნწში გაძვრება“, **დიხაშ გურშა გენურს** „მიწის გულში ჩაძვრება“, **ქუას გორხუნს** „ქვას გახვრეტს“

**ხოჩა დოშდულუი ლგთაჟ** (ბქ.) „ბედნიერი (ზედმიწ. — კარგ მთვარე-ზე დაბადებული)“, შდრ. ქართ. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული და მეგრ. დიალ. **ბედინერ დლაშ დუნაბადი** „ბედნიერი დღის დაბადებული“.

**ჩხარა თაკუქა ნასკინ ზურალ** (ბქ.) „ცუდი ყოფაქცევის ქალი (ზედმიწ. — ცხრა თოკ-ზე ნახტომი ქალი)“, შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი, ცხრა თოკიდან აშვებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვრა“

**შდიქ-ლეღუთის იყუფე** „ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — კბილ-სა-გულ-ე-ს იძრობს)“, შდრ. ქართ. კბილებს იყრევენებს და მეგრ. დიალ. **კიბირს უწკირწკინუნს** „კბილებს აღრჭიალებს“

**ენა ჭგუხრე ნაბარდ დემეგ ხაჯემ** (ბქ.) „ყოვლად უღირსია, უვარგისია (ზედმიწ. — იმის ფეხების ნა-ბან-ად არ ღირს)“, შდრ. ქართ. იმის ხელის ნაბანად არ ღირს და მეგრ. დიალ. **ნარჩინა ვადირუ** „ნარცხად არ ღირს“, **კუჩხიშ ნაბონაშა ვა ღირუ** „ფეხის ნაბანად არ ღირს“ და სხვ.

3. სვანურში წარმოდგენილია ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა, რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება, მაგ.:

**თხერემ გუერაჟი ლგპრისდე** „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი...“ (ზედმიწ. — მგლის ტყავზე მონათლული), პარალელურად გვხვდება **თხერე ლგპრისდე** ფორმაც (ანუ მგელი მონათლული), შესაძლოა ქართული „მგელს სახარებას უკითხავდნენ“ გამოთქმის ანალოგიით იყოს შექმნილი, თუმცა სტრუქტურულ-სემანტიკურად სრულიად განსხვავებულია.

**ძულჟაშ მელ ამჩესუნე** „გამაწამა, გამაწვალა“ (ზედმიწ. — ზღვის ბალახი მომადოვინა)

**სადარ-კულდარ ჭაჭარლეჟა ხაჯიდ** „გალანძლა, გათათხა (ზედმიწ. — ლანძღვა (?) ზურგს ქვემოთ დაარტყა)“

**ქჟინ ყიას მეშან** (ბქ.) „ბევრი საქმე მაქვს, გაწამებული ვარ (ზედმიწ. — სული ყელს მასხია)“

**ყაბარდმაშ მუხჟიტან** (ბქ.) „ავი, ცუდი ზნის (ზედმიწ. — ყაბარდოს ამომწყვეტი)“

**მეცხი-ათუაშ ლიქჟენე** (ბქ.) „ხელისგულზე ტარება, განებივრება, კარგი პირობების შექმნა (ზედმიწ. — ცივ-ცხელის გაგრილება)“. გვხვდება სხვა მნიშვნელობითაც, მაგ.

**მეცხი-ათუაშ ლივდე** „შიშისაგან გაჟრჟოლება, ცივ-ცხელების მოგვრა (ზედმიწ. — ცივ-ცხელის მოტანა)“

**გემლარლეჟა ნამტრუკჟალ** (ბქ.) „ცელქი, მოუსვენარი (ზედმიწ. — გემლარ-<sup>1</sup>ს<sup>1</sup> ზემოთ ნაკუნტრუშები, შდრ. ქართ. „მუტრუკ-ი“)“

**ათხეა უიცხილდ ზაგარჟიოლჟ ქუქჟუნს** (ბქ.) „ისემც გიქნია, მოუსვლელშიმც წასულხარ (ზედმიწ. — ახლაც ვიცხილდ ზაგარზემც ჩაცუცქულხარ)“

**ნამპარდ ლიგენე** (ლნტ.) „თავის გაპობა (ზედმიწ. — ლამპრ-ად დადგ-მ-ა)“

**ფისეგარგასისგ'ოლჟ ხარ ლაქუნ!** (ბქ.) „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. — მდულარე ფის-<sup>1</sup>ში<sup>1</sup>-მც აქვს სასულეთი!)“!

**წინაღდ ი წირკამაღდ ლიბლრკე** (ბზ.) „სრულიად მოსპობა, განადგურება“

**დეც აშდე ლი** (ბზ.) „მოღრუბლულია (ზედმიწ. — ცა მაკე არის)“

**ემხუ თე ლაფსყალდთე ხულჟა** (ბქ.) „ელამია (ზედმიწ. — ერთი თვალ-ი ლაფსყალდ-<sup>რის</sup>-კენ აქვს)“

**ყაბლაჭმინაშ ნალჟჟურ** „ახალგაზრდა ბიჭი (ზედმიწ. — წვერმოსასმელი ნა-ვაჟ-ეგ-ი)“ და მრავ. სხვ.

სხვა ქართველურ ენებშიც გვხვდება მხოლოდ ამა თუ იმ ენობრივი ერთეულისთვის დამახასიათებელი იდიომი (მაგ.: ქართ. **ქვა ააგდო, თავი შეუშვირა** „იუარა“, **კული ყავარზე აქვს გაღებული** „ამაყია“, **დარჯაკში გამოივლის**||**დარჯაკში გატარდება** „დიდ გამოცდილებას მიიღებს, გამოიწრთობა“...; მეგრ. დიალ. **პობორ ქიჩანუ** „გაბრაზდა (ზედმიწ. „ტალდა გამოისხა)“, **ფურკი ქიმეჩუ** „შეუტია, გაუხურა (ზედმიწ. „ბოლი მისცა)“, **გერიშ გიმახვენჯი** „ყველაფერზე წამსვლელი (ზედმიწ. „მგელზე მჯდომი)“, **ფსუა ელატახილ ქოთომცალო გილურს** „მარტოხელაა (ზედმიწ. „ფრთა მოტეხილი ქათამივითაა)“, **გურს გენია მონტებული** „შეყვარებული“ (ზედმიწ. „გულს ცეცხლწაკიდებული“) და ა. შ.

4. საკვანძო სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით ქართველურ ენებს აერთიანებთ გულ სიტყვის ყველაზე ხშირი ხმარება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.:

**ამშა ჯაჟრდ გუი ემხიპ** (ჩოლ.) „გული მომიკლა (ზედმიწ. — **გულ-ი** გამიხეტქა)“, შდრ. ქართ. **გული მომიკლა** და მეგრ. დიალ. **გურ დომვილუ** „გული მომიკლა“

**გურიშ ელაფა** „გულის აცრუება (ზედმიწ. — **გულ-ის** ავარდნა)“, შდრ. ქართ. გულის აცრუება

**გუი ოხვად** (ჩოლ.) „გაბრაზდა (ზედმიწ. — **გულ-ი** მოუვიდა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურიშ მოჟონაფა** „გაბრაზდა (ზედმიწ. — **გულ-ი** მოიყვანა)“

**გუიმი კჟაშა|კჟეშა** (სვან.) „გულის წყვეტა (ზედმიწ. — **გულ-ი** <sup>რ</sup>ტეხვა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურიშ გოტახუა** „გულის წყვეტა (ზედმიწ. — **გულ-ის** გატეხვა)“ და სხვ.

მოხსენებაში დახასიათებული იქნება ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც სტრუქტურისა და სემანტიკის, ასევე მათი ფუნქციისა და წარმომავლობის თვალსაზრისით.

L. G i g l e m i a n i, M. S a g l i a n i,  
N. S h a v r e s h i a n i (Tbilisi)

### **Svan Phraseologisms in Comparison with the Phraseologisms of other Kartvelian Languages**

Like other Kartvelian languages the Svan language is distinguished by rich and varied phraseologisms. There is much in common, though specific peculiarities, characteristic of an individual language are noticeable.

1. In some instances there is coincidence of both: structure and meaning of a phraseological unit. This coincidence may occur in all three languages; e. g.:

**nənem k̄äcxži m̄az** (LB) "It is on the tip of my tongue" ("I'm almost recalling, but I can not remember), cf.: Megr. dial. **ninas gebzu** "It is on my tongue";

**saplāws xobərʒe** (LB) "He/She digs smb a grave" ("He/She betrays smb/snth.), cf. Megr. dial. **samares untxoruns**;

**k̄inčxži xaxw noma emčkora!** (Lushkh) "Don't try and scare me", cf. Georg. **kiserze xaxvi ar damaçra** "Don't cut onion over my neck" and Megr. dial. **'užiša xvarxvi vegmočkiras** "Don't cut onions over my ears".

This coincidence may occur in only two languages; e. g.:

Georg. **guli daeçva**, "He/She is sorrowfull" cf.: Megr. dial. **gurk kelaçu**;

Georg. **am k̄tveqnisa ar aris** "He/She is dying", cf.: Megr. dial. **te kanaš va re**;

Georg. **kveqana daakcia** "He/She got very angry", cf.: Megr. dial. **kiana doṭaṭaru** (literally "He/She destroyed the world").

2. In other instances phraseological units have similar meanings but different structures;

e. g.:

**dagraš pils laxbeḱ** (LB) "He/She is at death's door" cf.: Megr. dial. **oyuru ḱariša me'onapa**.

**nesqameṭṭaka lizi** (LB) "desire, to do difficult things for achieving a goal" (literally "to walk through a needle's hole", cf.: Georg. **nemsis quñçši**



**gažroma** "to spare no effort", cf.: Megr. dial. **lišiš čvandis gitilens** "He/She will move heaven and earth", **dixaš gurša genurs** "He/She will be hauled over the coals", **kuans gorxuns** "He/She will split a stone".

3. There are many idiomatic expressions in the Svan language which are not registered in other Kartvelian languages, e. g.:

**txerem gwerazi ləprisde** "pitiless, ruthless, evil, bad-tempered (literally "baptized on a wolf's skin"), the form **txere ləprisde** also exists (or "a baptized wolf"). This expression could be analogous to Georg. **mgels saxarebas uk̕itxavdnen** "They read the Gospel over a wolf", ("talking to the deaf"), though structurally and semantically it is different;

**guywaš mel amčexwne** "He/She tormented, exhausted me" (literally "He/She made me to graze sea-grass").

**kwin qias mešan** (LB) "I have much to do, I'm tired of it" (literally "My soul is in my throat", "My heart is in my mouth").

**dec ašdke li** (UB) "It is cloudy" (literally "The sky is pregnant").

There are idioms characteristic of only this or that language in other Kartvelian languages as well (e. g.: Georg. **kva aagdo, tavi šeušvira** literally "he/she threw up a stone and pointed a head" "he/she refused"; **ḡudi qavarze akvs gadebuli** literally "he/she has a tail on a shingle" – "he/she is very proud"; Megr. dial. **popor kičanu**: "he/she got angry (literally "he/she grew a wave", **guriš gimaxvenži** "he/she can do everything, he/she buys and sells smb." (literally "one who sits on a wolf"), **gurs genia montebuli** "he/she is up to the ears in love" (literally "his/her heart has caught fire") and others.

4. From the standpoint of using a key word the Kartvelian languages often use the word **gul** "heart" in idiomatic expressions, e. g.:

**amša žawrd gwi emxip** (Chol.) "he/she broke my heart, I'm heart-broken" (literally "he/she burst my heart"), cf. Georg. **guli momiḡla** and Megr. dial. **gur domvilu** "he/she killed my heart".

**guriš elapa** "loosing interest (in)" (literally "his/her heart jumped up"), cf. Georg. **gulis acrueba** – "loosing interest (in)".

**gwimi ḡwaša // ḡweša** (Svan.) "to hurt smb's feelings", (literally "to break one's heart"), cf.: Megr. dial. **guriš gotaxua** and others.

The paper will discuss the phraseologic entries from structural and semantic viewpoint as well as their function and origin.

ე. გ. ი. უ. ნ. ა. შ. გ. ი. ლ. ი. (თბილისი)

### ირანული ნასესხობების კვლევისათვის ფერეიდნულში

ფერეიდნული კილო უნიკალურია სხვა ქართველურ კილოებს შორის, რადგან მოწვევტილია მშობლიურ გარემოს, მონათესავე კოლოებს, სალიტერატურო ენას და მაინც განაგრძობს არსებობას ოთხი საუკუნის განმავლობაში. ფერეიდნულის მიხედვით შესაძლებელია “გავითვალისწინოთ, თუ რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტური ყოფის ტენდენციები და როგორ მოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო” (ა. ჩიქობავა).

უცხო ენობრივი გავლენები (სპარსულის, ლარის, თურქულის, სომხურის) ფერეიდნულზე განეკუთვნება ინტერფერენციის რთულ სახეობას, რომელიც მოიცავს მისი ენობრივი სისტემის ყველა დონეს (ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს და სხვ.).

მეტად საინტერესოა ირანული ნასესხობების კვლევა ფერეიდნულში. დღეისათვის არსებული ტექსტობრივი მასალის მიხედვით შესაძლებელია ირანული (ანუ, საკუთრივ სპარსული, სპარსულ-არაბული და სხვა ირანული დიალექტებიდან მომდინარე) ლექსიკის სისტემური შესწავლა და მისი, როგორც საკუთრივ ფერეიდნულისათვის დამახასიათებელი შეთვისების დინამიზმის – მორფო-ფონოლოგიური ადაპტაციების, გრამატიკული გაფორმების, სემანტიკური ცვლილებების გამოვლენა.

მოსენებაში წარმოდგენილია სალიტერატურო ქართულთან შედარებით ფონეტიკურად და სემანტიკურად განსხვავებული ირანული ლექსემების (შდრ. ფერეიდ. *ფასოხი*, ქართ. *პასუხი*, ფერეიდ. *ქაღაზები* – “წერილები”, ქართ. *ქაღალდი*; ფერეიდ. *ხაიში* – “თხოვნა”, ქართ. *ხოში*) და ასევე ირანული კალკებისა (შდრ. *ყურბანი ვიყო შენი* – ქართ. *გენაცვალე; თამბაქოს ზიდვა* – ქართ. *თუთუნის მოწვევა* და სხვ.) და ნახევრად კალკების (შდრ. *ყარარის დადება* – ქართ. *პირობის დადება; ახლის ქნა* – ქართ. *საქორწინო შეთანხმება* და სხვ.) დისტრიბუციული ანალიზი ფერეიდნულში.

H. G i u n a s h v i l i (Tbilisi)

### **Studies on Iranian Borrowings in Fereidanian Dialect**

To the west and south-west of Isfahan lies a region named Fereidunshahr (Fereidan), 10 to 12 villages of which are fully or partially populated by descendants of the Georgians deported in the first quarter of the 17<sup>th</sup> century from Eastern Georgia by Shah Abbas I. Their general self-designation is Fereidanians.

Since the end of the 19<sup>th</sup> century specialists have been studying the history and mode of life of the Fereidanians. These issues were dealt in works of Georgian and foreign scholars - L. Aghniashvili, A. Chelidze, Z. Chichinadze, P. Oberling, M. Sepiani, Z. Sharashenidze, G. Chipashvili, B. Rezvani.

As for the linguistic side of the problem, it was already noted in 1927 that “deprived of links with other dialects and absolutely free from the influence of literary Georgian, the Fereidanian dialect holds an essentially unique position among the Georgian dialects ... through it one can conceptualize the form Georgian speech will assume when exposed to an alien language setting, how the characteristic tendencies of its immanent essence will unfold, and what influence of foreign language environment will have on it” (A. Chikobava).

Publication of Fereidanian texts carried out during the last two decades makes it possible to examine this dialect diachronically, offering new conceptions on its historical development.

From this point of view, Iranian borrowings present a special interest. Existing textual material enables systematic research of Iranian lexis in all its dynamism, revealing aspects of morpho-phonological adaptations, grammatical shaping and semantic alternations.

The paper presents distributional analysis of several Iranian loan-words in Fereidanian, being distinguished phonetically and semantically from the literary Georgian forms (cf. Fereid. *pasoxi* “an answer”, Georg. *p’asuxi*, Fereid. *qagazebi* “letters”, Georg. *qagaldi* “paper”). Some of complex verbal calques as well as partial calques are also considered (Fereid. *tambaqos zidva* “to smoke” – Georg. *tutunis motseva*; Fereid. *axdis qna* “to make a wedding act” - Georg. *saqortsino shetanxmeba*).

გ. გოგოლაშვილი (თბილისი)

### **სვანური ენის დიალექტური დაყოფისათვის**

როგორც ცნობილია, სვანური ენის დიალექტური დაყოფა ეფუძნება სამ ფონეტიკურ პროცესს: ხმოვანთა სიგრძეს, უმლაუტსა და რედუქციას. ყველა ეს ნიშან-თვისება დამახასიათებელი არის მხოლოდ ერთი დიალექტისთვის – ბალსჰემოურისათვის. დანარჩენი სამი დიალექტის – ბალსქემოურის, ლენტეხურისა და ლაშხურის – სიტუაცია განსხვავებულია.

ბოლო ხანს სამეცნიერო ლიტერატურაში ჩოლურული იქნა გამოყოფილი როგორც მეხუთე დიალექტი. ჩოლურულს ახასიათებს სამივე ფონეტიკური პროცესი. სტატიაში მეხუთე დიალექტის გამოყოფა მიჩნეულია სადაოდ და მიუღებლად, რადგან ის ეწინააღმდეგება სვანურის დიალექტური დაყოფის ფონეტიკურ პრინციპს და აქცევს ჩოლურულს და ბალსჰემოურის იდენტურად. თუ ჩოლურულს მივიჩნევთ სვანურის დამოუკიდებელ (მეხუთე) დიალექტად, მაშინ უნდა შეიცვალოს სვანურის დიალექტური დაყოფის ფონეტიკური პრინციპი.

G. G o g o l a s h v i l i (Tbilisi)

### **On the Dialectal Division of Svan**

As we know, the dialectal division of Svan is based upon three phonetic phenomena: the length of vowels, umlaut and reduction. All three features are characteristic of only one dialect – Upper Bal. The situation in other three dialects: Lower Bal, Lentekhian and Lashkian is different.

Cholurian has recently been singled out as the fifth dialect as it is characterized by all three phonetic phenomena. The paper considers the fact controversial and unacceptable because it contradicts the phonetic principle of

dialect division in Svan and makes Cholurian and Upper Bal identical. If Cholurian is considered a separate dialect in Svan, some other principle of Svan dialect division should be looked for.

ლ. ე ზ უ გ ბ ა ი ა (თბილისი)

**უთუმისნიშნო ზმნათა პარადიგმები ქართული ენის  
მართლწერის შემმოწმებელი კომპიუტერული  
პროგრამის მიხედვით**

ზმნის მოდელირების კონცეპტუალური საფუძველია პროფ. თედო უთურგაიძის თვალსაზრისი, რომლის ძირითადი პოსტულატები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ქართულ ზმნას აქვს 12 მწკრივი; ორპირიან აქტივს აქვს 32 პარადიგმატული ერთეული ერთი მწკრივის ფარგლებში; ზმნის ყველა გრამატიკული კატეგორია უდლების კატეგორიაა; უდლების მორფოლოგიური ტიპების შიგნით მორფონოლოგიური ქვეტიპები გამოიყოფა; საუდლებელი ფუძე საერთოა კაუზატივის, გვარისა და ვერსიის ყველა სახეობის პარადიგმისათვის.

ზმნის კომპიუტერული მოდელირების საწყის ეტაპზე მოცემული იყო უდლების 21 მორფოლოგიური ტიპი აქტიური ზმნების მიხედვით. ამოსავალი იყო თემა, კაუზაციის სახეობა, ფუძის გახმოვანება (თ. უთურგაიძე). დღეისათვის ამ 21 მოდელის ფარგლებში გამოყოფილია 496 მორფონოლოგიური ტიპი, რაც შეპირობებულია მკაცრად ფორმალიზებული მიდგომით. კერძოდ, ქართული ზმნის მოდელირება ვერ გასცდება ზოგად ყალიბებს და მთელი რიგი კერძობითი მოვლენა თუ თავისებურება განზე დარჩება, თუ არ მოხდა ყოველი ზმნური ფუძის გაანალიზება ყველა გრამატიკული კატეგორიის მიხედვით. კომპიუტერულმა პროგრამამ უნდა შეძლოს, ერთი მხრივ, მოცემული ზმნური ფორმის ანალიზი, მეორე მხრივ, სინთეზი, ანუ კონკრეტული ზმნური ძირისთვის ყველა შესაძლო პრეფიქს-სუფიქსის შერჩევა და

რეალიზებულ თუ პოტენციურ ფორმათა გენერირება. ამგვარი მიდგომა საკითხს შემდეგნაირად სვამს: ერთი რომელიმე ზმნის უღლების პარადიგმაში სხვა ზმნური ფუძის ჩანაცვლებით გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებაც კი საფუძველია ახალი პარადიგმის გამოყოფისა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ტექნიკური ფაქტორი: უღლების პარადიგმების პროგრამირებისას ყოველი ალგორითმი თუ ფორმულა ისე იწერება, რომ ის ორიენტირებულია ერთი ელემენტის/ მორფემის ცვლაზე მისი სემანტიკური თუ ლექსიკური მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად. ანუ ის, რაც ენაში კოგნიტურ დონეს განეკუთვნება, კომპიუტერულ მოდელირებას ჯერჯერობით არ ექვემდებარება. ეს თვალნათელი გახდა ქართული ზმნის მოდელირების პირველსავე ეტაპზე. ამჯერად ამ საკითხს გავაანალიზებთ უთემისნიშნო ზმნების მიხედვით.

კლასიკური დახასიათება უთემისნიშნო **წერ-ს** ტიპისა ასეთია: ზმნურ ფუძეს არ ერთვის თემის ნიშანი, არ იცვლება ფუძის გახმოვანება. არის ორპირიანი ნეიტრალური კაუზაციის, გახმოვანებული ფუძის მქონე; წვევტილში სუბიექტი აღინიშნება -ა სუფიქსით; აქვს პრეფიქსული კონვერსიული პასივი. მედიუმში არ ეწარმოება. ის არის მეორადი კაუზაციის საყრდენი ფუძეც.

ქველისა და სხვა ნორმატიულ ლექსიკონთა მიხედვით აღნუსხულ უთემისნიშნო ზმნათა რაოდენობა 22 ერთეულს არ აღემატება. მაგრამ ისინი ზემოთ მოცემულ მახასიათებლებს სრულად არ აკმაყოფილებენ. შესაბამისად, კომპიუტერულ ანალიზატორში ისინი გადანაწილდნენ რამდენიმე მორფონოლოგიურ ტიპად.

1 = კლასიკური ტიპი: **წერ-ს, ბან-ს, წოფ-ს...** როგორც წესი, მათ აქვთ დიდი პარადიგმა, ანუ გაერთიანებულია გვარისა და ქცევის ყველა შესაძლო ფორმა.

1.1 =სამპირიანი ფორმები **სწერს** და **სწოფს** ტიპისა, რომელსაც მხოლოდ მცირე პარადიგმა, ანუ მოქმედებითი გვარის ნეიტრალური ქცევის ფორმები ეწარმოება, დამოუკიდებელ მორფონოლოგიურ მოდელს წარმოადგენს.

1.2 = **აწერს** საზედაო სიტუაციის მცირე პარადიგმაც დამოუკიდებელი მოდელია.

2 = **ჭამ-ს** ზმნა: კონვერსიული პასივის წარმოებისას ფუძე ეკუმ-შება, რაც პროგრამირებისას ტექნიკურ წინააღმდეგობას იწვევს. რედუცირების გზით შეცვლილი ფუძეები მაინც ორი სხვადასხვა ფუძეა, კერძოდ, **ჭამ-ს** და **ი-ჭმ-ებ-ა** ფორმათა ფუძეები ისევე მიემართება ერთმანეთს, როგორც **ჭამ-ს** და **ი-წერ-ებ-ა** ფორმათა ფუძეები. შესაბამისად, ცალკე პარადიგმატულ ტიპად გამოიყოფა **ჭამ** საყრდენ ფუძეზე დამყარებული მოქმედებითი გვარის პარადიგმები და ვნებითის 1-ლი თურმეობითის ფორმები.

3 = **ი-ჭმ-ებ-ა** ზმნა, რომელიც სემანტიკურად აგრძელებს 2-ის პარადიგმას ვნებით გვარში, დამოუკიდებელ პარადიგმად განიხილება. ამ ფუძეს ემყარება მეორადი კაუზატივიც: **ა-ჭმ-ევ-ს**.

4 = **ა-ტან-ს** ზმნა: სამპირიანი, ნეიტრალური კაუზაციის, საზედაო სიტუაციის, კონვერსიული ორპირიანი ე-ნიანი პასივით. ამავე ფუძესთან ასახულია **(გა)-ს-ტან-ს** მედიოაქტივის უღლებაც.

5 = **ი-ყვან-ს** ზმნა: ნეიტრალური კაუზაციის, ნაკლული ვერსიით (ნეიტრალური ვერსია არა აქვს – \*ყვან-ს ან \*ა-ყვან-ს).

6 = **ა-ხმარ-ს** ზმნა: ნეიტრალური კაუზაციის, სამპირიანი, საზედაო სიტუაციის, კონვერსიული დ-ონიანი პასივით.

7 = **თხოვ-ს** ზმნა: სამპირიანი, ნეიტრალური კაუზაციის, კონვერსიული პრეფიქსული პასივით.

ამრიგად, ზემოთ მოცემული პარადიგმატული ტიპების განმასხვავებელი ნიშნებია: ფუძის კუმშვა, ზმნის პირიანობა, კონვერსიული პასივის მოდელი, ვერსიის ნაკლულოვნება, მედიოაქტიური პარადიგმა, მეორადი კაუზატივის წარმოება.

გარდა პირველი ტიპისა, დანარჩენი წარმოდგენილია თითო ფუძით. თავად პირველსავე ტიპში თავს იჩენს სხვა რიგის საკითხები. მაგალითად, ნორმის მიხედვით **ჩეხს** ზმნა ამ ტიპშია მოქცეული, თუმცა ასევე დამკვიდრებულია **ჩეხავს** ფორმა, რის გამოც **ჩეხ** ფუძე სხვა მორფონოლოგიურ ტიპშიც გვაქვს შეტანილი; ლაბილური ორპირიანი ფორმა **ბანს** კონტექსტის მიხედვით შესაძლოა სამპირიანად მოვიაზროთ: **დედა შეილს ბანს//დედა შეილს თავს ბანს**; ნიშანდობლივია

ისიც, რომ ამ 22 ზმნურ ფუძეს ყველა შესაძლო ფორმაში განსხვავებული რაოდენობის ფლექსიური თუ დერივაციული ზმნისწინი დაერთვის. ამგვარი კონცეპტუალური საკითხები ყოველთვის იჩენს თავს ზმნის სრულ წარმომქმნელ მოდელზე მუშაობისას.

L. E z u g b a i a (Tbilisi)

### **Paradigms of Verbs without Thematic Markers according to the Computer Program of Georgian Spellchecker**

The conceptual basis of the verb modeling is prof. Tedo Uturgaidze's point of view which is based on the following postulates: Georgian verb has 12 screeves; two-person active voice has 32 paradigmatic units within one screeve; all verbal grammatical categories are the category of conjugation; morphological types of conjugation are further subdivided into morphological subtypes; conjugated stem is same for all paradigms of the causative, voice and version.

At the initial stage of computer modeling of the Georgian verb 21 morphological types have been identified according to active verbs. The premise was the theme, type of causation, a vowel in a stem (T. Uturgaidze). Within the above-mentioned 21 models, 496 morphonological types are singled out at the present moment, based on a strictly formalized approach, namely, computer modeling of the verb will fail to describe many specific, exceptional patterns alongside the most general verbal models, unless each verbal stem is meticulously analyzed according to all grammatical categories. Computer program should be able, on the one hand, to analyze the verbal form, and on the other hand, to synthesize, i.e to chose all possible prefixes and suffixes for the concrete verbal root and to generate all realized or potential forms. Proceeding from such an approach, even minor phonetic changes, resulting from the insertion of another verbal form in a paradigm of a verb conjugation, is a basis for defining a new paradigm. One technical issue should also be taken into consideration:



while programming the paradigm of conjugation, each algorithm, each formula is oriented on the changes of elements/morphemes independent of their semantic or lexical meaning. The cognitive level of the language, cannot be included in the process of language modeling at this stage. This fact became evident at the very initial stage of the verb modeling. The present paper presents the issue on the example of verbs without thematic markers.

Classical characterization of the verbs without thematic markers of the type **çer-s (He/ She writes)** is as follows: verbal stem does not take a thematic marker, vowel in the stem remains unchanged, it is two-person, of neutral causation with a vocalic stem; subject is marked with the suffix -a in the aorist; it has a prefixed conversive passive; it does not form mediopassive; it is the basic stem for the secondary causation.

According to the Explanatory Dictionary of the Georgian Language and other normative dictionaries, number of verbs without thematic markers does not exceed 22, but they do not fully conform to the above-mentioned criteria. Consequently, they are represented as several morphonological types.

1 = classical type: **çer-s, ban-s, çov-s...** (**He/She writes; He/She bathes smb.; He/She sucks**) as a rule, they have an extended paradigm, i.e. they comprise all possible forms of voice and version.

1.1 = three-person forms of the type **sçers (He/She writes to smb.)** and **sçovs (He/She sucks)**, with a restricted paradigm, i.e. only with the forms of active voice, neutral version, represent an independent morphonological model.

1.2 = **açers (He/She writes smth. on smth.)** a small paradigm of the upper location – also constitutes a separate model.

2 = **çam-s (He/She eats)** type: the stem syncopates in the formation of conversive passive, which creates a technical problem for programming. Stems, changed as a result of reduction, are two different stems, namely, **çam-s (He/She eats)** and **i-çm-eb-a (It's being eaten)** stems are related to each other the same way as **çam-s (He/She writes)** and **i-çer-eb-a (It's being written)** stems. Consequently, a separate paradigmatic type is represented by the active voice paradigms and passive forms of the perfect based on the **çam** stem.

3 = the verb **i-çm-eb-a (It's being put on)** which is semantically re-

lated to the paradigm 2 in the passive voice, is regarded as an independent paradigm. Second causation **a-čm-ev-s** (**He/She puts some clothes on smb.**) is also based on this stem.

4 = the verb **a-ṭan-s** (**He/She gives him/her smth. for smb.**): three-person, of neutral causation, of upper location with conversive two-person e-passive. The conjugation of medioactive of **(ga)-s-ṭan-s** (**It will last**) is also based on this stem.

5 = the verb **i-qvan-s** (**He/She carries smb.**) of neutral causation, with defective version (it does not differentiate a neutral version – **\*qvan-s** or **\*a-qvan-s**).

6 = the verb **a-xmar-s** (**He/She spends smth. on smb.**): of neutral causation, three-person, of upper location, conversive passive with **-d**.

7 = the verb **txov-s** (**He/She asks smb. for smth.**): three-person, of neutral causation with conversive prefixed passive.

Thus, the distinguishing features of paradigmatic types, cited above are the following: syncope of a stem, number of persons in a verb, model of conversive passive, defectiveness of a version, medioactive paradigm, secondary causation.

Except for the first type, the rest is represented by one stem only. Even in the first type, some question marks arise, e.g. according to the norm, the verb **čexs** (**He/She cuts smth. open**) belongs to the type, although **čexavs** (**He/She cuts smth. open**) form is also widespread. Consequently, **čex** stem is included into another morphological type; labial two-person verb **bans** (**He/She bathes smb.**) maybe be also three-person, depending on the context: **deda švils bans** (mother bathes her child)//**deda švils tavs bans** (mother washes her child's hair). It should also be noted that 22 verbal stems take different number of inflectional and derivational verb prefixes in their different forms. Such conceptual issues always arise while working on the complete computational model of the verb generation.

რ. ე ნ ო ხ ი (იერუსალიმი), რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე (ქუთაისი)

## ქებაები ტიპის ფორმები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

1. ქართველ ებრაელთა მეტყველებას, რომელიც ქართული ენის ბაზაზეა აღმოცენებული, ახასიათებს მნიშვნელოვანი თავისებურებანი. მათ შორის უნდა გამოიყოს მრავლობითის წარმოება, კერძოდ, ა-ფუძიან სახელთა ბოლო ა ხმოვნის უკვეცელობა მრავლობითობის **ებ** ნიშნის დართვის მიუხედავად (ძირითადად, მოქმედებისა და აბსტრაქტულ სახელებში).

2. მრავლობითის განსაკუთრებული ფორმები (**ქებაები, კონაები, საკვირველობაები...** ტიპისა) სისტემურად დაჩნდება ქართველ ებრაელთა არა ყოველდღიურ მეტყველებაში, არამედ უმეტესად მათს წრეში არსებულ ბიბლიური წიგნების ტრადიციულ ზეპირ თარგმანებში. კერძოდ, „თორის“ – მოსეს ხუთწიგნეულის – პირველი წიგნის „ბერეშითის“ (დაბადების) ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული ზეპირი თარგმანის – „**თავსილის**“ ტექსტში დასტურდება:

ა) **კონაები**-ი: ეხვეოდნენ *კონაები* თქვენი და ეთაყვანებოდნენ *კონაებსა* ჩემსა: 37, 7; **დარაები**-ი: ნოახი კაცი მართალი, სრული იყო შინა *დარაებსა* მისსა: 6, 9; **გვარიშვილობაები**-ი: და ესე *გვარიშვილობაები* იცხაკისა: 25, 19.

ბ) „თავსილში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მრავლობითის ფორმები, რომლებშიც კვეცა არ ხდება, მაგრამ ასიმილაციის პროცესი ხორციელდება: **თხეები**: ესერა გავაგზავნე მე *თხეები* (თხა > თხა-ებ-ი > თხეები): 38, 23; **მჭეები** // **მჭეები**: და ყემეკ ასიდიში *მჭეები* (ჭა > მჭა) *მჭეები* ფისიანი: 14, 10.

გ) ერთმანეთის გვერდით არის წარმოდგენილი სიტყვის შეკვეცილი და შეუკვეციელი (ასიმილირებული) ფორმები. ამ ტიპის მაგალითებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შემსწავლელთათვის, რამდენადაც გვიჩვენებს ენაში არსებულ მერყეობასა და მასში მიმდინარე ცვლილებებს: **ძმეები**: ნამეტურ კაცები *ძმეები*

ჩვენ: 13, 8; საინტერესოა **წლები**, რომელშიც ორი ე ხმოვანი და-  
ჩნდება თანხმოვანფუძიანი სახელის მრავლობითის ფორმაში, სა-  
დაც ფაქტობრივად არ არსებობს საფუძველი ამისათვის: ესენი  
**წლები** სიცოცხლე აბრაამისა: 25, 7. შესაძლებელია, ამ ფორმის  
გამოვლენა **დღეები** ფორმის ანალოგიით მოხდა, რამდენადაც ეს  
სიტყვები ებრაელთა პირველი მამების სიცოცხლის ხანგრძლივო-  
ბის აღსანიშნავად ხშირად იხმარება ერთად, მაგრამ, მეორე მხრივ,  
შეიძლება ისევ და ისევ ენაში არსებული მერყეობის მაჩვენებელი  
იყოს (რ. ენოხი).

„ქებაები“ ტიპის ფორმათა სიუხვით გამოირჩევა „ფესახის აგა-  
დის“ – პასქის ლეგენდის – თარგმანის ტექსტი, რომელიც, როგორც  
ჩანს, ასეულობით წლის განმავლობაში ზეპირად გადაეცემოდა თაო-  
ბიდან თაობას. არსებობს ტექსტის სამი ვარიანტი: 1. ჩაწერილი რა-  
ბინ აბრამ გაგულაშვილისაგან, რომელიც დღეს ისრაელის ქალაქ  
ბეერშევაში ცხოვრობს, წარმოშობით კი სენაკიდან არის (მისგანვეა  
ჩაწერილი „ბერეშითის“ ტექსტის ძირითადი ვარიანტი); 2. ჩაწერილი  
ბატონ შალომ გაგულაშვილისაგან, რომელიც ახლა იერუსალიმში  
ცხოვრობს, თავის დროზე კი ქუთაისის სახელგანთქმული რაბინის  
იაყაკობ დავარაშვილის მოწაფე იყო; 3. ტექსტი, რომელიც იატაკქვეშ  
ანონიმურად გამოიცა საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი სახით თბი-  
ლისში გასული საუკუნის 60-იან წლებში:

**საკვირველობაებითა // საკვირველებაებითა:** და გამოგვიყვანა  
ჩვენ უფალმა იმის მიცრაიმისაგან შინა ხელითა ძლიერითა, შინა  
მკლავითა გაწვდილითა და შინა შიშითა დიდითა და ნიშნებითა  
და **საკვირველობაებითა;** და შინა **საკვირველებაებითა** – ესე იგი  
სისხლი (ბ-ნ შალომ ჩიკვაშვილის ვარიანტი); **გამოცდილობაებითა:**  
ან გამოგვცადოს ღმერთმან მოსავალად ასაყვანლად მისთვის  
ერად იმის შუა ერებისაგან შინა **გამოცდილობაებითა**, ნიშნებითა,  
**საკვირველობაებითა;** **ცემულებაები:** ესე ათი **ცემულებაები**, რომ  
მიაყენა აკადომ ბარუხუმ ზედა იმა მიცრაიმელებზედა.

3. ერთი მხრივ, შესაძლებელია, ეს მოვლენა ქართულის სა-  
ფუძველზე აიხსნას, კერძოდ, ირკვევა, რომ ა ხმოვანზე ფუძეგათა-  
ვებულ სახელთა უკვეცელი ფორმები (**გუზაები**, **გუზაითა // გუზი-**  
**სა**, **გუნდაისა // გუნდისა** – ი. იმნაიშვილი) უკვე ძველ ქართულში-

ვე იჩენს თავს და უხვად არის მომდევნო საუკუნეთა წერილობით ძეგლებში (სტოვაები, წაღაები (მცხეთ. ხელნაწ.), ქებაები – საბა; ღირსებაები, მოქმედებაები, თვისებაები, რწმუნებაები, ბობოლაები, ჩემისთანაები, იმათთანაები... – აკაკი; ცნობაები, ჭეშმარიტებაები, ხუხულაები, ბერიკეები, ამაები, ამისთანაები... – ილია...), აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში (მაღაზიაები, იშტორიაები, ქვაები, ვაჟაები, ბიძაები, დედაები, მამაები, მთაები, გლახაები, ლეკვაები // ლეკვეები...). ისიც საფიქრებელია, რომ ქართველ ებრაელთათვის „თორის“ – მოსეს ხუთწიგნეულისა და სხვა ტექსტების მთარგმნელი ანონიმი მოღვაწენი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ახლოს მდგომნი იმ მწიგნობრულ სკოლასთან (თუმც კი ზეპირად ქმნიდნენ თავიანთ თარგმანს), რომელიც შესაძლებლად თვლიდა ა ხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელთა უკვეცელობას, ან სხვაგვარი ვარაუდით, იმ დიალექტურ წრესთან იყვნენ ახლო, სადაც ამგვარი რამ შესაძლებელი იყო. საუკუნეების მანძილზე ასეთი ფორმების შემორჩენა აღნიშნულ თარგმანებში, შესაძლოა, ებრაულის გავლენის შედეგად იყოს – ქართულისაგან განსხვავებით, ებრაულში მოქმედებისა და აბსტრაქტულ სახელთა მრავლობითი სავსებით ჩვეულებრივი რამ არის. რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, თითქოს ებრაულის გავლენამ განაპირობა ამგვარი ფორმების შემონახვა ქართულში, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სავარაუდებელი მწიგნობრული სკოლის გავლენა, სადაც დასაშვები იყო უკვეცელობა, მე-20 საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა.

R. E n o c h (Jerusalem), R. S a g i n a d z e (Kutaisi)

### **Forms Similar to ‘ქებაები’ in Georgian-Jewish Speech**

Georgian-Jewish speech based on the Georgian language is characterized by some peculiarities. The most specific is the formation of plural form of nouns. When the plural suffix ‘-ებ-’ is added to a noun stem, the final vowel ‘-ა’ is not reduced at the end of the nouns ending in ‘-ა’ (mainly, in action and abstract nouns).

Special plural forms (*ქებაები, კონაები, საკვირველობები, etc*) are generally formed not in the everyday Georgian-Jewish speech, but in the traditional oral translations of Biblical books, particularly in the text of *Tavsil*, the translation of the first book *Bereshit* (Genesis) of Torah – the Pentateuch, carried out by the Georgian Jews.

*E.g. კონაებ-ი:* ეხვეოდნენ კონაები თქვენი და ეთაყვანებოდნენ კონაებსა ჩემსა:

37,7; *დარაებ-ი:* ნოახი კაცი მართალი, სრული იყო შინა დარაებსა მისსა: 6,9;

*გვარიშვილობაებ-ი:* და ესე გვარიშვილობები იცხაკისა: 25,19.

The paper cites some other examples of the phenomenon in question and offers two possible explanations thereof:

(a) This phonetic phenomenon may be of specifically Georgian origin; and

(b) It may be the result of the Hebrew influence.

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე (თბილისი)

### **ქეთევან ლომთათიძე და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები**

აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავებასა და მათი დანერგვა-დაცვის საქმეში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მკვლევრის რამდენიმე ნაშრომი: „დიალექტური ლექსიკის ადგილი სალიტერატურო ენაში“, „კალკებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში“, „ქართული ენის ფონოლოგიური მოდელის დარღვევის გამო წარმოთქმაში“ და სხვ.

„სალიტერატურო ენის შემდგომი გამდიდრება-დახვეწისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს – შეძლებისდაგვარად სრულად იქნეს გამოვლენილი დიალექტური ლექსიკური ერთეულები (მათი გავრცელების არეალის ჩვენებით), რათა მათ შესაბამისი ადგილი მიეჩინოს საერთო სალიტერატურო ენის მიმოქცევაში“ (ქ.

ლომთათიძე), მაგალითად, საჭირო გახდა რუსული სიტყვისათვის – **безразмерный** – შესაბამისი ქართული ვარიანტის მორგება. განიხილებოდა რამდენიმე ლექსიკური ერთეული: **უზომო, უსაზომო** და **იწელება**. დიალექტური ლექსიკონების მასალაში კი (რომელიც დაცულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონდში) აღმოჩნდა სიტყვა **მაწევანა** (რაჭ.). სათანადო საილუსტრაციო ტექსტში ვკითხულობთ: „წინდა მოგიქსოვე (ეუბნება ბებია შვილიშვილს), პატარა არი, მაგრამ ჩაიცვი, **მაწევანა** არი და მოგერგება...“ ბუნებრივია, მ(ა)- – -ან-ა აფიქსებით ნაწარმოები ფორმა უფრო ბუნებრივი და მოხდენილი გამოდგა ზემოთ წარმოდგენილი შემთხვევისათვის (წერილში განხილულია სხვა მაგალითებიც).

კალკირებულ ფორმათა თუ შესიტყვებათა ანალიზისას კი ქეთევან ლომთათიძე საჭიროდ მიიჩნევს ორი შემთხვევის გათვალისწინებას: 1. როცა თვლიან, რომ ესა თუ ის ფორმა სიტყვისა (ან მთლიანად გამოთქმა) თუმც კალკია, ახალი წარმონაქმნია, მაგრამ ენაში იგი ავსებს გარკვეულ სიცარიელეს და ამიტომ მას მხარი უნდა დაუჭიროთ; 2. ესა თუ ის გამოთქმა თითქოსდა საერთო ტიპს არ მიჰყვება, ამიტომ იგი კალკის ნიადაგზე გაჩენილი ჩანს და უნდა უკუვაგდოთ (წერილში გაანალიზებულია ორივე შემთხვევის ამსახველი ვრცელი მასალა).

მკვლევარი განიხილავს აგრეთვე ქართული ენის ფონოლოგიური მოდელის დარღვევათა ორ ძირითად შემთხვევას. საკითხი ეხება, ერთი მხრივ, სხვა ენათა ბაგეკბილისმიერი ჭ ფონემის შემცველ სიტყვათა ქართულად გადმოღება-გამოთქმას და, მეორე მხრივ, **ჰ, ქ** ბგერათა შემცველ უცხოურ ფუძეთა გადმოღებას „გამაშუალებელი“ ენის მოდელით.

ქეთევან ლომთათიძე, როგორც საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მდივანი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნორმათა მომზადებისა და დამტკიცების საქმეში, ამავდროულად – წლების განმავლობაში იყო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

T. V a s h a k i d z e (Tbilisi)

### **Ketevan Lomtadze and the Norms of the Georgian Literary Language**

Academician Ketevan Lomtadze has made an outstanding contribution to the cause of the development and introduction of and adherence to the norms of the Georgian literary language. Many of the scholar's works have been dedicated to the subject.

The paper analyses various lexical, phonetic and other issues facing Georgian scholars when trying to establish appropriate norms and standards in order to adequately reflect the realities of contemporary life. Ways and methods used by Ketevan Lomtadze with a view to successfully addressing these issues are also highlighted.

As the Secretary of the «Permanent State Commission to Establish the Norms of the Modern Georgian Literary Language» at the Council of Ministers of Georgia, Ketevan Lomtadze actively participated in the development and approval of the norms concerned.

The paper also outlines other aspects of the biography and fruitful scientific activity of Ketevan Lomtadze.

რ. ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

### **ქართული დიალოგური მეტყველების მოდულიზაციური მარკერები**

ბუნებრივი თუ მოდელირებული დიალოგური მეტყველება, როგორც გარკვეული მთლიანობა, იყოფა სეგმენტებად, რომელთა შორის კავშირი მყარდება როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი საშუალებებით. მათ უწოდებენ დიალოგის ან დისკურსის მარკერებს, რომელთა საკომუნიკაციო ფუნქციებია: 1. დიალოგური მე-



ტყველების თანხლება და საუბრის ორგანიზაცია; 2. შინაარსის მოდიფიკაცია და სათქმელის კატეგორიულობის შეცვლა.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოვყოფთ მარკერების ორ ჯგუფს: კომპოზიციურსა და მოდიფიკაციურს. მეორე ჯგუფი მოიცავს მოდალურ და შემარბილებელ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ მოუბარი პირის ან მსმენელის განწყობას, დამოკიდებულებას ნათქვამისადმი, შეფასება-კომენტირებას, აძლიერებენ ან არბილებენ გამონათქვამის კატეგორიულობას.

დიალოგის მარკერების ფუნქციას ასრულებენ ე. წ. პრაგმემატიკა: შორისდებულები, ნაწილაკები, ზმნიზედები, მოდალური სიტყვები, ეტიკეტური ფორმულები და ჩართული სიტყვა-გამოთქმები.

მოდიფიკაციური მარკერები ეკუთვნის მოუბარ პირს ან მსმენელს:

1. მოუბარი პირის მარკერები მიმართულია ადრესატისადმი და ემსახურება მისი ყურადღების მობილიზება-მიპყრობას, საუბარში საინტერესო და არსებითი მომენტების გამოყოფას, ნათქვამის აღქმის გაადვილებას. მოუბარი ამით რწმუნდება მსმენელის დაინტერესებულობაში, ელოდება მისგან დასტურს, თანხმობას, შეფასებას ან თანაგრძნობას.

2. მსმენელის ანუ ადრესატის უკუკავშირის მარკერები მნიშვნელოვანია საუბრის წარმატებულად წარმართვისათვის. ეს შეიძლება იყოს პასუხი შეკითხვაზე, გამეორება, ჩაკითხვა, დამოკიდებულებისა და თანაგრძნობის დაფიქსირება. მსმენელი მათი მეშვეობით გამოხატავს საკუთარ ინტერესს საუბრის თემისა და მოუბარი პირისადმი, შეფასებას, კომენტარს, ემოციას, თანხმობას ან ეჭვს.

მოდიფიკაციურ მარკერებში შედის ეტიკეტური ფორმულები, რომლებიც ემსახურება კომუნიკანტის „სახის“ შენარჩუნებას და ნათქვამის კატეგორიულობის შერბილებას (ე. წ. „ზღუდე“, ინგლ. „hedge“).

მარკერთა ნაწილი აძლიერებს ან ასუსტებს ნათქვამის ექსპრესიულობას და შეუძლია გამოხატოს სხვადასხვა ნიუანსი: თანხმობა და დარწმუნება (*უეჭველია, ცხადია, მართლაც, თავისთავად გასაგებია, ეჭვგარეშეა*), დაუთანხმებლობა (*რას ამბობ, შეუძლებე*

ლია, დაუჯერებელია, წარმოუდგენელია, ტყუილია), ეჭვი და ყოყმანი (ეგებ, შესაძლოა, ვინ იცის, ღმერთმა უწყის). მრავალფეროვნია ემოციების გამოხატვის შესაძლებლობებიც: სიხარული, აღტაცება, სინანული, მწუხარება, გაკვირვება, თანაგრძნობა და სხვ.

დიალოგის მარკერებად გამოყენებულ ნაწილაკებსა და შორისდებულებს დიდი საკომუნიკაციო დატვირთვა აქვს. მათი მეშვეობით გამოიხატება: მოლოდინისა და ვარაუდის დასტური, გამონათქვამის ჭეშმარიტების დამოწმება, სანდოობის ხარისხის გაძლიერება (ღიახ, ღიახ! ეს ასეა! ასეა, მაშ!), ყოყმანი და დაურწმუნებლობა და სხვ.

ყოფით დიალოგებში ხშირად გვხვდება ღმერთთან დაკავშირებული მყარი გამოთქმები, როგორც დიალოგის მოდიფიკაციური საშუალებები, რომლებიც გამოხატავენ მადლიერებას, დალოცვას, შემწეობის თხოვნას, ფიცსა თუ დაეჭვებას.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში მარკერებით დასტურდება მოუბარი პირის ყურადღება, პატივისცემა ადრესატისადმი და მსმენელის თანაგრძნობა. ამ საშუალებათა მრავალფეროვნება და სიხშირე მოწმობს კომუნიკანტთა აქტიურობასა და კომუნიკაბელობას დიალოგში.

R. Z e k a l a s h v i l i (Tbilisi)

## **Modification Markers of Georgian Dialogue Speech**

Natural or modelled dialogue speech as a certain type of unity is divided into segments which are interconnected by linguistic and non-linguistic means. They are called dialogue or discourse markers, whose communicational functions are as follows: (1) to accompany dialogue speech and organize conversation; and (2) to modify the content and to down-tone the categoricalness of what is intended to be said.

Two groups of markers can be singled out in Georgian dialogue speech:

compositional and modification markers. The second group includes modal and down-toning words reflecting a speaker's or listener's mood, his or her attitude towards the content uttered, evaluation and/or comments, etc.

The paper discusses in further detail various issues which are to be taken into account when addressing the issues of proper and adequate use of modification markers in process of dialogue speech.

ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე (თბილისი)

### **სიბილანტთა შესატყვისობანი საერთო-ქართველურ, წინარებურუშულ და წინარებასკურ ენებს შორის**

საერთო-ქართველურ, წინარებურუშულ და წინარებასკურ ენათა შორის სიბილანტურ შესატყვისობათა სამი რიგი ვლინდება:

1. საერთო-ქართველური სისინა სიბილანტები : წინარებურუშული ალვეოლარული (სისინა) სიბილანტები : წინარებასკური ალვეოლარული (სისინა) სიბილანტები:

ს.-ქართვ. ძ : წბურ. ch /tsʰ/ : წბასკ. z /s/, tz /ts/

ს.-ქართვ. ც : წბურ. ch /tsʰ/, s /s/ : წბასკ. tz /ts/

ს.-ქართვ. წ : წბურ. ch /tsʰ/ : წბასკ. z /s/, tz /ts/

ს.-ქართვ. ზ : წბურ. z /z/, s /s/ : წბასკ. z /s/

ს.-ქართვ. ს : წბურ. s /s/ : წბასკ. z /s/

2. საერთო-ქართველური “სისინ-შიშინა” სიბილანტები : წინარებურუშული ალვეო-პალატალური (შიშინა) სიბილანტები : წინარებასკური აპიკალური “ბრტყელი” პოსტ-ალვეოლარული (=რეტროფლექსური) (შიშინა) სიბილანტები:

ს.-ქართვ. ძ1 : წბურ. ჳ /dz/ : წბასკ. s /s/

ს.-ქართვ. ც1 : წბურ. ch /tʃʰ/ : წბასკ. ts /tʃ/, (-ntz /ts/)

ს.-ქართვ. წ1 : წბურ. čh /tɕʰ/ : წბასკ. s /s/, ts /tɕ/

ს.-ქართვ. ხ1 : წბურ. ? : წბასკ. ?

ს.-ქართვ. ხ1 : წბურ. ś /ɕ/, (s- /s/) : წბასკ. s /s/

3. ს.-ქართველური შიშინა სიბილანტები : წინარებურუშული ალვეო-პალატალური (შიშინა) სიბილანტები (აუსლაუტში – რეტროფლექსური (შიშინა) სიბილანტებიც) : წინარებასკური აპიკალური “ბრტყელი” პოსტ-ალვეოლარული (=რეტროფლექსური) (შიშინა) სიბილანტები:

ს.-ქართვ. ჯ : წბურ. ž /dʒ/ : წბასკ. s /s/

ს.-ქართვ. ჩ : წბურ. čh /tɕʰ/, č /tɕ/, ɟ /tɕ/ : წბასკ. s /s/, ts /tɕ/

ს.-ქართვ. ჭ : წბურ. čh /tɕʰ/, č /tɕ/, ɟ /tɕ/, ʃ /s/ : წბასკ. s /s/, ts /tɕ/

(?) ს.-ქართვ. ქ : წბურ. ž /dʒ/, ʃ /s/ : წბასკ. s /s/

ს.-ქართვ. შ : წბურ. ś /ɕ/, ʃ /s/ : წბასკ. s /s/

აღნიშნულ და ასევე საკუთრივ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილ სიბილანტურ შესატყვისობათა საფუძველზე საერთო-ქართველურ-ბურუშულ-ბასკური (resp. საერთო-ქართველურ-მედიტერანული) ენობრივი ერთიანობისათვის შეიძლება აღდგეს სიბილანტთა შემდეგი სამი რიგი:

პირველი, წინა – ალვეოლარულ სისინა /s/, /z/, /ʒ/, /tɕ/, /tɕʰ/ ფონემათა – რიგი; მეორე, შუა – ლამინალურ პალატალიზებულ პოსტ-ალვეოლარულ (ალვეო-პალატალურ) შიშინა (რამდენადმე – “სისინ-შიშინა”) /ɕ/, /ɕ/, /dʒ/, /tɕ/, /tɕʰ/ ფონემათა რიგი და მესამე, უკანა – აპიკალურ “ბრტყელ” პოსტ-ალვეოლარულ ველარიზებულ (=რეტროფლექსურ) შიშინა /ʒ/, /s/, /dʒ/, /tɕ/, /tɕʰ/ (=ʒ/, /s/, /dʒ/, /tɕ/, /tɕʰ/) ფონემათა რიგი.

საერთო-ქართველური ენის იმ დიალექტურ არეალში, რომლის გაგრძელებასაც ქართული წარმოადგენს, სავარაუდოდ, ჯერ უკანა-სიბილანტური რიგის ფონემები ლამინალურ “ამობურცულ” პოსტ-ალვეოლარულ /ʒ/, /s/, /ʒ/, /tɕ/, /tɕʰ/ სიბილანტებად გარდაიქმნა,

ხოლო შემდეგ შუა-სიბილანტური რიგი წინა-სიბილანტურს შეერწყა > /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts'/; “დასავლურ-ქართულ” დიალექტურ არეალში /z/, /ɕ/, /dʒ/, /tɕ/, /tɕ'/ > /ʒ/, /ʃ/, /ʒ/, /tʃ/, /tʃ'/, რასაც უკანა-სიბილანტური რიგის /z/, /ʃ/, /dʒ/, /tʃ/, /tʃ'/ (= /ʒ/, /ʃ/, /dʒ/, /tʃ/, /tʃ'/) ფონემათა /\*ʒg/, /kʰ/, /ʒg/, /tʃkʰ/, /tʃk'/ ფონემათკომპლექსებად გარდაქმნა მოჰყვა.

წინარებასკურში /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts'/ > /s/, /ts/, ხოლო შუა რიგი უკანას შეერწყა > /ʃ/, /tʃ/, თუმცა მოგვიანებით, პალატალიზაციის პროცესის შედეგად, წინარებასკურში ხელახლა განვითარდა შუა-სიბილანტური რიგი პალატალიზებული პოსტ-ალვეოლარული /ɕ/, /tɕ/ ფონემებისა, რომელთაც ამჟერად ექსპრესიული ღირებულება შეიძინეს.

წინარებურუშულში /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts'/ > /s/, /z/, /ts/, /tsʰ/, ხოლო უკანა რიგი შუას შეერწყა > /ɕ/, /dʒ/, /tɕʰ/, /tɕ/, თუმცა შემდეგში – სავარაუდოდ, რეტროფლექსურ ფონემათა მდიდარი ინვენტარის მქონე ინდო-არიულ ენათა გავლენით, რომელთა გარემოცვაშიც წინარებურუშული შემდეგში მოექცა – რეტროფლექსურ /s/, /dʒ/, /tʃ/, /tʃʰ/ სიბილანტთა რიგი აქ ისევ განვითარდა.

L. K e l a u r a d z e (Tbilisi)

### **Sibilant Correspondences between Common Kartvelian, Proto-Burushaski and Proto-Basque Languages**

Three series of sibilant correspondences are revealed between Common Kartvelian, Proto-Burushaski and Proto-Basque languages:

1. Common Kartvelian hissing sibilants: Proto-Burushaski alveolar (hissing) sibilants: Proto-Basque alveolar (hissing) sibilants;

2. Common Kartvelian “hissing-hushing” sibilants: Proto-Burushaski alveolo-palatal (hushing) sibilants: Proto-Basque apical flat post-alveolar (=retroflex) (hushing) sibilants; and

3. Common Kartvelian hushing sibilants: Proto-Burushaski alveolo-palatal (hushing) sibilants (in the end of roots – also retroflex (hushing) sibilants): Proto-Basque apical flat post-alveolar (=retroflex) (hushing) sibilants.

On the grounds of these series of correspondences, as well as of those, identified between Kartvelian languages themselves, following three series of sibilants could be reconstructed for Common-Kartvelian-Burushaski-Basque (resp. Common-Kartvelian-Mediterranean):

First, front, row of alveolar hissing sibilants /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts’/, second, middle, row of laminal palatalized post-alveolar (alveolo-palatal) hushing (to a certain extent – “hissing-hushing”) sibilants /z̥/, /ç/, /dʒ̥/, /tç/, /tç’/ and third, back, row of apical flat velarized (=retroflex) hushing sibilants /ẓ/, /ʂ/, /dʒ̣/, /tʂ/, /tʂ’/ (= /Ẓ/, /ʂ/, /dẒ/, /tʂ/, /tʂ’/).

In “Eastern” dialectal area of CK, continuation of which is Georgian language, supposedly, phonemes of back row converted in laminal domed post-alveolar sibilants /ʒ̣/, /ʃ/, /ʒ̣̥/, /tʃ̣̥/, /tʃ̣̥’/ at first, and then middle row of sibilants merged with front row > /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts’/; in the “West Kartvelian” dialectal area /z̥/, /ç/, /dʒ̥/, /tç/, /tç’/ > /ʒ̣/, /ʃ/, /ʒ̣̥/, /tʃ̣̥/, /tʃ̣̥’/, which was followed by transformation of back, velarized sibilants /ẓ/, /ʂ/, /dʒ̣/, /tʂ/, /tʂ’/ (= /Ẓ/, /ʂ/, /dẒ/, /tʂ/, /tʂ’/) into phonemic clusters /\*ʒ̣g/, /ʃkʰ/, /ʒ̣g/, /tʃ̣̥kʰ/, /tʃ̣̥k’/.

In Proto-Basque /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts’/ > /s/, /ts/; and middle row merged with back one > /ʂ/, /tʂ/, but subsequently, as a result of palatalization process, middle row of palatalized post-alveolar sibilants /ç/, /tç/ emerged in Proto-Basque again, though this time these phonemes acquired expressive value.

In Proto-Burushaski /s/, /z/, /ʒ/, /ts/, /ts’/ > /s/, /z/, /ts/, /tsʰ/, and

back row merged with middle one > /c/, /dz/, /tʃʰ/, /tʃ/, but afterwards, supposedly under the influence of Indo-Aryan languages having rich inventory of retroflex phonemes, in the circle of which Proto-Burushaski found itself, row of retroflex sibilants /ʂ/, /dzʂ/, /tʂ/, /tʂʰ/ developed here again.

გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა (თბილისი)

### თანამოაზრეობა და მემკვიდრეობითობა მეცნიერებაში

ზემდგომადობა მეცნიერებაში, როგორც განვითარების აუცილებელი პირობა, უსათუოდ გულისხმობს თანამოაზრეობასა და მემკვიდრეობის აღიარებას, ძველი და ახალი თაობის, მასწავლებლისა და მოწაფის არა მარტო კოლეგიალურ კავშირს, არამედ საერთო საქმისათვის პრინციპულ ერთობას. ადამიანთა ამგვარ თანამოსაქმეობას შინაგანად თავისუფალ პიროვნებათა არჩევანი განსაზღვრავს და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთო მიზნისათვის. ირჩევენ როგორც მასწავლებლებს, ისე მოწაფეებსაც – მათი ბედნიერი შეხვედრა უმეტესწილად წარმატებულია. ეს წარმატება საერთოა, შეიძლება ითქვას, საყოველთაოც, რადგან საკითხი მეცნიერებას ეხება, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება კერძო იყოს.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის ჩამოყალიბება და მიღწევები ბევრად განსაზღვრა თაობათა შორის იმგვარმა ურთიერთთანამშრომლობამ, რაზეც ზემოთ ითქვა. ამის საუკეთესო მაგალითია, ერთი მხრივ, ქეთევან ლომთათიძის, ხოლო მეორე მხრივ, მისი მასწავლებლების – სიმონ ჯანაშიასა და არნოლდ ჩიქობავას მოღვაწეობა. ნიშანდობლივია მასწავლებელთა მიერ მოწაფის მეცნიერული საქმიანობის შეფასება კონკრეტულ ეტაპებსა თუ საფეხურებზე.

არნ. ჩიქობავამ ქეთევან ლომთათიძის შრომათა დახასიათები-

სას, რომელიც 1951 წელს სამეცნიერო საბჭოს მოხსენდა, ბრძანა: პატარა ნაშრომი ქ. ლომთათიძის „ერთი ფონეტიკური კანონზომიერების შესახებ აფხაზურ დიალექტებში, მაგრამ მას დიდი პრინციპული ღირებულება აქვს; ის მოწმობს, რომ მთის კავკასიურ ენათა სათანადო შესწავლამ შეიძლება მოგვცეს იმავე რიგის ფონეტიკური შესატყვისობანი, რომლებიც ისტორიული ფონეტიკის შემეცნებითი ძალის მაუწყებელია. აფხაზურ დიალექტთა შესწავლისას დადგენილ ამ შესატყვისობას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს „ლომთათიძის ფორმულა“.

ქეთევან ლომთათიძემ იბერიულ-კავკასიურ ენათა წრეში ერთ-ერთი ყველაზე რთული აგებულების ენა – აფხაზური – აირჩია. სწორედ ამ ენის აგებულებაში მართებულად გარკვევას ჰქონდა მნიშვნელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის მთავარი საკითხების სათანადოდ დასმისა და გადაწყვეტისთვის. სრულიად ახალგაზრდა, იგი მძიმე საექსპედიციო მუშაობას ეწეოდა. ადგილობრივ სწავლობდა აფხაზურ ენას, იწერდა ტექსტებს, ეუფლებოდა აფხაზურ მეტყველებას. „არააფხაზ მკვლევართა შორის, გარდა სიმონ ჯანაშიასი, იგი ერთადერთია, ვინც პრაქტიკულად ფლობს აფხაზურ ენასო“, – აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა. მისივე აზრით, აფხაზური ენის დიალექტთა ზედმიწევნით შესწავლამ, კვლევის მეთოდების ფლობამ და „მკვლევრის უმცდარმა ალლომ“ ქ. ლომთათიძეს საშუალება მისცა საძირკველი ჩაეყარა აფხაზური ენის დიალექტთა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის, ხოლო მისი მონოგრაფიები ტაპანთური და აშხარული დიალექტების შესახებ უბადლო ნიმუშს იძლევა, თუ როგორ შეიძლება იქნეს შესწავლილი მთის იბერიულ-კავკასიური წრის უმწერლო თუ ახალდამწერლობიანი ენა.

ქ. ლომთათიძემ რამდენიმე სპეციალური ნაშრომი ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებსაც მიუძღვნა. მაღალ შეფასებას აძლევდა მათ არნ. ჩიქობავა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ამ ნაშრომებით ქ. ლომთათიძე წარმოჩნდა როგორც წამყვანი სპეციალისტი არა მხოლოდ კავკასიურ ენათმეცნიერებაში, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების დარგშიც. საენათმეცნიერო საკითხებზე 1950 წლის ცნობილი დისკუსიის მსვლელობისას ქ. ლომთათიძემ, რო-



გორც მოსალოდნელი იყო, პრინციპულ საკითხებში სიმტკიცე და ზედმიწევნითი გარკვეულობა გამოაუღავნა. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ქ. ლომთათიძის რეცენზიამ პროფ. გ. სერდიუჩენკოს შრომებზე (აბაზურის შესახებ) დღის სინათლეზე გამოიტანა „ახალი მარქსისტული მოძღვრების“ ამ თავგადაკლული მიმდევრის ცრუმეცნიერული საქმიანობა-თარეში, რასაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდაო.

1934-1937 წლებში ქეთევან ლომთათიძე იყო სიმონ ჯანაშიას ასპირანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრაზე. სიმონ ჯანაშიას პირად არქივში დაცულია 1935 წელს შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია სამეცნიერო ხელმძღვანელისა და მისი ასპირანტის ერთობლივი მუშაობის მოკლე, მაგრამ **ტევადი** გეგმა-პროსპექტი, სადაც ვკითხულობთ: „გამოეთქვამთ სრულ იმედს, რომ დაწყებული საქმე მიყვანილი იქნება ბოლომდის წარმატებით და რომ ჩვენი უნივერსიტეტი შეიტანს თავის წვლილს... მოძმე აფხაზების ენისა და კულტურის შესწავლაში“. ეს სულისკვეთება ამოძრავებდა ქ. ლომთათიძესაც, რომელიც არა მარტო კარგი მოწაფე იყო სახელოვანი მასწავლებლისა, არამედ – თანამოაზრეც. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იყო აფხაზური ენის უანგარო მსახური და მუდამ აფხაზთა კულტურის, მათი ეროვნული იდენტობის სადარაჯოზე იდგა.

1945 წელს, როდესაც ქ. ლომთათიძე სადოქტორო დისერტაციას იცავდა, სიმონ ჯანაშიამ მას მილოცვის ბარათი გაუგზავნა: „ვერ დავეძალავ – ძალიან მიხარია, რომ თქვენ ხსნით იმ ქალთა რიგს, რომელნიც ჩვენ მეცნიერებათა სარბიელზე ამ მაღალი წოდების მატარებელნი იქნებიან. მოგილოცავთ მხურვალედ ამ საუცხოო გამარჯვებას და გისურვებთ, რომ იმ საპატიო კიბეზე, რომელზედაც ასე მტკიცედ დგახართ, შემდგომი საფეხურებიც დამსახურებულად აგველოთ!“

G. K v a r a t s k h e l i a (Tbilisi)

### **Like-Mindedness and Hereditariness in Science**

Posteriority in science, as an essential condition of developments, implies like-mindedness and hereditariness, of only colleague relation of old and new generation, a teacher and a pupil, but a scrupulous unity for common affair. Such co-working of individuals is defined by the choice of inner free persons and it has a decisive significance for a common goal.... They choose teachers as well as pupils – their lucky meeting is mostly successful. This success is common and it can be said general as an issue concerns to science, that following from its nature, can not be private.

Founding and achievements of the Iberian-Caucasian linguistic school was mostly defined such mutual co-working between the generations, that I said above. The best example of this is on one hand activities of Ketevan Lomtadze and on the other hand of her teachers – Simon Janashia and Arnold Chikobava. Evaluating of a pupil's scholarly activity by teachers on concrete stages and levels is characteristic.

During characterizing Ketevan Lomtadze's works before a scientific council in 1951, Arn. Chikobava announced: "Ketevan Lomtadze's "On one phonetic regularity in the Abkhaz dialects" is a short work, but it has a principal value. It confirms, that relevant studying of the mountainian Caucasian Languages can give such phonetic correspondences of the same order, which inform us the cognitive power of historical phonetics. This corresponds that was established during the studying of the Abkhazian dialects can be named "Lomtadze's formulae".

Ketevan Lomtadze has chosen one of the Languages of the the Iberian-Caucasian Languages – Abkhaz with of most complex structure. Just correct investigation the structure of this language has an essential importance for arising and resolving the basic issues of the history of the Iberian-Caucasian Languages. A young scholar carried out hard expedition work. She learned "Abkhaz Locally, recorded texts. Among the non Abkhaz scholars, besides Simon Janashia. She is the only who prudently knows Abkhaz" – noted Arn. Chikobava.

In his opinion, thoroughly studying of the Abkhaz dialects, knowing the research methods and a "researcher's unerring intuition gave possibility to K. Lomtadze to establish historical-comparative studying of the Abkhaz dialects. And her works on the Tapant and Ashkhar dialects are unequalled samples of whether an unwritten or new-written language of the mountainian Iberian-Caucasian languages should be studied.

K. Lomtadze dedicated some special works to the general linguistics' issues. Arn. Chikobava evaluated them highly. He considered, that through these works K. Lomtadze showed herself as a leading specialist not only in the Caucasian Linguistics but in general linguistics as well. During the well-known discussion on linguistic issues in 1950 K. Lomtadze, as it was expected, demonstrated firmness and thorough knowledge in principal issues. Arn. Chikobava noted, that K. Lomtadze's review on Prof. G. Serdiushenko's works (on Abaza) brought out into the open "the pseudo-scientific activity of a selfless follower of "new Marxist doctrine: ravaging, that had All-Union importance.

In 1934-1934 Ketevan Lomtadze was Simon Janashia's post-graduate student at the chair of the Caucasian Language of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University. Simon Janashia's private archive keeps the documents of 1935, which tells a short, but exhaustive plan-project of joint working of a supervisor and her post(graduate student: "We hope, that the work will be come to end successful and our university will contribute to studying Language and culture of our brothers Abkhazians". This spirit motivated K. Lomtadze as well who was not only a successful pupil of an outstanding teacher but like-minded. During all her conscious life she was a selfless servant to Abkhaz and always guarded the culture, national identity of the Abkhazians.

In 1945, when K. Lomtadze was defending doctoral dissertation, Simon Janashia has sent her a congratulation card: "I can not conceal – I'm very happy that You are the first among those women, who will have this high honorary rank in scientific sphere. I congratulate you on this great victory and wish to ascend that honourable stair meritorily on which You are standing so decisively".

ზ ა ა ლ კ ი კ ვ ი ძ ე (ქუთაისი)

## გენდერული ასიმეტრიები ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაში

რადგანაც გენდერული ფაქტორის პოვნიერება კომუნიკაციის პროცესში გულისხმობს ქალურობისა და მამაკაცურობის, როგორც სოციალურ თავისებურებათა, ნიშან-თვისებების დემონსტრირებას, შესაბამისი ენობრივი მასალის ანალიზისას მკვლევარმა ორიენტაცია უნდა აიღოს არა ბიოლოგიურ, არამედ სოციოლინგვისტურ ფაქტორებზე.

ამგვარი მიდგომის მართებულობა წარმონდება თ. უთურგაიძის მიერ განხილულ, ნახურის კალკად მიხნეულ თუშურისა და ხევსურულის საზოგადო და საკუთარ სახელთა მიმართვის თავისებურ ფორმების ანალიზისას, რითაც ისინი მკაფიოდ განირჩევიან სალიტერატურო ქართულისა და დანარჩენი კილოებისაგან. ავტორი დაასკვნის: „ქალთა მეტყველებას, საერთოდ, აქვს ერთი სპეციფიკა: იგი უფრო კონსერვატიულია და ინახავს არქაულ ვითარებას. ვფიქრობთ, რომ ქალთა თუშურ-ხევსურულ მეტყველებაში დაუწინებოთი ფორმებისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა სიგრძე უნდა ყოფილიყო საერთო კილოური ნორმა (როგორც თხოვნითი კილოს ფორმები თანამედროვე ხევსურულში), დაფუძნებული ნახურის გავლენით. ნახური ელემენტის შესუსტება ხდება ქართული ელემენტის გაზრდის ხარჯზე. მამაკაცები (როგორც თემის უფრო სოციალიზებული წევრები — ზ. კ.), განიცდიდნენ რა ბარის მეტყველების გავლენას, ადვილად აღწევდნენ თავს ნახურ ელემენტებს. ქართული ელემენტის გაძლიერების დროს, რა თქმა უნდა, სწორედ ტონურ-ინტონაციური ნორმები შეირყოდა ჯერ“ (თ. უთურგაიძე).

განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ რეპერტუარებს შორის შენიშნულია არამარტო ზეპირი, არამედ წერითი სამეტყველო სტილების დონეზეც. წერილობითი კორპუსის ანალიზის საფუძველზე ი. ეინარსონმა გამოავლინა შემდეგი თავისებურებები:

მამაკაცთა სამეტყველო სტილი უფრო ეყრდნობა სუბსტანტივებსა და უფრო ხშირია სხვადასხვა სახის ატრიბუტივები, ქალთა სტილი კი უფრო მარტივია და საყრდენად უმეტესწილად ნაცვალსახელისა და ზმნის კონსტრუქციას გამოყენებული (შვედური ზმნა მორფოლოგიურად უადრესად ღარიბი და მოუქნელია; ამიტომაც უწოდებს მეცნიერი ზმნებით გაჯერებულ სტილს მარტივს). ამასთანავე, სწორედ წერითი მეტყველებისა და უფრო ოფიციალური რეგისტრისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი სუბსტანტივებით მდიდარი სტილი. საბედნიეროდ, იმის ნაცვლად, რომ რაიმე სწორ-ხაზოვანი დასკვნები გამოეტანა, ი. ეინარსონი აცხადებს, რომ შემჩნეული განსხვავებები ფაქტობრივად სოციალური დიფერენციაციის ამსახველი ენობრივი ინდექსებია (ი. ეინარსონი).

ღირსსაცნობია, რომ განსხვავებები ფიქსირდება კომუნიკაციის არაენობრივი საშუალებების გამოყენების დროსაც. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა მექსიკის ერთ-ერთ შტატში მოსახლე მასატეკოს ტომის ინდიელთა შორის გავრცელებული სტვენით საუბარი. ნიშანდობლივია, რომ სტვენით მხოლოდ მამაკაცები ურთიერთობენ. მიუხედავად იმისა, რომ მასატეკოელი ქალები არ სტვენენ, მათთვის მაინც გასაგებია ამგვარი „საუბრის“ შინაარსი (ქაუენი). აღნიშნულთან თავისებურ მსგავსებას ამჟღავნებს კონგოში მოსახლე ზოგიერთი ტომის მიერ გამოყენებული „გონგების ენა“, რომლითაც ჩვეულებრივ მხოლოდ მამაკაცები სარგებლობენ.

ის სოციალური ინსტიტუტები, რომლებმაც განაპირობეს ზემოთ აღწერილი ზოგიერთი ვერბალური თუ არავერბალური დიფერენციაციის გაჩენა, შესაძლოა უკვე მოშლილიც იყოს, მაგრამ ენაში ეს ოპოზიციები გარკვეული კოგნიტიური ინერციით ნარჩუნდება. მთავარია იმის აღიარება, რომ ქალთა და მამაკაცთა მეტყველების განსხვავებულ თავისებურებათა გაჩენის წყაროდ მივიჩნიოთ არა ბიოლოგიური, არამედ სოციალურ-კულტურული ფაქტორები. ამას ემატება ისიც, რომ, თუ ენაში ერთხელ იჩინა თავი ამგვარმა თავისებურებებმა, ისინი შენარჩუნდება გამომწვევ ფაქტორთა ნაწილობრივი ან სრული გაქრობის შემდეგაც კი. ზემოთქმულის ერთ-ერთი საინტერესო ილუსტრაციაა სამეგრელოში შემონახული რელიგიური დღესასწაული და მისი აღმნიშვნელი ტერმინი

ოსურეფიშთანაფა || ჭიჭეთანაფა – ზედმიწ. ქალების აღდგომა || პატარა აღდგომა; მას აღნიშნავენ აღდგომის მომდევნო კვირადღეს. ი. არონიას აზრით, წარმოდგენილი ვითარების „საფუძველი უნდა ვეძიოთ ტრადიციაში, რაც ადრეულ პერიოდში არსებობდა სამეგრელოში. კერძოდ: ქალს არ შეეძლო მამაკაცთან ერთად მაგიდასთან ჯდომა, უფრო მეტიც, მას ამ დროს ოთახშიც კი არ შეეძლო გაჩერება, არ შეეძლო მეუღლისათვის სახელის დაძახება. ეს ტრადიცია დღესაც არ არის უცხო. მოსალოდნელია, რომ ასეთ შემთხვევაში ქალს არც რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა შეეძლო მამაკაცთან ერთად, რამაც გამოიწვია აღდგომის მომდევნო კვირას ამ დღესასწაულის დამკვიდრება ქალებისთვის. ... დღესდღეობით როგორც აღდგომის დღესასწაულს, ისე მომდევნო კვირაში არსებულ ოსურეფიმ || ჭიჭე თანაფას ზეიმობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები“ (ი. არონია).

ასეთი სახის გენდერლინგვისტური ასიმეტრიები გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს, როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კვლევის თვალსაზრისით.

Z a a l K i k v i d z e (Kutaisi)

### **Gender-Related Asymmetries in Verbal and Nonverbal Communication**

As far as the occurrence of gender factors in the process of communication implies the demonstration of feminine and masculine features, as social ones, during the analyses of appropriate linguistic data, a researcher should concentrate not upon biological but rather upon sociolinguistic factors.

The correctness of this approach is well exemplified by the analyses of the peculiar forms of address (applying common and proper nouns), occurring in the Tush and Khevsurian dialects and being sharply distinct from standard Georgian and other dialects. T. Uturgaidze concludes that, generally, women's speech is more conservative and preserves an archaic situation; "I believe that

vowel length, occurring in ascertaining forms in feminine Tush and Khevsurian, might have been the common dialectal norm, influenced by Nakh. The weakening of Nakh element occurs at the expense of the increase of that of Georgian. Influenced by the lowland speech, men (as more socialized members of the community – Z. K.) easily got rid of Nakh elements whenever Georgian ones strengthened; of course, tonic and intonational norms would be affected in the first place” (T. Uturgaidze).

Differences between women’s and men’s verbal repertoires have been observed in both oral and written styles. In terms of the written style, J. Einarsson detected the following peculiarities: men’s style is based on substantives and various kinds of attributives are frequent, while women’s style is simpler and mostly concentrate on pronominal and verbal constructions. Fortunately, instead of drawing some primitive conclusions, the author states that the observed differences are in fact linguistic indices of social differentiation (I. Einarsson).

It is noteworthy that differences occur when means of nonverbal communication are used. The whistle speech, widespread among Mazateco Indians in Mexico, is a good example. It should be noted that only men used the whistle speech; irrespective of the fact that Mazateco women do not whistle, they understand it (Cowan). This is similar to the Gong language, applied by some tribes in Congo. Normally, it is part of only male activities.

The social institutions which have caused the emergence of the abovementioned verbal and/or nonverbal differences, may have faded, but those oppositions are preserved in a language owing to certain cognitive inertia. It must be recognized that not biological but rather socio-cultural factors have contributed to their emergence. Moreover, once such a peculiarity emerges in a language, it is retained even after either partial or complete disappearance of causing factors. This can be illustrated by the popular tradition in Samegrelo and the term referring to it: *osurepištanapa* || *č’ič’etanapa* – lit. women’s Easter || smaller Easter; it is celebrated a week after Easter. According to I. Aronia, “its basis should be sought in the earlier tradition in Samegrelo; specifically, a woman was not allowed to sit at a table together with a man, moreover, she was not allowed to stay in that room and to call her husband’s name. This tradition seems to be still alive. It can be assumed that a woman was not allowed to participate in religious rituals together with a man, which caused the

arrangement of the holiday on the first Sunday after Easter” (I. Aronia).

Such gender-related linguistic asymmetries are of paramount significance both with respect to synchronic and diachronic aspects.

ზ ე ი ნ ა ბ კ ი კ ვ ი ძ ე (ქუთაისი)

### **კავკასიის თემთა გენდერული ასპექტები ვაჟა-ფშაველას პოეტური ეპოსის მიხედვით**

ზოგადად კავკასიის თემებსა და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული გენდერული ბალანსი ფიქსირებულია ეთნო-რიტუალურ ყოფასა და ლინგვისტურ მასალაში. სალიაცო და სამამაცო ქმედებანი მკვეთრად გამიჯნულია; შესაბამისად მიუღებელია მოქმედებათა გათანაბრება, ან შერევა: ის, რაც ქალისათვის ჩვეულებრივი, ყოფითი და ყოველდღიური, ნორმატიული ქმედებაა, მამაკაცისათვის მიუღებელი და სამარცხვინოა. მაგრამ სამამაკაცო საქმე ქალისთვის, საზოგადოებაში მოქმედი წესების მიხედვით, აკრძალულია, თუმცა არა სამარცხვინო.

სოციუმის მსოფლმხედველობის მასკულინური და ფემინური რაკურსების საფუძველზე იქმნება მყარი დენოტაციები, რომლებიც ვაჟა-ფშაველას პოემებში ფიქსირდება, როგორც:

1. მოვლენების მხატვრული ინტერპრეტაციის ფონი;
2. ლინგვისტური ერთეულების კონოტაციური გაფორმება;
3. რელიგიურ რწმენასა და რიტუალებში გამოხატული არსებობის წესის კონსტატაცია გენდერული განსხვავებებით.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ეპოსის მიხედვით რიტუალური ქმედებანი, ეთნოგრაფიული ჩვეულებები და ფრაზეოლოგიზმები გენდერულ მიმართებათა რამდენიმე ფენის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

რელიგიური წესების თანახმად ხატში ქალის მსახურება აკრძალულია, საღვთო რიტუალი კაცმა უნდა შეასრულოს. „ბახტრი-



ონის” ექსპოზიციურ ნაწილში ეს გენდერული ნორმატივი დარღვეულია, რასაც მიზნობრივი დატვირთვა აქვს.

მამრის სამოღვაწეო სფეროა იარაღი და ბრძოლა. პოემებში მათი ფუნქციური დატვირთვა ამბივალენტურია; ქვეყნის დაცვა და სახელის მოხვეჭა ვაჟკაცთა ხვედრია; იარაღის უქმად ტარება ასოცირებულია სადედაკაცო (ქსოვა, ბეჭევა) საქმესთან და კაცთათვის სამარცხვინო ქმედებადაა დადგენილი. საოჯახო საქმიანობა და შესაბამისი აზროვნება ასოცირებულია ფემინურ ლოგიკასთან და ვლინდება ლექსიკურ ერთეულებში – უმეტესად ფრაზეოლოგიზმებში.

პოეტურ ეპოსში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმებით ფიქსირებულია ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, ქისტეთის მოსახლეობის გენდერული ბალანსი, პოეტი მხატვრული სახეების შექმნისას ხელმძღვანელობს უკვე არსებული მიმართებებით და ქმნის კონოტაციების ფემინურ და მასკულინურ მოდალობებს, რომლებიც ენობრივი პარამეტრებით გამოხატავენ სოციუმის მსოფლმხედველობრივი და კულტურული არსებობის წესს.

*Zeinab Kikvidze (Kutaisi)*

### **Gender Aspects of Caucasian Communities According to the Poetical Epos by Vazha-Pshavela**

Gender balance in the Caucasian communities and particularly in the highlands of eastern Georgia is reflected in ethno-ritualistic life and linguistic material. Female and male activities are strictly demarcated. Accordingly, equalization or mixing of activities is unacceptable. The activities, which are common, typical and habitual to women, are considered to be unacceptable and shameful to men. On the other hand, according to the rules observed by the society, male activities are prohibited for women, although not shameful.

Based on the masculine and feminine aspects of the world outlook held by the society, there are formed stable denotations which are reflected in the poems by Vazha-Pshavela as:

1. Background for artistic interpretation of events;
2. Connotative formation of linguistic units;
3. Statement of rules of existence with gender differences, expressed through religious beliefs and rituals;

Based on the poetical epos by Vazha-Pshavela, ritualistic acts, ethnographical customs and phraseology allow us to single out several strata of gender relations.

According to the religious rules, females are prohibited from the participation in religious rituals, as far as the divine rituals must be performed by males only. In the expository part of poem “Bakhtrioni”, this gender-based normative rule is violated, which serves some specific purpose.

The field of male activities is considered to be weaponry and fighting. In poems their functional significance is ambivalent: defending one’s country and winning fame is considered to be the lot of brave men. Carrying arms without actually using them is associated with female activities (such as weaving, knitting) and regarded to be disgraceful for men. Household activities and relevant way of thinking are associated with feminine logic and find their expression in lexical units, mostly in phraseologisms.

The phraseologisms used in the poetical epos reflect the gender balance within the populations of Pshavia-Khevsuretia, Tushetia and Kistetia (regions inhabited by Chechens and Ingush). When creating fictional characters, the poet is guided by the already existing relations and generates feminine and masculine modalities, which are capable of expressing the world outlook and cultural habits of the society by means of linguistic parameters.

კ. ლ ე რ ნ ე რ ი (იერუსალიმი)

### **ქართული ნახირი – აქადური *naxiru***

1. ასურულ ლურსმულ წარწერებში სულ ცოტა ძვ. წ. ა. მე-11 საუკუნიდან ხშირად გვხვდება უცნობი ზღვის ცხოველი, რომელზეც ასურეთის მეფეები ნადირობენ ან რომელსაც ძღვენად იღებენ. ამ ცხოველს წარწერები *naxiru*-ს უწოდებენ.

კერძოდ, ტიგლათპილისერ I-ის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ : „მე ვილაშქრე ლებანონის მთებში <...> მე მოვკალი ზღვაში naxiru, რომელსაც „ზღვის ცხენს ეძახიან“ [დედნის სრული ინგლისური თარგმანი იხ. აქვე, თეზისების ინგლისურ ვარიანტში, Assyrian Royal Inscriptions, წარწერა № 82]. მეორე წარწერის თანახმად, ტიგლათპილისერს ამ naxiru-ს ქანდაქებაც კი გაუქეთებია: „მე დავამზადე naxiru-ს ბაზალტის ორი ქანდაქება. მე მოვკალი naxiru, რომელსაც ზღვის ცხენს უწოდებენ, შუბით დიდ ზღვაში (იგულისხმება ხმელთაშუა ზღვა) და დავაყენე ჩემი სამეფო შესასვლის მარჯვნივ და მარცხნივ“ (იქვე, წარწერა № 103; აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ ცხოველის იდენტიფიკაცია ასურულ ბარელიეფებში დღემდე ვერ ხერხდება). იგივე ზღვის ბინდარი ნახსენებია ტიგლათპილისერის სხვა წარწერებში, მაგ. 91-სა და 132-ში). Naxiru გვხვდება ასურეთის სხვა მეფეების წარწერებშიც, თუმცა ძვ. წ. ა. მე-9 საუკუნეში ის უკვე არა „ზღვის ცხენად, არამედ ზოგადად „ზღვის ცხოველად, იწოდება : „მე შეექმენი ორი naxiru-ს ქანდაქება.. და დავდგი მათ კარებთან, (აშურ-ბელ-კალა-ს წარწერა, იქვე № 250); ან კიდევ – „მე ვილაშქრე ლებანონის მთებში და დიდ ზღვამდე მივეწიე. იმ დროს მე მივიღე ორი naxiru, რომელნიც ზღვის ცხოველები არიან“ (აშურ-ნასირ-აპლი მე-2, იქვე, წარწ. № 597).

2. აქადური ენის ლექსიკონი ამ სიტყვის მოულოდნელ, გაუმართლებელ და ურთიერთგამომრიცხავ განმარტებას გვთავაზობს: „1. წვრილი თევზი. 2. გველეშაპი“ (იხ., Chicago Assyrian Dictionary vol. I: 137). სავსებით ნათელია, რომ ეს არ შეიძლება იყოს თანამედროვე ბიოლოგიურ ნომენკლატურაში ცნობილი „ზღვის ცხენი“ ანუ პატარა ზომის თევზი, რომლის სიგრძე 10 სმ. არ აღემატება (შდრ. მაგ., Hippocampus, Webster`s). საერთოდ ეს არ შეიძლება იყოს რომელიმე წვრილი თევზი, რომელზეც მეფე ნადირობს (შუბით ჰკლავს) და რომელიც მეფეს ძღვენად შეიძლება მიართვან. ძნელი წარმოსადგენია აგრეთვე, რომ ასურეთის მეფე შუბით გველეშაპზე ნადირობდეს, ისიც ხმელთაშუა ზღვაში...

უდავოდ, აქ იგულისხმება რაღაცა ცხოველი, რომელიც

ზღვისპირა წყლებში ბალახობს და სახარბიელო ნადავლად ითვლება. და თუ ეს ასეა, მაშინ წარწერებში ნახსენებ „ზღვის ცხენს“ კარგად ესატყვისება ამგვარი „ცხენის“ ბერძნული მითოლოგიური გაგება: მას ორი წინა კიდური ჰქონია, სხეული კი თევზისა ან დელფინის მსგავსი კუდით მთავრდება (შდრ., „*Hippocampus*, Class. Mith., Webster`s...“).

ეს მითოლოგიური აღწერა კი აშკარად გვაგონებს რეალურ ზღვის ძროხას – 2,5 – 4 მ სიგრძის ცხოველს, რომელსაც მართლაც ორი წინა კიდური აქვს, ზღვისპირა წყლებში ძოვს და 170-მდე კილოს იწონის. ის წყნარ და ინდოეთის ოკეანებში ბინადრობს (შდრ., მაგ. „*Montee da Dugong*, Webster`s“).

მაშასადამე, ასურული წარწერების *naxiru* აშკარად ზღვის ძროხის რომელიღაც სახეობაა და ამ ცხოველზე ნადირობა ზღვისპირა წყლებში სავსებით გასაგები ჩანს. [რუსულ ბიოლოგიურ ნომენკლატურაში ის ცნობილია როგორც «*корова Стеллера*», რომელიც ჯერ კიდევ მე-18 ს. შორეული აღმოსავლეთის სანაპიროზე ბინადრობდა, მაგრამ ნადირობის შედეგად მოისპო. სავსებით შესაძლებელია, რომ ძველ დროს ის ხმელთაშუა ზღვაშიც ბინადრობდა, კერძოდ, ლებანონის წყლებში. ამ ჯიშის ცხოველი ეხლაც ცნობილია წითელ ზღვაში].

3. ამავე დროს ეს ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობაა. ამოსავლად ის, ან ამავე ძირის სიტყვა ხმელეთის პირუტყვს (იქნებ, სულაც ძროხას) აღნიშნავდა. ამას გვაფიქრინებს პირუტყვის შუშერული ღვთაების სახელი. შუშერული მითის თანახმად, „უზენაესს ღმერთს, ენდილს, ორი უმცროსი ღვთაება შეუქმნია – პირუტყვის ღვთაება *ლა-ხარუ* და მარცვლეულის ღვთაება *აშან*, რათა ღმერთებს სანოვავე და სამოსელი ჰქონოდათ“ (ს. ჰუკი).

და თუ გავითვალისწინებთ, რომ ძვ. წ. ა. მე-11 საუკუნის წარწერებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა უკვე გადატანით მნიშვნელობითაა დაფიქსირებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ნასესხობა ამ სიტყვის ამოსავალ მნიშვნელობას ინახავს და ამდენად გაცილებით უფრო ადრინდელ დროს ასახავს.

C. L e r n e r (Jerusalem)

### **Georgian *naxiri* ‘cattle’ – Akkadian *naxiru***

1. Assyrian royal inscriptions at least since XII c. BC mention some sea animal referred to as *naxiru* : “I (Tiglathpileser I – C. L.) marched to Mount Lebanon. I cut down (and) carried off cedar beams for the Temple of the gods An and Adad. I continued to the land Amurru. I received tribute from the lands Byblos, Sidon, and Arad. I killed at the sea *naxiru*, which is called a sea-horse” (*Assyrian Royal Inscriptions* I-II, publ. Albert Kirk Grayson, Wiesbaden 1976, vol. I, inscription No 82). Another inscription by the same king reads: “I made replicas in basalt of a *naxiru*, which is called a sea-horse <...>. I had killed (them) with harpoon of my own in the Great Sea of the land Amurru [Mediterranean Sea is meant – C. L.]. I stationed them on the right and left of my royal entrance” (*ibid.*, inscription. No 103). Later the same animal is referred to as a ‘sea creature’: “I made replicas of two *naxiru* <...> and stationed them at their doors” (Ashur- Bel- Kala, *ibid.*, No 250); and more: “I marched to Mount Lebanon. I went up to the Great Sea. At that time I received the two *naxiru*, which are sea creatures” (Ashur- Nasir-Apli II, *ibid.*, inscr. No 597).

2. Assyrian dictionary for *naxiru* shows: 1. Small fish. 2. Whale (*Chicago Assyrian Dictionary* I: 137), yet the object of royal hunting could not be either any little fish or the whale. It cannot be either a ‘sea horse’ in modern interpretation (*cf.* *Webster’s*: ‘Sea horse - any fish of the genus *Hippocampus*, length 3 to 4 inch’). More appropriate seems to be mythological notion of the animal: “*Class. Myth.* a sea horse with two forefeet, and a body ending in the tail of a dolphin or fish’ (*Webster’s*). So, more likely, *naxiru* means some real herbivorous sea animal - “*Manatee*, any of several herbivorous, gregarious sirenians...of West Indian, Floridian, and Gulf Coast waters, having two flippers in front and a spoon-shaped tail...length 8 to 13 ft.” (*Webster’s*); or “*Dugong*, a herbivorous aquatic mammal of the Red Sea and Indian Ocean, having a fishlike body, flipperlike forelimbs, and a rounded paddlelike tail, length 9 ft.” (*ibid.*).

3. On the other hand, *naxiru* meaning ‘a sea creature’, ‘a sea cattle’ or even ‘a sea cow’ is obviously used figuratively, since Sumerian mythology

knows ‘a god of cattle’ - *la- har-u* (see Hooke, S., *Middle Eastern Mythology*, Chicago 2005: 21-22). If so, the Georgian language seems to have preserved an ancient semantics of the stem dating back to the period earlier than the XII c. BC.

ნ. ლ ო ლ ა ძ ე (თბილისი)

### სივრცული ლოკაციის აღმნიშვნელი ზმნები

სივრცული ლოკაციის აღმნიშვნელი ზმნები ქართულში მყარ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან. ეს უძველესი ფორმაციის ზმნებია, რომელთაც, ერთი მხრივ, შეინარჩუნეს გარკვეული არქაულობა – მონაცვლეობა რიცხვის, გვარის, დრო-კილოთა მიხედვით; მეორე მხრივ, განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საგულისხმოა როგორც ამ ზმნათა შესწავლის, ისე საერთოდ ენის ტენდენციების თვალსაზრისით.

თანამედროვე ქართულში როგორც სულიერი, ისე უსულო საგნის ვერტიკალური მდებარეობა აღინიშნება *ღვას* ზმნით, ჰორიზონტალური მდებარეობისა – *წევს* ზმნით სულიერის მდებარეობის და *დევს*, *ძევს* ზმნებით უსულო საგნის მდებარეობის აღსანიშნავად. საგნის მდებარეობას აღნიშნავს აგრეთვე *ზის* ზმნა, რომელიც სულიერს მიემართება.

ძველ ქართული შემდეგ ვითარებას გვიჩვენებს: *ღვას* ზმნა როგორც სულიერი, ისე უსულო საგნის ვერტიკალურ მდებარეობას აღნიშნავს; როგორც სულიერი, ისე უსულო საგნის ჰორიზონტალური მდებარეობას აღნიშნავს *ძეს* ზმნა (აგრეთვე, *წევს* ზმნა).

ზის /ჯდა უფრო ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება, ვიდრე თანამედროვე ქართულში.

ყველა ამ ზმნისათვის დამახასიათებელია არსებობა-მყოფობისა და კუთვნილების სემანტიკით გამოყენება. ამ ზმნების ერთ-ერთ მნიშვნელობად არსებობა-მყოფობა გამოყოფილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: *ღვას* 4. *ცხოვრობს; დაბანაკებულია; იმ-*

ყოფება. მინდორში ჯარი დგას. 8. არის (როგორიმე ამინდი). სიცხე დგას. იმაზე (ან ამაზე) დგას – იმ (ამ) აზრისაა. იმ (ამ) აზრს იზიარებს [ქეგლ, 1990, გვ.458]; ზის 3. არის იმყოფება. უსაქმოდ ზის.– სახლში ზის 4. (საუბ.) ციხეშია, დაპატიმრებულია. ხულიგნობისათვის ზის 5. ადგილსამყოფელი აქვს (მეფეს, პატრიარქს) რომის პაპი ვატიკანში ზის. [ქეგლ, 1990, I, გვ.504].

კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ეს ზმნები არსებობა-მოყოფობისა და კუთვნილების სემანტიკით ძველ ქართულში, მაგ.:

**დგას**

*ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე დგეს ი 12, 34 C*

*ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს ი 12, 34 DE*

**ძეს**

*ყრმაჲ ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაჯსნილი მ. 8, 6 C*

*მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული მ. 8, 6 DE*

ამ შემთხვევებში არსებობის სემანტიკის ზმნა (არის, იყო) გვიანდელ ტექსტებში ენაცვლება მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს. კიდევ უფრო ხშირია შემთხვევები, სადაც ეს შენაცვლება არ ხდება, მაგრამ ზმნები აშკარად სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება. ამ მხრივ აღსანიშნავია *ძეს* ზმნა: რაჲ *ძეს* შენი და ჩემი, დედაკაცო, ი. 2,4 C

არსებობის, კუთვნილებისა და სივრცული ლოკაციის სემანტიკური კატეგორიების კავშირი ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულ ენებში დასტურდება, რომ ზოგიერთი ავტორი მას ენობრივ უნივერსალიადაც კი მიიჩნევს (ლაიონზი).

ამ მხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ენის დიალექტები და ქართველური ენები.

N. L o l a d z e (Tbilisi)

## Verbs Denoting Location In Space

The verbs denoting location in space make up a solid lexical-grammatical group in Georgian. These are the verbs of the most ancient formation pattern which, on the one hand, have retained certain archaism – interchange by number, voice, tense-mood; and, on the other hand, have undergone considerable changes which fact is significant both from the point of view of the study of these verbs and from that of language trends in general.

In modern Georgian, vertical position of both animate and inanimate things is denoted by means of the verb *დგობ* (“stands”); horizontal position of an animate thing is denoted by means of the verb *წევს* (“lies”, “is lying”), and that of an inanimate thing – by means of the verb *დევს*, *ძევს* (“lies”, “is laid/put”). The position of a thing is also denoted by means of the verb *ზობ* (“sits”, “is sitting”), which pertains to animate beings.

In the Old Georgian we observe the following situation: the verb *დგობ* (“stands”) denotes vertical position of both animate and inanimate things; horizontal position of both animate and inanimate things is denoted here by means of the verb *ძვს* (lies), (as well as by means of the verb *წევს*).

*ზობ/ჯდობ* is used with a narrower meaning than in modern Georgian.

For all these verbs it is typical to be used with the semantics of existence/being and affiliation. In the Explanatory Dictionary of Georgian Language (EDGL), the concept of existence/being is singled out as one of the meanings of these verbs: *დგობ* 4. *lives; is encamped; is present, is. მონღოლთა ჯარო დგობს (the army is encamped in the field). 8. it is (of weather of a specified type). სიცხე დგობს (it is hot). იმაზე (ან ამაზე) დგობს (stands for, shares, adheres to (an idea, opinion, etc.))* [EDGL, 1990, p. 458]; *ზობ* 3. *is, remains (in a specified condition). უსაქმოდ ზობს (is idle, sits around) – სახლში ზობს (sits at home). 4. (colloq.) is in prison, is imprisoned. ხულოვნობობთვობს ზობს (is in prison/serves a term of imprisonment for hooliganism); 5. has his/her seat, resides (of a king, patriarch) - რომის პაპო ეპიტოპანში ზობს (the Pope has his seat in the Vatican).* [EDGL, 1990, I, p. 504].



Even more widely these verbs are used with the semantics of existence/being and affiliation in old Georgian, e.g.

ღგას

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ღგეს J 12, 34 C

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე ეგოს (*that Christ abideth for ever*)  
J 12,34 DE

ძეს

ერმაჲ ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაჰსნილი M, 8,6 C

მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღვეული  
(*my servant lieth at home sick of the palsy, grievously tormented.*) M, 8,6

In these cases, the verb with semantics of existence (“is”, “was”) is substituted in later texts with verbs denoting location. Even more frequent are the cases where such substitution does not take place, but the verbs are obviously used with special meaning. From this point of view, the verb *ძეს* is to be noted: რაჲ ძეს შენი და ჩემი, დედაკაცო (*woman, what have I to do with thee?*) J 2,4 C

Relation among the semantic categories of existence, affiliation and location in space is evidenced in languages so different from one another that some authors even consider it as a language universal (Lions).

From this point of view, the Georgian dialects and Kartvelian languages present an interesting picture.

რ. ლ ო ლ უ ა (თბილისი)

## შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის შესახებ. II. ფარინგალიზაცია და მისი აღნიშვნა

ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობა კავკასიის ალბანურში ჯერ კიდევ აკ. შანიძემ ივარაუდა. ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა და ს. მურავიოვმა. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში ან სუპრასეგ-

მენტური ხასიათისაა, ანდა სპეციფიკური ფარინგალური ხმოვნით არის გამოწვეული, ხოლო ანბანში აღინიშნება **ს** ასო-ნიშნით.

ჩვენი აზრით, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში სა-მგვარადაა გადმოცემული: ფარინგალიზებულ **ლ** და **შ** ხმოვნებს<sup>1</sup> **ს** (**ლ**) და **სა** (**შ**) „მარტივი“ ასო-ნიშნები აღნიშნავს,<sup>2</sup> შდრ.:

კავკ. ალბანური	უდიური
<b>სა-ლ-ა-შ</b> (თლ <sup>ნ</sup> ან) „ლელვის ხე“	თლ <sup>ნ</sup> ან „id“
<b>სა-ს</b> (ტლ) „მხარე“	ტლ <sup>ნ</sup> დ <sup>ვ</sup> „id“
<b>სა-ლ</b> (შლ <sup>ნ</sup> ) „ექვსი“	შლ <sup>ნ</sup> დ <sup>ვ</sup> „id“
<b>სა-სა</b> (გულ <sup>ნ</sup> ) „შვიდი“	გულ <sup>ნ</sup> დ <sup>ვ</sup> „id“
<b>სა-სა</b> (მულ <sup>ნ</sup> ) „რვა“	მულ <sup>ნ</sup> დ <sup>ვ</sup> „id“
<b>სა-სა</b> (ყლ <sup>ნ</sup> ) „შიში“	ყლ <sup>ნ</sup> დ <sup>ვ</sup> „id“
<b>სა-სა-ო-სა</b> (პლ <sup>მ</sup> უნ < *პლ-ლმ-უნ < *პლ-ლმ-უნ) <sup>3</sup> „ისევ“, „სხვა“	ყლ <sup>ნ</sup> (ვართ.)//გლ <sup>ნ</sup> (ნიჟ.) „id“

ა, ი და ე ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები გრაფი-მათა კომპლექსებითაა გადმოცემული: **სა** (ა), **სა** (ე), **სა** (ი); მაგ.:

<sup>1</sup> შესიტყვებას „ფარინგალიზებული ხმოვნები“ ვიყენებთ პირობითად. იზრდება იმ მკვლევართა რიცხვი, ვინც, გ. დეეტერსის მსგავსად, ფარინგალიზაციას განიხილავს არა სეგმენტურ (ხმოვნისა თუ თანხმოვნისა), არამედ სუპრასეგმენტურ თვისებად. ჩვენი აზრით, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში უდიურის მსგავსად პროსოდის თვისებაა, რის შესახებაც მეტყველებს ფარინგალიზებულ და არაფარინგალიზებულ გრაფიკულ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებში (მრავლობითის, ნათესაობითის, პერფექტისა თუ სხვა მაწარმოებლებში) და მეშველ ზმნაში **სა-სა** (ბუ/ბუ) „ქონა“, „ყოლა“, „ყოფნა“. ეს ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუქსთან და საფიქრებელია, რომ ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში განსაზღვრავს სხვა ერთეული (resp. ფუქე).

<sup>2</sup> გამომდინარე იქიდან, რომ არაფარინგალიზებული **ლ** ბგერაც დიგრაფითაა გადმოცემული (**ლ-ს**), **სა** ნიშანიც შეგვიძლია მარტივ გრაფიკულ სიმბოლოდ მივიჩნიოთ.

<sup>3</sup> შდრ. **სა** (პლ<sup>ა</sup>) „ორი“ (უდ.: პა „id“)

კავკ. ალბანური	უდიური
<b>ჩ-სჟჟ</b> (გ <sup>რ</sup> ან) „თქვენ“	გან „id“
<b>ჟსჟჟ-ჟჟ</b> (კ <sup>რ</sup> ანგან) „უდაბნო“	ქან <sup>რ</sup> გან „მინდორი“
<b>ნსკ-ჟ</b> (ბ <sup>რ</sup> ე <sup>რ</sup> დ <sup>რ</sup> ) „მზე“	ბე <sup>რ</sup> დ <sup>რ</sup> „id“
<b>ნსკ-ჟჟ</b> (ბ <sup>რ</sup> ე <sup>რ</sup> დ <sup>რ</sup> ) „თქვენი“	ე <sup>რ</sup> დ <sup>რ</sup> „id“
<b>სჟჟო-ჩ-ჩ</b> (რ <sup>რ</sup> იმ <sup>რ</sup> ჟ) „ყურები“	იმ <sup>რ</sup> ჟ „id“

გრაფიკული კომბინაციები **სს** (რ<sup>რ</sup>ო<sup>რ</sup>) და **სსჩ** (რ<sup>რ</sup>ო<sup>რ</sup>) არ გვხვდება.

საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური ანბანის შემქმნელმა ან შემქმნელებმა ფარინგალიზაცია ერთ შემთხვევაში ხმოვნისთვის მიიჩნიეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – თანხმოვნისა. შინა ფარინგალიზებული თანხმოვნები შემდეგი ასო-ნიშნებითაა გადმოცემული: **ჩ** (ჟ<sup>რ</sup>), **ჟ** (შ<sup>რ</sup>), **ხ** (ჭ<sup>რ</sup>), **პ** (ჩ<sup>რ</sup>), **ლ** (ჭ<sup>რ</sup>).

კავკ. ალბანური	უდიური
<b>ჩკ</b> (ჟ <sup>რ</sup> ე) „ქვა“	ჟ <sup>რ</sup> ე „id“
<b>ოჟჟ</b> (ოშ <sup>რ</sup> აღ) „დედამიწის ზედაპირი“	ოჩ <sup>რ</sup> აღ „id“
<b>ხო-ჩჟო-ჩ-ჩჟჟ</b> (ჟ <sup>რ</sup> ე <sup>რ</sup> შ <sup>რ</sup> ე <sup>რ</sup> მ <sup>რ</sup> ჟ) „წისკვილი“	ჟ <sup>რ</sup> ე <sup>რ</sup> შ <sup>რ</sup> ე <sup>რ</sup> მ <sup>რ</sup> ჟ „id“
<b>პჟ</b> (ჩ <sup>რ</sup> ა) „სახე“	ჩ <sup>რ</sup> ე „id“
<b>ჟჟჟ</b> (კაჟ <sup>რ</sup> ) „ბრმა“	კაჭ <sup>რ</sup> ი „id“
<b>ნჟლ</b> (ბაჭ <sup>რ</sup> ) „ასი“	ბაჩ <sup>რ</sup> „id“

ამრიგად, კავკასიის ალბანურში ფარინგალიზაციის აღსანიშნავად გამოყენებულია შემდეგი ასო-ნიშნები:

ხმოვნები	<b>სჟ</b> <b>ჟ</b>	<b>სკ</b> <b>კ</b>	<b>სჟ</b> <b>ი<sup>რ</sup></b>	<b>ს</b> <b>ო<sup>რ</sup></b>	<b>სჩ</b> <b>ე<sup>რ</sup></b>
თანხმოვნები	<b>ჩ</b> <b>ჟ<sup>რ</sup></b>	<b>ჟ</b> <b>შ<sup>რ</sup></b>	<b>ხ</b> <b>ჭ<sup>რ</sup></b>	<b>პ</b> <b>ჩ<sup>რ</sup></b>	<b>ლ</b> <b>ჭ<sup>რ</sup></b>

R. L o l u a (Tbilisi)

**Observations on the Phonological System of the Caucasian Albanian Language. II. Pharyngealization and the Ways of its Denotation**

The existence of pharyngealized vowels in the Caucasian Albanian was supposed already by A. Shanidze. This opinion was shared by G. Klimov and S. Muravyov. Whereas, according to J. Gippert and W. Schulze, pharyngealization in the Caucasian Albanian is either of suprasegmental nature, or is caused by specific pharyngeal vowels and is denoted in the alphabet by the character **ⵚ**.

In our opinion, pharyngealization in the Caucasian Albanian is of suprasegmental nature and is denoted in the alphabet by three characters: **ⵚ** (o<sup>h</sup>) and **ⵛ** (u<sup>h</sup>); Pharyngealized versions of characters **a**, **e** and **i** are denoted by graphemic sets: **ⵏ** (a<sup>h</sup>), **ⵍ** (e<sup>h</sup>), **ⵍ** (i<sup>h</sup>); Pharyngealized versions of hushing consonants are denoted by the following characters: **ⵉ** (ž<sup>h</sup>), **ⵊ** (š<sup>h</sup>), **ⵋ** (č<sup>h</sup>), **ⵌ** (ć<sup>h</sup>).

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი (თბილისი)

**ინფორმაციის კოგნიტიურობისა და ევიდენციალების  
ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში  
(სალიტერატურო ენის მონაცემებთან შეპირისპირებით)**

როგორც ცნობილია, კოგნიტიური ენათმეცნიერება შეისწავლის ენას როგორც კოგნიტიურ მექანიზმს, რომელიც განაპირობებს ინფორმაციის კოდირებასა და ტრანსფორმირებას (ვ.ხ. დემიანიკოვა, ე. ს. კუბრიაკოვა)

ნაშრომში განხილულია სვანური ზმნის ფუნქციურ-კოგნიტი-

ური ფართო პოტენციალი, რაც მნიშვნელოვანწილად ამ ენაში კარგად განვითარებულ მორფოსინტაქსურ კატეგორიას – ევიდენციულობას უკავშირდება, რაც ნიშნავს “ინფორმაციას ინფორმაციის შესახებ” (რ. ნიცოლოვა).

ევიდენციულობა, პირველ რიგში, ტექსტის კატეგორიაა (თუმცა ზმნა დასაყრდენია) და, ბუნებრივია, გამოსატვის დესკრიფციული საშუალებები როგორც ზოგადად, ისე ამ კონკრეტული კატეგორიისთვის სალიტერატურო ენაში, მისი მაღალექსპრესიულობიდან გამომდინარე, გაცილებით უხვადაა, ვიდრე უმწერლობო ენებში. ამასთანავე აღნიშნული კატეგორია გრამატიზებულია (თურმეობითები, ნაწილაკოვანი წარმოების პირდაპირი ნათქვამი...), მაგრამ არა ისე სრულად და მორფემის დონეზე, როგორც სვანურში;

თანამედროვე ქართულ ზმნაში ევიდენციულობა მწკრივის ელემენტად მხოლოდ კატეგორია “მოქმედების აქტის” საფუძველზე თუ ჩაითვლება, რომელსაც სპეციალური მორფემა არ მოეპოვება (III სერიის სპეციფიკურობის გამო ეს არც იყო მოსალოდნელი) და აღნიშნული ფუნქციაც (მოქმედების უნახაობის გამოსატვა) სათანადო მწკრივებში მოგვიანებით შექმნილი უნდა იყოს. სვანურში ევიდენციულობა სპეციალური მორფემით გამოსატული უღლების კატეგორიაა, მწკრივის ელემენტია და ეს არის საფუძველი მწკრივთა სიჭარბისა, რადგან ენაში მწკრივთა რაოდენობას სწორედ მწკრივის ელემენტთა რაოდენობა განაპირობებს (ა. შანიძე).

ინფერენციაზე, ლოგიკურ მსჯელობაზე დამყარებული ე. წ. “სუსტი”, დაუზუსტებელი ინფორმაცია (კონკლუზივი) სალიტერატურო ენაში ან სუსტად არის გამოსატული (სვანურისგან განსხვავებით, თანამედროვე ქართულში თურმეობითების გარდა, ფუნქციურად მხოლოდ ხოლმეობითი შეიძლება ჩაითვალოს ინფერენციულად: “ვანო წავიდა? წავიდოდა=აღბათ წავიდა”), ან სათანადო ორგანული ფორმა საერთოდ არ გვაქვს – ვარაუდის დაფიქსირება (პრეზუმპტივი) მხოლოდ აღწერითად, მოდალური ლექსემების თანხლებით არის შესაძლებელი: “იქნებ წავიდა, აღბათ წავა, შესაძლოა წავიდეს...”;

საერთაშორისო ლინგვისტიკაში გაზიარებული ძირითადი ევიდენციულობის უმეტესობა სვანურში მოქმედი და მორფოლოგი-

ზებულია, ამათგან მარკირებულია ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ირიბ წყაროზე (გადმოცემითობა, მთქმელის ცნობიერებაში არსებული ცოდნა, წინმსწრები მოვლენები, რაც განაპირობებს ლოგიკურ მსჯელობას ან ვარაუდს, ლ. დელენსის ტერმინოლოგიით – “იდეალური ცოდნისგან” გადახრილ, ეპისტემიკურ ცოდნას);

სვანურისთვის ყველაზე ნიშანდობლივი და გრამატიკულად გამოსატული ევიდენციალურებია: კონკლუზივი, პრეზუმპტივი და რენარატივი; განსაკუთრებით საინტერესოა მწკრივთა ფუნქციები კოგნიტიური ინფორმაციის დიფერენციაციასთან მიმართებაში:

ა) პერფექტის მაღალპროდუქტულობის გამო, როგორც ქართულში, ასევე სვანურში, ევიდენციალური ზოგ შემთხვევაში ფორმალურად კვეთენ ერთმანეთს; მაგალითად, **ოთგა** “აუშენებია” შეიძლება გარკვეული ტექსტისთვის იყოს კონკლუზივი, სხვაგან – რენარატივი; ომონიმურობა ხშირი მოვლენაა არა მარტო ევიდენციალურებისთვის, არამედ ევიდენციალურებსა და სემებს შორისაც;

ბ) **სვანურში არის სპეციფიკური მწკრივები** (ინფერენციული აწმყო: **იგმინი/იგმუნი** “იქნებ/აღბათ აუშენებს”, პირობით-შედგობითი: **ხეგი** “იქნებ/აღბათ უშენებია”), **რომლებიც ცალსახად პრეზუმპტივს ან კონკლუზივს გამოსატავენ და საიდენტიფიკაციოდ კონტექსტს არ საჭიროებენ**, მათი სემანტიკა თავისთავად არის ეპისტემიკური, ამიტომაც ამ ფორმებით გამოსატული ინფორმაცია კონტექსტის კვალდაკვალ ვეღარ გადაინაცვლებს რენარატივის ან ინდიკატივის “ყუთში” (ა. სლობინის ტერმინოლოგიით). ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ომონიმურობაც აღარ გვაქვს.

გ) სტილურად შეზღუდულია კონტექსტში სვანურში არსებული სხვადასხვაგვარი წარმოების მყოფადის (ქართულისებრი: პრევერბი+აწმყო, საკუთრივ სვანური: ძირითადი პრევერბი+ფუძე+სუფიქსი) თავისუფალი ჩანცვლება, ვინაიდან სუფიქსიანი ფორმა კატეგორიულობის შესუსტებით და, შესაბამისად, სავარაუდოების ნიუანსით ხასიათდება...

ამრიგად, ნაშრომი არის ცდა სვანურში **ზმნით გამოსატული კოგნიტიური ინფორმაციის კლასიფიკაციისა ევიდენციალობასთან მიმართებაში**, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ტაბულები, რომლებიც აფიქსირებენ მწკრივთა ფუნქციების დისტრიბუციას ევი-

დენციალების მიხედვით, ასევე, თვალსაზრისთვის მოყვანილი იქნება სათანადო კონტექსტები სალიტერატურო და უმწვერლობო ენების მონაცემთა შეპირისპირებით.

K. M a r g i a n i - S u b a r i (Tbilisi)

**Towards the Interrelation of Cognitiveness and Evidents in the Svan Language (in comparison with the data of the literary language)**

As it is well-known, cognitive linguistics studies a language as a cognitive mechanism, that conditions coding and transformation of information (V. Demianikova, E. Kubriakova).

The paper discusses a wide functional-cognitive potential of the Svan verb which is connected with the well-developed morpho-syntactic category of the Svan language – evidentness, e.i "information about information" (R. Nitso-lova).

Evidentness, primarily, is the category of a text (though verb is basic in it) and it is natural, that descriptive means of expression, generally, as well as for this concrete category, are far more numerous in the literary language than in the spoken one. At the same time, the mentioned category is grammaticalized (resultatives, a direct speech of particle formation...), but not to such extent as it is in Svan.

The paper presents classification of the cognitive information, expressed by the verb in Svan, in relation to evidents; describes distribution of functions of screeves from the point of view of differentiating this information. There are specific screeves in Svan (inferential present: **igmini/igmuni** "Perhaps / probably he / she is building", conditional-resultative: **xegi** "Perhaps / probably he / she has built") **which express purely presumptive or conclusive and their identification does not require a context**, their meaning is epistemic itself.

The present study, which states distribution of functions of screeves according to evidents, will facilitate for the interested readers, particularly non-

Georgian readers, understanding of the system of evidents, operating in the Kartvelian languages, perception of the relation of this system to the cognitive information.

ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი (თბილისი)

### **ქეთევან ლომთათიძის ცხოვრება და მოღვაწეობა**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი ქეთევან ბესარიონის ასული ლომთათიძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში 1911 წლის 9 თებერვალს. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1926 წელს დაამთავრა თბილისის მერვე სკოლა, ხოლო 1931 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილება.

1931-34 წლებში სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. 1934-37 წლებში იყო უნივერსიტეტის ასპირანტი. 1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლიდან კითხულობდა აფხაზური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1940 წლიდან ეკავა დოცენტის თანამდებობა.

1937 წლიდან ქ. ლომთათიძე მუშაობდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებაში, რომელიც 1941 წელს შევიდა ენის (შემდგომ – ენათმეცნიერების) ინსტიტუტის შემადგენლობაში.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 1945 წელს. პროფესორად აირჩიეს 1950 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად – 1979 წელს.

ქეთევან ლომთათიძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა აფხაზური ენისა და მისი დიალექტების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლას. მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი მაღალკვალიფიციური ნაშრომი ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების დარგებში. ქეთევან ლომთათიძის შრო-



მები გამოირჩევა საკითხის ფართოდ დანახვის გასაოცარი უნარით, კვლევის სიღრმით, მასალის ზედმიწევნითი ცოდნით.

ქეთევან ლომთათიძე ავტორია მონოგრაფიებისა:

1. „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944),
2. „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954),
3. „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1976),
4. „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში“ (1982),
5. „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (1984),
6. „სონანტა მეზობლად ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრება (დაყრუება) ქართველურ ენებში“ (1996),
7. „აბაზური ენა“ (2006) ქართული ვარიანტი, ინგლისურ ენაზე გამოცემული იმავე მონოგრაფიისა, რომელიც შესულია ნიუ-იორკში გამოცემულ ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური ენების კრებულში (1989).

ქეთევან ლომთათიძემ შეძლო სრულად აღეწერა აფხაზურ-აბაზურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემა.

ქალბატონი ქეთევანის ნიჭიერების, დაუღალავი შრომისა და ფართო ერუდიციის დამსახურებაა, რომ აფხაზურ-აბაზური ენები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე უკეთ შესწავლილი ენებია.

ქეთევან ლომთათიძე გახლდათ ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის VII ტომის რედაქტორი, რისთვისაც მას და მთელ სარედაქციო კოლექტივს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

ხელმძღვანელობდა რუსულ-ქართული სამტომეული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიას, იყო არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს – “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების” არაერთი ტომის რედაქტორი, საერ-

თაშორისო სამეცნიერო ორგანოს “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, შემდგომ – მთავარი რედაქტორი.

ქეთევან ლომთათიძე იყო ენათმეცნიერების ინტიტუტის დირექტორი 1953-63, 1975-1988 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორად მუშაობდა სამოცი წლის განმავლობაში. თავისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობის განმავლობაში მან აღზარდა ათობით წამყვანი სპეციალისტი კავკასიოლოგიის დარგში. ესენი იყვნენ აფხაზები, ჩერქეზები, ნახები, დაღესტნელები, ქართველები...

საგანგებოდ აღსანიშნავია ქალბატონი ქეთევანის მონაწილეობა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ გამართულ დისკუსიაში, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანოს „ვოპროსი იაზიკოზნანიას“ ფურცლებზე. ქეთევან ლომთათიძის სადისკუსიო სტატია «Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания» არის საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორ კორექტულად და თანმიმდევრულად შეიძლება დაიცვა გარკვეული სამეცნიერო თვალსაზრისი და ყოვლისმომცველი, ლაკონიურად გამოთქმული არგუმენტებით დაამტკიცო საკუთარი მოსაზრების მართებულობა. ამ სტატიით აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე გვევლინება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ღირსეულ მკვლევრად და სწორუპოვარ ქომაგად.

ქალბატონი ქეთევანის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო კავკასიელ ხალხთა ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის ასამაღლებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ქ. ლომთათიძე ბოლომდე დაიხარჯა კავკასიელ ხალხთა, განსაკუთრებით კი აფხაზებისა და აბაზების საკეთილდღეოდ. მან პირნათლად მოიხადა ვალი თავისი სამშობლოსა და მთელი კავკასიის წინაშე.

ჩვენი და მომავალი თაობებისათვის მისაბამ მაგალითად დარჩება ქალბატონი ქეთევანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ქეთევან ლომთათიძის უბადლო ნაშრომებზე აღიზრდებიან ლინგვისტთა ახალი თაობები.

N. M a c h a v a r i a n i (Tbilisi)

### **Ketevan Lomtadze's life and activity**

A prominent Georgian scholar, Academician Ketevan B. Lomtadze was born in the village Khidistavi (Chokhatauri region) on the 9<sup>th</sup> February, 1911. There she received the primary education. In 1926 she finished Tbilisi school N8. In 1933 she graduated from the Tbilisi State University, linguistic department of the faculty of language and literature.

In 1931-34 she carried out her research at different scientific institutions. In 1934-37 she was a post-graduate student at the University. In 1937 she defended her candidate's thesis. Since that time, she conducted a course of lectures on the Abkhaz language at the Tbilisi State University, since 1940 she was a docent.

Since 1937 she worked at the department of the Caucasian languages at the Institute of Language, History and Material Culture which at that time (in 1941) belonged to the Institute of Language (later the Institute of Linguistics).

In 1945 she defended her doctoral degree (Hab.). In 1950 she was elected as a Professor and in 1979 - as Academician of the Georgian Academy of Sciences.

It was the initiative of Ketevan Lomtadze to commence historical-comparative study of the Abkhazian language and its dialects. She published more than 200 highly qualified works in Kartvelology, Caucasiology and general linguistics.

Ketevan Lomtadze is the author of the following monographs:

1. "The Tapant dialect of Abkhaz" (1944);
2. "The Ashkhar dialect and its place among other Abkhaz-Abaza dialects" (1954);
3. "Historical-comparative analysis of the Abkhaz and Abaza languages. A Phonological system and phonetic processes" (1976).
4. "Main types of local preverbs and their formation in Abkhaz and Abaza" (1982);
5. "Bilabial plosives originating from complexes in the Kartvelian languages" (1984).

6. "The Abaza language" (2006) □ English version of the mentioned monograph, entered the collection of the North-West-Caucasian languages published in New-York (1989).

Ketevan Lomtadze gave comprehensive description of phonological, morphological and syntactical systems of the Abkhaz-Abaza languages.

Thanks to her talent, tireless work and wide erudition, today the Abkhaz-Abaza languages are considered to be the well-studied languages among the Iberian-Caucasian languages.

Ketevan Lomtadze was an editor of the 7th volume of the eight-volume "Georgian Explanatory Dictionary". Owing to this she, together with other members of the editorial board, was awarded the state prize.

She was the supervisor of the editorial board of three-volume "Russian-Georgian dictionary", an editor of numerous volumes of the annual journal of the Arnold Chikobava Institute of Linguistics □ "Ibero-Caucasian linguistics", assistant-editor and then editor-in-chief of the international scientific organ "Annual of Ibero-Caucasian Linguistics", which published works of caucasiologists from all over the world.

In 1953-63 Ketevan Lomtadze was director of the Arnold Chikobava Institute of Linguistics. In 1975-88, during 60 years, she was Professor of the Chair of the Caucasian Languages at Tbilisi State University. During her long career she educated many leading specialists in caucasiology. They were Abkhazians, Circassians, Nakhs, Dagestanians, Georgians...

Ketevan Lomtadze participated in the discussion on the Iberian-Caucasian languages that took place in the 50s of the 20th c. on the pages of periodical of the Academy of Sciences of the Soviet Union "Linguistic issues". Her article "Some issues of Ibero-Caucasian linguistics" is a brilliant sample of how one can maintain her own position, be consistent, elucidate the issue from many sides, bring multiple arguments, etc. The mentioned article spoke of Ketevan Lomtadze as an exceptional researcher and unequalled defender of the Iberian-Caucasian linguistics.

Ketevan Lomtadze life, all her activity was directed towards reviving the national consciousness and culture of the peoples, speaking Caucasian languages. New generation of linguists will grow on Ketevan Lomtadze's works.

## 6. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი (თბილისი)

### მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს შორის

მოსხენებაში განხილულია ქართული და აფხაზური ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები, რომლებიც გარკვეულ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ.

„პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიის წარმოების თვალსაზრისით ქართულსა და აფხაზურ ენებს აერთიანებს: 1. ზმნის პოლიპერსონალურობა, 2. პირისა და კლასის ნიშნებად (აფხაზურში) პრეფიქსების გამოყენება 3. პირისა და კლასის ნიშნების კლასნიშნისეული და ნაცვალსახელური წარმოშობა, 4. პირისა და კლასის ნიშანთა განლაგება გარდამავალ ზმნებში 5. გარდამავალ ზმნებში დადებით ბრძანებითში II სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობა.

გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ნიშნად (ქართულში ირიბი ობიექტის ნიშნადაც) ანუ კლას-კატეგორიის უძველეს ნიშნად ქართულისათვის უნდა აღდგეს \*ხ-ჰ-ს- ფორმანტი, აფხაზურში ქართული \*ხ-ჰ-ს- ფორმანტის ბადალი \*დ- ფორმანტი უნდა გამოიყოს.

პირის ნიშანთა სუფიქსაცია III პირის მხოლოდობით და მრავლობი რიცხვში ქართულისათვის მეორეულია, ასევე მეორეულია აფხაზურში მრავლობითობის ნიუთის კატეგორიის ფორმანტ -ქა-თი გადმოცემა.

**ქცევის კატეგორიას** ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში აქვს თავისი მორფოლოგიური ნიშანი ზმნაში, ამ ენებში ქცევის კატეგორია მორფოლოგიურია:

1. ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში უნდა გამოიყოს ქცევის ორი სახეობა: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო), 2. ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების ზმნის ქცევის კატეგორია მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ ერთობას ამჟღავნებს: ერთი მხრივ, ერთად დგას აფხაზურისა და მეგრულ-ჭანურის

სარფულ თქმაში შემორჩენილი ვითარება, მეორე მხრივ, ქართველურისა და ადიღურ ენათა მდგომარეობა. ეს უკანასკნელნი ქცევის კატეგორიის უფრო მეტად განვითარებულ სახეობას გვთავაზობენ; 3. სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები განხილულ ენებში პრეფიქსებია, წარმოშობით ისინი ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან მომდინარე მითითებით-მიმართულებითი ელემენტებია; 4. სასხვისო ქცევის ნიშანი ორსავე ენაში ზმნის ობიექტური პირის აფიქსის თანმხლებია და აღნიშნავს ზმნით აღნიშნული მოქმედების ობიექტისადმი განკუთვნილებას.

**პოტენციალის კატეგორიას** ქართველურ ენათაგან ყველაზე მეტად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში. ქართულსა და სვანურში პოტენციალის სემასიოლოგიური კატეგორიაა, მაგრამ პოტენციალის კატეგორიის გამოკვეთილი სახის ზანურში დადასტურება გვაგარაუდებინებს, რომ აღნიშნული კატეგორია სამივე ქართველური ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კატეგორია უნდა ყოფილიყო.

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა **უნებურობის კატეგორია**.

1. უნებურობის კატეგორია იწარმოება ამჟა-პრეფიქსით, მისი ამოსავალი მნიშვნელობაა „ხელი“.

უნებურობის კატეგორია ქართველურ ენებში სემასიოლოგიურია, მაგრამ ის ლექსიკური საშუალება, რომლითაც იწარმოება აღნიშნული კატეგორია, მნიშვნელოვან ერთობას ამჟღავნებს აფხაზურის მორფოლოგიურ კატეგორიასთან. შდრ.: აფხაზური *ღ-ს-ამჟა-ყაწჷტ* „მე ის უნებურად გავაკეთე“, სადაც აფიქსთა ინვერსიული წყობაა, ძველი ქართული – *არა ჯელ მეწიფება*, სადაც ასევე აფიქსთა ინვერსიულ წყობასთან გვაქვს საქმე და ასევე გამოყენებულია „ხელი“ ლექსემაც.

ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში გამოიყოფა **კაუზატივის მორფოლოგიური კატეგორია**.

კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელი ფორმანტები აღნიშნულ ენებში მასალობრივ ერთიანობას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის ნიშნებთან.

აფხაზურ-ადიღურ ენებში და ქართველურიდან ზანურში

ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა **საურთიერთო კატეგორია**.

ქართულში საურთიერთო კატეგორია სემასიოლოგიურია, მაგრამ თავისი ნიშნებით იგი საერთოს ამჟღავნებს აფხაზურ-ადიღურ ენების საურთიერთო კატეგორიასთან, რომელიც მორფოლოგიური ნიშნით აისახება ზმნაში; მაგალითად ქართული „ერთმანეთი“, „ერთიმეორე“, აფხაზური „აჲბა“ < \* აკგ-ჰბა „ერთი-ორი“.

აფხაზურში **კითხვითობის კატეგორიის** გამოსატყვის ერთ-ერთი საშუალებაა -მა სუფიქსის გამოყენება კითხვით-დადებით წინადადებაში.

**უარყოფითობა** აფხაზურში -მ- მორფემით გადმოიცემა. მისი ადგილი ზმნაში დამოკიდებულია ზმნის სხვადასხვა მორფოლოგიურ პირობაზე: დინამიკურობა-სტატიკურობაზე, ფინიტურობა-ინფინიტურობაზე, მწკრივის რომელობაზე.

აფხაზურის კითხვითობის -მა ფორმანტი უარყოფითობის შინაარსის შემცველიც შეიძლება იყოს.

ეს ვითარება ძველ ქართულში კითხვითი ა- ნაწილაკის გამოყენებას ჰგავს: „მანდა არსა?“- \*„მანდ არის, არა?“

აფხაზურ ენაში აბსოლუტივში მ აფიქსის გარდა -კ<sup>ა</sup> სუფიქსიც დაერთვის ძირს (საფიქრებელია, ეს იგივე „ყოფნა“ ზმნის ფუძეა). მ- და -კ<sup>ა</sup> დინამიკურ ზმნებში დაშორებულია ერთმანეთს: სგ-მ-ცა-კ<sup>ა</sup> „მე წაუსვლელად“...

ქართულის კითხვითობის ა-ც უარყოფითი არა ნაცვალსახელიდან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ „არსებობა /ყოფნა“ ზმნასთან უნდა იყოს კავშირში, ისევე როგორც ეს აფხაზურშია: აგებულების მიხედვით აფხაზური მ-კ<sup>ა</sup> ქართული ა-რა-ს ეკვივალენტური გამოდის: აფხაზური მ- ისევე შეიძლება იყოს უარყოფითობისა, როგორც ქართულის ა-. ანუ ქართული არა < ა+რა, „არმყოფი“, ხოლო აფხაზური მკ<sup>ა</sup> < მ+კ<sup>ა</sup>. „არმყოფი“...

N. M a c h a v a r i a n i (Tbilisi)

### **Morphological Isoglosses in Georgian and Abkhazian Verbal Constructions**

The paper discusses the morphological categories of the Georgian and Abkhazian verb, which reveal some structural and typological similarity.

From the standpoint of formation of a **person, class and number** category, the Georgian and Abkhazian languages have common: 1. verb poly-personality, 2. using of prefixes as person and class markers (in Abkhazian), 3. class-marking and pronominal origin of person and class markers, 4. order of person and class markers in transitive verbs, 5. non-existing II subject person marker in an affirmative imperative in transitive verbs.

As a marker of a subject of an intransitive verb and a direct object of a transitive verb (in Georgian as a marker of an indirect object as well) or an oldest marker of a class-category \***x-||h-||s-** formant should be reconstructed for Georgian, in Abkhazian \***d-** formant that is similar to Georgian \***x-||h-||s-** should be singled out.

Suffixation of personal markers in III person singular and plural is secondary for Georgian. In Abkhazian denoting a plural object category by a formant **-k°a** is also secondary.

**Category of version** in the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages has its morphological marker in a verb. In these languages a version category is morphological.

1. Two kinds of version should be distinguished in the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages: subjective and objective; 2. Version category of a verb of the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages reveals typological unity: on the one hand, the state preserved in Abkhazian and the Surph subdialect of Megrelian-Chan, and on the other hand the state of the Kartvelian and Adyge languages. The latter represent more developed type of a version category; 3. Subjective and objective version markers in the mentioned languages are prefixes. Originally they are indicative-directional elements originating from demonstrative pronouns. 4. An objective version marker in both languages accompanies an object person marker and denotes the possession of an object ex-



pressed by the action of a verb.

**Category of potential** is most developed in Megrelian among the Kartvelian languages. In Georgian and Svan potential is a semasiological category, but a well-defined category of potential evidenced in Zan makes me suggest that the mentioned category must have been a morphological category characteristic of three Kartvelian languages.

**Category of unvoluntariness** should be distinguished among the morphological category of a verb in the Abkhaz-Adyge languages.

1. Category of unvoluntariness is formed by **amqa-** prefix. Its initial meaning is **xeli** "a hand".

In the Kartvelian languages a category of unvoluntariness is semasiological, but it is a lexical means by which a mentioned category is formed. It manifests an important similarity with Abkhazian morphological category; cf.: Abkh. **j-s-amqa-qaçejt** "I have done it unvoluntarily", where an inversive order of affixes takes place, Old Georgian **ara qel meçipeba** "I can not do it", where an inversive order of affixes occurs as well and also a lexeme **xeli** is used.

**Morphological category of causative** is distinguished in the Kartvelian and Abkhaz-Adyge languages.

Form-building means of the category of causative in the mentioned languages reveal material similarity with plural markers.

**Communicative category** is characteristic of the verb morphological category in the Abkhaz-Adyge languages and in Zan among Kartvelian group.

In Georgian a communicative category is semasiological, but with its markers it is similar to the communicative category of the Abkhaz-Adyge languages, that is reflected by a morphological marker in a verb; e. g. Georg. **ertmaneti** "each other", **ertimeore** "one another" □ Abkhaz. "**aqba**" < **\*akə-wiəba** "one or two, a few".

One means of expressing an **interrogative category** in Abkhazian is a **-ma** suffix in an affirmative and interrogative sentence.

**Nagation** in Abkhazian is expressed by **-m** morpheme. Its place in a verb depends on different morphological conditions of a verb: dynamic – static, finite - infinitive, kind of a screeve.

Abkhazian interrogative **-ma** formant can denote negation. This is similar to **a-** interrogative particle in Old Georgian: **manda arsa?** □ **\*mand aris, ara?** "He/she is there, is not he/she?"

In Abkhazian in the absolutive form suffix **-ḱ°a** is also added to a root, alongside **m** affix (it is suggested, that it is the same stem of the verb **ḡopna** "to be"). In dynamic verbs **m-** and **-ḱ°a** are separated from each other: **sə-m-ca-ḱ°a** "I... without going".

Georgian interrogative **a-** should be originated from a negative pronoun, but this latter in its turn, should be connected with the verb "existence/be", like in Abkhazian: according to structure Abkhazian **m-ḱ°a** appears to be an equivalent of Georgian **a-ra** "no": Abkhazian **m-** can be negative like Georgian **a-**. Thus, Georgian **ara** < **a+ar** "non-existent", but Abkhazian **mḱ°a** < **m+ḱ°a** "non-existent"...

თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე (თბილისი)

### **ხმოვანი პრეფიქსების შესახებ გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებში**

მესამე სერიის ფორმებში ადგილი აქვს რამდენიმე კატეგორიის გადაკვეთას და, გარკვეული თვალსაზრისით, მოსალოდნელიცაა, რომ პოლისემიურმა ხმოვანმა პრეფიქსებმა კატეგორიათა კომბინირებული სემანტიკა წარმოადგინოს.

მესამე სერიაში, როდესაც რეალური ირიბი ობიექტი გადის ზმნიდან, ეს უკანასკნელი ცდილობს დესტინაციური შინაარსის შენარჩუნებას და ირჩევს “თვის”- თანდებულებიან ფორმებს, რომელთაც აქვთ დანიშნულებითობის შინაარსი. მაინც რჩება გარკვეული უკმარისობის შეგრძნება – დესტინაციის გამოხატვის თვალსაზრისით, და ამის შესავსებად პარალელურად ჩნდება ქცევის ნიშნები.

ვერსიის ნიშანთა ფუნქციურ-სემანტიკური საფუძველი გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში, კერძოდ, კი პირველ თურმეობითში არის ზმნიდან გასული ირიბი ობიექტის ფაქტორი თავისი დესტინაციური შინაარსით და პერფექტის პოსესიური სემანტიკა. მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში გაჩენილი ხმოვანი პრე-

ფიქსი “ე-“ არის რელაციური “ე“, რომელიც ზოგ გარდაუვალ ზმნაში “ი-“ პრეფიქსიან აბსოლუტურ ფორმებთან მიმართებაში სა-ოპოზიციო რელაციურ ფორმებს ქმნის და სამართლიანად მიჩნეულია სასხვისო ქცევის გაგების გამომხატველად პრეფიქსული ვნე-ბითი გვარის ფორმებისათვის.

აქ ადგილი აქვს ზმნის კატეგორიების სემანტიკათა გადაკვე-თას რეფერენტთა დონეზე. ასეთი კომბინაციური ბაზა საკვებით საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ ამ ფორმებში სასხვისო ქცევის ნიშნები უფუნქციოდ არ მივიჩნიოთ.

ინვერსიას საფუძვლად უდევს ერგატიული კონსტრუქციის მოთხოვნა, ობიექტის აქტუალიზაციის შესახებ. მესამე სერიის ფორმებში დაჩრდილულია მოაზროვნე სუბიექტის როლი. “თურმე” ჩადენილი ზმნური აქტი კარგავს აორისტისეულ ერგატიულ კატე-გორიულობას და ამიტომაც ერგატიული დატვით ფორმდება. მე-სამე სერიის ფორმებში სახეზეა ინვერსიული პოსესიური ერგატი-ულობა.

პრეფიქსულ ხმოვანთა პოლისემიურობა სხვა რამდენიმე ენობრივ მოვლენასთან ერთად, ქართული აგლუტინაციური ენის ჩარჩოებიდან გაჰყავს.

T. M a k h a r o b l i z e (Tbilisi)

### **Concerning the Vocal Prefixes in the III Series of Transitive Verbs**

In the forms of the III series a few grammatical categories are present and it's even expected for the poly-semantic vocal prefixes to show such cross cate-  
gorical items.

In the III series, when the real indirect object goes out of the verb, it tries to keep the content of destination using the forms with “for“ postposition. But still there is some lack in exposing the semantics of destination and the markers of version appear.

The functional and semantic basis for the forms of version in transitive

verbs in the III series (in the I turmeobiti row) is former indirect object with its possessive-destination content and the possessive semantics of the perfect tenses. The prefix “e-” is in the forms of the II turmeobiti and the III kavshiebiti with the same function as a relational vocal and a marker of the objective version in intransitive forms in opposite with the “i-” prefix in the one-personal verbs.

Inversion is a result of actualization of the object as a demand from the ergative construction. In the III series the role of the thinking subject is not as clear and as categorical as it is in aorist and it has the dative case. The forms of the III series in transitive verbs are exposing the inversional possessivity.

The appearance of the markers of version in the III series has two important reasons: the first is the semantic content of the indirect object that left the verb and its destination-possessive character, and the second is the possessive semantics of the perfect tenses. In this series we have the cross categorical references and such a combination base is absolutely enough for not to consider the vocal markers non-functional in these forms.

The poly-semantics of the vocal prefixes in Georgian together with some other facts can be considered as the samples for braking the frames of agglutination.

ნ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი (პარიზი)

### **რედუცირებულ ხმოვანთა განაწილებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი სახელურ და ზმნურ ფუძეებში**

ხმოვანთა რედუქციის შესახებ დღეს საკმაოდ ბევრი გამოკვლევა არსებობს. შესწავლილია ზმნური და სახელური ფუძეები ცალ-ცალკე თუ ერთად. ჩვენ შევეხებით სახელთა რედუქციას, კერძოდ ფუძისეულ სარედუქციო ხმოვნებს სახელებში, რომლებიც ხმოვანი+სონანტი (V+S) კომბინაციითაა წარმოდგენილი აუსლაუტში. ვაჩვენებთ ყველაზე პროდუქტიულ და ნაკლებ რედუცირებად შემთხვევებს.

განვიხილავთ ასევე მოქმედებითი გვარის ზმნებს, კერძოდ –

-ავ და -ი თემატურ სუფიქსიან ზმნებს. წარმოდგენილი იქნება აორისტში კომბინაცია ხმოვნის + სონანტი (V+S) რეალიზაციის შემთხვევები ზმნურ ფუძეებში და მათ შევადარებთ სახელურ ფუძეებს. ანალიზის შედეგად გამოიკვეთება ის საერთო და განსხვავებული კომბინაციები, რომლებიც სახელურ და ზმნურ ფუძეებში შეინიშნება.

ნაშრომში განხორციელებულ დაკვირვებები ქართული ენის სწავლების პროცესში იძლევა საშუალებას, ნათლად და მარტივად წარმოვადგინოთ ფუძისეული ხმოვნის დაკარგვისა თუ აღდგენის შემთხვევები სახელურ და ზმნურ ფუძეებში.

N. M e t r e v e l i (Paris)

### **Some Issues Related to the Distribution of Reduced Vowels in Nominal and Verbal Stems**

Currently, there are quite numerous studies dedicated to the reduction of vowels. Verbal and nominal stems have been studied separately and together. In this paper, we shall deal with the reduction of nominals, namely vowel reduction of the stem in nominals which are presented with a combination vowel+sonant (V+S) in Auslaut. We shall also demonstrate the most productive and less reduced cases.

We shall also review the verbs of active voice, particularly those with –ავ (-av) and –ი (-i) thematic suffixes. We shall present the cases of realization of the combination vowel+sonant (V+S) in the verbal stems in aorist and compare them with nominal stems. The analysis will bring to light the common and different combinations, which can be observed in nominal and verbal stems.

The observations made in this paper enable us, in process of teaching the Georgian language, to clearly and simply highlight the cases of reduction or restoration of stem vowels in nominal and verbal stems.

მ. მიქელაძე (თელავი)

## აღგებრული სესხება, როგორც ზებილინგვიზმის

### ძირითადი მახასიათებელი

(წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)

მსოფლიო გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში წოვათუშურ-ქართულმა მრავალსაუკუნოვანმა ორენოვნებამ განვითარების ყველა საფეხური გაიარა და დღეს ზებილინგვიზმის სტადიაშია – დაიწყო წყარო ენაზე ბილინგვთა გადართვის შეუქცევადი პროცესი.

საგულისხმოა, რომ ე.წ. მსესხებელი ენა ბოლომდე იბრძვის თავისი პოზიციების დასაცავად: ურთიერთობის ამ ბოლო საფეხურზეც მთელი სიმკაცრით მოქმედებს ენის დრეკადობის ზღვარის მოთხოვნები, რის გამოც მსესხებელი ენის სტრუქტურული ცვლილებები კვლავ თანდათანობითა და მონაცვლეობითობის პრინციპების სრული დაცვით ხორციელდება.

სესხების ორგვარი: მათემატიკური და აღგებრული – პრინციპებიდან ძალისხმევა წყარო ენისა ამჯერად უკანასკნელზეა ორიენტირებული. ამ რიგის მასალიდან ამჯერად ქართულის გავლენით წოვათუშურში ქონების სახელთა ორი ჯგუფის ერთ ჯგუფად გამთლიანების საინტერესო პროცესს წარმოვადგენთ.

წოვათუშური ენა რისამე ყოლა-ქონების აღნიშვნისას კუთვნილების მუდმივსა და დროებითს ასპექტებს განარჩევს. გვაქვს დროებითი ქონების აღმნიშვნელი და მუდმივი ქონების აღმნიშვნელი სახელები: პირველს აწარმოებს სუფიქსი რე<sup>ნ</sup> (→ ლე<sup>ნ</sup>), მეორეებს კი სუფიქსი ლი<sup>ნ</sup>.

აღნიშნული მაწარმოებლები ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ბგერითად, ისე სემანტიკური ნიუანსითაც და ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან. დღეს ქართულის გავლენით უკვე დაიხრდილა ლი<sup>ნ</sup> სუფიქსის შინაარსი, რე<sup>ნ</sup> კი უფრო გააქტიურდა, როგორც ქართული იან<sup>ნ</sup>-ის სრული ადეკვატი. ამ ფაქტს, როგორც უშუალო შედეგი მოჰყვა

რენ სუფიქსის ლინ-ის სამოქმედო არეში შეჭრა და მათ შორის კონტრასტული დისტრიბუციის დამყარება.

ამ გზით სრულდება ენობრივ კოდებს შორის მანძილის შემცირების ცნობილი მოთხოვნა და საინტერესოა, რომ ასიმილაციის სხვადასხვა შესაძლებლობებიდან ეს ხდება სწორედ ალგებრული სესხების გზით.

M. Mik el a d z e (Telavi)

### **Algebraic Borrowing as the Main Characteristic Feature of Hyper Bilingualism**

(on the basis of materials of Tsova-Tush and Georgian bilingualism)

The Tsova-Tush language distinguishes permanent and temporary aspects of possession while denoting ownership of any kind. There are words denoting permanent and temporary ownership: the first one is formed by the suffix **re**<sup>n</sup> (→**le**<sup>n</sup>) and the other – by the suffix **li**<sup>n</sup>.

The mentioned suffixes oppose each other both: in form and meaning and they are in relation of complementary distribution to each other. Nowadays the suffix **li** has been weakened under the influence of the Georgian language, while the suffix **re** is more actively used and has become a complete adequate of the Georgian suffix **ian**. As a result of this, suffix **re** is replacing the suffix **li** and the relation between them is becoming that of a contrastive distribution.

This is how distance between language codes decreases and it is noteworthy that from many assimilative processes, algebraic borrowing is one of the main ways from this point of view.

მ. მრეველიშვილი, ე. საბანაძე (თბილისი)

## ორენოვანი ლექსიკონების შედგენის ისტორიიდან

ორენოვანი ლექსიკონების შედგენის ისტორიას საქართველოში ღრმა ფესვები აქვს. ჩვენამდე მოღწეული რუსულ-ქართულ ლექსიკონთა ხელნაწერები თარიღდება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისით. ამ ხელნაწერ ლექსიკონებიდან საგულისხმოა ი. ბაგრატიონის კაპიტალური ნაშრომი (1807–1827წწ.).

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ნ. ჩუბინაშვილის უდიდესი დვაწლი ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაში (კერძოდ, მისი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები).

ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაზე აგრეთვე მუშაობდა ი. ჭავჭავაძე, რომელმაც მოუყარა თავი მნიშვნელოვან ლექსიკურ მასალას და აპირებდა მის გამოცემას, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ეს ვერ განახორციელა.

მე-XX საუკუნეში გამოიცა რამდენიმე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი (ქ. და ა. დათიკაშვილები „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ 1953–1967 წწ.; ვ. თოფურია, ს. ყაუხჩიშვილი „რუსულ-ქართული სასკოლო ლექსიკონი“ და ა. შ.).

1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა რუსულ-ქართული ლექსიკონი შედგენილი პ. ქავთარაძის მიერ, რომელსაც დახმარებას უწევდნენ ცნობილი ქართველი ლინგვისტები: ვ. თოფურია, ს. ყაუხჩიშვილი, არნ. ჩიქობავა, აკ. შანიძე.

1953 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევალა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარე იყო ქეთევან ლომთათიძე. ინსტიტუტის მიერ შედგენილი ეს ლექსიკონი სამ ტომად გამოვიდა 1956–1959წწ.

თარგმნითი ლექსიკონებზე სისტემური მუშაობის მიზნით ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის ქ. ლომთათიძის 1957 წლის 30



დეკემბრის ბრძანებით ჩამოყალიბდა თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება. დაარსების დღიდან 2006 წლამდე განყოფილებას სათავეში ედგა მისი უცვლელი ხელმძღვანელი ალექსანდრე კობახიძე. დაარსების თანავე განყოფილება შეუდგა სისტემურ მუშაობას ორენოვან ლექსიკონებზე.

ინსტიტუტის დირექტორი ქეთევან ლომთათიძე დიდ ყურადღებას უთმობდა ახალშექმნილი განყოფილების მუშაობას, ეხმარებოდა ძნელად სათარგმნი სიტყვების გადმოცემაში.

შემდეგ განყოფილებამ დაიწყო აქტიური მუშაობა ერთტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონზე, რომელიც გამოიცა 1983 წელს. ამის პარალელურად მიმდინარეობდა სამზადისი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად.

ამჟამად ეს ლექსიკონი დამთავრებულია და ის მზადაა გამოსაცემად.

M. Mrevlishvili, E. Sabanadze (Tbilisi)

### **From the History of Compilation of Bilingual Dictionaries**

The paper discusses the history of compilation of bilingual dictionaries in Georgia. All existing Georgian-Russian and Russian-Georgian dictionaries are listed. Principles of compilation are analyzed and their significance in developing Georgian lexicography is highlighted.

Arn. Chikobava Institute of Linguistics has made a tremendous contribution to the development of this branch of knowledge. Compilation of Russian-Georgian and Georgian-Russian dictionaries was based on modern principles which were developed under the directorship of Acad. Ketevan Lomtadze.

In 1983, there was published Russian-Georgian dictionary. The compilation of Georgian-Russian dictionary is completed and this dictionary is ready for publication.

ბ. მ უ ზ ა შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ი ბ უ ტ ი (თბილისი)

## **მრავალდარგოვანი ტექნიკური ტერმინოლოგიის სამენოვანი ლექსიკონი**

1. გასული საუკუნის 40-იან წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელიც დღემდე ემსახურება ტექნიკურ და სამეცნიერო ტერმინთა დადგენას, უნიფიკაციასა და ენობრივი ნორმების მიხედვით გამართვას. დარგის სპეციალისტებთან ერთად არაერთი ტექნიკური თუ სხვა სამეცნიერო დარგის ტერმინი დაზუსტებულა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსიკონი, რომელიც განყოფილებაში მომზადდა, 1977 წლის (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) ტექნიკური ტერმინოლოგიაა. ეს ლექსიკონი დარგის სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა.

1990-იან წლებში დაიწყო ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიის მოსამზადებელი სამუშაოები;

2. ამჟამად მუშავდება უახლესი ტექნიკური ტერმინოლოგიის სამენოვანი (ინგლისურ-რუსულ-ქართული) ლექსიკონი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ.

3. ახალი კრებისით ტერმინოლოგია მოიცავს 18 ტექნიკური დარგის მასალას. თითოეული დარგიდან წარმოდგენილია ზოგადი ტექნიკური ტერმინები.

4. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, უცხო ქვეყნებთან კონტაქტს თან მოჰყვა მრავალი ახალი ცნებისა და შესაბამისი ტერმინის შემოტანა და დამკვიდრება. ახალ კრებისით ტერმინოლოგიაში აისახება უახლესი ტერმინები, რომლებიც წარმოდგენილია ტექნიკოსთა მიერ; ტერმინები დაზუსტდება ერთობლივ სხდომებზე შესაბამისი ცნებების მიხედვით ტექნიკოსთა და ენათმეცნიერთა მიერ.

5. გარდა პრაქტიკული მუშაობისა, მიმდინარეობს თეორიული საკითხების დამუშავება. ამ მხრივ განყოფილების თანამშრომლებს მრავალმხრივი კვლევა აქვთ ჩატარებული და არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია დამუშავებული, კერძოდ: „დერივაციულ სუფიქს-

თა ფუნქციის გაფართოების პრობლემა ტერმინოლოგიურ სიტყვა-წარმოებაში“, „სალიტერატურო ქართულისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის სიტყვამაწარმოებელი საშუალებების ფუნქციური დაპირისპირება“, შესწავლილია „დანიშნულების კონფიქსთა სიტყვამაწარმოებელი ფუნქციები ქართულ ტერმინოლოგიაში“; გარკვეულწილად შესწავლილია უცხოენოვან ტერმინთა ადაპტაციის საკითხები: „კომპოზიტები ტერმინოლოგიაში“ და „უცხო წარმომავლობის ფუძეებიდან მიმდებარე გაფორმების საკითხები ქართულში“ და სხვ. ეს საკითხები პუბლიკაციების სახითაა გამოქვეყნებული.

6. მასალა მზადდება წიგნის გამოსაცემად. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად, რომელიც განთავსდება ინტერნეტსივრცეში და ეს იქნება ამგვარი ლექსიკონის შექმნის პირველი ცდა.

N. M u z a s h v i l i, I. J i b u t i (Tbilisi)

### **Trilingual Dictionary of Multi-Branch Technical Terminology**

1. In the 1940s a department of scientific terminology was founded at the Arn. Chikobava Institutes of Linguistics. Since that time up-to-date the department has been establishing, unifying technical and scientific terms and correcting them according to the language norms. Together with specialists many technical terms, as well as terminology from different scientific branches were defined.

One of the important dictionaries that was prepared at the department is the dictionary of (Russian-Georgian and Georgian-Russian) technical terminology (1977). This dictionary became a "hand-book" for the specialists of technical branch.

In 1990s preparatory works started for a New Dictionary of Technical Terminology.

2. At present a trilingual (English-Russian-Georgian) dictionary of the modern technical terminology is being carried out by researchers of the department of the scientific terminology in cooperation with the specialists of the Technical University.

3. The new dictionary will include the terminology of 18 technical and scientific branches.

4. Scientific-technical progress, contacts with foreign countries brought about and established many new concepts and relevant terms. These new terms should be reflected in the new terminological dictionary. Terms will be defined at joint meetings of experts from different fields and linguists.

5. Apart from practical work, the department carries on theoretical research for establishing new principles of compilation of terminological dictionaries, namely: problems of functional widening of derivative suffixes in terminological word-building; functional comparison of word-forming means of literary language and terminological vocabulary; issues of adaptation of foreign terms; composites in terminology, etc. The results of the research are published.

6. The dictionary is being prepared for publication as a book. Simultaneously, the work is underway for creating an electronic and online versions of the dictionary.

მ. ნ ა ჭ ე ე ბ ი ა (თბილისი)

**ქართული ტოპონიმები ჩრდილოეთ  
კავკასიის ტერიტორიაზე  
(1944 - 1957 წწ.)**

1. საქართველო იმ თითო-ორიოლა ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ობიექტურ თუ სხვა “გარემოებათა” გამო ერთიმეორის მიყოლებით კარგავდა ტერიტორიებს. ჯერ იყო და, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში (1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება) დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა

დაეთმო სოჭის ოლქი (სოჭი-ტუაფსეს რაიონი); სულ მცირე დროში კი ბოლშევიკების მიერ ანექსირებული საქართველოს იურისდიქციაში არსებული ზაქათალის, ართვინისა და არტანის ოლქები, აგრეთვე ლორეს მხარე მეზობელი ქვეყნების ხელში გადავიდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მიერ პროვოცირებული აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დე-ფაქტოდ არსებული აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ძირძველი ქართული მიწა-წყალი რუსეთმა ცალმხრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა; მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და მხარდაჭერისა, პერსპექტივა მეტად ბუნდოვანი და დამაფიქრებელია.

2. მიუხედავად ზემოთქმულისა, XX საუკუნის შუა წლებში საქართველოს ტერიტორია ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე საგრძნობლად განივრცო. კერძოდ, საქართველოს შემოუერთდა:

ა) დასავლეთ კავკასიონის გადაღმა, სვანეთის ჩრდილოეთით, მდინარე თებერდასა და ყუბანის ზემო წელში მდებარე ტერიტორიები (დღევ. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ნაწილი);

ბ) კავკასიონის ქედის იქით, მდინარეების – არღუნისა და ასას ზემოწელში არსებული მიწები (დღევ. ინგუშეთის ნაწილი);

გ) ითუმ-ყალეს რაიონი (დღევ. ჩეჩნეთის ნაწილი);

აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში ცნობილი მოვლენების (ყარაჩაელების, ბალყარელების, ჩეჩნების, ინგუშების დეპორტაცია) გამო აღმოჩნდა. შემოერთებულ ტერიტორიებზე დაფუძნდა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: ქლუსორის რაიონი (ცენტრი – ქ. ქლუსორი) და ახალხევის რაიონი (ცენტრი – ქ. ახალხევი), სადაც კრემლის მითითებით 5 ათასზე მეტი ქართველი (სვანები და რაჭველები) ჩაასახლეს.

კრემლის ავანტურული პოლიტიკის შედეგად 1944 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 26 ათასით, ხოლო ტერიტორია 74,4 ათასი კვ. კმ. გაიზარდა. თუმცა დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ საქართველო ამ ტერიტორიებს დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა

და ეს ასეც მოხდა: 1955-1957 წლებში იგი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

3. ბუნებრივია, საქართველოს შემოერთებულ ახალ ტერიტორიებზე მასობრივად შეიცვალა გეოგრაფიული სახელწოდებანი. ადგილობრივი ტოპონიმების ქართული ნომენებით შეცვლა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

ა) ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელებს ჩაენაცვლა კომუნისტურ-იდეოლოგიური ხასიათის სახელწოდებანი: შრომა, ახალშენი, მზისა, ახალსოფელი, განახლება, შექურა...

ბ) მოღალატე ეთნოსებად გამოცხადებული ხალხები იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა კრემლის მესვეურთათვის, რომ შეცვალეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლი ამ ერის წარმომადგენელთა სახელობის სახელწოდებანიც კი: ბაიდაევი > თამარიანი...

გ) გვხვდება არაიდეოლოგიზირებული სახელწოდებანიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი მახასიათებელია თვით დასახელებული პუნქტის გეოგრაფიული თავისებურებები: შუამთა, მთისძირი, ხიდისკარი, დარიალი, თერგულა, მალარო, ყურბანისი...

სტატიაში დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნება XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს შემადგენლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიების შემოერთებისა და მათი დაკარგვის მიზეზები. აქცენტი გაკეთებულია შემოერთებულ სექტორში ადგილობრივი ტოპონიმების ქართული სახელდებებით ჩანაცვლებაზე; გაანალიზებულია ქართული ტოპონიმების ეტიმოლოგია-სემანტიკა.

M. N a c h k e b i a (Tbilisi)

### **Georgian Toponymy in the Territory of the North Caucasus 1944-1957**

1. Georgia is one of the few countries which at the beginning of the 20<sup>th</sup> century lost its territories one by one. As early as the 20s of the 20<sup>th</sup> century (the treaty of May 7, 1920), the authorities of the independent Georgia were obliged to surrender the Sochi district (Sochi-Tuapse region). Shortly, Zakatala, Artwin, Artaan and Lore districts, annexed by the Bolsheviks, passed into the jurisdiction of neighbouring countries.

Following the Russian-Georgian war of August, 2008, Russia unilaterally recognized the ancient Georgian territories of Abkhazia and the so-called South Ossetia as independent states. Despite the recognition of the territorial integrity of Georgia and the support by the international community the vista is too obscure and thought-provoking.

2. Alongside with the above-mentioned developments, in the middle of the 20<sup>th</sup> century, the territory of Georgia expanded considerably towards the northern border of the country. In particular, Georgia incorporated:

1) the territories in the upper reaches of the Teberda and the Kuban Rivers beyond the West Greater Caucasian mountain range, to the north of Svaneti (part of today's Karachay-Circassia );

2) the lands lying on the other side of the Greater Caucasian mountain range ridge, in the upper reaches of the Rivers Argun and Asa (part of today's Ingushetiya);

3) Itum-Kale region (part of today's Chechnya).

These territories were incorporated into Georgia because of the well-known events (the deportation of Karachais, Balkars, Chechens, Ingushes). In the incorporated territories new administrative-territorial units were founded: Klukhori region (the centre – the town of Klukhori) and Akhalkhevi region (the centre – the town of Akhalkhevi) where, by the directions of the Kremlin, more than 5000 Georgians (Svans and Rachians) were settled.

As a result of such venturesome policy of the Kremlin, by 1944 the population of Georgia had increased, as for the Georgian territory, about 74,4 thou-

sand square kilometers were added to it. It wasn't hard to surmise that Georgia wouldn't be able to retain these territories long and so it happened: in 1955-1957 the mentioned territories were returned to the jurisdiction of their lawful owners.

3. It is natural that geographical names of the newly incorporated into Georgia territories should have changed completely. The replacement of the local toponymy by the Georgian words can be grouped in the following way:

a) new local geographical names bear communist-ideological character: Shroma (work, labour), Akhalsheni (new development), Mzisa (of the sun), Akhalsopeli (new village), Ganakhleba (education), Shukura (beacon), etc;

b) some new place names are connected with geographical peculiarities of the given area: Shuamta (the middle of a mountain), Mtisdziri (the foot of a mountain), Khidiskari, Dariali, Tergula, Magharo, Kurbanisi. . .

The paper deals with the mass replacement of the local toponymy of the incorporated new territories and analyses etymology and semantics of Georgian place names.

ს. ო მ ი ა ძ ე (თბილისი)

### **კონცეპტი „სუფთა“, როგორც ქართული ლინგვოკულტურული კოდის ერთეული**

ცალკეული ლინგვოკულტურული ერთობის წევრთა ინდივიდუალურსა და კოლექტიურ ცნობიერებაში გამოცდილების კონცეპტუალიზება გარკვეული ორიენტირების მიხედვით ხდება. ეს ორიენტირები, თავის მხრივ, გარე და შინაგანი სამყაროების შესაცნობ პიროვნულსა და ერთობლივ მოქმედებებს ემყარება. ერთ-ერთ ამგვარ ორიენტირს ენა წარმოადგენს, როგორც ინფორმაციის კონცენტრატი.

ენის შინაარსობრივი ერთეულები ქმნიან ლინგვოკულტურულ კოდს – ურთიერთდაკავშირებულ მნიშვნელობათა სისტემას, რომელიც ასახავს გარკვეული ენობრივი ერთობის ისტორიულად განპირობებული მსოფლგაგების თავისებურებას.



ლინგოკულტურული კოდის ერთეულებს კონცეპტები წარმოადგენენ, რომელთა შესწავლა სინამდვილის ენობრივი შემეცნების მახასიათებელთა გამოვლენას გულისხმობს.

თანამედროვე კონცეპტოლოგიაში არსებული მოსაზრების თანახმად, ამოსავალი პერცეფციული სახე, რომელიც ამა თუ იმ კონცეპტს უდევს საფუძვლად, საზრისების კონფიგურაციის ვექტორს წარმოადგენს კონცეპტის მიერ შექმნილი მთელი თემატური ველისათვის.

ჩვენი კვლევით ამ დებულებას ვადასტურებთ ქართულ ლინგოკულტურაში კონცეპტ „სუფთას“ მაგალითზე. ქართულ დისკურსში ობიექტებისა და მოვლენების კვალიფიკაცია სისუფთავის ნიშნით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ხარისხობრივი დახასიათებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოვლენა უნივერსალურ-კულტურული ხასიათისაა, ჩვენს საანალიზო დისკურსში ეთნოკულტურული სპეციფიკითაა ნიშანდებული, რაზეც მოხსენებაში ვრცლად იქნება საუბარი.

S. O m i a d z e (Tbilisi)

### **The Concept of “Pure” as the Unit of Georgian Lingvocultural Code**

Conceptualization of experience in the individual and collective perception of the members of a particular lingvocultural community takes place according to certain points of reference. These points of reference in their turn are based on personal and joint acts intended for the comprehension of inner and outer worlds. One of such points of reference is language as a conglomerate of information.

The contentual units of a language form a lingvocultural code – a system of interconnected meanings reflecting a peculiarity of historically determined world outlook of specific linguistic community.

The units of lingvocultural code are represented by concepts, whose study implies highlighting the peculiarities of comprehension of the reality through language.

According to the viewpoint adhered to in modern conceptology, the initial perceptual image underlying any concept constitutes a vector for the configuration of notions comprising whole thematic field formed by the concept.

By means of our study, we confirm this proposition basing upon the concept of “pure” within the Georgian lingvoculture. In the Georgian discourse, qualification of the objects and events with respect to their purity is one of the most important factors for their qualitative characterization.

Despite the fact that the aforesaid phenomenon is of a universally cultural nature, it is characterized by ethnocultural specificity in the discourse which is the subject matter of our analysis – the circumstance which will be discussed in further detail in our paper.

## 6. პოპიაშვილი (თბილისი)

### **ქართული ენა, ნაციონალური იდენტობა და მხატვრული ტექსტი**

იდენტობა, როგორც მეობა ან გაიგივება, გულისხმობს ენის კატეგორიას. კოლექტიური იდენტობისათვის კი სხვა მახასიათებლებს შორის, როგორცაა: განსახლების არეალი, ერთობის შეგრძნება, ეთნიკურობა და სხვ., ენა ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. ენა თავისთავად ხდება იდენტობა, თუმცა მეცნიერები მიუთითებენ, რომ ენა ყოველთვის არ არის იდენტობა. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავთ ებრაელების მაგალითი, რომელთა უმრავლესობა ვერ ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე და თავი ებრაელად მიაჩნია, ან ინგლისურენოვანი სამხრეთ აფრიკელები, პორტუგალიურენოვანი ლათინო-ამერიკელები და სხვ. თუმცა ენა, როგორც ეროვნული

იდენტობის უმთავრესი ნიშანი, ზოგი მეცნიერის აზრით, მაინც უდავოა. ამის ნიმუშად მკვდარ ერებს ასახელებენ, რომელთა ენაც ასევე მკვდრად ითვლება.

ენა რომ იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი და განმსაზღვრელი ნიშანია, საქართველოს უახლეს ისტორიაში, საბჭოთა კავშირის შემაღენლობაში ყოფნის დროს არაერთხელ დადასტურდა. ყველაზე მეტად კი 1978 წელს, როდესაც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის საშიშროება დადგა. მიუხედავად მკაცრი სოციალისტური იდეოლოგიური რეჟიმისა, საზოგადოება ქართული ენის დაცვას სხვადასხვა გზით ცდილობდა. ხალხმრავალი შეკრებები, საზოგადოებრივი აზრის შეუვალობა და მიტინგები საფრთხის თავიდან აცილების წინაპირობა გახდა. 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად კიდევ ერთხელ, ოფიციალურად აღიარეს. ეს ფაქტი მაშინ უდიდეს გამარჯვებას ნიშნავდა. მოგვიანებით, თბილისში ქართულ ენას, დედაენას, ძეგლიც დაუდგეს. ქართული ენის დღე დღემდე აღინიშნება საქართველოში. ქართული ენა არის ქართველთა კულტურული იდენტობის ძირითადი მახასიათებელიც.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, როდესაც ეროვნული და ნაციონალური სრულიად იყო უგულვებელყოფილი, ნაციონალური ენის გამორჩეულობის აქცენტირება საქართველოს ეროვნული ცნობიერების, ეროვნული იდენტობის გაშინაარსების ტოლფასი იყო.

ენა, როგორც იდენტობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მხატვრულ ტექსტებში. ენის სემანტიკური ველი, მისი ლექსიკური, ფონეტიკური და სინტაქსური სტრუქტურა იდენტობის სხვა მახასიათებლებთან ერთად განსაზღვრავს როგორც ავტორის, ისე მხატვრული ნაწარმოების შინაარსობრივ, იდეურ და არსობრივ მხარეებს.

N. P o p i a s h v i l i (Tbilisi)

### **Georgian Language, National Identity and Literary Text**

Identity as individual “self” or identification supposes the category of language. And for collective identity, among other characteristics such as the area of habitation, sense of unity, ethnicity, *etc.*, language is one of the most important features. Scientists however indicate that language does not necessarily mean identity. As an illustration, they cite the example of Jews, whose majority cannot speak their native language but nevertheless consider themselves Jewish, or that of English-speaking South Africans, Portuguese-speaking Latin Americans, *etc.* And still, in the opinion of some scholars, language is indisputably the key factor for national identity. As an example thereof they cite extinct nations, whose languages are also considered to be extinct.

The fact that language is one of the most basic and seminal features of national identity was more than once confirmed in Georgia’s most recent history, in the period of the country’s being under the Soviet rule. Most vividly this was felt in 1978 when the State status of the Georgian language was in danger. Challenging the oppressive totalitarian regime based on the communist ideology, the society was by various means trying to defend the Georgian language. The adamant stance of public opinion together with huge protest rallies and manifestations allowed to avert the threat.

Language as the identity becomes especially important in literary texts. The semantic field of a language, its lexical, phonetic and syntactic structure, along with other characteristics of identity, largely determine contentual, ideological and essential aspects of both author’s personality and his or her artistic work.

რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**საშუალო ქართულის ლიტერატურული ძეგლების  
ენაში დადასტურებული ზოგიერთი სიტყვის  
წარმომავლობისათვის (ზაბარჯადი, ზუფინი)**

„რუსუდანიანში“ დასტურდება ლექსიკური ერთეული **ზაბარჯადი**. საანალიზო სიტყვა არ გვხვდება სულხან-საბასთან და ქველში, ხოლო დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში დადასტურებულია **ზაბარჯად**- ვარიანტი: **ზაბარჯად**-ი „თვალი ბეჭმელი“ (დ. ჩუბინაშვილი, 1984). „რუსუდანიანის“ ტექსტს დართულ ლექსიკონში აღნიშნული სიტყვა შემდეგნაირადაა განმარტებული: „**ზაბარჯადი** – **ზაბარჯათი**. პატიოსანი თვალია, ქრიზოლითი, ტოპაზი.“

... „*მერმე ოქროს თეფშებზე ლაჟვარდი ეწყო, მერმე აყიყის თეფშებზე ზაბარჯადი, ზაბარჯადის თეფშებით იამანი, იამანის თეფშებით ფირუზი...*“ (რუსულ. 494, 37).

**ზაბარჯად**-ი ქართულში სპარსული ენიდან ჩანს შემოსული. სპარს. **zabarjad** ბორჰანის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ძვირფასი ქვა, ზურმუხტის სახეობა. აქვე მითითებულია, რომ სპარს. **zabarjad** სემიტური ძირია და მომდინარეობს **zabarj**-იდან ( ბორჰანი, 2, 1983). მუჰამედ მონის განმარტებით ლექსიკონში სპარს. **zabarjad** შემდეგნაირადაა ახსნილი: ძვირფასი ქვაა (ტოპაზი, ქრიზოლითი), რომელიც რკინისა და მაგნიუმის სილიკატისაგან შედგება... მინის გამჭვირვალობა და ელვარება აქვს და მწვანე მოყვითალო ფერისაა (მწვანე ზეთისხილის), აქვე მითითებულია ამ სიტყვის არაბული წარმომავლობა (მონი, 2, 1996).

**ზუფინ**-ი სასროლი მოკლე შუბია z (საბა). საბასთან აგრეთვე გვხვდება **ზუფ**-ი და მითითებულია, რომ იგივეა, რაც **ზუფან**-ი. საანალიზო სიტყვა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში დასტურდება **ზუფანა** ფორმით : „მოკლე შუბი სასროლი“ (დ. ჩუბინაშვილი, 1984). ქველში მოყვანილია **ზუფან**-ი, **ზუფინ**-ი ვარიანტები : **ზუფან**-ი, **ზუფინ**-ი [სპარ. ზუბინ] ძვ. სასროლი მოკლე შუბი (საბა). მას (= ზააღს) აბჯარი ტანთ ჩააცვეს, ხელთა მისცეს

**ზუფინია** (შაჰ-ნამე) (ქეგლ, IV). **ზუფინ-ი, ზუფან-ი**, „შორიდან სასროლი მოკლე შუბი, სამპირი მოკლე სასროლი ლახვარი“ (რუსუდ. ლექს.).

... „მისსა ნაკრავსა კაცი ვერ დაუდგემდა, მისი **ზუფინი** ქვაში გაგარდებოდა და საგდებლითა ესრე მოიტაცის შეკაზმული კაცი, ვითარცა მცირედი ჩიტი“ (რუსუდ. 268. 35).

ქართ. **ზუფინ-ი** მომდინარეობს სპარს. **zupin**-იდან. სპარსულში დასტურდება ამ სიტყვის შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები : **zubin** = **zupin**=**zubin**. სპარს. **zubin** მუჰამედ მონინის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ორტოტა პატარა ისარი, რომელსაც ომის დროს მტერს ესროდნენ (მონინი, 2, 1996). ბორჰანის ლექსიკონში მითითებულია, რომ სპარს. **zupin** გილანელების ისარია (გილანი პროვინცია ირანში – რ. რ.) და ძველად ამ ორტოტა შუბით ომობდნენ (ბორჰანი, 2, 1983).

გაანალიზებული ლექსიკური ერთეულები ქართულში ახალი სპარსული ენიდანაა შემოსული.

R. R a m i s h v i l i (Tbilisi)

### **Towards the Origin of Some Words Attested in the Language of Middle Georgian Literary Works (zabaržad, zupin)**

Lexical unit **zabarjad** occurs in “Rusudaniani”. The word under review is not included in the dictionary by Sulkhan-Saba Orbeliani and the EDGL [Explanatory Dictionary of the Georgian Language], while the version **zabaržad** is attested in the Georgian-Russian dictionary by D. Chubinashvili: **zabaržad** “gem bezhmed” (D. Chubinashvili, 1984). In the vocabulary appended to the text of “Rusudaniani”, this word is defined as: “**zabaržad-zabaržad**. Means a precious stone, chrysolite, topaz.”

„...merme okros tepšebze lažvardi eçgo, merme aqigis tepšebze

*zabaržadi, zabaržadis tepšebit iamani, iamanis tepšebit piruzi...*“ – ... and then there were azures on golden plates, after that there was **zabaržad** on agate plates, on **zabaržad** plates there was iaman [type of agate] and turquoise on iaman plates... (Rusud.494, 37)

**Zabaržad** appears to have entered the Georgian vocabulary from Persian. Borhan's Explanatory Dictionary of the Persian Language defines **zabaržad** as a precious stone, a type of emerald. It also specifies that Persian **zabaržad** is a Semitic stem and is derived from **zabarž** (Borhan, 2, 1983). In Mohammed Moin's Explanatory Dictionary Persian **zabaržad** is defined as: precious stone (topaz, chrysolite) composed of iron and magnesium silicate... it features translucence and radiance of glass and is yellowish green (colour of green olive), it is also indicated that the word is of Arabic origin (Moin, 2, 1996).

**Zupin** is a short throwing spear (Saba). We also encounter **zup-** in the Saba's dictionary and it is mentioned that it is the same as **zupan**. The word under review is attested in D. Chubinashvili's Russian-Georgian Dictionary as **zupana**: “a short throwing spear” (D. Chubinashvili, 1984). **Zupan, Zupin** versions are present in EDGL: **zupan, zupin** [Pers. **Zubin**] *archaic* a short throwing spear (Saba). They dressed him (=Zaal) in armour, gave him **zupin** (Shahname) (EDGL, IV). **Zupin, zupan**, “a short spear for casting by hand, three-edged throwing weapon” (Rusud.vocabulary).

*„...missa naḡravsa ḡaci ver daudgemda, misi zupini kvaši gavardeboda da sagdeblita esre moḡtacis šeḡazmuli ḡaci, vitarca mciredi čīti*“ – No man could withstand his blow, his **zupin** pierced a stone and punched a dressed-up man like a little bird” (Rusud. 268.35)

Georgian **zupin-** comes from Persian **zupin**. The following phonetic versions are attested in Persian: **zubin=zupin=zubin**. Persian **zubin** is defined in Mohammed Moin's dictionary as small arrow with two branches designed for throwing at an enemy at war (Moin, 2, 1996). Borhan's dictionary says that Pers. **zupin** is an arrow of Gilanis<sup>1</sup> and they used to fight using this spear with two branches (Borhan, 2, 1983).

The words under review have entered the Georgian vocabulary from the new Persian language.

---

<sup>1</sup> Gilan is a province in Iran.

ტ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ბ. გ ი უ ნ ე შ ი (არზრუმი)

### კვლავ ნათესაობითი ბრუნვის -უნ ნიშნის შესახებ უდიურში

უდიური ნათესაობითი ბრუნვის -უნ ნიშნის წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული:

ზოგი მკვლევარი (ვ. ფანჩვიძე) მიიჩნევს, რომ „იგი ერთადერთია ნათესაობითის საწარმოებლად ახლად შემოსულ უცხოურ სიტყვებში” და ნასესხებია აზერბაიჯანული ენიდან, ზოგიც (ა. შანიძე) თვლის, რომ ეს სუფიქსი “მკვიდრი უდიურია” და შესაბამისად გამოიყენება ყველა სახელთან.

ფაქტობრივი მასალა ადასტურებს, რომ -უნ სუფიქსის გამოყენება არ განისაზღვრება ლექსიკური ერთეულის წარმოშობით და იგი დაერთვის მხოლოდ ერთზე მეტმარცვლიან თანხმოვანფუძიან (როგორც ნასესხებ, ისე საკუთრივ უდიურ) სახელებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ის გამოიყენება ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებთან, ირკვევა, რომ ეს სახელები ისტორიულად მრავალმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებს წარმოადგენენ.

ამჟამად უდიურში ნათესაობითის საწარმოებლად, -უნ დაბოლოების გარდა, გამოიყენება სხვა ნიშნებიც: -ი, -ინ, -ნინ, -აჲ, -ეჲ, -ოჲ, -ნაჲ, -ნეჲ, -ნუნ, -ნუნ, -ნუნ, -უნ, -ჲნ, -უნ, -უნ. ვ. ფანჩვიძის აზრით, ნათესაობითი ბრუნვის “ნიშანთა მრავალსახეობა უნდა ავსხნათ ნაწილობრივ ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე, ნაწილობრივ კი სხვა გარემოებით”. კონკრეტულად რა იგულისხმება “სხვა გარემოებებში” არ განიმარტება, მაგრამ მინიშნებაა, რომ ნათესაობითის საწარმოებლად თურქულ (და აზერბაიჯანულ) ენაში გამოიყენება -ინ, -უნ, -უნ, -ჲნ ფორმანტები.

გარდა -ინ, -უნ, -უნ, -ჲნ ფორმანტებისა, ნათესაობითის ფორმას თურქულში, როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, ასევე გამოხატავენ -ნინ, -ნუნ, -ნუნ, -უნ, აფიქსები.

ერთნაირი აფიქსების ფუნქციონირება უდიურში და თურქულში უძველესი ენობრივი ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს.



თურქულში მოქმედი სინჰარმონიზმი განაპირობებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესაბამისი ფონეტიკური ვარიანტის დართვას (-უნ, -ონ, -ნონ...), ხოლო უდიურში ნასესხები აფიქსების ადაპტაციის შემდეგ მათი დისტრიბუცია განისაზღვრება მორფოლოგიური პირობებით.

T. S i k h a r u l i d z e, B. G ü n e ş (Erzurum)

### **Genitive Case and its Suffix**

#### **“-un” in Udi Language**

There are different assumptions concerning the formation of genitive case in Udi language:

According to some scientists (for example V. Panchvidze) “it (the suffix -un) is the only one that forms the genitive case in newly adopted foreign words” and this form is adopted from Azerbaijani language. Some (for example A. Shanidze) argue, that this suffix is a “native Udi” and is used with all nouns.

The empirical material gives us an opportunity to conclude that the usage of -un suffix is not determined by the formation of lexical units and is used with multisyllabic consonant stem nouns (both in native Udi and adopted foreign nouns). In case when this suffix is used with monosyllabic consonant based nouns, historically those nouns were multisyllabic consonant based nouns.

Nowadays in Udi language, in order to form the genitive case, other suffixes are in use together with the -un suffix: -i, -in, -nin, -aj, -ej, -oj, -naj, -nej, -nun, -nön, -n, -un, -ön, -n. According to V. Panchvidze, the multitude of “suffixes for genitive case could be partly explained by the phonetic changes and processes and partly by other conditions”. What is meant by “other conditions” is not explained. But he points out that in Turkish and Azerbaijani languages forms -in, -n, -un, -ön are used to form the genitive case.

Together with abovementioned forms, according to linguists, the genitive in Turkish language is formed also with the following affixes: -nin, -nun, -nön, -n.

The use of common affixes in Udi and Turkish languages is possibly due to the ancient interactions between those languages.

The vowel synharmonism in Turkish language determines the addition of relevant phonetic versions of genitive case endings, such as -un, -ön, -nön. In Udi language, the distribution of adopted affixes is determined by morphological circumstances.

ნ. ს უ ლ ა ვ ა (ახალციხე)

### **აპოფატიკური საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის არსის შესახებ ჰიმნოგრაფიაში**

ჰიმნოგრაფიაში, როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურის კანონიკურ სფეროში, სხვა დარგების მსგავსად, ორი რიგის საღვთო სახელები გვხვდება: კატაფატიკური და აპოფატიკური. მათი საფუძველია არეოპაგიტული მოძღვრება, რომელშიც ღვთისმეტყველმა წმიდა მამამ საღვთო სახელები არსობრივი თვალსაზრისით ორი რიგისად წარმოადგინა და მათი შინაარსი ახსნა. მოხსენებაში განხილულია აპოფატიკური საღვთო სახელები და მათი ფორმების წარმოების საკითხები, რაც ღვთის არსობრივი რაობის გარკვევას უკავშირდება.

წმ. დიონისე არეოპაგელმა საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში საღვთო სახელთა ორი რიგი გამოყო, მათი შეცნობისა თუ შეუცნობლობის ადამიანის გონების შესაძლებლობიდან, მისი დასაზღვრულობიდან გამომდინარე: კატაფატიკური და აპოფატიკური. კატაფატიკა, ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით, წართქმითი სახელი, ღვთის არსს „მსგავსებით“ გამოხატავს, იგი განეკუთვნება იმგვარ საღვთო სახელთა რიგს, რომელიც აღნიშნავს, თუ რა არის ღმერთი. აპოფატიკური, ეფრემ მცირისავე თქმით, უკუთქმითი საღვთო სახელი ღვთის არსს მისტიკური, „გამოუთქუმელი და საიდუმლო“, „უმსგავსეობით“ გამოხატავს. იგი არკვევს, რა არ არის ღმერთი, დიონისე არეოპაგელის მიხედვით, „რად იგი არა არს“.

აპოფატიკურ საღვთო სახელთა გრამატიკული ფორმა აჩვენებს, რომ იგი უარყოფითი აფიქსების (უ-ურ, უ-ო, უ-ელ...) გამოყენებით წარმოაჩენს ღვთის არსს. ამ რიგის სახელებს მიეკუთვნებიან *უცნაური, დაუსაბამო, განუსაზღვრელი, უმსგავსო, უცვლელი, განუზომელი, გამოუთქმელი, მოუკლებელი*, ე. ი. ყოველივე ის, რაც არ არის ღმერთი. აპოფატიკურ სახელთა არსობრივი რაობის გათვალისწინებით ჰიმნოგრაფიაში, კერძოდ, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, იოანე მტბვერის, წმ. გიორგი მთაწმიდლისა და ბერძნულიდან ნათარგმნ საგალობლებში (წმ. იოანე დამასკელი, წმ. ანდრია კრიტელი, წმ. კოზმა იერუსალიმელი, წმ. იოსებ და თეოდორე სტუდიელები...), მოგვიანებით – საერო ლიტერატურაში, უფრო მეტად კი ამ უკანასკნელში, შესაძლებელი ხდება მათი სახისმეტყველებითი, მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების განსაზღვრაც, რაც იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ საღვთისმეტყველო ტერმინებში ერთდროულად, შერწყმულადაა არეკლილი რელიგიური, ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური თვალთახედვა. სწორედ აპოფატიკურ საღვთო სახელთა არსობრივი რაობისა და მათი გრამატიკული ფორმების წარმოების განხილვას ეძღვნება წარმოდგენილი ნაშრომი.

N. S u l a v a (Akhaltsikhe)

### **On the Meaning of Apophatic Theological Terminology in Hymnography**

Hymnography, as canonical theological literature, represents two types of divine names: kataphatic and apophatic. They originate from the teaching of Dionysius the Aeropagite.

The present paper studies apophatic divine names in the works of Georgian hymnographers, as well as Georgian translations of Greek hymns. The paper also analyses word-forming means of the mentioned apophatic divine names, which are connected with the conceptual understanding of God.

მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

### რეფლექსურობის გამონატვისათვის ქართულში

რეფლექსურობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის კორეფერენტულობა, ფუნქციური იდენტურობა გარდამავალ ზმნაში და სუბიექტის უკუქცევა თავის თავზე (როგორც სუბიექტზე) გარდაუვალ ზმნაში.

ქართულში გარდამავალ ზმნაში ეს პირობა ხორციელდება ლექსიკური საშუალებით, ძირითადად სასუბიექტო ქცევის ფორმათა შესიტყვებებში, პირდაპირ დამატებად წარმოდგენილი ბრუნვატვალეზადი, მაგრამ პირგაურჩეველი „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის ჩართვით: თავს იკლავს, თავს იგდებს, თავს ირჩენს... (ამასთან, შდრ., ნეიტრალური ქცევა: თავს დებს, თავს წირავს...).

სინტაქსური დამოკიდებულება ზმნასა და სახელებს შორის ამ რიგის შესიტყვებებში ასე წარმოგვიდგება:

ზმნა მართავს როგორც სუბიექტს, ასევე პირდაპირ ობიექტს ბრუნვაში (ის იკლავს თავს – მან მოიკლა თავი), მაგრამ პირდაპირი ობიექტი არ მართავს ზმნის პირს, – ზმნის პირს მართავს მხოლოდ სუბიექტი და, შესაბამისად, თავს იკლავს სტრუქტურის შეიტყვება მხოლოდ ერთი, სუბიექტური წყობით იუღვლის (სათანადო ინვერსიით III სერიაში).

თავისებურება გვაქვს მიმდებობის წარმოებაშიც: უკუქცევითი ნაცვალსახელი შეერწყმის მიმდებობის ფორმას და ობიექტური მიმდებობები სუბიექტური მიმდებობის ფუნქციით გვევლინებიან:

**თავაგდებული** – ვინც თავი აიგდო

**თავშეკავებული** – ვისაც თავის შეკავების უნარი აქვს; ვინც თავს იკავებს ხოლმე (ქეგლ).

თეორიულად ინიანი (აბსოლუტური) ვნებითების კონსტრუქციაში შესაძლებელია რეფლექსურობის რეალიზაცია: პასიური კონსტრუქცია არსებითად (თუმცა არა ყოველთვის) წარმოადგენს

შესაბამისი აქტიური კონსტრუქციის კონვერსიულ ფორმას, რომელშიც აქტიური კონსტრუქციის პირდაპირი დამატება (პირდაპირი ობიექტი) პასიურ კონსტრუქციაში ქვემდებარედ (სუბიექტად) გვევლინება, ე. ი. არსებობს პირობები ზედაპირული სუბიექტისა და ამოსავალი პირდაპირი ობიექტის ფუნქციური იდენტურობის, გრამატიკული სუბიექტისა და რეალური პირდაპირი ობიექტის ერთ პირად შერწყმისა და ზედაპირულ დონეზე წარმოჩენისათვის ანუ რეფლექსური სემანტიკის რეალიზაციისათვის.

ვნებითი კონსტრუქციაში რეფლექსურობის მნიშვნელობის გამოვლენისათვის შესაბამისი აქტივის პირდაპირი დამატების პოზიციაში უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“ ან სხვა რომელიმე სომატური ელემენტი უნდა იწერებოდეს და, შესაბამისად, ვნებითი სუბიექტი სულიერი სახელი (აგენსი) უნდა იყოს, შდრ.:

**იმაღება-ა...** თავს იმაღავს – თავის თავს მაღავს.

„ვაჭარი და დავითი თავს იმაღავდნენ, რადგან სულთნის ეშინოდათ“ (ი. გოგებ.) (ქეგლ IV).

**იტანჯება-ა ...** თავს იტანჯავს

**იბანება-ა ...** ტანს იბანს. ინდოთ მეფე აბანოს იბანებოდა და დალაქი თავს პარსავდა (საბა).

**იპარსება-ა ...** წვერს, თმას... იპარსავს. კვირაში ერთხელ იპარსება

**იქექება-ა ...** „ქექავს თავისას“, თავს, ცხვირს... იქექავს

**იჭმუნება-ა ...** „შობლს, წარბებს... იჭმუნის“

**იღებება-ა ...** იღებავს თავისას [თინათინი] იღებავდა თმას (ე. ნინოშ.) (ქეგლ IV ).

ასევე: **ითხაპნება, იმანჭება, იციცქნება, იჩიჩქნება** (შდრ., ითხაპნის, იმანჭავს, იციცქნის, იჩიჩქნის ... თავისას).

თუ დავაკვირდებით რეფლექსური შინაარსის აბსოლუტური ინიანი ვნებითების ჩამონათვალს, შევამჩნევთ, რომ ესენი იმ ტიპის ზმნებია, „საკუთრივ რეფლექსურ ან პირდაპირ რეფლექსურ ზმნებს“ რომ ეძახიან. სუბიექტის მოქმედებას თავის ობიექტად საკუთარი თავი, საკუთარი სხეულის ზედაპირი, სხეულის რომელიმე ნაწილი აქვს გამოზნული, ე.ი. სუბიექტი მოქმედებს სუბიექტზე და ეს შედეგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინ ხორციელდება, რო-

დესაც აქტივის ამოსავალ ფორმაში პირდაპირ დამატებად „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი ან საკუთარი სხეულის ნაწილია შეწყობილი. მაგრამ ერთგვაროვნება აქაც არა გვაქვს.

როცა ვნებითის ფორმაში სუბიექტის მოქმედება საკუთარ „თავზე“ და საკუთარი სხეულის ნაწილებზეა მიმართული, ეს ერთდროულად ცენტრიდანული და უკუქცევითი მოქმედებაა. კონვერსიების თვალსაზრისით, საკუთარ „თავზე“ და საკუთარი სხეულის ნაწილებზე განხორციელებული მოქმედება სხვადასხვა შედეგს გვიჩვენებს:

**მანჭავს, იმანჭავს სახეს** > 1. იმანჭება სახე 2. იმანჭება თვითონ

1. კონვერსიული გარდაქმნა სწორია, მაგრამ იმანჭება სახე არარეფლექსურია, ეს მხოლოდ პასივიზაციაა.

2. კონვერსიული გარდაქმნა სწორი არაა. აქტივის პირდაპირი დამატება პასივში აქტიურ ქვემდებარედ გვევლინება: იმანჭება თვითონ ეს რეფლექსივიზაციაა.

ჩვენს მსჯელობაში შეუსაბამობა ის არის, რომ სასუბიექტო ქცევის ფორმებს კონვერსიული პასივები არ უკეთდება, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ რეფლექსური მნიშვნელობის გადმოსაცემად უკუქცევით ნაცვალსახელს და სომატურ სახელებს ნეიტრალური ქცევის ფორმებიც შეიწყობენ:

**თავს იმაღავს** – თავის თავს მაღავს – იმაღება.

**მხრებს აწურავს** იგივეა, რაც მხრებს აიწურავს > აიწურება გრდუვ. ვნებითი აწურავს ზმნისა, 1. მხრებს ასწევს და შეავიწროებს...

**ტანს ჰყრის** იგივეა, რაც ტანს იყრის > აიყრება გადატ. სიმალლეზე წავა.

M. S u k h i s h v i l i (Tbilisi)

### **Towards Expressing Reflexivity in Georgian**

For realization of reflexivity as a grammatical category, an essential condition is coreference of a subject and a direct object in a transitive verb and reflexivity of a subject in an intransitive verb.

In Georgian this condition is realized by lexical means, namely by inserting "self" reflexive pronoun in collocations of subject, in some instances, neutral version.

Subject version: **tavs iḱlavs** "He kills himself ", **tavs igdebs** "He conducts himself badly";

Neutral version: **tavs debs** "He sacrifices himself", **tavs ḱiravs** "He sacrifices himself ".

Realization of reflexivity is also possible in the absolute passive constructions, on the condition that in collocations of corresponding conversive active, "self" reflexive pronoun is present:

**imaleba** – "He hides himself"

**iṭanḱeb-a** – "He torments himself"

**ibaneb-a** – "He washes himself"

**iṭarseb-a** – "He shaves himself"

თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე (თბილისი)

### **მოდელთა შერევისათვის ენობრივ სისტემებში**

მოდელთა შერევა ხდება ენობრივ დონეთა ყველა სისტემაში, რასაც დროის კერტიკალურ ხაზზე სერიოზული ცვლილებები მოსდევს ხოლმე.

მოდელთა შერევას ვუწოდებთ რომელიმე მეტყველების ნაწილის ფარგლებში ფორმათა წარმოების განსხვავებული მოდელების ერთ საერთო მოდელზე გადასვლას.

ჩვეულებრივ გაერთიანება ხდება რომელიმე მოდელის ბაზაზე: კონკრეტულად ეს არის იდენტური მნიშვნელობის მორფემათა (resp. ალომორფთა) მიერ შექმნილი განსხვავებული მოდელების საზიარო მოდელზე გადასვლა ერთი მოდელის დისტრიბუციის გაფართოებით და პარალელურად მეორე მოდელის დისტრიბუციული არის შემცირებით მის გაქრობამდე.

როდესაც ძველ ქართულში ძველქართულამდელი განსაზღვრებითი ელემენტები მოიქცნენ ბრუნვის ნიშნებად (-ი, -მან) ან ბრუნვის ნიშანთა შემადგენელ ნაწილად (-ა მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში), სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელი და განსაზღვრული წარმოების მოდელები დაემთხვა ერთიმეორეს. ძველი ქართულის სახელობით ბრუნვაში შეიქმნა ახალი დაპირისპირება ოდენ ბრუნვისნიშნიან და ნაწვერიან ფორმებს შორის (კაცი: კაცი იგი), რასაც გრამატიკული ღირებულების მიხედვით მოჰყვა კაც და კაცი ფორმების გათანაბრება, რაც დამთავრდა ბრუნვის მარკირებული ფორმის სრული გაბატონებით.

ბლოკირებული (პრეპოზიციური) სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნვებში მარკირებული და არამარკირებული ფორმების (კაცისა-მ ძე-მ, კაცისა-მან ძე-მან, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, კაცისა-Ø ძე-მ, კაცისა-Ø ძე-მან...) პარალელური ხმარება ძველსავე ქართულში უფრო გვიანდელი არამარკირებული მსაზღვრელის უპირატესი ხმარებით მიმდინარეობდა, რაც ამ მოდელის სრული გაბატონებით დასრულდა.

ახალ ქართულში ირიბ ბრუნვათა -ა დაბოლოებამ მიიღო დიერემის ფუნქცია, რის შედეგად პოსტპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელი ორი მოდელით ფორმდება: წიგნ-მა ძმისა-მ, წიგნ-ს, ძმისა-ს, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, წიგნ-მა ძმისა-Ø, წიგნ-ს ძმისა-Ø.

თანამედროვე ქართულში ნორმატიულია მსაზღვრელის ფორმებში ბრუნვათა ნიშნების მატერიალური აღნიშვნა, თუმცა მომავალი ბრუნვათა ნულოვანი დაბოლოების მქონე ფორმებისაა, როგორც ეს მოხდა პრეპოზიციაში.



T. U t u r g a i d z e (Tbilisi)

### **On the Subject of the Mix of Models in Lingual Systems**

The mix of models takes place in all of the systems of the lingual levels and is followed by serious changes at the vertical timeline.

The mix of models means the fact when various models of word formation produce a common one within the circle of some part of speech.

As usual, the unification takes place on the basis of one of the models: namely this is the graduation of different models, created by the morphemes with the same meaning, into a common model by increasing the distribution of one model and in parallel by reduction of the distributional area of another one until its disappearance.

When in Old Georgian attributive elements that had existed before the period of Old Georgian turned into case markers (-i, -man) or parts of case markers (- a in the dative case, the possessive case and the instrumental case) the models of indefinite and definite formation of the nominative case coincided with each other. In the nominative case of Old Georgian the opposition took place between the word forms including case marker -oden and word forms consisting of different parts (kaci: kaci igi). Then the word forms kac and kaci became grammatically equal. Finally, the marked form of the case became dominant.

Even in Old Georgian in cases of blocked (prepositional) substantial attribute the simultaneous use of marked and unmarked forms (kacisa-I, dze-I, kacisa-man, dze-man, erti mxrit, da, meore mxrit, kaciasa-O dzei, kacisa-O Dze-man...) was characterized by the frequent use of late unmarked attribute. Eventually, this model became dominant.

In modern Georgian the ending a- of the oblique case acquired the function of dierem. As a result, postpositional substantial attribute is formed with two models: on the one hand wign-ma, dzmisa-m, wign-s, dzmisa-s and on the other hand wign-ma, dzmisa-O, wign-s, dzmisa-O.

In modern Georgian case markers are normative in the forms of attribute, but the future belongs to the zero affix like it happened in the preposition.

## ნ. ფონი ა გ ა (თბილისი)

### **CVCV და CVCVC სტრუქტურის აფხაზურ ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის**

აფხაზურ-აბაზურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხების კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. ქ. ლომთათიძეს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო აფხაზურ ორფუძიან ზმნურ ძირთა, კერძოდ, CVCV და CVCVC ძირების სინქრონიულმა ანალიზმა. C-ს ადგილას იგულისხმება როგორც ცალი თანხმოვანი, ასევე ორწევრა და სამწევრა თანხმოვანთმიმდევრობები.

ორფუძიანი ძირების საანალიზო სტრუქტურები რეალიზდება შემდეგი ნაირსახეობებით: CVCV (*ა-ხასა-რა* „ჭკნობა“), CCVCV (*ა-ფხადა-რა* „დათვლა“), CVCCV (*ა-ჭუნჭა-რა* „გაძარცვა, დატყვევება“), CCVCCV (*ა-წორენწა-რა* „დამწნილება“); CVCVC (*ა-მარაჰ-რა* „თავის დაძვრენა“), CVCVCC (*ა-ქარანჯ-რა* „მოჯამაგირეობა“), CVCCVC (*ა-ღვრღვრ-რა* „ღრენა, ბუზღენი“), CVCCCVC (*ა-კანწლა-რა* „დაწებება, მიწებება“), CCVCVC (*ა-ღა-ხაპახეთ-რა* „ვაჭრობა“), CCVCCCVC (*ა-ჭკანჭკალ-რა* „დაჭმუჭნა“), CVCCCVC (*ა-ყუნღმუნღ-რა* „ჩუმად, თავისთვის ლაპარაკი“).

CVCV სტრუქტურის ძირთა გარკვეული ნაწილი (84 ძირიდან 24) CV მოდელის რედუქციაციის შედეგად არის მიღებული (*ა-რ-ბა-რა* „ათქვეფა, გაპენტვა“). ამ მოდელში შეინიშნება სახელური წარმოშობის ნასესხობანიც: *ა-მე-რა* „დამაკება (შდრ. ქართ. მაკე“).

საანალიზო სტრუქტურის თავიდაურ პოზიციაში რეალიზდება ორწევრა თანხმოვანთმიმდევრობებიც: CS (*ა-ბლაკა-რა* „თქვეფა, სვლეპა“), CSp (*ა-ფხასი-რა* „ძლივს გათობა“), CC (*ა-რ-ჯა-რა* „გამაგრება“), SpC (*ა-შეაკა-რა* „გათეთრება“), SpSp (*ა-ფეშა-რა* „დაყნოსვა“).

ინლაუტის პოზიციაში, ხმოვნებს შორის, დასტურდება როგორც ორწევრა, ისე სამწევრა თანხმოვანთიმდევრობები: SC, SSp, CC, CS, SpC, CSp, SpSp; SCS: *ა-კანწლა-რა* „დაწებება, მიწებება“, SCSp: *ა-მარჩხა-რა* „წახალისება, წაქეზება“.

თანხმოვანთიმდევრობები გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში ანლაუტსა და ინლაუტშიც **CCVCCV** (CS – CC (*ა-რ-თლანკა-რა* „გაამპარტანება“) და **CCVCCCVC** სტრუქტურებში: CC – SCC (*ა-ჭკანჭკალ-ჯა-რა* „დაჭმუჭნა), CS – SCS (*ა-ყრემჭრემ-რა* „ბრდღვინვა, ღრიალი“).

CVCVC მოდელში თანხმოვანთა განაწილება ნებისმიერია, რაიმე კანონზომიერების დადგენა ვერ ხერხდება. ამ სტრუქტურაში წარმოდგენილია 26 ძირი. მათი აბსოლუტური უმეტესობა ნასესხებია: *ა-ქალაქ-ხა-რა* „ქალაქად გადაქცევა“.

CVCVC მოდელის ერთ-ერთ სტრუქტურულ ნაირსახეობაში გვაქვს ორწევრა თანხმოვანთკომპლექსის შემცველი ძირები ბოლოკიდურ პოზიციაშიც: **SC**: *ა-ქარანჯ-რა* „მოჯამაგირება“.

საანალიზო მოდელის **CVCCVC** ქვემოდელში ინლაუტშიც გვხვდება თანხმოვანთკომპლექსები: CSp, CC, CS, SpC, SpSp, SpS, SC. ისინი ფაქტიურად მორფემათა მიჯნაზე არიან წარმოქმნილი CVC სტრუქტურის რედუქციაციის შედეგად, სადაც კომპლექსის პირველი წევრი არის CVC მოდელის ბოლოკიდური, ხოლო მეორე – ამ მოდელის თავკიდური თანხმოვანი: *ა-ბეზბეზ-რა* „წვის შეგრძნება“. მორფემათა მიჯნაზე არის წარმოქმნილი **CVCCCVCC** სტრუქტურაში რეალიზებული სამწევრა თანხმოვანთიმდევრობაც: SCSp (*ა-ყუნდმუნდ-რა* „ჩუმად, თავისთვის ღაპარაკი“).

ორფუძიან ზმნურ ძირთა საანალიზო მოდელელებში მონაწილეობს ყველა ხმოვანი. აბსოლუტური უპირატესობა ენიჭება ა-ს, გავრცელების მხრივ, სხვა მოდელთა მსგავსად, მეორე ადგილზეა ნეიტრალური ხმოვანი, დანარჩენები კი თითო-ორჯერაა ძირში რეალიზდება.

N. P o n i a v a (Tbilisi)

### **Towards the Phonemic Structure of the Verbal Roots of the CVCV and CVCVC Types of the Abkhazian Language**

Abkhazian verbal roots of the CVCV and CVCVC patterns have 11 subtypes: CVCV (*a-xúsa-ra* “withering”), CCVCV (*a-px’áza-ra* “counting”), CVCCV (*a-hənç’a-ra* “robbery, taking prisoner”), CCVCCV (*a-çʁənçá-rá* “pickling”), CVCVC (*á-marah-ra* “evading”), CVCVCC (*á-k’aranž-ra* “working as a hired labourer”), CVCCVC (*á-γʁγʁ-ra* “grumbling”), CVCCCV (*a-kančá-ra* “gluing”), CCVCVC (*áj-la-xhaxət-ra* “trade”), CCVCCVC (*a-čkan-čkal-éj-ra* “creasing”), CVCCVCC (*a-gəndšənd-ra* “murmuring”).

The analysed patters have two- and three-member consonant clusters. Two-member consonant clusters are in anlaut, inlaut and even auslaut in one of the subtypes: SC (*á-k’aranž-ra* “working as a hired labourer”). Three-member consonant clusters are only in inlaut of reduplicated roots (*a-gəndšənd-ra* “murmuring”). In some instances consonant clusters are presented in anlaut and inlaut within one morpheme: CCVCCV (*a-r-tlápqa-ra* “turning arrogant”).

The most wide-spread vowel is the vowel **a**. Other vowels are realized in several roots only.

ნ. ქუთელია (თბილისი)

### **ფონოტაქტიკა და სისტემის ელემენტთა დიაქრონიული ტრანსფორმაცია**

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლინგვისტიკის როგორც მეცნიერების განვითარებაში. სწორედ მან განსაზღვრა ენა, როგორც საკუთრივ ლინგვისტიკის ობიექტი, თავის სრულ და მრავალმხრივ განზომილებაში. „ფონემის“ და „მორფე-

მის“, როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა, ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ლინგვისტებს შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონეები.

„ფონემა“ და „მორფემა“, როგორც ენის იერარქიული ერთეულები, ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას როგორც სისტემას.

იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება ენობრივ მოვლენათა მეცნიერული სისტემატიზაცია, მისი ალბათობის ხარისხი, მით უფრო თვალსაჩინო იქნება იერარქიულ დონეთა ერთეულების სინტაგმატური მიმართებები, რომლებიც აყალიბებენ ენას მთლიანობაში – როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ჭრილში.

მეცნიერება ენის შესახებ ისე, როგორც ყველა სხვა მეცნიერება დღემდე სისტემა არ არის – მეთოდები იცვლება და შესაბამისად შედეგებიც. „ფონემა“ სამეცნიერო ბგერაა, ის რეალურად არსებობს და ენათმეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს; ენაში, როგორც სისტემაში, თანამოქმედებს ბგერის მატერიალური სუბსტანცია და ფუნქცია. მატერიალური სუბსტანციისა და ფუნქციის ორგანული შერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი ენის სხვადასხვა იერარქიულ დონეთა თანამოქმედება, ამაში მდგომარეობს „ფონემის“ როგორც აბსტრაქტული ერთეულის, ახლებური გაგება და არა ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირებაში. როგორც ეს ნ. ტრუბეცკოისთან გვაქვს. „ფონოლოგია როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა სწავლობს სამეცნიერო ბგერას ანუ ფონემას სიტყვათგანმასხვავებლური ფუნქციის თვალსაზრისით, გამოდის რა მისი (ფონემის) აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური რაობიდან“ (გ. ახვლედიანი).

ფონემა აბსტრაქცია არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმავეს ამტკიცებენ „ფუნქციონალური ფონეტიკის“ როგორც ფონეტიკის ახალი მიმართულების ჩასახვის და თეორიის ჩამოყალიბების პიონერები: პ. უსლარი, ი. ბოდუენ და კურტენე, ნ. კრუშევსკი, ლ. შნერბა, მოგვიანებით გ. ახვლედიანი და ა. მარტინე.

ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო კურსებში დამკვიდრდა ტერმინი – „ფონეტიკა-ფონოლოგია“. ვფიქრობ, ამთავითვე უნდა განიხილებოდეს პრობლემა: არის ეს ტერმინთა დაპირისპირება, თუ არსებითად ერთი და იგივეა – რასაკვირველია ერთი და იგივეა,

ვინაიდან იგულისხმება სამეტყველო ანუ სოციალურად ღირებული ბგერის შესწავლის ორი ასპექტი: ფიზიკური (არტიკულაციურ-აკუსტიკური) და ფუნქციონალური (სოციალური), რაც თავის მხრივ შეიცავს: კოარტიკულაციას და ამასთან დაკავშირებული შიდა და გარე „სანდჰის კანონთა“ გამოვლენას და ამ კანონთა მოქმედების შედეგს; ფონეტიკურ ტენდენციებს, რომელთა ქრონოლოგია და დინამიკა სცილდება პოზიციით განპირობებულ კოარტიკულაციურ ქმედებათა სფეროს და გლობალურია ენისთვის, რაც აისახება კიდევ პარადიგმატულ სისტემებში და ფონემატურ სტრუქტურებში; „ეკონომიის პრინციპი“ და ფონეტიკური ცვლილებები; ფონემატური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია; უნივერსალური ფონეტიკური კანონები და მათი შეზღუდვა დროითა და სივრცით; სხვა კანონის ჩარევა და კანონის რეინტერპრეტაცია; განსაზღვრავს თუ არა ფიზიკური და ფუნქციონალური ასპექტების თანაუამიერი მოქმედება ენის ფონემურ და მორფოლოგიურ ჩამოყალიბებას; და ბოლოს ფონოტაქტიკა – განსაზღვრავს თუ არა ფონოტაქტიკა სისტემის ელემენტთა დიაქრონიულ ტრანსფორმაციას.

ასე მაგალითად, პარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემის ჯგუფები მარკირებულია საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით (გ. მაჭავარიანი). ამავე დროს კანონიკურია ზანური (resp. მეგრულ-ჭანური) ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, რადგან სავსებით შეესაბამება ფონემათა შეერთების სტრუქტურულ კანონზომიერებას:

**მეგრული**

ბგ	ფქ/მქ	პკ	ბღ	ფხ/რხ	პყ
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

**ლაზური**

ბგ	ფქ	პკ	ბღ	პყ	
ბგ>მბგ>მგ	ფქ>მფქ>მქ		ბღ>მბღ>მღ	პყ>კ	
ბგ/მგ	ფქ>მქ		ბღ>მღ>ღ	პყ>პკ>კ; პყ>პ	
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

სისტემის მოდელის ჩამოყალიბება ექვემდებარება ფონოტაქტიკის წესებს, მაგრამ ფონეტიკური სუბსტანცია განიცდის დიაქრონიულ ცვლილებებს. ამიტომ ისმის კითხვა მოგვეპოვება საკმარისი საფუძველი ლაბიალური რიგის ჰარმონიულ ჯგუფთა პოსტულირებისათვის მეგრულში; გავიტანოთ ფქ, ფხ კომპლექსები სქემის გარეთ?!

ზანური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით სისტემის წევრები განიცდიან ტრანსფორმაციას, მაგრამ ფონოტაქტიკური მოდელი სტაბილური რჩება ქართულის მიმართ, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰარმონიულ კომპლექსთა ჯგუფები ჩამოყალიბდა ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში. ჰარმონიულ ჯგუფთა A და B სისტემები მყარია და დასტურდება ყველა ქართველურ ენებში და რასაკვირველია, ერთნაირი პარადიგმატული სიხშირით არ ხასიათდებიან. ამავე დროს ფონოტაქტიკის თვალსაზრისით მათი მატერიალური სუბსტანციის გარდაქმნები კანონიკური სტრუქტურის ფარგლებს არ სცილდება.

და მაინც, ისმის კითხვა, რატომ *არღვევს ფონოტაქტიკა*, რომელიც ერთი მხრივ ფონემათა შეგუება-შეუგუებლობის გარკვეულ წესებს ემყარება, ხოლო მეორე მხრივ, ენის შინაგანი ორგანიზაციით არის ნაკარნახევი და რეალურად არსებულ სტრუქტურებში ვლინდება, თავისთავად გამომუშავებულ წესს?! ასეთსავე დარღვევასთან გვაქვს საქმე მეგრულში B სისტემის ლაბიო-ველარულ ასპირირებულ ჯგუფში: კანონიკური ფხ>რხ. რა შეიძლება ვივარაუდოთ, როდესაც ფონოტაქტიკის დადგენილი წესი, პარადიგმის ფარგლებში ირღვევა? ის, რომ მოცემულ ფონემათა შეერთება რხ<ფხ კანონიკური სქემის გარეთ დარჩა, თუ შესაძლებელია ვივარაუდოთ ლაბიალური კომპონენტის ტრანსფორმირება როტაციზმით; არ არის გამორიცხული მეგრულში მოქმედი როტაციზმის ტენდენციის ჩარევა, ვინაიდან ფონეტიკური ტენდენციების მოქმედება არასამწერლო ენების სივრცეში შეუზღუდავია.

ფონეტიკური ევოლუციის პროცესში ფონოტაქტიკა გადამწვევტ როლს თამაშობს. როცა დადგინდება ყველა ქართველური ენის ფონოტაქტიკურ კანონზომიერებათა წესები ჩვენ ვნახავთ რომ სპონტანურ ცვლილებათა მთელი რიგი, როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში, ახსნას დაექვემდებარება. სინქრონიუ-

ლი და დიაქრონიულ გარდაქმნათა ინტერპრეტაცია ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით გაცილებით უფრო ზუსტი და იოლი იქნება, ვიდრე ის ახლა არის.

ერთი რამ ცხადია – ჰარმონიულ კომპლექსთა სტრუქტურები მარკირებულია საერთო-ქართველურ დონეზე და ეს მეცნიერული სიზუსტიით არის წარმოდგენილი გ. მაჭავარიანის შრომაში „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“. დღეს სრულად ცხადია – თუ დარღვეული ჰარმონიული ჯგუფი მორფემათა გასაყარზე აღმოჩნდა არ არის საჭირო ორი ან სამი ფონეტიკური კანონის მოხმობა, იმისთვის რომ აღდგენილი ჰარმონიული ჯგუფი ასიმილაციით ავსხნათ; გაცილებით უფრო ძლიერია კანონზომიერება, რომელიც ფონოტაქტიკას არეგულირებს.

ავიღოთ მაგალითად ე. წ. ასიმილაციის უმარტივესი მაგალითი **ერთგული>ერდგული**, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტური ასიმილაცია. სულ ცოტა სამი ფონეტიკური კანონი უნდა ჩაგვეერთო, რომ გ-სთვის ასიმილატორის სტატუსი მიგვენიჭებინა, მაშინ როდესაც წინა პოზიციაში თ-ს სონანტი რ ემეზობლება. მორფემათა გასაყარზე წარმოქმნილი არაკანონიკური თგ უნდა გარდაქმნილიყო კანონიკურ დგ-დ – ასეთია ფონემათა განაწილების კანონზომიერება ქართველურ ენებში.

N. Kutelia (Tbilisi)

### **Phonotactics and Diachronical Transformation of the Elements of the System**

The science about linguistics as well as all other sciences is not a system of dogmas – methods change and accordingly the results.

“Phoneme” is a speech sound, it exists in reality and is the object of linguistic studies.



In language as in the system phoneme's material substance and function co-operate.

On the basis of merging co-operation of material substance and junction of various hierarchial levels of language is possible. Consiquently it is a new understanding of 'phoneme' as an abstract unit and not in opposition of phonetics and phonology as it is given in N. Trubetskoy's works.

In the process of phonetic evolution phonotactics has a decisive role. The whole range of spontaneous changes bath in synchronic and diachronic levels, interpretation of systems are much easier and more exact by means of phonetic rules.

რ. ქურდაძე (თბილისი)

### **სახელური და ზმნური ფუძეები ქართულ-ინგლისურ სასწავლო ლექსიკონებში**

მოსვენებაში განხილულია მეორე ენის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლექსიკონის შექმნის პრინციპები. კერძოდ, სახელური და ზმნური სალექსიკონო ფუძეების შეტანის პრინციპები ქართულის როგორც მეორე (უცხო) ენის სწავლების სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სალექსიკონო მასალების მიხედვით.

ამ თვალსაზრისით განხილულია ქართულ-ინგლისური ლექსიკონები, რომლებიც დართული აქვს ქართულის სახელმძღვანელოებს. კერძოდ, მ. კრავეიშვილისა და გ. ნახუცრიშვილის „ქართული ენისა და წერა-კითხვის თვითმასწავლებელი ინგლისურის მცოდნეთათვის“, ლ. გეგუჩაძის “ქართული ენა უცხოელთათვის”, მ. ნიკოლაიშვილის “სასაუბრო ქართულის ინტენსიური კურსი”, კ. არონსონის “ქართული საკითხავი გრამატიკა”, კ. არონსონისა და დ. კიზირიას “ქართული ენა და კულტურა”, დ. კიზირიას “ქართული ენა დამწყებთათვის” და სხვ.

განხილულ ლექსიკონებში ქართული სახელური და ზმნური ფუძეების თავისებურებები სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი (კერძოდ, კუმშვადი, კვეცადი, კუმშვად-კვეცადი, გავრცობილი ან

გაუერცობელი სახელური ფუძეები და რედუცირებადი და არარედუცირებადი ზმნური ფუძეები და სხვ.).

აღნიშნული ლექსიკონების განხილვასთან ერთად მოხსენებაში წარმოდგენილია ის პრაქტიკული საკითხებიც, რაც ქართული სახელური და ზმნური ფუძეების სალექსიკონო ფორმებთან დაკავშირებით იჩენს თავს.

R. K u r d a d z e (Tbilisi)

### **Nominal and Verbal Stems in Georgian-English Learner's Dictionaries**

The article deals with the principles behind the compilation of the dictionary presented in the second language textbook; namely, with the principles of the inclusion of nominal and verbal dictionary stems according to the dictionary materials presented in textbooks of Georgian as a second (foreign) language.

From this viewpoint, the paper examines the Georgian-English dictionaries appended to Georgian language textbooks; namely, Teach Yourself Georgian for English Speaking Georgians by M. Kraveishvili and G. Nakhutsrishvili, the Georgian Language for Foreign Learners by L. Geguchadze, Colloquial Georgian Language Intensive Course by M.. Nikolaishvili, Georgian: A Reading Grammar by Howard I. Aronson, Georgian Language and Culture by H. I. Aronson and D. Kiziria, Beginner's Georgian by D. Kiziria, *etc*

Nominal and verbal stems are presented differently in the dictionaries analyzed in the paper (namely, syncopating, truncating, syncopating-truncating, extended or non-extended nominal stems, reducible and non-reducible verbal stems, and so forth).

Along with the examination of abovementioned dictionaries, the paper also deals with the practical issues which present themselves in connection with the dictionary forms of Georgian nominal and verbal stems.

მ. დ ლ ო ნ ტ ი (თბილისი)

**შეკითხვის საღვთისმეტყველო დანიშნულება  
წმიდა ოთხთავში**

1) იესო ქრისტეს მაცხოვრებელი სწავლება წმიდა სახარების მკითხველს უმთავრესად მიეწოდება უფლის ქადაგებით (სიტყვით), სასწაულებით და იგავებით, რომლის დროსაც ბუნებრივად აღძრული შეკითხვები სათანადო მიმართულებით წარმართავს მკითხველისა თუ მსმენელის გულისყურსა და გონებისთვალს.

2) წმიდა ოთხთავში დაისმის 500-ზე მეტი შეკითხვა (კითხვითი წინადადება): შედგენილობის მიხედვით, ორი ტიპისა – კითხვითსიტყვიანი და ინტონაციური (-ა, -მე ან -მეა ნაწილაკიანი).

3) როგორც მოსალოდნელი იყო, შეკითხვის ადრესანტიც (230-მდე შეკითხვა) და ადრესატიც (130-მდე შეკითხვა) – უფალი იესო ქრისტე გახლავთ. უფლის ადრესატები უწინარესად მისი მოწაფეები არიან (115 შეკითხვა), მათ მოსდევენ თეოკრატები – მღვდელმთავრები, მწიგნობრები, რჯულისმცოდნენი (70-მდე შეკითხვა), და ხალხი, ერი (35-მდე შეკითხვა); თავის მხრივ, ხალხი, ვითარცა ადრესანტი, ამავე რაოდენობის შეკითხვას სვამს (უმეტესწილად იესოსა და იოანე ნათლისმცემლის მისამართით). საინტერესოა ის, რომ ქრისტეს მოწაფეები და თეოკრატები შეკითხვის ადრესანტებად თანაბარი რაოდენობით წარმოდგებიან (63-67 შეკითხვა).

4) წმიდა ოთხთავში უმთავრესად იკვეთება შეკითხვის სამი ფუნქციური მიმართულება (დანიშნულება): **1. ინფორმაციული**, **2. შემეცნებითი (რიტორიკული)** და **3. საძიებო (მიზეზობითი)**. მათგან სწორედ ბოლო ორი მიმართულებით განისაზღვრება შეკითხვის საღვთისმეტყველო დანიშნულება წმიდა ოთხთავში. ამასვე ემსახურება შეკითხვის მოტივაციის, მიზეზისა და გამიზნულობის ანალიზი, შესაბამისი საღვთისმეტყველო მასალის დამოწმებით წმიდა წერილიდან, ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით.

M. G l o n t i (Tbilisi)

### **Theological Function of the Question in the Four Gospels**

Jesus Christ's enlivening teaching is mostly given to the reader of the Testament through Lord's preachings, miracles and parables. Questions naturally arise in this process which focus the attention of readers and a listeners towards relevant issues.

There are more than 500 questions in the Four Gospels. According to the structure, they are of two types: with a question word and intonational (with *-a*, *-me* or *-mea* particle).

The source of the questions (about 230 questions), as well as their addressee (about 130 questions) is the Lord Jesus Christ. Lord's questions are primarily addressed to his disciples (115 questions), then theocrats – bishops, scholars, ecclesiastical legislators (about 70 questions) and ordinary people (about 35 questions).

The questions of the Four Gospels serve the following functions: 1. informational, 2. cognitive (rhetoric) and 3. exploratory (causal). Cognitive and exploratory questions determine the theological function of the question in the Four Gospels. The same theological purpose underlies the analysis of motivation, cause of the questions, based on the relevant theological material from the Holy Scripture in the translations of the Holy Fathers.

ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა (თბილისი)

### **სამოსლის აღმნიშვნელი ერთი სემანტიკური ჯგუფი (ფესსაცმელი) მეგრულ-ლაზურში**

ფესსაცმლის აღმნიშვნელი ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია მეგრულ-ლაზურში.

ამ სემანტიკურ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს ქვეჯგუფები:

1) ფესსაცმლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები: მეგრ. *მადვალარ-ი* კუჩხმოდვალ-ი კუჩხიშიმადვალარ-ი „ფესსაცმელი“ ლაზ.

*მოდგალუ/მოდგალუშ-ი/კუჩხეშიმოდგალუ* „id“; მეგრ. ჩაფლა/ჩაფულა/ჩაფა „ფესსაცმელი“ ლაზ. ჩაფულა/ჩაფლა/ჩაბლა/ჩაბა „id“;

2) ფესსაცმლის სახეობები:

ა) ქოშები: მეგრ. ყაყაბ-ი/ყაყაფ-ი „ტყავის ხის ძირიანი ქუსლე-ბიანი მძიმე ფესსაცმელი, ქოშები; მეგრ. ობოხუა „ბრახუნა, ფეხის ხის პროთეზი, ხის ქოში, საბო, ოჩოფეხები, ჭაობში სავალი გრძე-ლი ჯოხი, რომელსაც ფეხის დასადგმელი აქვს მიჭედებული“; მეგრ. საბო/საბოია „სქელ და მაღალძირიანი ფესსაცმელი, ქოში“; ლაზ. ნალინ-ი „ხის ქოშები“; ლაზ. ბაშმაყან-ი//ბაშმაკ-ი „ხის ქოშები“;

ბ) ქუსლიანი ფესსაცმელი: მეგრ. კალატოზ-ი „ხის ქუსლიანი ფესსაცმელი“;

გ) მაღალყელიანი ფესსაცმელი: მეგრ. აზიატკ-ი „აზიური უქუსლო, წვრილჭვინტიანი, ფეხზე შემოტკეცილი ტყავის მაღალყე-ლიანი ჩექმა; მეგრ. ვიტიაშკა „მაღალყელიანი ჩექმა მუხლზე-მთ“; მეგრ. შუზ-ი/შუზეფ-ი „მაღალყელიანი, საზაფხულო ფესსაც-მელი, ჩექმა“; ლაზ. მესთ-ი/მესტ-ი „ყელიანი ფესსაცმელი წულის ქვეშ ჩასაცმელი“; მეგრ.-ლაზ. წულა/წულაზი „მაღალყელიანი, ქუს-ლიანი ფესსაცმელი“; მეგრ. წულაზიში ჩაფლა „წულის შიგნით ჩა-საცმელი სათბურა“; მეგრ.-ლაზ. ჩექმა „ჩექმა“; ლაზ. საფოლი „id“;

დ) დაბალყელიანი ფესსაცმელი: მეგრ. ბატინკა/ბაშმაკეფ-ი „დაბალყელიანი ზამთრის ფესსაცმელი“; მეგრ. პოლსაპოჩკა/პოლ-საპოჩკეფ-ი „დაბალყელიანი ჩექმა“;

ე) საპატარძალო ფესსაცმელი: მეგრ. ბერწკინტე „ბრჭყვიალა ფესსაცმელი“;

ვ) წინდა-ფესსაცმელი: მეგრ. კუნტა თათმანი „მოკლე წინდა“. ეს იყო თავისებური საშინაო ფესსაცმელიც; მეგრ. ბიწკანტია „წინ-და, და ერთგვარი ფესსაცმელი“.

ზ) ჩუსტები: მეგრ. მატატი/მატატაფალი; მეგრ. ლასტ-ი/ლას-ტეფ-ი; მეგრ. ბაჩუჩ-ი; მეგრ. ბაღეტკა „ჩუსტივით ფესსაცმელი“; მეგრ. ესპადრელ-ი „ტილოს ჩუსტი“; ლაზ. პაწუწ-ი; ლაზ. ემენ-ი „ჩუსტივით ფესსაცმელი“;

თ) რეზინის ფესსაცმელი: მეგრ.-ლაზ. ბოტ-ი/ბოტეფ-ი/ე „ბო-ტი, ბოტები“ (მაღალ ან დაბალყელიანი); მეგრ.-ლაზ. კალოშკ-ი/კა-ლოშ-ი „კალოში“;

ო) ერთგვარი ფესსაცმელი: მეგრ. *ქოსალა*; მეგრ. *სამეე* (თხის ტყავისაგან მზადდებოდა); მეგრ. *ბალად-ი*; მეგრ. *კაკამ ჩაფლა* (კაკა „მძივი“, კაკამ-ი „მძივებიანი“); მეგრ. *ჯორაბ-ი*; მეგრ. *სანდალი*-ი „ნავისებური ფესსაცმელი“; ლაზ. *პორჩხალ-ი*;

კ) მატყლის ფესსაცმელი: მეგრ. *ბუგი* „მატყლის თბილი ფესსაცმელი“; ლაზ. *კაპჭინ-ი* „მატყლის ფესსაცმელი (ბავშვის)“;

ლ) ძველი, უვარგისი, უბრალო ფესსაცმელი: მეგრ. *ღაშია* „ცუდი ტყავისაგან დამზადებული ფესსაცმელი, საერთოდ ძველი, უვარგისი“; მეგრ. *მარჩხაფალ-ი/ჩარხია* „ფეხის წასადგმელი ძველი ფესსაცმელი, ჯღანები“; მეგრ. *ნოჩექშია* „ერთი უბადრუკი ჩექმა“; მეგრ. *ჩხარჯი* „ჩუსტი, ძველი ფლოსტები“; მეგრ. *ნოჩხარკია* „ფოსტლები, ჯღანები, ნაგდები ფესსაცმელი“; მეგრ. *ნოჩაფულია* „უბრალო, უვარგისი ფესსაცმელი“;

მ) სპორტული ფესსაცმელი: მეგრ. *ბუც-ი/ბუცეფ-ი*, მეგრ. *კეტ-ი/კეტას-ი*; მეგრ. *ბოტას-ი/ბოტასეფ-ი*.

ნ) უყველო ფესსაცმელი: *ტუფლი-ი* „ლანჩიანი უყველო ფესსაცმელი“; ლაზ. *ფოთინ-ი* „id“. მეგრ. *ტუფლი-ბასანოჩკა* „ნახევრად ღია და ნახევრად დახურული ფესსაცმელი“;

3) ფესსაცმელი დანიშნულების მიხედვით:

ა) ბავშვის ფესსაცმელი: მეგრ. *პაჭიჭი-ი* „პაიჭი“; მეგრ. *ბარია/ბარებ-ი*;

ბ) ქალის ფესსაცმელი: მეგრ. *მაშაია* „მაშია“, „წულა“, „დაწნული ფესსაცმელი ქალისა“;

გ) წულის ქვეშ ჩასაცმელი: მეგრ. *საცვეთ-ი*;

დ) მთაში სასიარულო: მეგრ. *წიბარ-ი* „წერიფი“;

ე) თოვლზე სასიარულო: მეგრ. *თხილამურ-ი/თხიამ-ი* „თხილამური“, ლაზ. *ხედეკ-ი/ხედიკ-ი* „id“;

ვ) მდიდრული ფესსაცმელი: მეგრ. *ობაწკაია* „კოსტა, ჭრაჭუნა, ბაკუნა ფესსაცმელი“; მეგრ. *ცრაცკ-ი* „სამეფო ფესსაცმელი, მდიდრული“;

ზ) ჭაობში სასიარულო ფესსაცმელი: მეგრ. *მაგუია/მაგუნია* „წულა, შინნამზადი ფესსაცმელი ჭაობში და ქვის კარიერზე სასიარულოდ“;

თ) გლეხური ფესსაცმელი: მეგრ. *კოთხუნჯ-ი/კოხუნჯ-ი* „ხის ქერქის ან ჭილის ქალამანი“; ლაზ. *ქალამანი-ი* „ხამი ტყავის ფესსაცმელი“;

ო) საცეკვაო ფეხსაცმელი: მეგრ. *პიწკალ-ი* „კოსტა, კოსტად მოყვანილი მსუბუქი ფეხსაცმელი, ცერზე მდგარივით შემართული“;

4) ფეხსაცმლის საწარმოებლად გამოყენებული მასალის სახელიდან მომდინარე სახელწოდებანი: მეგრ.-ლაზ. *ფოსტალ-ი* „ფლოსტი“; (ფოსტ-ი „ტყავი“); მეგრ.-ლაზ. *კანიშ(ი)ჩაფლა/კანიჩაფლა/კანჩაფულა* (მეგრ.-ლაზ. კანი „ტყავი“), „ქალამანი“; მეგრ. *მაგუ* „მოგვი, ტყავი, ცუდი ფეხსაცმელი“.

როგორც ჩანს, ფეხსაცმლის საწარმოებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის მასალა: ტყავი (ხბოს, ცხვრის, ძროხის, თხის), ხე, მატყლი.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მოცემულ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

E. S h e n g e l i a (Tbilisi)

## **Towards One Semantic Group Denoting Attire (Footwear) in Megrelian-Laz**

Megrelian-Laz vocabulary denoting footwear is rich and various. Several semantic sub-groups can be singled out:

1) **General terms:** Megr. *madvalar-i/kučmodval-i/kučxšmadvalar-i*, “footwear (in general)”, Laz. *modvalu/modvaluš-i/kučxčmodvalu* “id.” Megr. *čapla/čapja* “footwear (in general)” Laz. *čapula čapla, čabla, čabja* “id.”.

### **2) Kinds of footwear:**

a) **Clogs:** Megr. *gagab-i/gagap-i* “heavy leather footwear with wooden soles, clogs”; Megr. *oboxua* “(smth.) pounding, wooden foot prosthesis, wooden clog, sabot, stilts, a long wooden prop with a footrest to walk over a marshy place”; Megr. *sabo/saboia* “a piece of footwear with thick and high sole, a clog”; Laz. *nalin-i* “wooden clogs”; Laz. *bašmağan-i/bašmağ-i* “id.”;

b) **Heeled footwear:** Megr. *kalapoz-i* “wooden heeled footwear”;

c) **Knee-high footwear:** Megr. *aziacğ-i* “Asian heelless, thin-nosed, tight

leather knee-boot”; Megr. *viřařka* “boot(s) extending above the knee-joint”; Megr. *řuz-i/řuzep-i* “knee-high summer footwear, boot”; Megr.-Laz. *cuřa/cuřuz-i* “knee-high heeled footwear”; Laz. *cuřazi ř-i řapla* “a warm piece of footwear for wearing under a boot”; Megr. *řekma* “high boot”; Laz. *sapoř-i* “id”;

d) **Low/ankle-high footwear:** Megr. *bařin ka/bařmaķep-i* “low winter footwear”; Megr. *polsapořka/polsapořep-i* “low boots”;

e) **Bridal footwear:** Megr. *berřkin te* “glittering shoes”;

f) **Socks-shoes:** Megr. *ķunta tatman-i* “short sock”, being at the same time a kind of domestic footwear;

g) **Slippers:** Megr. *mařia/mařiapal-i*; Megr. *bařuř-i*; Megr. *lař-ilasřep-i*; Megr. *baleřka* “shoes resembling slippers”; Megr. *espadrel-i* “slipper made of canvass”; Megr. *řlopansep-i* “convenient slippers”; Laz. *pařuř-i*; Laz. *jemen-i* “shoes resembling slippers”;

h) **Rubber footwear:** Megr.- *boř-i/bořep-i/e* “overshoes” (high or low); Megr. *ķalořka-i*, Laz. *ķaloř-i* “galosh”;

i) **A kind of footwear:** Megr. *kosala*; Megr. *samge* (was made of goatskin); Megr. *balař-i*; Megr. *ķaķam řapla* (*ķaķa* “bead”, *ķaķam-i* “adorned with beads”; Megr. *řorab-i*; Megr. *sandal-i* “boat-like shoe(s)”; Laz. *borřal-i*;

j) **Woollen footwear:** Megr. *bug-i* “warm woollen footwear”; Laz. *ķapřin-i* “woollen footwear (for infants)”.

k) **Old, useless, plain footwear:** Megr. *řařia* “shoes made of inferior leather, generally – old/useless ones”; Megr. *mařarxapal-i/řarxia* “heelless slipper, a useless piece of footwear”; Megr. *nořekmia* “boots of inferior quality”; Megr. *řarķ-i* “an old slipper”; Megr. *nořarķia* “slippers, old/useless footwear”; Megr. *nořapulia* “plain, useless footwear”;

l) **Sports footwear:** Megr. *buc-i/bucep-i* “boots”; Megr. *ķeř-i/ķeřis-i* “trainer”; Megr. *bořis-i/botasep-i* “training shoes”;

m) **Low-topped footwear:** Megr. *řupl-i* “low shoes with soles”; Laz. *potin-i* “id.”; Megr. *řupl-basanořka* “partly open and partly closed footwear”

### 3) Footwear in accordance with its use:

a) **Footwear for infants:** Megr. *bařeb-i/ bařep-i* ; Laz. *pařuř-i* “legging, gaiter”;

b) **Footwear for women:** Megr. *mařia* “ankle-high shoe”, “a piece of plaited footwear for women”;



- c) **Footwear to be worn under ankle-high shoes:** Megr. *sacvet-i*;  
 d) **Footwear to be worn on the snow:** Megr. *txilamur-i/txiam-i* “ski”; Laz. *xedeḱ-i/xediḱ-i* “id.”.  
 e) **Luxury footwear:** Megr. *obaḱḱaia* “elegant squeaky stampy shoes”; Megr. *carcḱ-i* “kingly, luxurious shoes”;  
 f) **Footwear to be worn over marshy areas:** Megr. *maguia/magunia* “ankle-high homemade shoes for walking over marshy and rocky areas”;  
 g) **Rural footwear:** Megr. *ḱotxunḱ-i/ḱoxunḱ-i* “shoes made of tree bark or straw”; Laz. *kalaman-i* “footwear made of coarse leather”;  
 h) **Dancing footwear:** Megr. *biḱḱal-i* “elegant, nicely fitting (piece of) footwear, seeming to be standing (on the wearer’s) big toe”;
- 4) **Names derived from the terms denoting the materials used for making footwear:** Megr.-Laz. *postal-i* “slipper” (< *post-i* “leather”; Megr.-Laz. *ḱaniḱ(i) ḱāpla/ḱaniḱāpla/ḱanḱāpula* (< Megr.-Laz. *ḱan-i* “leather”); Megr. *magu* “leather, footwear of inferior quality”.

Apparently, various materials are used for making footwear, such as leather (of calf, sheep, cow, goat), wood, wool, etc.

The paper includes the structural and semantic analysis of the presented lexical units.

ი. ჩ ა ხ ა ნ ი ძ ე (ქუთაისი)

## ადრიან ბალბი ქართველური ენების შესახებ

იტალიელი გეოგრაფის ადრიან ბალბის (1782-1848) კალამს ეკუთვნის ნაშრომი “მსოფლიოს ეთნოგრაფიული ატლასი ანუ ძველი და თანამედროვე ხალხების კლასიფიკაცია” (*Atlas ethnographique du globe, ou Classification des peuples anciens et modernes d’après leurs langues*; 1826). ამ ნაშრომის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ რუსულ ენაზე დაიბეჭდა მისი ერთი ნაწილი, რომელიც კავკასიაში

გავრცელებულ ენებს ეხება (О языках страны кавказской // Вестник Европы, Часть 159. № 8. 1828). წინამდებარე მოხსენებაში სწორედ ამ პუბლიკაციის ტექსტით ვსარგებლობთ. ა. ბაღბი განიხილავს ქართველურ ენებს. იგი გამოყოფს ხუთ ქართველურ ენას და წარმოგვიდგენს მათ შემდეგი ნუმერაციით:

1. ძველი ქართული – “რომელზეც ოდესღაც საუბრობდნენ იბერიაში ანუ დღევანდელ საქართველოში; იგი დიდი ხნის წინ განადგურდა. იულიუს კლაპროთის სიტყვებით რომ ვთქვათ, გუდამაყრელები შესაძლოა იყვნენ ერთადერთი გეორგიელები, ვინაც შემოინახა უძველესი ენა, რომელზეც ისინი ასრულებენ მღვდელთმსახურებას და რომელიც ისევე განსხვავდება ხალხური ქართულისაგან, როგორც სლაური (საეკლესიო) რუსულისაგან. ბიბლია, რომელიც სავარაუდოდ ქრისტეს შემდეგ მე-5 საუკუნეშია თარგმნილი ამ ენაზე, დაწერილია მხედრული ასოებით, რომელიც ქრისტემდე მე-3 საუკუნეში შეუქმნია ფარნავაზს”.

2. ახალი ანუ ხალხური ქართული – “რომლის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ ქართლში, კახეთში, იმერეთში და საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც თურქების მფლობელობაშია. ქართლური დიალექტი ყველაზე სუფთაა. ტექნიკური და სასწავლო ტერმინების ნაწილი ბერძნულიდან და სომხურიდანაა ნასესხები; საზოგადოებასა და ვაჭრობაში გამოყენებული ბევრი გამონათქვამი თურქულიდან და სპარსულიდანაა აღებული; მაგრამ საფუძველი მხოლოდ თავისია და იგი განსხვავდება ყველა ცნობილი ენისაგან. მასში არის მრავალი ნაწარმოები და რთული სიტყვა; მასში არ არის ნაწევარი; არსებით, ზედსართავ სახელებს, ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს მხოლოდ ერთი სქესი აქვთ. მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ბი ან იბი'ს დართვით; მაგ., მამა – მამაბი. ბრუნება პირდაპირია; აქვს შვიდი ბრუნვა, როგორც რუსულში, რომლებიც იწარმოება ბოლოკიდური ასოების ცვლილებით. შედარებითი ხარისხი იწარმოება ზედსართავ სახელზე მარცვლის სი- დართვით, ხოლო აღმატებითი – მარცვლების სი-, ლა- დართვით; მაგ., ლამასი – სილამასი – სილაღამასი. თხრობით კი- ლოს აქვს ექვსი დრო, რომელთა შორის სამი წარსულია; კავშირებითი არ არის, ხოლო ვნებითი ზმნა იწარმოება მეშველით. წინდე-

ბულები დაისმის სიტყვის ბოლოს. მაგ., ცე ‘მიწა’, და ‘ზე’; ცედა ‘მიწაზე.’ ფრაზების კონსტრუქცია საკმაოდ თავისუფალია; ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რაც ორაზროვნების მიზეზი ხდება.”

3. მეგრული – “რომელზეც საუბრობენ სამეგრელოში, ოდიშთა ქვეყანაში და გურიაში. ეს უკანასკნელი და სამეგრელო ოდიშთა ქვეყანასთან ერთად რუსეთის იმპერიის იმპერიის ორ დიდ პროვინციას წარმოადგენენ.”

4. სვანური – “რომელზეც საუბრობენ სვანეთში: იქაური ტომი მეგრძოლია, დამოუკიდებელი; მოსახლეობენ კავკასიის მთებში, შენისწყლის, ეგურის და ეგრიზის გასწვრივ.”

5. ლაზური – “რომელზეც საუბრობენ ლაზები, მთიელები, რომლებიც თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომები არიან. ისინი მოსახლეობენ შავი ზღვის სანაპიროზე ტრებიზონდიდან ჭოროხამდე, რომელიც მათ გამოყოფს გურიისაგან. შუასაუკუნეებში ლაზები გაბატონებული ხალხი იყო იმ სახელმწიფოში, რომელსაც მათ მისცეს თავიანთი სახელი; ეს სახელმწიფო გადაშლილი იყო ჭოროხიდან ჩრდილოეთ ფაზისამდე ანუ რიონამდე... პროკოფისა და აგათიას სიტყვებით, ისინი ძველი კოლხების შთამომავლები არიან.”

მოსხენებაში განხილული და გაანალიზებულია იტალიელი ავტორის მონაცემები; არის ცდა მისი ინფორმაციის სავარაუდო წყაროს დადგენისა.

I. Chachanidze (Kutaisi)

### **Adrian Balbi on Kartvelian Languages**

Italian ethnographer Adrian Balbi (1782-1848) wrote the book *Ethnographic Atlas of the World or Classification of Ancient and Modern Peoples by their Languages* (*Atlas ethnographique du globe, ou Classification des peuples anciens et modernes d'après leurs langues*; 1826). Two years later, a Russian magazine published a part of the book concerned, dealing with languages of the Caucasus. The present paper is based on the text of the said

publication. A. Balbi discusses Kartvelian languages. He identifies five Kartvelian languages and presents them in the following order:

1. Old Georgian – once spoken in Iberia that is in present-day Georgia; it disappeared long ago.

2. Modern or Popular Georgian – spoken in the parts of Georgia occupied by Russia and Turkey. It differs from all known languages. It has a lot of derivatives and compounds; it has no articles; nouns, adjectives, pronouns and adverbs have only one gender. It has seven cases.

3. Megrelian – spoken in Megrelia, in the country of Odishes and in Guria. These are two great provinces of the Russian empire.

4. Svan – spoken in Svanetia, along the rivers of Tskhenistskali, Enguri and Egrisi.

5. Laz – spoken by Laz, the highlanders, subjects of the Turkish Empire. They inhabit the territory from Trebizond to the Chorokhi river.

The paper discusses and analyzes the data provided by the Italian author. Attempts are made to establish probable sources of his information.

### ჰ. ჩ ი მ ქ ე (თბილისი)

## საურთიერთო მოქმედების გამოსატყუა ქართულსა და თურქულში

1. ურთიერთობის (რესიპროკის) შინაარსი ქართულ ზმნაში სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა: ობიექტური პირის ნიშნებით, ვნებითის ე- პრეფიქსით, სასხვისო ქცევის ი-/უ- და საზედაოს ა- პრეფიქსებითა და ზმნისწინებით. გრამატიკულ საშუალებათა გარდა, (ან მათთან ერთად), სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ზმნებში ურთიერთობის სემანტიკასაც (შ. აფრიდონიძე).

2. საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ზმნისწინებია: გა-, გადა- და-, მი-, ჩა შე-, წა-, შემო-. მაგალითად: წა-აბამს (ერთმანეთთან ნასკვით შეაერთებს, გადააბამს თოკით, ძაფით და მისთ. ნაჭრებს // ერთმანეთთან სიგრძივ დააკავშირებს. *ორი უგრძესი კიბე აქვე წააბეს ურთიერთს – ლ. გოთ.*); შე-ამეგობრებს

(ერთმანეთის მეგობრად გახდის); *გა-ზელს* (ზელით ერთმანეთში გაურევს; ზელით მოსრეს); *გადა-წნავს* (ერთმანეთზე დაწნავს, – დაწვნით შეაერთებს); *და-უახლოვდება* (ახლობელი გაუხდება, ახლო ურთიერთობა ექნება (ვინმესთან), – დაუკავშირდება); *შე-თოკავს* (თოკით შეკრავს, – გაბაწრავს, შებოჭავს); *შემო-კრებს* (მოკრებს, შეკრებს) (ქეგლ).

3. საინტერესოა საურთიერთო შინაარსის გამოხატვის მსგავსება-განსხვავება ქართულსა და თურქულში. ეს სემანტიკა თურქულში გადმოიცემა თანდებულებით: **Beraber** (ერთად) და **birbiriyle** (ურთიერთ). მაგალითად: **Gülecek** ნიშნავს „გაიცინებს“, **Gülüşecekler** კი – „ერთად გაიცინებენ“. საურთიერთო მოქმედებას გადმოსცემს აგრეთვე ნიშნები: **-ş, -ış, -iş, -uş, -üş**. ამოსავალი გარდამავალი ზმნა სათანადო სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და მოქმედება საურთიერთო ხასიათს იძენს. მაგალითად: **Görmek** (ნახვა) – **Görüşmek** (ერთმანეთის ნახვა), რასაც ქართულში ზმნა „შეხვედრა“ გამოხატავს. „შეხვედრა“ თურქულად ასე ითარგმნება “Birbiriyle görüşmek” (ერთმანეთთან შეხვედრა, ერთმანეთის ნახვა). ამავე დროს, თურქულში არ არის აუცილებელი სიტყვის **Birbiriyle** გამოყენება. თვით **Görüşmek** აღნიშნავს საურთიერთო მოქმედებას, რადგან მას დართული აქვს თურქულის საურთიერთო მოქმედების გამომხატველი **-ş** ნიშანი.

H. Ç i m k e (Tbilisi)

### **Expression of Reciprocal Action in Georgian and Turkish**

1. Reciprocal content of Georgian verb is expressed by various means: personal pronoun markers, passive voice prefix *e-*, as well as by means of prefixes/preverbs expressing objective version (*i-/u-*), and superessive version (*a-*). In addition to or together with grammatical means, due consideration must be given to the meaning of reciprocity in verbs (Sh. Apridonidze).

2. Prefixes expressing reciprocal action are as follows: *გა-, გადა- და-, მი-, ჩა-, she-, tsa-, shemo-*. For example: *წა-აბამს (tsa-abams* – will tie together/to smth. (bits of rope, thread, etc); *შე-ამეგობრებს (she-amegobrebs* – will make smb. friends with smb., will befriend smb.); *გა-ზელს (ga-zels* – will knead/mix together); *გადა-წნავს (gada-tsnavs* – will plait smth. round smth.; will interlace smth.); *და-უახლოვდება (da-uaxlovdeba* - will get close/closer to smb.; will become close friends with smb.); *შე-თოკავს (she-tokavs* – will tie smb. up); *შემო-კრებს (shemo-krebs* – will gather smb./smth. around (oneself); will bring smb./smth. together).

3. It is interesting to explore the ways of expression of reciprocal action in Georgian and Turkish. In Turkish, this meaning is expressed by the prepositions *beraber* (together) and *birbiriyle* (each other, one another). For example: *gülecek* means “will laugh”, whereas *gülüşecek* means “will laugh together”. Reciprocal action is also conveyed by means of markers *-ş, -ış, -iş, -uş, -üş*. By the addition of appropriate suffix, an initial transitive verb is transformed into an intransitive one and acquires reciprocal character. For example: *görmek* “to see” - *görüşmek* “to see each other” that is “to meet (each other)”. “To meet” is translated into Turkish in the following way: “*birbiriyle görüşmek*” (to meet each other, to see each other). In Turkish, it is not necessary to use the word *birbiriyle*, as far as the word *görüşmek* itself conveys the meaning of reciprocity, since it contains the marker *-ş* expressing a reciprocal action.

მ. ჩ უ ხ უ ა (თბილისი)

**აფხაზური ა-წლა „ხე“ ფუძის  
ქართულ-კავკასიური იზოგლოსები**

აფხაზურ-ადიღურ ენათაგან აფხაზური ა-წლა „ხე“ ძირის კანონზომიერი შესატყვისი მხოლოდ ახლომონათესავე აბაზურს მოეპოვება – წლა „ხე“. ჩვენთვის საინტერესო აფხაზურ-აბაზურ -წლა ძირ-ფუძეს ადრე ქართულ ძელ- (ზან. ჯაღ-) „ხე“ ფორმასთან აახლოვებდნენ, რაც არ უნდა ასახავდეს საკითხის რეალურ ვითარებას.

როგორც ირკვევა, უფრო მისაღები ჩანს აფხაზურ-აბაზური -წლა ძირის ეტიმოლოგიური კავშირი შემდეგ დადესტურ მონაცემებთან: ხუნდ. წალ „წკეპლა, ჯოხი“, „მათრახი“, ტინდ. ცეელა ← \*წიელა, ლოდ. ცეელი ← \*წიელი „ჩხირი“, აღ. წალ „ფოთოლი“ კრიწ. წილი, ბუღ. წილე „ტოტი; ყლორტი“. მართალია, თანამედროვე ნახურ ენებში არ ჩანს ზემოთ აღწერილ სიტყვათა რიგის საკუთრივ ნახური ლექსიკური მონაცემი, მაგრამ ჰურიტული წარწ- „შეშა“ და ურარტული წარ „ხილნარი; ხეივანი“ (მდრ. ამ ენათაგან მომდინარე სუბსტრატული წარ „ხე“ ძველ სომხურ ენაში) იმაზე მიუთითებს, რომ მსგავსი სტრუქტურის ძირი ისტორიულად ნახურ ენებშიც უნდა გვქონოდა.

რაც შეეხება ქართველურ ენობრივ სინამდვილეს, სათანადო იზოგლოსი თავჩენილია ქართულ წარა-ფ- დერივატში (წარაფ-ი „წვრილი მოგრძე ტყე“ (საბა)), სადაც ძირად გამოყოფილ წარა სეგმენტს პოეტი-აკადემიკოსი მუხრან მაჭავარიანი სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა ურარტული (→ სომხური) წარ- ძირის ქართველურ შესატყვისად.

M. C h u k h u a (Tbilisi)

### Georgian-Caucasian Isoglosses of Abkhazian Stem *a-çla* “Tree”

In Abkhazo-Adyghean languages, the regular correspondence of the Abkhazian root *a-çla* “tree” can be traced only in the closely related Abaza language. Previously, the Abkhazo-Abaza root-stem *-çla* was supposed to be connected with the Georgian form *çel-* (Zan *çal-*) “tree”, which, as we believe, should not be the case.

As it has been shown, etymological connection of the Abkhazo-Abaza root *-çla* with the data of Daghestanian languages seems to be more plausible: Avar *çal* “rod”, “stick”, Tindi *çela* ← \**çela*, Ghodoberi *çeli* ← \**çeli* “twig”, Aghul *çal* “leaf”, Budukh *çile* “branch”, “sprout”. Although in modern Nakh languages there cannot be found properly speaking Nakh lexical data related to the above word series, Hurrian *çarr* “firewood” and Urartian *çar* “orchard”; “alley” (cf. substrative *çar* “tree” in Old Armenian, originating from these languages) however suggest that historically, a root of similar structure must have been present in Nakh languages as well.

As for the Kartvelian linguistic reality, the relevant isogloss is evident in a Georgian derivative *çara-p-* (*çarap-i* “a narrow, oblong forest” (Saba)), where the segment *çara* singled out as a root, was quite reasonably considered by the Georgian Poet and Academician Mukhran Machavariani to be the Georgian correspondence of the Urartian (→ Armenian) root *çar-*.



მ. ციხაროშვილი (თელავი)

**წოვათუშური (ბაცბური) ზღაპრის  
სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი**

წოვათუშური ზღაპარი სპეციალური შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა, თუმცა იყო სერიოზული ცდები მისი შეკრება-შესწავლისა. წოვათუშურში „ზღაპარს“ ძირითად სემანტიკასთან ერთად გადატანითი მნიშვნელობაც აქვს.

ძირითადი: *ფალ* „ზღაპარი“ მაგ.:

*ბადრიე ბუხარ ცერეჭ ავ ფალიგო ლარკ ლეფო*

„ბავშვები ბუხრის პირას ბებოის ზღაპარებს ყურს უგდებენ.“

გადატანითი: *ფალფანდი* „ზღაპარ-ზღუპრები, ზღაპრები, ტყუილები, ჭორები“ მაგ.:

*მატლომცინე დეთლოჭ ის ფალანდი შაწყ ცომენა ახოღმაკე ჭონ იცხ ფალფანდიე.*

„ნეტავ, როდემდის ყვები მაგ ჭორებს, სულერთია ვერავის მოატყუებ მაგ ტყუილებით (ზღაპრებით).“

*ფალფანდი* კომპოზიტია, რომლის პირველი ძირი საკუთრივ ბაცბურია, ფალ „ზღაპარი“, ხოლო მეორე ქართული ძირია ფანდ „ფანდი, ხრიკი, ოინი“, ი-მრავლობითი რიცხვის გამომხატველია წოვა-თუშურში.

ზღაპრისთვის დამახასიათებელი მყარი გამონათქვამებიდან წოვათუშური ზღაპრისთვის დამახასიათებელია **ინიციალური, მედიალური და ფინალური** ფრაზეოლოგიური ფორმულები. ქართული ზღაპრისგან განსხვავებით, წოვა-თუშურში არ გვხვდება თხრობითი-რელიგიური ტიპის ხოტბითი ან დალოცვითი დასაწყისი.

წოვათუშური ზღაპრის დასაწყისისთვის დამახასიათებელია ისეთი ფრაზეოლოგია, რომელიც განუსაზღვრელ დროსა და სივრცეზე მიუთითებს. ასეთი სახის გამონათქვამი გადმოცემულია მარტივი წინადადებით. გამოყენებულია „ყოფნა-არსებობისა“ და „ცხოვრების“ აღმნიშვნელი ზმნები უწყვეტლის და თურმეობითის ფორმებით. მაგ.:

*ცჰადნი კნათგოჰ ცჰა დადრ ფსტუ ლეეგორალო*

„ერთ ბიჭს ერთი დედინაცვალი ჰყოლოდა“;

*ცჰადნი ქვეყანე ვახერ ცჰა ჰაუ სტაკ*

„ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი პატოსანი კაცი“.

მედიალური გამონათქვამებიდან გვხვდება მოგზაურობის, გადაადგილების ამსახველი ფრაზეოლოგია, რომელიც „სელა“ ზმნას უკავშირდება. მაგ.:

*ენქ კნათ შუფ ბახქ, დომიქ ხაბექ, დუნი ლეოდ ლე კახკ ლეოდ*

*ცჰადნი ჰულორ ბახქ*

„შემდეგ ბიჭი წავიდა, ცხენზე შეჯდა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ტყეში მივიდა“.

*დუდტრალორ დუდტრალორ დუდტრალორე ცჰადნი აგას თორნე მადენი მათრალორ.*

„იარა, იარა, იარა და ერთი ბებია თონეში პურს აცხობდა.“

წოვათუშური ზღაპრის ფინალური ენობრივი ფორმულები სტრუქტურულ-სემანტიკურად დასაწყისის მსგავსია; ქართულისგან განსხვავებით არ შეიცავს დალოცვის ამსახველ ლექსიკურ ერთეულებსა და ფრაზებს. იშვიათად გვხვდება შემდეგი დასასრულით:

*ეჰათ დოლო დადქ ჰამახეც ზორამში ო კნათ ვეწერ*

„ამის შემდეგ მამას ყველაზე მეტად ის ბიჭი უყვარდა.“

*იშტ-იშტაე კობლე ჰალორ ვახვადონორ*

„ასე-ასე კომბლემ იცხოვრა.“

წოვათუშური ზღაპარი ზოგ შემთხვევაში კომპოზიციურ-ფრაზეოლოგიურად თანხვედრია ქართული ზღაპრისა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შემდეგი ზღაპრები: *ძმუდგლი* „ძმობილები“, *გონანქ ყისძათაქ* „ჭკუა და იღბალი“, *კუან არწივა* „კუ და არწივი“.

M. T s i s k a r i s h v i l i (Telavi)

## Structural and Semantic Peculiarities of Tsova-Tush (Batsbi) Fairy Tales

Although Tsova-Tush fairy tales have not yet become a subject of any special investigation, there have been made some serious attempts to gather and study them. In Tsova-Tush the word **tale**, in addition to its basic semantics, has figurative meaning as well.

Basic: *fal* “fairy tale”, e. g.

ბადრიე ბუხარ ცერეჭ ავ ფალოვრ ლარკ ლეფრ

“Children are listening to granny’s tales by the fire-place.”

Figurative: *falfandi* “tales”, “lies”, “rumours”, e.g.

მატლომცინე დეთლოჭ ის ფალანდი შაწყ ცომენა ახოდმაკეჭ ჭონ იცხ  
ფალფანდიოვ “I wonder how long you are going to tell us those rumours, you  
can deceive no-one with your lies (tales) anyway”.

*Falfandi* is a composite, the first root of which is Batsbi *fal* “tale”, and the second one is Georgian – *fand* “trick”, “ruse”; *-i* is a plural ending.

Out of set expressions which are characteristic of fairy tales in general, Tsova-Tush fairy tales are characterized by **initial**, **medial** and **final** phraseological formulae. Unlike Georgian fairy tales, Tsova-Tush fairy tales do not start with eulogies or blessings of narrative-religious type.

It is typical of Tsova-Tush fairy tales to start with the phraseology which refers to indefinite time and space. Such expressions are rendered with simple sentences. There are used verbs denoting the notions of “being/existing” and “living” in imperfect and perfect forms.

ცჰანნი კნათოკოჭ ცჰა ღადრ ფსტუ ლეგდორალრ

“One boy was said to have a stepmother”.

ცჰანნი ქვეყანე ვანერ ცჰა ჰაჟ სტაკ

“One honest man lived in one country”.

Medial expressions include the phraseology related to travel and movement, which is connected with the verb “to go”, e. g.

ქე კნათ შოჟ ბანე, დოძმაქ ნაბჟე, დუნი ლელოდ ლე კაძაკ ლელოდ ცჰანნი  
ჰელორ ბანე

*“Then the boy went off, mounted his horse and after riding some distance, came to a wood”.*

*ღუმტრალორ ღუმტრალორ ღუმტრალოქ ცჰანბნ ავას თორნე მადნა  
დათრალორ.*

*“He walked and walked and walked and (finally saw that) one granny was baking bread in a thonè (cylindrical clay oven)”.*

Structurally and semantically, concluding linguistic formulae of Tsova-Tush fairy tales are similar to their beginnings. Unlike Georgian fairy tales, they do not contain phrases and lexical units related to benediction. Rarely, they end in a finale like this:

*ექათ დოლოძ დადქ ჰამანეჯ ზორადში ო კნათ ვეწერ*

*“Since that time, father loved that boy most of all”.*

*იშტ-იშტაქ კობლქ ჰალორ ვახეადონორ*

*“In that way Komblè lived”.*

In some cases, Tsova-Tush and Georgian fairy tales are similar in composition and phraseology. In this respect, following fairy tales should be pointed out: *ძმუბლი* „sworn brothers“, *გონაქ ყისმათაქ* „brains and fate“, *კუნ არწივა* „a tortoise and an eagle“.

აღ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი (თბილისი)

### **ინტერპლატორის მიერ შერყვნილი სამი სტროფი „ვეფხისტყაოსანში“**

თავიდანვე ვიტყვი, რომ ამ სტროფების ავთენტურობაში ეჭვის შეტანის არავითარი საბაბი არა გვაქვს, – ორივე პოემის ავტორს ეკუთვნის. აქვე შევნიშნავ ერთი იშვიათი მორფოლოგიური ფორმის შესახებ, რაც „ვეფხისტყაოსანსა“ და ზოგ ქართულ დიალექტში დასტურდება, – ეს გახლავთ ნათესაობითის ფორმა ლოკატივად. ეს ფორმები საკმაოდ დასტურდება პოემის ტექსტში:

*შეის ხასობს, გაის ქუშობს (763/761). შდრ. ხევს.: უკენისკე-  
ზენისკე, ქვენისკე, შინისკე...*

ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს: მამა რომ მომიკვდა, წელიწადამდე საბნელოში ვიჯექიო. მეფესა და დედოფალს ებრძანა და

„უკანის (= ბოლოს) გამომიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა“ (335; 340/337). ეს ფორმა გაუგებარი გამოდგა რუსთველოლოგთათვის: უკანის დაიბეჭდა წ ბ ჩ კარ<sup>1</sup> აბ ჭ გამოცემებში, უკუნით დასტურდება ძღ<sup>1</sup> ხელნაწერებსა და ქ კარ<sup>2</sup> ინ 57 წ. გამოცემებში. უკანით ფორმის მცდარად წარმოჩენის გამო განვიხილავთ სამ რუსთველურ სტროფს:

თინათინი ეუბნება ავთანდილს:

„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა, იქ გენახა უცხო მოყმე, რომე ცრემლი მოეხოცა?“

მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა;

შენ გენუკევი მონახვასა, კიდით-კიდე მოლახოცა“. (128; 135/134)

მეორე სტროფში ფატმანი შესწივის ავთანდილს მის მიერ გასტუმრებული მზეთუნახავის ქაჯების ხელში ჩავარდნის შესახებ:

„ფატმან იტყვის: „მომეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა, სიცოცხლე და სულდგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა,

მას უკანით გაუწყველდად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა, ვერ გავახში წყარო ცრემლთა თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა“ (1210; 1214).

ზემოთ აღინიშნა, რომ ლოკატივი უკუნი ვერ გაიგო რუსთველოლოგთა დიდმა ჯგუფმა. ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ დედანში ორივე სტროფში იკითხებოდა მას უკანის და უბირმა გადამნუსხველმა ეს მისთვის უცნობი ფორმა შეცვალა მისთვის ცნობილი მას უკანით-ით.

რაკი პოემაში დასტურდება უცები – უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან (1557; 1562) უნდა გვქონდეს „მცებნელი“-ც, კერძოდ, ამ ტაეაში „მცოდნელთა“-ს ნაცვლად უნდა გვქონოდა მცებნელთა. მე მგონია, რომ საქმეში აქაც გადამწერი ჩაერია და, აი, ამ სტროფშიც:

[ნესტანმა] მონასა ჰკითხა: „მიაბე ვინ არის ჩემი მძებნელი?“

ანუ ვინ მიცის ცოცხალი, მიწასა ზედა მტკეპნელი?“

მან მოახსენა: „ვიკადრებ, რასცა ოდენ ვარ მცნებელი.“

რა წამოსრულ ხარ მას აქათ შენგან ჩვენია მზე ბნელი“ (1276; 1281).

რუსთველს არა აქვს ასეთი „კოჭლი“ რითმები და მე მჯერა, რომ აქაც უვიცი გადამწერი ჩაერია საქმეში და **მცებნელი** შეცვალა **მცნებელი**-თ. სტროფი გადამწერთა მიერ ნაწვალები ჩანს; EGHJTA<sup>1</sup>F<sup>1</sup>L<sup>1</sup>Q<sup>1</sup> ხელნაწერებში იკითხება *მცნობელი*, FIGOZAG<sup>1</sup>-ში – *მცოდნელი*. უნდა დაებეჭდოთ – **მცებნელი**.

A. Chinchaurauli (Tbilisi)

### Three Stanzas in “The Knight in the Panther’s Skin” Corrupted by an Interpolator

1. In “the Knight in the Panther's Skin” *uḱanis* means “finally”, “afterwards”: “*uḱanis gamomiqvanes xasta mat çina mdgomelta*” (135; 140/137).

2. In stanzas №№ 128; 135/134 and 1210; 1214, words **mas uḱanit** belong to an interpolator and must be substituted with *mas uḱanis*.

3. In stanzas №№ 1557; 1562 **mcodnelta** must be substituted with *mcebnelta*; and in stanzas №№ 1276; 1281 with the rhymes – **mzebneli**, **mḱepneli**, **mze bneli**, ḱord **mcnebeli** in the 3<sup>rd</sup> line must be substituted with *mcebneli*.

რ. ჭკადუა (თბილისი)

**ქართული „თბება“ ტიპის ზმნებისა და  
სვანური ფუძედრეკადი ვნებითების  
ურთიერთმიმართებისათვის**

„თბება“ ტიპის (უნიშნო) ზმნებს ქ. ლომთათიძე ახასიათებს, როგორც უძველეს, გარდაუვალ, უგვარო დინამიკურებს, რომლებიც მეცნიერის აზრით „...არავითარ სპეციალურ ნიშანს არ გვიჩვენებენ ვნებითისათვის და წარმოების თვალსაზრისით ამოსავალი არიან სათანადო მოქმედებითისათვის“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული და ზანური მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითს სვანურში შეესაბამება მეორე ტიპის (ფუძედრეკადი) ვნებითი (გ. მაჭავარიანი), თუმცა იქვე მითითებულია, რომ მეორე ტიპის ვნებითს სვანურში „უნიშნო“ ვერ დაერქმევა გარკვეული გარემოებების გამო. მართლაც, მათ, ე. წ. ვნებითობის ელემენტის (-ენ) გარდა, ახასიათებთ ფუნქციური დატვირთვის მქონე ძირისეული ხმოვანთმონაცველობა და, აქტივის ფორმებისგან განსხვავებით, აწმყოს ფუძის მაწარმოებლად -ი სუფიქსი ერთვით, მაშინ როდესაც, შესაბამის აქტივებს ბოლოსართად -ე მოუდით.

გ. მაჭავარიანს მიაჩნია, რომ ისტორიულად ფუძედრეკად გარდამავალ ზმნათა აწმყოს ფუძე სვანურში -ა- გახმოვანებით იყო წარმოდგენილი, -ი- გახმოვანებას კი მეორეულ ფაქტად მიიჩნევს (კედ → \*კედ-ე → კიდ-ე), რადგანაც ათემატური აწმყო უფრო ძველი უნდა იყო, ვიდრე თემატური.

ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე სვანურში შემორჩენილია ათემატური, სტატიკური მნიშვნელობის ზმნური ლექსემები -ი- გახმოვანებით: **ტიხ** „დაბრუნებულია, მოსულია“, **სკიბ** „დამაგრებულია, გაჩერებულია“, **ცჷირ** „დატოვებულია“, სიდ „დარჩენილია“ **კჷიბ** „ცნობილია“, **თხიშ** „აგლია“ (ზედმიწ. „ათხლეშია“) და ა. შ. ამავე გახმოვანების მასდარი შემონახულია იდიომატურ გამოთქმაში **კიდლ ლეკედ** „წვევტად ამოსაწვევტი, ამოსაღები“ (ჩაიწერეს მ. საღლიანმა და ნ. შავრეშიანმა

სოფ. ცხუმარში). ასე რომ ათემატური აწმყოს ფუძე სვანურში შემონახულია არა მხოლოდ კედ სახით, არამედ ი გახმოვანებითაც, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ე → ი გამოწვეულია ხმოვნიანი სუფიქსის მიერ. უდავოა, რომ აბლაუტის მიზეზი ფონეტიკაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ სვანურში იმდენად ძველი ფორმებია შემორჩენილი, რომლებიც ენის განვითარების სხვადასხვა დონეს განეკუთვნება (ამას დამატებული დიალექტური სახესხვაობანი), რომ უკვე ჭირს ფონეტიკური მოტივაციის დადგენა, თუმცა სინქრონიულ დონეზე მკვეთრად ჩამოყალიბებული ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობა, ანუ აბლაუტი გვაქვს. რაც შეეხება „თბება“ ტიპის სემანტიკურ ექვივალენტებს სვანურში, ისინი, ჩვეულებრივ, არაფუძედრეკადათოვის დამახასიათებელ ი-, ე- პრეფიქსებს დაირთავენ. თავის მხრივ, ფუძედრეკადი ვნებთიებიც ცდილობენ პრეფიქსიანი ვნებთის ყალიბი გამოიყენონ.

R. Chk ad u a (Tbilisi)

### **Towards Interrelation of Georgian “Tbeba” Type Verbs and Svan Passive Verbs with Root Ablaut**

K. Lomtadze devoted a special article to the “tbeba” type verbs, called by Ak. Shanidze “unmarked passives”. She shared the opinion about the archaic character of the mentioned verbs and stated that “... historically they should have been single-person dynamic voiceless verbs”.

On the basis of the study of the material of Kartvelian languages, G. Matchavariani connected Svan second type (verbs with root ablaut) passives to Georgian and Zan third type (unmarked) passives. Matchavariani proceeded from the athematic present form of the transitive verbs with the root vowel -e-, which should be more archaic than thematic present.

To our opinion, it is noteworthy that Svan has preserved athematic verbal lexemes with with the root vowel -i- as well, whose static meaning and absence of forms point to their archaic character.



ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მ. კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**კნინობითობის გამოსატვის ლექსიკური და  
მორფოლოგიური საშუალებები ქართულ  
სალიტერატურო ენასა და დიალექტებში**

კნინობითობის გამოსატვა განსაკუთრებული ენობრივი მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, საგნის სიმცირესთან. ობიექტის სიმცირის გარდა კნინობითი სახელებით გამოისატება მთქმელის დამოკიდებულება ობიექტისადმი: დაცინვა-დამცირება ან მოფერება-აღერსი. თვით კნინობითობის შინაარსი იძლევა იმის საფუძველს, რომ მცირე მოცულობის საგნებისადმი გამოსატული იყოს აღერსი ან დამცირება.

კნინობითობის გამოსატვა ხდება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით: ლექსიკური (ლეკვი, კნუტი...), აღწერითი (პატარა სახლი, პატარა ძაღლი...), კომპოზიციით (ხელწაღდი, ხელჩანთა...), სუფიქსაციით (წიგნ-აკი, კატ-უნ-ა, პარკ-უჭი ...), ფუძის რედუქციაციით და ფუძისეული ხმოვნის მონაცვლებით (ბიჭ-ბუჭები, ყარტა-ყურტა...).

კნინობითობა მოიცავს მრავალ სემანტიკურ ნიუანსს, რაც განაპირობებს მისი გამოსატვის საშუალებათა მრავალფეროვნებას. ამავე დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად ფუძის სემანტიკას. ფუძე და მაწარმოებელი ერთად ქმნიან კნინობითი სახელის ექსპრესიულ-ემოციურ იერს. მოხსენებაში განხილულია შესაბამისი მასალა ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიხედვით.

**Lexical and Morphological Means of  
Expressing Diminution in Georgian  
Literary Language and Dialects**

The expression of diminution is a special linguistic phenomenon which is, in the first place, connected with the small size of an object. In addition to the notion of smallness of an object, diminutive nouns convey the attitude of a speaker towards an object: derision/humiliation or endearment/affection. The very essence of diminution allows of treating small objects with affection or humiliation.

Diminution is expressed by various linguistic means, such as lexical (*ლექვი* lek'vi – “puppy”, *კნუტი* k'nut'i – “kitten”), descriptive (*პატარა სახლი* p'at'ara saxli – “little house”, *პატარა ძაღლი* p'at'ara dzaġli – “little dog”), compositions (*ხელჩანთა* xelchant<sup>h</sup>a – “handbag”, *ხელწაღდი* xelts'aldi – “hand-axe”), suffixation (*წიგნაკი* ts'ignak'i “booklet”, *კატუნა* k'at'una – “kitty”, *პარკუჭი* p'ark'uch'i – “small pouch”, “satchel”), stem reduplication and stem vowel interchange (*ბიჭბუჭები* bich'buch'ebi – “boys”, “lads”, *ყარტა-ყურტა* q'art'a-q'urt'a – “refuse”, “garbage”).

Diminution involves a number of semantic details bringing about the variety of its means of expression. At the same time, the semantics of the stem itself is essential. Stem and formative markers jointly form expressive and emotional image of a diminutive noun. The paper reviews relevant data from the Georgian literary language and dialects.

## 6. ხ ა ხ ი ა შ კ ი ლ ი (თბილისი)

### **ღვინო სიტყვის წარმომავლობისათვის**

*ღვინო* სიტყვის ისტორია ერთგვარად მსოფლიო ცივილიზაციათა ისტორიას ასახავს როგორც კულტუროლოგიური, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით, რადგანაც უხსოვარი დროიდან ვაზის კულტურა მსოფლიოს უძველესი ხალხების სამეურნეო კულტურისა და ტრადიციის შემადგენელი ნაწილია. ვაზის, ღვინის არსებობა დადასტურებულია შუმერულ, ეგვიპტურ, ხეთურ, ირანულ, ძველბერძნულ, სემიტურ კულტურებში. შესაბამისად, სიტყვა *ღვინოც* (ფონეტიკური ვარიაციებით) თითქმის ყველა არქაულ ენაშია შემონახული, რაც მეცნიერებს საშუალებას აძლევს, გამოიტანონ დასკვნა, რომ *ღვინო* „მიგრაციული ტერმინია“, და ეძებონ ამ მიგრაციის გზები.

მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულან მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველ სამშობლოზე. უძველესი წყარო ვაზისა და ღვინის შესახებ არის ბიბლია (ნოეს ამბავი), რომლის მიხედვითაც ვაზის და ღვინის სამშობლოდ ამიერკავკასია იგარაუდება; ღვინო შუამდინარულ ტერმინად მიაჩნიათ ა. მეიეს, მ. ფასმერს და სხვებს. მეცნიერთა ნაწილი სიტყვა *ღვინოს* ინდოევროპულ ნასესხობად მიიჩნევს დანარჩენ ენებში (გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი...); მეორე ნაწილის აზრით, ეს სიტყვა ქართველური (resp. იბერიულ-კავკასიური) ენებიდან უნდა იყოს გასული სხვა ენებში (ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, გ. მელიქიშვილი, გ. წერეთელი...).

ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას შეიცავს ვარლამ თოფურიას ნაშრომი „მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისათვის ქართველურ ენებში“, რომელიც მოხსენებად იყო წაკითხული 1958 წლის 10 ნოემბერს ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიაზე:

„აქ არაფერს ვამბობთ ქართველი ერის იმ დიდი როლის შესახებ მევენახეობა-მეღვინეობის საქმეში, რაც მას ადრე გაუწევია და რის შედეგადაც უნდა იყოს *ღვინო* სიტყვის გადასვლა ინდოევროპულ და სემიტურ ენებში. არნ. ჩიქობავას ერთ ვრცელ მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა საენათმეცნიერო საზოგადოებაში

და არკი დაუბეჭდავს, მოცემული იყო *ღვინის* ეტიმოლოგია, მისი შესვედრები რიგს ევროპულ ენებში და ვაზის კულტურის გავრცელება“. სამწუხაროდ, დღეს არნოდდ ჩიქობავას ეს ნაშრომი უცნობია მეცნიერთათვის, შესაძლოა ის არქივში ინახებოდეს...

მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობა-მეღვინეობის, ვაზის კულტურა საქართველოში ათასწლეულებს ითვლის, რასაც არქეოლოგიური და სხვა კულტუროლოგიური მონაცემებიც მოწმობს, ქართულში სიტყვა *ღვინო* დასტურდება მხოლოდ V–VII საუკუნეების ძეგლებში, ჩვენამდე მოღწეულ ხანმეტ ტექსტებში.

სავარაუდოდ, სიტყვა *ღვინო* ძველ ქართულში \**ღვნ-*||*ღუნ-* ფორმით უნდა ყოფილიყო ჯერ „ვაზის“ შემდეგ კი – თვით „ღვინის“ მნიშვნელობით. ეტიმოლოგიურად *ღვინო* უნდა უკავშირდებოდეს ფუძეს *ღუნ* „ღუნვა, გრესა“, „მრუდი“.

საყურადღებოა, რომ ქართულში ვაზის ერთ-ერთ ჯიშს *გრეხი* ჰქვია. ჯერ კიდევ 1934 წელს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ თავისი ბუნებით ვაზი მხვიარა მცენარეა, სიტყვა *ვაზი* შესაძლებელია სწორედ მხვიარობის ცნების გამომხატველი იყოსო. მსგავსი თვალსაზრისი 2006 წელს სიტყვა *ღვინო*-სთან დაკავშირებით გამოთქვა ნ. მაჭავარიანმა. ანალოგიური სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ახსნა არსებობს ინდოევროპულ ენებთან მიმართებითაც (ა. ვალდე, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი...).

ამ მხრივ საყურადღებოა ქეთევან ლომთათიძის საინტერესო დაკვირვება *ღუნ* ფუძისგან ნაწარმოებ ლექსემებთან დაკავშირებით: *ღუნ* (მო-ღუნ-ულ-ი) || მ-რუდ-ი, ძვ. ქართ. *და-ღონ-ებ-ულ-ი* „მოხრილი“, *ღულარჭნილ-*ი „მიგრეხილ-მოგრეხილი“, *ღელერჭ-*ი „წნელი“... (ლომთათიძე 1959, 74), რაც გვეხმარება სიტყვა *ღვინის* ეტიმოლოგიის დადგენაში: *ღვინო* ←\**ღვნ-* || *ღუნ-*ი „მოხრილი, დაგრეხილი, მრუდი“. უი↔უ თავისუფალი მონაცვლეობა ქართველურ ენათა სხვადასხვა ქვესისტემებში უეჭველი ფაქტებით არის დადასტურებული: წვიმა||წუმა, ღვინო||ღუნო, საკვირველი||საკურველი... (არაბული 2001, 166). საგულისხმოა, რომ ნავარაუდები ძველი ქართული *ღვნ* ფუძის დაშვების სასარგებლოდ მეტყველებს სვანურ-ზანური ფორმები: მეგრ. *ღვინ*, ჭან. *ღინ*, სვან. *ღვინელ*. *ღვინო* ფორმა უფრო გვიანდელი ჩანს (ივ. ქავთარაძე, თ. უთურგაიძე).

N. K h a k h i a s h v i l i (Tbilisi)

### **Towards the Origin of the Word *γvino* "Wine"**

The history of the word **γvino** "wine" reflects the history of the world civilizations from the culturological as well as linguistic standpoint, as since the immemorial time vine culture has been a part of the economic culture and tradition of the ancient peoples of the world. The existence of vine, wine is confirmed in the Shumerian, Egyptian, Hittite, Iranian, Old Greek, Semitic cultures. Accordingly, the word *γvino* (with its phonetic variants) is preserved almost in all archaic languages, that gives ground to researchers to make conclusion, that *γvino* is a "migration term" and to search these migration ways.

Up-to-date scientists can not agree on the initial home-country of vine and wine. An ancient source on vine and wine is the Bible (Noah's story). According to it the home-land of vine and wine is supposed Transcaucasia. A. Meillet, M. Vasmer ... consider *wine* to be a Mesopotamian term. Some researchers consider it to be an Indo-European loan word in other languages (G. Klimov, Th. Gamkrelidze, V. Ivanov ...). One more viewpoint assumes that this word should have entered other languages from the Kartvelian (resp. Iberian-Caucasian) languages (Iv. Javakhishvili, N. Marr, G. Melikishvili, G. Tsereteli...).

The paper presents an attempt to analyse the etymology of the word, based on the Georgian material.

The Georgian word **γvino** could have occurred in the form **\*γvino** || **γun-i** firstly with the meaning of "vine" and later as "wine". Etymologically **γvino** could be related with the stem **γun** "öbending", "twisting", "twirling". It is noteworthy, that in Georgian one species of vine is called **grex-**. In 1934 Iv. Javakhishvili noted, that with its nature vine is a twirly plant and the word **vazi** "vine" could have denoted the concept of twirling. Analogous viewpoint in relation with **γvino** was expressed in 2006 by N. Matchavariani. Similar semantic-etymological explanation exists in relation with the Indo-European languages (A. Walde, Th. Gamkrelidze, V. Ivanov...).

Ketevan Lomtadze's interesting observation, in relation to the lexemes originating from **γun-** stem, is noteworthy: **γun-** (mo-**γun**-ul-i) // m-**rud**-i "bent,

crooked", old Georgian *da-γon-eb-ul-i* "bent", *γularḡnil-i* "twisted", *γvlerḡ-i* "cane" (Lomtadze 1959, 74). This helps to establish the etymology of the word *γvino*: *γvino* ← \**γwin-i/γun-i* "bent, twisted, crooked". Free alternation *wi* ↔ *u* in different sub-systems of the Kartvelian languages is supported by trustworthy facts: *ḡvṭma* // *zuma*, *γvino* // *γuno*, *saḡvirveli* // *saḡurveli*... (Arabuli 2001, 166). It is noteworthy, that Svan-Zan forms support the supposed old Georgian *γwin*-stem: Megr. *γvin-*, Chan. *γin-*, Svan *γvinel-*. The form *γvino* seems to be of later period (Iv. Kavtaradze, T. Uturgaidze).

რ. ჯ ა ნ ა შ ი ა (თბილისი)

### ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა უბიხურში

მასალა ამოკრეფილია ჟ. დიუმეზილის, იულ. მესაროშის და  
ჰ. ფოგტის ნაშრომებიდან, რაც განხილული იქნება მოხსენებაში.

ღ'ამსა – წარმომავლობა, რასა (ღ'ა – სისხლი, მსა – „გა-  
გრძელება“)

ღ'აჟა – ოჯახი, მოდემის გამონა ოფი (ღ'ა – სისხლი, ჟა – ვაჟი)

ანკა – კერა, ოჯახი, ოჯახობა

თგთ – კაცი, ~ბეḡ – დიდი კაცი, ~გჟ – მოხუცი, ḡცა – კაცური  
იერი, თგთშ – კაცობა, ვაჟკაცობა, ადამიანობა

ჟა – ვაჟი, ნანშ – ყმაწვილი (ცოლიანიც, უცოლოც)

ფს'ა – ქალი, ფს'აშ – გათხოვილი, ~ჟ – მოხუცი ქალი

მეზ – შვილი, ფს'აშმეზ – ცოლ-შვილი

თგ – მამა, ~გ'გა – ბაბუა (მამა დიდი)

ნა – დედა, ~გ'გა – დიდედა

ნათ – დედ-მამა, მშობლები თგს<sub>1</sub> – მშობლები

ნანა! – დედა (ბავშვის ენაზე), დადა! – მამა! (ბავ. ენაზე).

ფს'ადგ – ქალიშვილი, ფს'ანანშ – ქალ-ვაჟი, შვილები

ჯგლ'ა – ძმა, ~ცაცა – უმცროსი, ~გ'გა – უფროსი ძმა  
 ჯაფხ'ა – და, საერთო ძირი ჯგ/ჯა  
 თუჯგლ'ა – მამის ძმა, ბიძა  
 თუჯაფხ'ა – მამიდა  
 ნაჯგლ'ა – დედის ძმა, ბიძა,  
 ნაჯაფხ'ა – დეიდა, დედის და.  
 ჳაჯგლ'ა – ძმისშვილი, ჳაჯაფხ'ა – დისშვილი  
 მგხგ – სიძე, სჩასაწ – რძალი, ჳარაღჟ – შვილიშვილი  
 ნასხოგ – სიდედრი, დედამთილი, დედინაცვალი (|| ნაშაფხ)  
 თუხხოგ – სიმამრი, მამამთილი, მამინაცვალი  
 ნესად – მუღი, მაზლის ცოლი  
 თუჩგ – ობოლი, უმამო  
 ჳაშაფხ – დედინაცვლის შვილი

R. J a n a s h i a (Tbilisi)

### **Kinship Terms in Ubych**

Material is selected from the works by G. Dumézil, Jul. v. Mészáros and H. Vogt which will be analyzed in the paper.

l'amsa — origin, race (l'a — blood, msa — continuation)

l'aq'a — famili, a portion of a kin/tribe (l'a — blood, q'a — son)

ank'a — hearth, family, household

tət — man, ~bcq̄ — adult man, ~ž̄ — elderly, c'a — manly appearance, tətəš — manhood, manliness/courage, humanity/humaneness

q'a — son, najnš̄ — lad (both married and unmarried)

px̄'a — woman, px̄'aš̄ — married, ~ž̄ — elderly woman

məzə — (one's own) child, p̄x̄ašməzə — wife and children  
 tə — father, ~ḡəza — grandfather (father big)  
 na — mother, ~ḡəza — grandmother  
 natə — mother and father, parents || təs<sub>1</sub> — parents  
 nana! — mother (child's word), dada! — father! (child's word).  
 p̄xadəkə — daughter, p̄x̄anajnsə — daughter and son, children  
 žəl'a — brother, ~caca — younger, ~ḡəza — elder brother  
 žap̄x̄a — sister, common origin žə/ža  
 təžəl'a — father's brother, uncle  
 təžap̄x̄a — father's sister, aunt  
 nažəl'a — mother's brother, uncle  
 nažap̄x̄a — aunt, mother's sister  
 qəžəl'a — brother's child; nephew/niece, qəžap̄x̄a — sister's child;  
 nephew/niece  
 məxə — Brother/Son-in-law, s<sub>1</sub>asaç — sister/daughter-in-law, qəaralf —  
 grandchild  
 nasxə — (man's, woman's) mother-in-law, stepmother (|| našajən)  
 təsxə — (man's, woman's) father-in-law, stepfather  
 nəsaγ — sister-in-law (one's husband's sister or wife of one's husband's  
 brother)  
 təcə — orphan, fatherless  
 qəašajən — stepmother's child, stepbrother/stepsister



ნ. ჯორბენაძე (თბილისი)

**სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის აღმნიშვნელი  
სახელებისაგან ნაწარმოები ზედსართაული ფორმების  
დიფერენცია-ნორმირების საკითხისათვის ქართულში**

“ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში” (2011 წ.) სხვადასხვა სახის პარონიმები გამოიყოფა. უმეტესად ისინი ერთი ძირიდან მომდინარეობენ. სწორედ ამ ტიპისაა ჩვენ მიერ განსახილველი ფორმებიც, რომლებიც ნაწარმოებია უცხოური წარმოშობის, მხოლოდ დაბოლოებით განსხვავებული სიტყვებისაგან: *ფილოლოგი – ფილოლოგია, ლინგვისტი – ლინგვისტიკა, პედაგოგი – პედაგოგია, რიტორი – რიტორიკა, ჟურნალისტი – ჟურნალისტიკა, დიპლომატი – დიპლომატია, ბიუროკრატი – ბიუროკრატია* და სხვები... თავად არსებით სახელებს შორის აღრევა არ ხდება, ვინაიდან მათ შორის მკვეთრი შინაარსობრივი სხვაობაა – წყვილის პირველი წევრი ამა თუ იმ პროფესია-საქმიანობის მქონე პირს აღნიშნავს, მეორე წევრი კი – თავად ამ პროფესიასა თუ საქმიანობას.

სიძნელები თავს იჩენს აღნიშნული არსებითი სახელებისაგან ნაწარმოები ზედსართაული ფორმების (*ფილოლოგური – ფილოლოგიური, ლინგვისტური – ლინგვისტიკური, პედაგოგური – პედაგოგიური, რიტორული – რიტორიკული, ჟურნალისტური – ჟურნალისტიკური, დიპლომატური – დიპლომატიური, ბიუროკრატული – ბიუროკრატული...*) გარჩევას – რომელი რა შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ? ბუნებრივია, ლოგიკურად, პროფესიის აღმნიშვნელი სახელებისაგან ნაწარმოები ზედსართავეები პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ კონტექსტში უნდა გამოვიყენოთ, ხოლო ამა თუ იმ პროფესიის მქონე პირისა კი – თავად ამ პირთან დაკავშირებულ შემთხვევებში. ამ პრინციპით იქნა გამოყოფილი აღნიშნული ფორმები პარონიმების ლექსიკონშიც, მაგ.,

**ბიუროკრატიული – ბიუროკრატიული**

**ბიუროკრატიული:** ბიუროკრატიის შესაფერი, ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელი (ბიუროკრატია – მმართველობის სისტემა (გარკვეული სახისა), რომელიც ბიუროკრატიულ ფორმალობაზეა დაფუძნებული: *ბიუროკრატიული* აპარატი; **ბიუროკრატიული:** ბიუროკრატიის შესაფერი, ბიუროკრატიისთვის დამახასიათებელი; ფორმალური (*ბიუროკრატიული* მიდგომა / ჩვევები);

**დიპლომატიური – დიპლომატიური**

**დიპლომატიური** (მანერები); **დიპლომატიური** (კორპუსი);

**ლინგვისტური – ლინგვისტიკური**

**ლინგვისტური** (აღლო); **ლინგვისტიკური** (მეთოდი).

**პედაგოგიური – პედაგოგიური**

**პედაგოგიური** (მზრუნველობა); **პედაგოგიური** (ინსტიტუტი);

**ჟურნალისტიკური – ჟურნალისტიკური**

**ჟურნალისტიკური:** ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი (*ჟურნალისტიკური* გამოცდილება); **ჟურნალისტიკური:** ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი (*ჟურნალისტიკური* კვლევა).

**რიტორული – რიტორიკული**

**რიტორული:** მჭევრმეტყველისათვის დამახასიათებელი (*რიტორული* ნიჭი); **რიტორიკული:** მჭევრმეტყველების თეორიისთვის დამახასიათებელი (*რიტორიკული* კითხვა).

აქ თავს იჩენს ერთი პრობლემა: უმეტესად, ზეპირ მეტყველება და წერაშიც, აღნიშნული ფორმებიდან, ორივე მნიშვნელობის გამოსახატავად, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი იხმარება. ვფიქრობთ, ამას ობიექტური მიზეზიც აქვს – აღნიშნულ ზედსართაულ ფორმებს შორის შინაარსობრივი სხვაობა მინიმუმამდეა დაყვანილი, რასაც ამოსავალი არსებითი სახელების ასევე შინაარსობრივი სიახლოვეც განაპირობებს. ვფიქრობთ, ზედსართავის წარმოებისას

ამოსავალ ცნებად არა პროფესიის, ან ამ პროფესიის მქონე პირის გააზრება ხდება, არამედ ორივე მათგანის შემცველი გააბსტრაქტებული ვარიანტისა; ფორმობრივად კი ის წარმოება გამოიყენება, რომელიც უფრო ბუნებრივი და ფონეტიკურად მისაღებია ქართულისათვის. ამ წესიდან გამონაკლისია თითქოს ბოლო მაგალითი (*რიტორული – რიტორიკული*), მაგრამ საქმე ისაა, რომ მეორე წევრისთვის (*რიტორიკული*) ამოსავალია არა სიტყვა **რიტორიკის** პირველი (მჭევრმეტყველება), არამედ მეორე (მჭევრმეტყველების თეორია) მნიშვნელობა, რომელიც შინაარსობრივად საკმაოდ განსხვავდება შეპირისპირებული ცალისგან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ უნდა შევზღუდოთ აღნიშნული ზედსართაული წყვილების გამოყენების არეალი და ამა თუ იმ კონტექსტში ნორმობრივი უპირატესობა არცერთ მათგანს არ უნდა მივანიჭოთ.

N. J o r b e n a d z e (Tbilisi)

### **Towards the Issue of Differentiation and Standardization of Adjectival Forms Derived from the Nouns Denoting Various Occupations and Professions**

Different types of paronyms are included in the Dictionary of Georgian Paronyms (2011). They are mostly derived from the same root. The forms we intend to analyze here belong to this very type, *i.e.* they are derived from foreign words, differing only by their endings: *pilologi - pilologia, lingvisti - lingvistika, pedagogi - pedagogia, riṭori - riṭorika, žurnalisti - žurnalistika, diplomati - diplomatiya, biurokraṭi - biurokraṭiya, etc.* Normally, there is no confusion between the nouns as such, for they bear a clear contentual difference – the first member of each pair denotes a person of some profession or occupation, whereas the second one denotes the profession or occupation itself.

Difficulties arise when trying to distinguish between the adjectival forms derived from the abovementioned nouns (*pilologuri* - *pilologiuri*, *lingvisturi* - *lingvistikuri*, *pedagoguri* - *pedagogiuri*, *riřoruli* - *riřorikuli*, *řurnalisturi* - *řurnalistikuri*, *diplomařuri* - *diplomařiuri*, *biurokrařuli* - *biurokrařiuli*, etc) – which ones should be preferred in particular situations?

Of course, it is logical to conclude that the adjectives derived from the nouns denoting professions must be used in contexts related to the relevant professional occupations; whereas the adjectives derived from the nouns denoting individuals practising specific professions must be used in cases when referring to such individuals themselves. This very principle was used to distinguish between the forms of abovementioned type in the Dictionary of Paronyms, *e. g.*

**biurokrařiuli** - **biurokrařuli** ('bureaucratic')

**biurokrařiuli**: 'of or pertaining to bureaucracy', 'characteristic of bureaucracy' (< bureaucracy – a system of governance based on bureaucratic formality, as in *biurokrařiuli aparati* 'bureaucratic apparatus');

**biurokrařuli**: 'befitting a bureaucrat', 'characteristic of a bureaucrat', 'formal' (as in *biurokrařuli midgoma/řvevebi* 'bureaucratic approach/habits');

**diplomařuri** - **diplomařiuri** ('diplomatic')

**diplomařuri manerebi** 'diplomatic/diplomat-like manners'; **diplomařiuri korpusi** 'diplomatic corps';

**lingvisturi** - **lingvistikuri** ('linguistic')

**lingvisturi alyo** 'linguistic/a linguist's intuition'; **lingvistikuri metodi** 'linguistic method';

**pedagoguri** - **pedagogiuri** ('pedagogical')

**pedagoguri mžrunveloba** 'pedagogical/a pedagogue's/a teacher's care'; **pedagogiuri inřituti** 'pedagogical institute';

**řurnalisturi** - **řurnalistikuri** ('journalistic')

**řurnalisturi**: 'befitting a journalist', 'of or pertaining to a journalist'

(*žurnalisturi* gamocdileba ‘journalistic/a journalist’s experience’)

**žurnalistikuri:** ‘of or pertaining to journalism’ (*žurnalistikuri* kvleva ‘journalistic research’);

**riṭoruli - riṭorikuli** ‘rhetorical’, ‘oratorical’

**riṭoruli:** ‘oratorical’, ‘characteristic of an eloquent person’ (*riṭoruli niWi* ‘oratorical talent’);

**riṭorikuli:** ‘rhetorical’, ‘of or pertaining to the theory of eloquence’ (*riṭorikuli kitxva* ‘a rhetorical question’).

Here there arises a problem: out of the pairs of above-listed type, only one form is mostly used both in oral speech and in writing to convey both meanings. We believe that this circumstance has its objective reasons – contentual differences between the above adjectival forms are minimum, which is due to the contentual proximity existing also between the initial nouns themselves. To our opinion, when deriving an adjective, some abstracted notion of both a profession and an individual practising the latter is perceived as an initial concept, rather than either a profession or an individual specifically. As to the form, that type of derivation tends to be preferred which seems to be more natural and phonetically acceptable for the Georgian language. The last example (*riṭoruli – riṭorikuli*) seems to be an exception to the rule, however the point is that in case of the second member (*riṭorikuli*) the second meaning of the word *riṭorika* (‘the theory of eloquence’), significantly differing contentually from its counterpart, serves as the initial form rather than the first one (‘eloquence’).

Basing on everything aforesaid, we believe that the range of application of above-listed adjectival pairs should not be restricted and none of them should be given any preference in particular contexts.

A l o k K D a s (Jazan, Saudi Arabia)

### **Contrasting Evolution of Georgian and Sanskrit – Two of the Most Ancient Languages of the World**

Not many languages of the world today can claim to have the antiquity as that of Sanskrit and Georgian. Given the present diverse state of the two languages, the course of their evolution into the present times invites a curious linguistic inquiry. Georgian has continued to prosper and flourish whereas Sanskrit has since long been a ‘dead’ language. Deriving from the glory of past, both can claim to have gone through the same historical upheavals through the course of time. Both traversed to witness some of the most significant sociocultural and political changes affecting the mankind. Both have their own writing systems which are as old as any. Both have enviously rich ancient literary traditions. It is then how that Georgian has continued to be a vibrant living language but Sanskrit has not. It is interesting, therefore, to unfold the reasons/ factors affecting the evolution of both these ancient languages.

The sociolinguistic aspects in the development of a language play a vital role in defining its existing social function and therefore its status. Given the plurality of religion, culture and tradition in Georgia and India, both these languages had to withstand stiff opposition from other languages and cultures. During its long history, Georgia had to fight perpetually to survive and be independent. Even in moments of political dismemberment, the state was united psychologically and the language was the first attribute of ethnic and psychological unity. Whereas in India, long before the invaders could gather political control over the nation, Sanskrit was relegated to a status of ‘prestige’ language and had lost its popular base. Pali and Prakrit, which were associated with the new religions of Buddhism and Jainism, became the *lingua franca* and Sanskrit was confined to nobility and priests. This eroded its mass-base.

In the whole history of Georgia, only Tsarist Russia managed to introduce Russian as the language of the educational system. An attempt was made to deprive Georgian of the official status in 1978. However, the efforts of the leadership of the Georgian Republic and the nation-wide movement resulted in the restoration of the official status of Georgian language. Even under the totali-

tarian regime, Georgian scientists were greatly supported by the leadership of the republic in protecting and developing the Georgian language. Sanskrit never enjoyed this gallantry of wide support.

The social function of Georgian language has always been unification. In times of political and military aggression, Georgia used its strongest weapons – the language and Christianity – against the enemy. Sanskrit played a rather divisive role in Indian Society as Brahmins imposed themselves to be the sole custodian of divine knowledge and divine language. Lower castes and women were debarred from using Sanskrit and this created a linguistic divide along caste lines. Under such pedantic sanctions, the growth of Sanskrit strangled to a point of no-recovery. Sanskrit's apathy can best be analysed in relation to Georgian as the latter's evolution highlights some sociolinguistic issues of language maintenance over a period of millenniums and not merely years.

ა ლ ო კ კ. დ ა ს ი (ჯაზანი, საუდის არაბეთი)

### **მსოფლიოს ორი უძველესი ენის – ქართულისა და სანსკრიტის ევოლუციის შეპირისპირება**

დღესდღეობით მსოფლიოს არც თუ ბევრ ენას შეუძლია განაცხადოს, რომ ისინი ისეთივე უძველესები არიან, როგორც ქართული და სანსკრიტი. ამ ორი ენის დღევანდელი განსხვავებული მდგომარეობა, მათი განვითარების ისტორია ენათმეცნიერულ კვლევას საჭიროებს. ქართული ენა კვლავაც განაგრძობს აღმაფლობასა და განვითარებას, მაშინ, როდესაც სანსკრიტი დიდი ხანია მკვდარ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. წარსული დიდებიდან გამომდინარე, ორივე ენის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში განიცადეს ერთი და იგივე ისტორიული ძვრები. ორივე მათგანი გახდა მომსწრე უმნიშვნელოვანესი სოციოკულტურული და პოლიტიკური ცვლილებებისა, რომლებმაც კაცობრიობაზე დიდი გავლენა მოახდინა. ორივე მათგანს მოეპოვება საკუთარი უძველესი დამწერლობითი სისტემები და შესაშურად მდიდარი უპ-

ველესი ლიტერატურული ტრადიციები. როგორ შეძლო ქართულმა, განსხვავებით სანსკრიტისაგან, გაეგრძელებინა არსებობა, როგორც ცოცხალმა ენამ? საინტერესოა იმ მიზეზებისა და ფაქტორების ახსნა, რომლებმაც ამ ორი უძველესი ენის განვითარებაზე მოახდინა გავლენა.

სოციოლინგვისტური ასპექტები ენის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვინაიდან განსაზღვრავენ მის სოციალურ ფუნქციასა და, შესაბამისად, მის სტატუსს. ვინაიდან საქართველოსა და ინდოეთისათვის დამახასიათებელია რელიგიური, კულტურული და ტრადიციული მრავალფეროვნება, ორივე ენას მოუხდა სხვა ენებსა და კულტურებთან მკვეთრად დაპირისპირება. თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში საქართველოს განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა თვითგადარჩენისა და დამოუკიდებლობისათვის. პოლიტიკური დაქუცმაცების პერიოდშიც კი ქვეყანა ფსიქოლოგიურად იყო ერთიანი და სწორედ ენა იყო ამ ეთნიკური და ფსიქოლოგიური ერთობის განმსაზღვრელი უპირველესი ფაქტორი. მაშინ, როდესაც ინდოეთში, დიდი ხნით ადრე იმ დრომდე, სანამ დამპყრობლები შექმნებდნენ პოლიტიკური კონტროლი დაემყარებინათ მასზე, სანსკრიტი ჩამოაქვეითეს „პრესტიჟული“ ენის სტატუსამდე, რითაც მან დაკარგა პოპულარობა. პალი და პრაკრიტი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ახალ რელიგიებთან – ბუდიზმსა და ჯაინიზმთან – გახდნენ „lingua franca“, ხოლო სანსკრიტის გამოყენების სფერო შემოიზღუდა მხოლოდ არისტოკრატიითა და სასულიერო საზოგადოებით. მან თანდათანობით დაკარგა სახალხო ფუნქცია.

საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ცარისტულმა რუსეთმა სცადა საგანმანათლებლო სისტემის ენად რუსული ენა ექცია. 1978 წელს საბჭოთა კავშირში იყო მცდელობა ქართული ენის ოფიციალური სტატუსის გაუქმებისა, თუმცა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ძალისხმევითა და საყოველთაო-სახალხო მოძრაობის შედეგად ქართულის ოფიციალური სტატუსი აღდგა. საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც კი რესპუბლიკის მთავრობა ქართველ მეცნიერებს ქართული ენის დაცვისა და განვითარების საქმეში მტკიცედ უჭერდა მხარს. სანსკრიტს კი ასეთი მხარდაჭერა არასოდეს ჰქონია.



ქართულ ენას ყოველთვის მოეპოვებოდა გამაერთიანებლის სოციალური ფუნქცია. პოლიტიკური და სამხედრო აგრესიის პერიოდში საქართველო მტრის წინააღმდეგ იყენებდა თავის უძლიერეს იარაღებს – ენასა და სარწმუნოებას. სანსკრიტმა კი პირიქით, განხეთქილების გამომწვევი როლი შეასრულა ინდოეთის საზოგადოებაში, რადგანაც ბრაჰმანები საკუთარ თავს მიიჩნევდნენ საღვთო განათლებისა და ენის ერთადერთ დამცველებად. დაბალი კასტის წარმომადგენლებსა და ქალებს ეკრძალებოდათ სანსკრიტის გამოყენება. ამან გამოიწვია კასტების ენობრივი დაყოფაც. ასეთი პედანტური სანქციების წყალობით სანსკრიტის განვითარება შეწყდა. სანსკრიტის აპათიის ანალიზი კარგად განხორციელდება ქართულთან შეპირისპირებით, რადგანაც ამ უკანასკნელის ევოლუცია წარმოაჩენს არა მხოლოდ წლების, არამედ ათწლეულების განმავლობაში ენის შენარჩუნების ზოგიერთ სოციოლინგვისტურ ასპექტს.

T. D a l a l y a n (Paris)

### **Georgian cultural and religious terms in Ossetic**

Being characterized as an East-Iranian language Ossetic has been subjected at the same time to a considerable influence of the Caucasian substratum [Abaev 1949: 75-80 ; Vogt 1988: 177-192; 469-475]. However, besides a quantity of substratum words the vocabulary of Ossetic contains also many borrowings from various languages of the region, since the ancestors of the contemporary Ossets – the Alans have had interrelations and contacts with many peoples of the region [see *Aleman* 2000]. A considerable part of foreign borrowings into Ossetic are the Georgian loan-words.

Summarizing the data received one can assume that:

1. The great part of the Georgian borrowings in Ossetic is characterized with a final vowel (-i, -a or -o) corresponding the same vowel in Georgian;

1.1.1. In some cases in Iron dialect the final -ə corresponds to Digorian existing or hypothetical -i (this can be explained by the fact that the given words have been first borrowed in Digor dialect and afterwards they have been transmitted to Iron);

1.1.2. In some perplexing cases (the earliest borrowings from Kartvelian?) Ossetic has added a final -y after the vowel (of course, if these are not just substratum words or borrowings from other (e. g. Nakh) languages;

1.2. When an Ossetic word receives suffix -æg / -ag (or the ending of an Ossetic word is contaminated with this suffix), or the ending of plural -tæ, the final vowel in Ossetic word can be lost;

2. In other cases when Ossetic words have no final vowel but in the parallel words in Georgian we have an -i or other vowel, these are common borrowings from the third languages (Middle or Modern Persian, Arabic, Turkic, Armenian, Avarian, Greek, etc.).

In the paper the concrete examples for each case are given, as well as the main semantic groups of cultural and religious borrowings are determined.

თ. დ ა ლ ა ლ ი ა ნ ი (პარიზი)

### **ქართული კულტურული და რელიგიური ტერმინები ოსურ ენაში**

ოსურში, რომელიც განიხილება, როგორც აღმოსავლეთ-ირანული ენა, კავკასიური სუბსტრატი საკმაოდ საგრძნობია. გარდა სუბსტრატული სიტყვებისა, ოსური ენის ლექსიკა შეიცავს აგრეთვე მრავალ ნასესხობას სხვადასხვა ენიდან, ვინაიდან თანამედროვე ოსების წინაპრებს – ალანებს ურთიერთობა ჰქონდათ კავკასიის

რეგიონის ბევრ ხალხთან. უცხოური ნასესხობის მნიშვნელოვან ნაწილს ოსურ ენაში წარმოადგენს ქართული ენიდან შემოსული სიტყვები.

მონაცემთა შეჯამების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. ოსურში ქართულიდან ნასესხები სიტყვების დიდი ნაწილი ხასიათდება ხმოვანი დაბოლოებით (i, a, ან o) ისე, როგორც ეს სიტყვები წარმოდგენილია ქართულ ენაში.

2. ზოგიერთ შემთხვევაში, ირონულ დიალექტში სიტყვის ბოლოკიდური -ჟ შეესატყვისება დიგორულში არსებულ ან ჰოპოთეზურ i-ს (ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მოცემული სიტყვები თავდაპირველად დიგორულ დიალექტში შევიდა და შემდგომ გავრცელდა ირონულში).

3. ზოგიერთ საორტოგო შემთხვევაში (ქართველურიდან უძველესი ნასესხობა?) ოსური იმატებს y დაბოლოებას ხმოვნის შემდეგ (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის მხოლოდ სუბსტრატული სიტყვები ან ნასესხობები სხვადასხვა (მაგ. ნახური ჯგუფის) ენიდან.

4. როდესაც ოსური სიტყვა დაირთავს -ჟგ / -ag სუფიქსს ან მრავლობითის tჟ დაბოლოებას, ბოლოკიდური ხმოვანი შესაძლოა დაიკარგოს.

5. სხვა შემთხვევებში, როდესაც ოსური სიტყვა არ ბოლოვდება ხმოვნით, მაგრამ ამავედროულად ქართულ სიტყვაში გვაქვს i ან სხვა ხმოვანი, ის ნასესხებია მესამე ენიდან (საშუალო ან თანამედროვე სპარსული, არაბული, თურქული, სომხური, ხუნძური, ბერძნული და ა. შ.).

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია კონკრეტული მაგალითები თითოეული შემთხვევისათვის და ასევე განსაზღვრულია კულტურული და რელიგიური ნასესხობების ძირითადი სემანტიკური ჯგუფები.

A. R o s t o v t s e v - P o p i e l (Frankfurt)

### **Combining the Uncombinable: An Insight from Megrelian**

This paper addresses the phenomenon of negative assertion in the Megrelian verb and in cognate constructions in West Georgian dialects.

The initial position in the Megrelian verbal template (aka Status, e. g., A. Harris) is reserved for the negative marker *va-* (the morphologized particle *var* ‘no’) and the so-called affirmative marker *ko-* (*утвердительная частица*, И. Кипшидзе; *dadast’urebiti nac’ilak’i*, Arn. Ćikobava) which is traditionally believed to originate from the particle *ko* ‘yes.’ Furthermore, here one may find such perfectivizing prefixes as *o-* and *ge-*, the latter occurring to the left of the derivational preverb and the former attaching to the verb without the preverb. The applicability of the perfectivizers is lexically conditioned. All these prefixes are mutually exclusive and cannot co-occur.

However, there is a construction that features both *va-* and *ko-* within the same verbal form. Most basically, these are yes-no questions asked when the speaker presumes that the addressee does not expect some action or situation to take place, but, to his/her surprise, it nevertheless happens, cf. (i). For instance, the addressee has already heard from the speaker that someone had visited him/her to borrow some money and, in breach of decency, came back later again to borrow some more.

- (i) *do vakumortuo?*  
MEGR do    **va-ko**-mo- $\emptyset$ -rt-u-o  
and    NEG-AFF-PRV-S<sub>2/3</sub>-go.PRT-S<sub>3</sub>SG.PRT-QST  
‘And **do you think** X did **not** come?’  
(implying that X did and the addressee must be surprised)  
(2008 fieldwork)

Now, the question arises: why do these prefixes co-occur if they belong to the same morphotactic slot and exhibit the polar opposite of content values? To explain this phenomenon, one should most probably step away from the notion of affirmative value as the original content of the prefix *ko-*, and determine it otherwise.

In the scope of the present study, data to be researched include, on the one hand, similar Megrelian constructions with the verbs that do not allow for the use of *ko-* and attach other prefixes from the accepted set in this slot (e. g., the perfectivizer *o-*), cf. (ii):

(ii)	<i>do vaoč'k'omuo?</i>	
MEGR	do	<b>va-o-ø-č'k'om-u-o</b>
	and	<b>NEG-PRF-S<sub>2/3</sub>-eat-S<sub>3</sub>SG.PRT-QST</b>
		‘And <b>do you think</b> X did <b>not</b> eat Y?’
		(implying that X did and the addressee must be surprised)
		(2008 fieldwork)

On the other hand, I shall deal with congruous constructions found in the West Georgian dialects whereby the particle *ke*, a Georgian cognate of Megrelian *ko*, combines with the negative marker *ar*, which results in the emergence of the particle *kar* that immediately precedes the verb in the question, cf. (iii), and serves the polar function compared to the *va-ko-* complex in Megrelian (with the negative answer assumed).

(iii)	<i>kar momit'ana vali?</i>		
GEO	<b>ke-ar</b>	mo-m-i-t'an-a	val-i
	<b>DP-NEG</b>	<b>PRV-O<sub>1</sub>-VER<sub>o</sub>-take-S<sub>3</sub>SG.PRT</b>	<b>debt-NOM</b>
			‘And <b>do you think</b> X brought me the debt back?’
			(implying that X did not and the addressee must be surprised)
			(Pačava 2009: 85)

Abbreviations:

1, 2, 3	person	PRF	perfectivizer
AFF	affirmative marker	PRT	preterite
DP	discourse particle	PRV	preverb
GEO	Georgian	QST	question marker
MEGR	Megrelian	S	subject person
NEG	negative marker	SG	singular
NOM	nominative	VERO	object versionizer
O	object person		

ა. როსტოვეცევი-პოპელი (ფრანკფურტი)

**შეუთავსებადთა შეთავსება მეგრულში**

მოსხენება შეეხება ნეგატიურ დადასტურებას მეგრულ ზმნაში და შესატყვის კონსტრუქციებს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში.

მეგრული ზმნის თავკიდურ პოზიციაში გვაქვს უარყოფითი ნაწილაკი ვა- და ე. წ. ფოკუსის ნიშანი („დადასტურებითი ნაწილაკი“) ქო-, რომელიც ქო „დაიას, კი“ ნაწილაკიდან მომდინარედ მიაჩნიათ (ი.ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ა. ჰარისი).

აღნიშნული ორი ნაწილაკი, რომელთაც ურთიერთსაპირისპირო სემანტიკა აქვთ, ზმნაში შეიძლება ერთად შეგვხვდეს და მათ წინ დო ნაწილაკი დაისვას. ეს ხდება კონსტრუქციაში, რომელიც გამოხატავს ადრესატისთვის მოულოდნელ მოქმედებას ან სიტუაციას:

- (1) დო ვაქუმორთუო?  
მეგრ. დო ვა- ქო- მო- რთ- უ- ო  
ქართ. და არ- კი- მო- ვიდ- ა- (განა)  
და (რა გგონია) არ მოვიდა?

მოსხენებაში გაანალიზებულია კონსტრუქციები, რომლებშიც მეგრული ქო არ არის გამოყენებული, მაგრამ გვხვდება სხვა პრეფიქსი (მაგ., სრული ასპექტის თ):

- (2) დო ვაოჭკომუო?  
მეგრ. დო ვა- თ- ჭკომ- უ- ო  
ქართ. და არ- (შე-) ჭამ- ა- (განა)  
